საკვანძო სიტყვები: საქართველოს ეკლესია, სამოციქულო მემკვიდრეობა, საეკლესიო იერარქია, ანდრია პირველწოდებული, წმ. ნინო

1. შესავალი – კვლევის ინტერესი და ჰიპოთეზა

უზრნალ „კადმოსის“ 2021 წლის მე-13 ნომერში გამოქვეყნებულ ჩემი სტატიის – „წმ. ნინო – ქალის მიერ საქართველოს გაქრისტიანება და ამით განპირობებული გამოწვევები ეკლესიისთვის“¹ – დასკვნაში დაისვა შეკითხვა, თუ ვინ მისცა დასაბამი საეკლესიო-საკრამენტულ ცხოვრებას საქართველოში, ყოფილი ტყვე (captiva) ქალის თხოვნის საფუძველზე, ვინც გვიანდელ ქართულ წყაროებში ნინოდ მოიხსენიება. წინამდებარე სტატიაში შევეცდები, მოკლედ წარმოვადგინო ჩემი შეხედულება ხსენებული საკითხის შესაძლო გადაწყვეტის გზებზე, კერძოდ, თუ ვინ იდგა საქართველოში საეკლესიო-საკრამენტული ცხოვრების დასაბამთან, ანდა სხვა სიტყვებით: იესო ქრისტეს მოციქულთაგან დაარსებული რომელი სამოციქულო კათედრიდან მიიღო საქართველოს (იბერიის) ეკლესიამ² თავისი სამოციქულო მემკვიდრეობა.³

1 Ephräm Givi Lomidze, „Die hl. Nino. Zur Christianisierung Georgiens durch eine Frau und die damit verbundenen Herausforderungen für die Kirche“, *Kadmos* (13/2021): 9-62.

2 იგულისხმება „საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესია“ წინამდებარე ნაშრომში ეკლესიის ეს სახელწოდება არ გამოიყენება, ვინაიდან კვლევის დროითი ჩარჩოები ძირითადად შემოიფარგლება პირველი ათასწლეულით, რომლის დროსაც საქართველოს ეკლესიას ამჟამინდელი დეფინიცია და სახელწოდება არ ჰქონდა. ასევე, იბერია და საქართველო, სადაც ძირითადად იგულისხმება მისი აღმოსავლეთ ნაწილი, წინამდებარე კვლევაში სინონიმებად მოიხსენიება.

3 უფრო მეტი ამ საკითხის შესახებ იხ. ნაშრომში: Ephräm Givi Lomidze, *Historisch-*

ამ ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის რეკონსტრუქციის არსებითი პრობლემა არის ის, რომ თავად წმინდა ნინოს, როგორც ქალს, არ ჰქონდა საქართველოში საეკლესიო იერარქიის დაფუძნების უფლება. ქართველების გაქრისტიანების ამ ანთროპოლოგიურმა კონსტანტამ განაპირობა ადგილობრივი ეკლესიის იერარქიული ცხოვრების წარმომავლობასთან⁴ დაკავშირებული რამდენიმე განსხვავებული ჰიპოთეზის წარმოშობა. სამოციქულო წარმომავლობის ჰიპოთეზების სიმრავლიდან (ანტიოქიიდან, იერუსალიმიდან, პონტოდან, კონსტანტინოპოლიდან და ა.შ.) საქართველოს ეკლესიის მიერ უპირობოდ აღიარებულია იესო ქრისტეს მოციქულის – წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ საქართველოს გაქრისტიანების ვერსია,⁵ რომელიც 1103 (ან 1105 წელს) რუის-ურბნისის საეკლესიო კრებაზე უცილობელ ჭეშმარიტებად მიიჩნის.⁶ ამიტომ, საქართველოს ეკლესიაში დღემდე მტკიცედ არის დამკვიდრებული ტრადიცია, რომლის თანახმად, საქართველოს ეკლესია თავს ანდრიასეულ ეკლესიად აღიქვამს და მისი დასაბამი 1-ელ საუკუნეში ანდრია მოციქულის მოღვაწეობასთან არის დაკავშირებული.⁷ ხსენებული რუის-ურბნისის კრების დადგენილება დღემდე გავლენას ახდენს საქართველოს გაქრისტიანების ისტორიოგრაფიაზე. საქმე ისაა, რომ ეკლესიის ამჟამინდელი ისტორიოგრაფია დიდწილად უკრიტიკოდ იზიარებს ანდრია მოციქულის მიერ ეკლესიის დაფუძნებას საქართველოში, სწორედ იმიტომ, რომ ეს თავად საქართველოს ეკლესიამ ჯერ კიდევ მე-12 საუკუნის დასაწყისში ხსენებულ ადგილობრივ კრებაზე ასე განსაზღვრა და დაადგინა.⁸

ევსები კესარიელის *Historia Ecclesiastica*-ს შესწავლამ დამაფიქრა

theologische Rekonstruktion des apostolischen Ursprungs der Kirche Georgiens Zur Frage der Tradition der antiochenisch-petrinischen Sukzession auf der Basis der Quellen bis Mitte des 12. Jh.s. Manuskript der katholisch-theologischen Fakultät der Universität Wien 2021 eingereichten Habilitationsschrift (მზადდება გამოსაცემად, Band 4 der Reihe Theologische Orient&Okzident-Studien, St. Ottilien: EOS-Verlag, 2022).

- 4 შდრ. Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 474-475.
- 5 საქართველოს გაქრისტიანებას სხვა მოციქულების მოღვაწეობასაც უკავშირებენ, თუმცა ჩვენს კოლექტიურ მენსიერებაში საქართველოს მოქცევის ისტორია დღესაც უპირველესად სწორედ ანდრია მოციქულის სახელს უკავშირდება.
- 6 აქ და შემდგომ შდრ.: Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 23-29 ლიტერატურა და სქოლიოები 1-16.
- 7 შდრ.: ედიშერ ჭელიძე, „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობის მეცნიერული მტკიცებულებები. წერილი პირველი“, საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები, ტ. 6 (თბილისი 2015): 107-293 და ანანია ჯაფარიძე [მიტროპოლიტი], საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, ტ.1 (თბილისი: ალილო, 2009), 118.
- 8 შდრ.: კვლევის შედეგები Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 148-154.

არის თუ არა მართებული საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის პირდაპირ ანდრია პირველწოდებულის სახელთან დაკავშირება. საქმე ისაა, რომ ევსები კესარიელის ეკლესიის ისტორიაში მოთხრობილია სხვადასხვა ქვეყანაში მოციქულთა მისიონერული მოღვაწეობა (ის ძირითადად ეყრდნობა ლუკა მახარებლისა და ორიგენე ალექსანდრიელის ცნობებს),⁹ მაგრამ იბერიის გაქრისტიანება ნახსენები არ აქვს. ამდენად, საჭირო გახდა საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობასთან დაკავშირებული ადრინდელი წყაროების ისტორიულ-კრიტიკული შესწავლა, რის აუცილებლობასაც ქართულ ისტორიოგრაფიაში გაქრისტიანების განსხვავებული ვარიანტების სიმრავლეც ამყარებდა. საქმე ისაა, რომ 1-ელ საუკუნეში ანდრია მოციქულის მიერ საქართველოს ეკლესიის დაფუძნების შესახებ არსებული თეორია ჭეშმარიტი რომ ყოფილიყო, მაშინ ქართლის ახლადმოქცეულ მირიან მეფეს (284-361)¹⁰ ნათლისღების საიდუმლოების მისაღებად არ დასჭირდებოდა სასულიერო პირების საკუთარი ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებული საეკლესიო ცენტრებიდან მოხმობა, როგორც ეს მოთხრობილია რუფინუსის ეკლესიის ისტორიაში საქართველოს გაქრისტიანების შესახებ არსებულ უძველეს წყაროში.¹¹ თანაც, იმ შემთხვევაშიც კი, თუკი ანდრია მოციქულმა გააქრისტიანა იბერია, ხოლო უკვე შემდეგ პერიოდში მოსახლეობა კვლავ დაუბრუნდა წარმართობას, შეუძლებელი იქნებოდა, სამოციქულო მემკვიდრეობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის (διαδοχή-diadochē, successio

9 შდრ.: Eusebius von Cäsarea h. e. III, 1, 1-2; გერმანული თარგმანი: Eusebius von Cäsarea, *Kirchengeschichte*. Herausgegeben und eingeleitet von Heinrich Kraft. Übersetzung von Philipp Haeuser (1932), durchgesehen von Hans Armin Gärtner, Darmstadt 62011 (= unveränderter Nachdruck der Auflage München 31989), 151 და Origenes, comm. in Gen. III, 24, in PG 12, 91; გერმანული თარგმანი: *Die Kommentierung des Buches Genesis*. Eingeleitet, übersetzt und erläutert von Karin Metzler (Origenes. Werke mit deutscher Übersetzung 1/1) (Berlin, New York: de Gruyter, 2010), 153.

10 მირიან მეფის ცხოვრების პერიოდის განსაზღვრისთვის იხ: Stephen H. Rapp Jr., „The Christianization of Eastern Georgia. Cross-Cultural and Pan-Regional Perspectives“. In *Iberien zwischen Rom und Iran. Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens*, (Oriens und Occidens 29) Frank Schleicher, Timo Stickler und Udo Hartmann (Hg.) (Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2019), 183; ბაქრაძე, დიმიტრი, *ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე* (თბილისი: სტამბა ე.გ. მესხისა, 1889), 139, მირიან მეფის მეფობის პერიოდს ათავსებს 265 და 342 წლებს შორის.

11 შდრ. Rufinus, h. e. X,11; Edition: Eusebius von Cäsarea, *Die Kirchengeschichte/Historia ecclesiastica*. Teil 2: Die Bücher VI bis X. Über die Märtyrer in Palästina. Herausgegeben von Eduard Schwartz. Die lateinische Übersetzung des Rufinus bearbeitet von Theodor Mommsen. Griechisch und Lateinisch (GCS 9/2), Leipzig: De Gruyter, 1908, 973-976; deutsche Teil-Übersetzung in: Ilma Reißner, *Georgien, Geschichte – Kunst – Kultur* (Freiburg, Basel, Wien: Herder, 1989), 24-26; ასევე ქვემოთ თავი 3.2.2.

apostolica), უშუალოდ, ხსენებულ მოციქულთან დაკავშირება, რადგან რუფინუსის ეკლესიის ისტორიაში დაცული ბაკურ მეფის გადმოცემის თანახმად, მეფე მირიანმა, საქართველოში საკრამენტული ცხოვრების დაწყების მიზნით, მე-4 საუკუნეში იმპერატორ კონსტანტინე დიდს (306-337) სასულიერო პირების გამოგზავნა სთხოვა. ეს კი, სუფთა საღვთისმეტყველო თვალსაზრისით, უარსებითეს საკითხს წარმოადგენს სტატიაში დასმული მთავარი კითხვის ირგვლივ.

მირიან მეფის გაქრისტიანებასა და მისივე ნათლისღების აქტს შორის არსებულმა ამბივალენტურმა გარემოებებმა განაპირობა IV-XII საუკუნეების ლათინურ, ბერძნულ, კობტურ-საჰიდურ, სომხურ, ანტიოქიურ და ქართულ 30-ზე მეტ წყაროში არსებული სხვაობები.¹² წყაროების ანალიტიკური შესწავლისა და ასევე პირველი ოთხი მსოფლიო საეკლესიო კრების მიერ დადგენილი ეკლესიის ორგანიზაციული სტრუქტურის კანონიკური წესების გამოკვლევის საფუძველზე¹³ შეიძლება ჩამოყალიბდეს კვლევის ჰიპოთეზა, რომ საქართველოს ეკლესიის იერარქიული დასაბამი დაკავშირებულია ძველ ეკლესიებს შორის ესოდენ მნიშვნელოვან საპატრიარქოსთან – კერძოდ კი ანტიოქია ორონტესიდან – სამოციქულო მემკვიდრეობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის, არაპირდაპირ გადმოცემასთან.¹⁴ Sedes Antiochiae ყველაზე გვიან მესამე საუკუნის შუა წლებიდან დაუკავშირეს მოციქულ პეტრეს მოღვაწეობას (წერილობით პირველად დასტურდება ორიგენეს ჰომილიაში ლუკას სახარების შესახებ, რომელიც შედგენილია 232 წლის შემდეგ)¹⁵. ასევე, ცხადია, რომ წმინდა პეტრეს გარდა, თავად ანტიოქიის საეკლესიო სტრუქტურის წარმოშობა დაკავშირებულია პავლე მოციქულისა და ადგილობრივ წინასწარმეტყველთა და მოძღვართა მოღვაწეობასთან.

წინამდებარე ნაშრომის მიზანს წარმოადგენს მოციქულის, სამოციქულო კათედრის დაარსებისა (sedes apostolica) და საქართველოს

12 წყაროები ცხრილის სახით მოცემულია: Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 467-473.

13 ამ საკითხზე უფრო ღრმად იხ. Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 259-264, სადაც იბერიის მოქცევის უძველეს წყაროსთან ერთად, მსოფლიო საეკლესიო კრებების კანონების ისტორიულ-საღვთისმეტყველო ანალიზისა და ისტორიულ-კრიტიკული მეთოდის გამოყენების კვალდაკვალ დეტალურადაა არგუმენტირებული, თუ რომელი უძველესი საეკლესიო კათედრიდან უნდა გამოგზავნა იმპერატორ კონსტანტინეს იერარქები მაშინდელ იბერიაში.

14 იხ. ნაშრომი: Johannes Hofmann, Zentrale Aspekte der Alten Kirchengeschichte (Theologische Lehr- und Lernbücher 4/1) (Würzburg: Echter Verlag, 2012).

15 შდრ.: Origenes, hom. in Luc. VI, 4 [zu: Lk 1,39-45]. In GCS 9, 34; deutsch nach: In Lucam Homiliae. Homilien zum Lukasevangelium. Erster Teilband. Übersetzt und eingeleitet von Hermann-Josef Sieben (FC 4/1), (Freiburg: Herder, 1991), 99.

ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის ურთიერთკავშირის კვლევა. თეოლოგიურად ეს კავშირები სამოციქულო მემკვიდრეობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის, ფარგლებში უნდა იქნეს განხილული.¹⁶ ამრიგად, კვლევაში განხილულია შემდეგი, აქამდე შეუსწავლელი საკითხი: ისტორიულ-თეოლოგიური თვალსაზრისით, რამდენად შესაძლებელია საქართველოს ეკლესიის სამოციქულო მემკვიდრეობის დაყვანა ქრისტეს რომელიმე, საქართველოს ტერიტორიაზე მოღვაწე კონკრეტულ მოციქულამდე ანდა საქართველოს ეკლესიის სამოციქულო მემკვიდრეობის დასაბამის ძველ ეკლესიათა ერთ-ერთ სამოციქულო ცენტრთან დაკავშირება. შესაბამისად, კვლევის ფოკუსი მიმართულია არა მხოლოდ საქართველოში ქრისტიანობის სამოციქულო წარმომავლობის, არამედ, პირველ რიგში, საქართველოს საეკლესიო იერარქიის სამოციქულო წარმომავლობასთან უწყვეტი ბმის შესწავლაზე. ამდენად, ქართულ და უცხოურ წყაროებზე დაყრდნობითა და სხვა უძველესი საპატრიარქოების ისტორიულად დადასტურებული ურთიერთობების გათვალისწინებით, პასუხის გაცემას ითხოვს საეკლესიო იერარქთა ხელდასხმის საიდუმლოს აქტით გამყარებული უწყვეტი მემკვიდრეობის საკითხი იესო ქრისტეს მოციქულებსა და საქართველოს ეკლესიის იერარქიას შორის.

გეოგრაფიული თვალსაზრისით წინამდებარე კვლევის სამიზნედ შემოფარგლულია აღმოსავლეთ საქართველოს საკვანძო მხარე (ქართლი – იბერია) და მხოლოდ იშვიათ შემთხვევებში განივრცობა შავიზღვისპირეთის პერიფერიებზე (ლაზიკა-კოლხეთი). დროითი თვალსაზრისით კი კვლევა ფოკუსირებულია საქართველოს გაქრისტიანების პერიოდზე, 1-ელ და მე-4, (ნაწილობრივ, მე-5) საუკუნეებზე. თითქმის ყველა ადრეული წყარო მიიჩნევს, რომ ქართული ეროვნული ეკლესია სწორედ ძველ დედაქალაქში – მცხეთაში – ჩამოყალიბდა, როდესაც სამეფო ოჯახმა, სწორედ, მცხეთაში მიიღო ქრისტიანობა და სადაც აღმოცენდა საქართველოს ეკლესიის იერარქია, როგორც ეკლესია. ეს მოვლენები კი უშუალოდ დაკავშირებულია საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის საკითხთან.

2. კვლევის მეთოდი

კვლევის შეკითხვაზე პასუხის გასაცემად, საჭიროა წყაროების არა მხოლოდ თეოლოგიური, არამედ ასევე ისტორიულ-კრიტიკული მეთოდით შეფასება.¹⁷ შესაბამისად, უნდა დაისვას შემდეგი შეკი-

16 დაწვრილებით იხ. Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 163-191.

17 კვლევის მეთოდთან დაკავშირებით, იხ. Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 155-160. თეოლოგიური ისტორიოგრაფიის ფარგლებში მეთოდების

თხვები: რა და რომელი პერიოდის წყაროები არის ხელმისაწვდომი? რამდენად სანდოა ისინი? რას მოგვითხრობს ისინი სამოციქულო მემკვიდრეობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის პრინციპის მიხედვით ქართული ეპისკოპატის წარმოშობის შესახებ? და, პირველ რიგში, რის შესახებ არ მოგვითხრობს ისინი? წყაროებში არსებულ ლაკუნებზე პირველად სწორედ ამ ნაშრომში უნდა გამახვილდეს ყურადღება. მაგალითად, საქართველოს გაქრისტიანების შესახებ მე-11 საუკუნემდე არსებულ წყაროებში არსადაა დასახელებული ამავე ქვეყანაში დაფუძნებული ეკლესიის ანდრია მოციქულის მემკვიდრეობითობა. მრავალ განსხვავებულ წყაროსთან მუშაობის გასაიოლებლად, წყაროები უნდა დახარისხდეს მათში წმინდა ნინოს და წმინდა ანდრიას დასახელება ან სწორედ რომ არდასახელების მიხედვით.

საკითხის უკეთ გააზრებისათვის პირველად შემუშავდა წყაროების ხუთი ტიპი (A, B, C, D და E), რომლის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა ისტორიული მონაცემების ზუსტი ანალიზი:

ტიპი A: საქართველოს გაქრისტიანების შესახებ არ არის მოთხრობილი¹⁸

ტიპი B: წმინდა ნინო დასახელებულია, ანდრია მოციქული – არა¹⁹

მრავალფეროვნება მართლმადიდებელ თეოლოგიაში ჯერ დიდად დამკვიდრებული არ არის. ამ საკითხის შესახებ იხ. რუმინელი მართლმადიდებელი თეოლოგისა და მღვდლის კვლევა: Ioan Moga, *Orthodoxe Selbst- und Fremdbilder. Identitätsdiskurse der rumänischen orthodoxen Theologie im Verhältnis zur Römisch-Katholischen Kirche in der Zeit von 1875 bis 1989* (Religion and Transformation in Contemporary European Society 18) (Wien: V&R Unipress, 2020), 48-50; ამ მიმართულებით ასევე დიდი დახმარება გააკვიწია ბერძენი მართლმადიდებელი თეოლოგის კვლევამ: Konstantinos Nikolakopoulos, *Das Neue Testament in der Orthodoxen Kirche. Grundlegende Fragen einer Einführung in das Neue Testament* (Berlin: LIT Verlag, 2014), განსაკუთრებით 300-320, ასევე ექსკურსი „Die orthodoxe Hermeneutik in ihrem Selbstverständnis und die historisch-kritische Methode“; Falk Wagner, „Zur Theologiegeschichte des 19. und 20. Jahrhunderts“, *ThR* 53 (1988): 113-200; Friederike Nüssel, *Theologiegeschichte. „Die geschichtliche Realisierung des Themas der Theologie“*. In *Historiographie und Theologie. Kirchen- und Theologiegeschichte im Spannungsfeld von geschichtswissenschaftlicher Methode und theologischem Anspruch* (Arbeiten zur Kirchen- und Theologiegeschichte 15) Wolfram Kinzig, Volker Leppin und Günther Wartenberg (Hg.) (Leipzig: Evangelische Verlagsanstalt, 2004), 203-221.

18 იხ. Lomidze, *Historisch-theologische Rekonstruktion*, 237-243 და ასევე ქვემოთ თავი 3.2.1.

19 For the establishment of King Mirian's regnal years, see Stephan H. Rapp Jr., "The Christianization of Eastern Georgia. Cross-Cultural and Pan-Regional Perspectives." In *Iberien zwischen Rom und Iran. Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens* (Oriens und Occidens 29), Frank Schleicher, Timo Stickler und Udo Hartmann (Hg.) (Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2019): 181-199, აქ 183; ბაქრაძე, ღიმიტრი, ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე (თბილისი: სტამბა ე.გ. მესხისა, 1889), 139, მირიან მეფის მეფობის პერიოდს ათავსებს 265 და 342 წლებს შორის.

ტიპი C: არც ანდრია მოციქულია დასახელებული და არც წმინდა ნინო²⁰

ტიპი D: ანდრია მოციქული დასახელებულია, წმინდა ნინო – არა²¹

ტიპი E: დასახელებულია როგორც ანდრია მოციქული, ასევე წმინდა ნინოც.²²

გარდა ამისა, ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის, რეკონსტრუქციისათვის შემუშავდა საკუთარი ე.წ. 3-D-მეთოდი, რომელიც პირველი მეთოდოლოგიური მცდელობაა მთლიანად ეკლესიის ისტორიის საღვთისმეტყველო რეკონსტრუქციის შესახებ აკადემიურ სფეროში.²³ ამის დახმარებით გამოიკვეთა და გამოცალკევდა (ეკლესიის) ისტორიის ჰერმენევტიკული ანალიზის შემდეგი სამი განზომილება:

1-D ეროვნული და საეკლესიო-პოლიტიკური განზომილება,

2-D წმინდა თეოლოგიური განზომილება და

3-D ისტორიულ-თეოლოგიური განზომილება,

რის მიხედვითაც შესაძლებელი გახდა წინამდებარე გამოკვლევის მიზანზე პასუხის გაცემა.²⁴ ამრიგად, წინამდებარე სტატიის სახით, საქმე გვაქვს კრიტიკული ისტორიოგრაფიისა და ისტორიული თეოლოგიის მიჯნაზე მყოფი თეოლოგიური ფოკუსის მქონე ისტორიულ-კრიტიკულ ხედვასთან.

სამოციქულო მემკვიდრეობის წარმოსაჩენად და მისი ისტორიულ-საღვთისმეტყველო ანალიზისათვის კი საჭირო გახდა ოთხუჯრიანი ცხრილის შექმნა, რომლის დახმარებითაც შესაძლებელია გამოცალკევდეს:

I სამოციქულო მემკვიდრეობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის ვერტიკალური ხაზი, ანუ ეპისკოპოსთა რიგი როგორც ქრისტეს მოციქულების მემკვიდრეთა უწყვეტი მონაცვლეობა (ერთმანეთის მიყოლებით) და

II ჰორიზონტალური ხაზი, როგორც ეკლესიების სამრევლო-ქსელური კავშირები (ერთმანეთის გვერდიგვერდ).

III პირდაპირი სამოციქულო მემკვიდრეობა, მოციქულის უშუალოდ ქვეყანაში ყოფნის შედეგად და

IV არაპირდაპირი სამოციქულო მემკვიდრეობა, უკვე არსებული

20 იხ. იქვე, 361-378 და ასევე ქვემოთ თავი 3.2.3.

21 იხ. იქვე, 379-398 და ასევე ქვემოთ თავი 3.2.4.

22 იხ. იქვე, 399-463 და ასევე ქვემოთ თავი 3.2.5.

23 3-D-მეთოდის შესახებ იხ. ქვემოთ თავი 4.

24 ამ მიზნისთვის შემუშავებული 3-D-ს საკუთარი მეთოდი იხ. იქვე 477-479.

*sedes apostolicae*²⁵ მიერ სამოციქულო მემკვიდრეობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის გაზიარების გზით.

აქ წარმოდგენილი კვლევის მეთოდების გამოყენება შესაძლებელს ხდის ემდეგ თავებში ნათელი შედეგების ჩვენებას.

3. დარგობრივი ლიტერატურისა და წყაროების მოკლე ანალიზი

3.1 მეორეული, დარგობრივი ლიტერატურა

დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებული, სხვადასხვა ენაზე დაწერილი 30-ზე მეტი წყაროს ისტორიულ-კრიტიკული ანალიზი და ამ წყაროების შესახებ უკვე არსებული გამოკვლევებისა და მისი დარგობრივი ლიტერატურის (1665-2015 წლებს შორის 58 ავტორის მრავალენოვანი, მათ შორის ქართული, არაბული, რუსული, ფრანგული, ინგლისური, გერმანული, იტალიური)²⁶ შესწავლა გვაჩვენებს, რომ წინამდებარე

25 ამ საკითხის ირგვლივ განსაკუთრებით სასარგებლოა შემდეგი კვლევები: Joseph Ratzinger, „Primat, Episkopat und successio apostolica“, *JRGS* 12: 212-232; Joseph Ratzinger, „Die kirchlichen Bewegungen und ihr theologischer Ort“, *JRGS* 8/1, 363-390; Georgij V. Florovskij, *Sobornost. Kirche, Bibel, Tradition*. Aus dem Englischen übersetzt von Ilija Trojanow. Mit einem Nachwort von Georgios Metallinos (Werkausgabe 1), (München: Kyrill & Method Verlag, 1989); Ioan-Vasile Leb, „Der Heilige Geist. Apostolisches Amt und Einheit der Kirche – eine Orthodoxe Perspektive“, *Studia Universitatis Babeş-Bolyai – Theologia Orthodoxa* 1-2 (1999): 51-66; Martin George, *Apostolic Succession and the Unity of the Church. Some Aspects of the Theory and Practice of the Early Church and Their Application in Contemporary Ecclesiology* (Portland, Oregon (MSC), 1985). (Masterarbeit in der orthodoxen Theologie am St. Vladimir's Orthodox Theological Seminary, Crestwood, NY, 1977); Dumitru Staniloae, *Orthodoxe Dogmatik*. Bd. 3. Mit einem Vorwort von Jürgen Moltmann. Aus dem Rumänischen übersetzt von Hermann Pitters (Ökumenische Theologie 16), Solothurn u.a.: Benziger Verlag, 1995; John Zizioulas, „Apostolic Continuity of the Church and Apostolic Succession in the First Five Centuries“, *Louvain Studies* 21 (1996): 153-168; Andreas Merkt, „‘Amt der Tradition‘ und ‚Carisma der Wahrheit‘. Die theologische Bedeutung der apostolischen Sukzession bei Irenäus von Lyon und Augustinus“, *IKaZ* 40 (2011): 221-233; Andreas Merkt, „Das Problem der apostolischen Sukzession im Lichte der Patristik“. In *Das kirchliche Amt in apostolischer Nachfolge I. Grundlagen und Grundfragen* (Dialog der Kirchen 12), Theodor Schneider und Gunther Wenz (Hg.) (Freiburg, Göttingen: Vandenhoeck & Ruprecht Verlage, 2004), 264-295.

26 იხ. შემდეგი ნაშრომები: მაკარი ანტიოქიელი (1665), ტიმოთე გაბაშვილი (1775), ანტონ II. დადიანი (1801), დავით ბაგრატიონი (1805), პლატონ იოსელიანი (1843), თეიმურაზ ბატონიშვილი (1848), Marie-Félicité Brosset (1849), საქართველოს იერარქიის ისტორია (1853), სულხან ბარათაშვილი (1871), გობრონ (მიხაილ) საბინინი (1877), დიმიტრი ბაქრაძე (1879), დიმიტრი ჯანაშვილი (1882), მოსე ჯანაშვილი (1886), დიმიტრი ბაქრაძე (1889), კალისტრატე ცინცაძე (1892), Vasil Pottosi (1894), ივანე ჯავახიშვილი (1898/1900), პოლიევქტოს კარბელაშვილი (1900), ანტონ ნატროშვილი (ნატროევა 1900), ვინმე მესხი (ივანე გვარამაძე 1901), Aurelio Palmieri (1902), ნიკო მარი (1902), ილია ფერაძე (1902-1903), კალისტრატე ცინცაძე (1905), სერგი გორგაძე (1905), დიმიტრი ჯანაშვილი (1906?), მელიტონ კელენჯერიძე (1906), ნიკო მარი (1906), ივანე ჯავახიშვილი (1908), მიხეილ

სტატიის ძირითადი შეკითხვა, სამოციქულო მემკვიდრეობის, მისი უწყვეტი ჯაჭვის ფარგლებში მოციქულთა და ქართული ეპისკოპატის წარმოშობას შორის არანაირი ბმა და კავშირი არ არის განხილული და შესაბამისად, ჩვენი კვლევის საგანი დღემდე „ხელუხლებელ“ სივრცეს წარმოადგენს. ზოგი ავტორი სამოციქულო მემკვიდრეობას უკავშირებს უშუალოდ ანდრია მოციქულის მოღვაწეობას, ზოგი კი დანარჩენ მოციქულთა წრეშიც ეძებს საქართველოს ეკლესიის დამფუძნებელს.²⁷ თბილისის სასულიერო აკადემიის პროფესორი და მიტროპოლიტი, მეუფე ანანია ჯაფარიძე, რომელიც დღემდე ქართული ეკლესიის ისტორიის დარგში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს, ერთდროულად ექვს მოციქულს მიაწერს საქართველოს გაქრისტიანებას და ეკლესიის დაფუძნებას.²⁸ სხვები სამოციქულო მემკვიდრეობის წარმომავლობას უკავშირებენ უძველეს საეკლესიო ცენტრებს, ასეთ ცენტრად უმრავლესობა მიიჩნევს ანტიოქიას.

3.2 წყაროები

3.2.1 ევსები კესარიელის მიერ არდასახელებული ადგილები (ბერძნული წყარო)

ისტორიოგრაფიული და ისტორიულ-კომპილატორული წყაროების უძველეს ფენას წარმოადგენს ევსები კესარიელის ნაშრომი. მას როგორც A ტიპის წყაროს ერთადერთ წარმომადგენელს მე-4 საუკუნის დასაწყისისთვის არ აქვს ქართული ეკლესიის როგორც პირდაპირი (მოციქულის ფიზიკური შემოსვლა ქართლში), ასევე არაპირდაპირი (საეკლესიო იერარქიის რომელიმე უძველესი სამოციქულო კათედრიდან მოვლინება იბერიაში) სამოციქულო დაარსების შესახებ ცნობა, მიუხედავად იმისა, რომ მას სომხეთის²⁹ გვერდით მდებარე

თამარაშვილი (თამარათი 1910), სარგის კაკაბაძე (1912), ექვთიმე თაყაიშვილი (1913/1914), კორნელი კეკელიძე (1914), მელიტონ კელენჯერიძე (1918), ევსევი ნიკოლაძე (1918), Raymond Janin (1922/1997), კორნელი კეკელიძე (1925/26, 1927/30), Josef Markwart (1928), Paul Peeters (1932) მიხეილ თარხნიშვილი (1940/41, 1951), ნინო სალია (1966), Peter Hauptmann (1974), Julius Aßfalg (1984), თამილა მგალობლიშვილი (1988), Lothar Heiser (1989), ანანია ჯაფარიძე (1989-1999), ვახტანგ გოილაძე (1991), გიორგი მამულია (1992), Bernadette Martin-Hisard (1993), Michel van Esbroeck (1996, 1998), Bernadette Martin-Hisard (1998), თამილა მგალობლიშვილი (1998), ზაზა აბაშიძე (2006), Wolfgang Hage (2007), თამილა მგალობლიშვილი (2009), თამარა გრძელიძე (2011), ელდარ ბუბულაშვილი (2011), ედიშერ ჭელიძე (2015).

27 უფრო მეტი იხ. Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 148-154.

28 იხ. ჯაფარიძე, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია, 130.

29 სომხეთში არსებული ქრისტიანობა კი ევსებისთვის ცნობილია, შდრ.: Eusebius von Cäsarea h. e. VI, 46, 1-2 და Josef Rist, „Nino versus Gregor. Die Christianisierung Iberiens im Vergleich zu Armenien“. In *Iberien zwischen Rom und Iran. Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens* (Oriens und Occidens 29), Frank Schleicher, Timo Stickler und

იბერიის შესახებ ცოდნა გააჩნდა.³⁰ ამ უძველეს საეკლესიო ისტორიის წყაროზე დაყრდნობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, ევსების *Historia Ecclesiastica* დაწერის დროს საქართველო (იბერია) ჯერ კიდევ გაქრისტიანებული არ უნდა ყოფილიყო.

3.2.2 ბაკურ მეფის უძველესი ცნობა საქართველოს გაქრისტიანებასთან დაკავშირებით (ლათინური, ბერძნული, კოპტურ-საჰიდური და სომხური წყაროები)

საქართველოს მოქცევის შესახებ პირველი და უძველესი წერილობითი წყარო ეფუძნება ზეპირ გადმოცემას, რომელიც პალესტინაში ან იერუსალიმშია ჩაწერილი. ამ ცნობის ავტორი იყო საქართველოს მეფე ბაკური. მისი გარდამოცემა აღწერილია რუფინუსის ეკლესიის ისტორიაში, რაც მოგვიანებით მსგავსი გადასინჯვებით სოკრატეს ისტორიულ შრომებში, სოზომენეს, თეოდორიტე კვირელის, კიზიკელი ანონიმისა და თეოფანეს, კოპტურ-საჰიდურ ნაშრომებსა და იოანე ნიკიუსის ქრონიკებში, ასევე, მოსე ხორანელთან, ფილონ ტირაკელისეული სოკრატეს ეკლესიის ისტორიის სომხური თარგმანის შთაგონებით გადაეცა (ტიპი B). B-ტიპს მიეკუთვნებიან ასევე ჯუანშერი, ქართლის მოქცევის უცნობი ავტორი და ნიკოლოს შავთელი. ბაკურის ცნობის მიხედვით, ქვეყნის გაქრისტიანება იმპერატორ კონსტანტინე დიდის (306-337) დროს მოხდა.

ვინაიდან პირველი (ნიკეა 325) და მეორე (კონსტანტინოპოლი 381) მსოფლიო საეკლესიო კრებების გადაწყვეტილების მიხედვით, ანტიოქია იურიდიულად აღმოსავლეთის ქრისტიანობაზე იყო პასუხისმგებელი, მე-4 საუკუნის დასაწყისში, იმპერატორ კონსტანტინეს საქართველოში სამეფო ოჯახის ნათლობისა და საეკლესიო იერარქიის დამკვიდრების მიზნით სასულიერო პირები მხოლოდ ანტიოქიის კათედრიდან შეეძლო გამოეთხოვა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია, საქართველოში სასულიერო იერარქიის წარმომავლობის შესახებ პირველადი დასკვნების გაკეთება და სამოციქულო მემკვიდრეობის წარმომავლობის ანტიოქიის საპატრიარქოს უძველესი ეკლესიის კათედრასთან დაკავშირება. ამ შედეგს ეფუძნება სწორედ საქართველოს სამოციქულო მემკვიდრეობის რეკონსტრუქცია.

3.2.3 სომხური წყაროები

მე-5 საუკუნის შუა წლებიდან მომდინარე სომხური წყაროები (კირიონი, ავათანგელოსი, ფავსტოს ბუზანდი) C ტიპს განეკუთვნება,

Udo Hartmann (Hg.) (Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2019), 203-204.

30 იხ. Korneli Kekelidse, Die Bekehrung Georgiens zum Christentum. Mit einer Karte (Morgenl.18) (Leipzig Verlag: J. C. Hinrichs, 1928), 37 ლიტერატურით იქვე სქოლიო 1.

რომლებიც საქართველოს გაქრისტიანებას სომხურ გავლენას უკავშირებენ. მოსაზრება ქართული ქრისტიანობის სომხურიდან წარმომავლობის შესახებ, კერძოდ, სომხების თანამონაწილეობა საქართველოს გაქრისტიანებასა და აქ ეკლესიის დაფუძნებაში, დასაბამს იღებს ყველაზე ადრე მე-5 საუკუნიდან. შესაბამისად, ეს მოდელი ისტორიულად სანდო არაა, რადგან, ჯერ ერთი, საქართველო ლათინური და ბერძნული წყაროების მიხედვით (ტიპი A და ტიპი B), ერთი საუკუნით ადრე, ანუ იმპერატორ კონსტანტინეს დროს გაქრისტიანდა და მეორეც, მე-5 საუკუნის დასაწყისში საქართველოში უკვე მოცემულია სომხეთისგან დამოუკიდებელი საეპისკოპოსო სტრუქტურები. ამის მიუხედავად, ორ მეზობელ ქვეყანას შორის ახლო ურთიერთობები იყო შენარჩუნებული. ტიპ C-ში გამონაკლისს წარმოადგენს ბერძნულიდან მომდინარე, მე-6 საუკუნეში მოღვაწე, თეოდორე ანაგნოსტეს ნაშრომი, რომელშიც მართალია, არ არის გადმოცემული საქართველოს გაქრისტიანება, სამაგიეროდ, მოცემულია ნიკეის კრების (325) მონაწილეთა ნუსხა, რომელშიც დასახელებულია სამი ბერძენი ეპისკოპოსი შავი ზღვის აღმოსავლეთი სანაპიროებიდან. ჩვენს ნაშრომში სტერეოტიპად მიჩნეული ეს ცნობა დღემდე ქართულ კონტექსტში გამოიყენება იმის მტკიცებულებად, თითქოს ნიკეის პირველ საეკლესიო კრებამდე საქართველოში უკვე არსებობდა საეკლესიო იერარქია, რაც ბუნებრივია სიმართლეს არ შეეფერება, რადგან პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების აქტები პრაქტიკულად არ არსებობს.³¹

3.2.4 ანდრიას აპოკრიფების ხელახალი გაცოცხლება (ბერძნული წყაროები)

D ტიპის მასალები შეეხება მე-9 საუკუნის შემდგომ ბერძნულ წყაროებსა და ასევე, მე-11 საუკუნით დათარიღებულ მათ ქართულ თარგმანებს (ეპიფანე, ნიკიტა, ანდრია მოციქულის აქტების უცნობი ავტორი, ექვთიმე მთაწმიდელი და გიორგი მცირე), რომლებიც ანდრია პირველწოდებულის აპოკრიფულ ტრადიციას უკავშირდება და რომლებშიც მხოლოდ საქართველოს გაქრისტიანებაზეა ლაპარაკი, ადგილობრივი ეკლესიის დაფუძნებაზე რაიმე მინიშნების გარეშე.³² ამ

31 იხ. Hofmann, *Zentrale Aspekte der Alten Kirchengeschichte*, 150.

32 შრდ.: Wolfram Brandes, „Apostel Andreas vs. Apostel Petrus? Rechtsräume und Apostolizität“, *Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte* 23 (2015): 120-150, ავტორს ეეჭვება, რომ უშუალოდ ანდრია მოციქულმა დააარსა კონსტანტინოპოლის ეკლესია; ამ საკითხთან დაკავშირებით იხ. Lomidze, *Historisch-theologische Rekonstruktion*, 482-484, განსაკუთრებით სქოლიო 1833 და ასევე: Guliko Sophia Vashalomidze, *Die Stellung der Frau im alten Georgien. Georgische Geschlechtsverhältnisse insbesondere während der Sasanidenzeit (Orientalia Biblica et Christiana 16)* (Wiesbaden: Harrassowitz Verlag, 2007), 44.

აპოკრიფულ ტრადიციაში არ არის დაცული ცნობები captiva-ს შესახებ და ის მხოლოდ ანდრია მოციქულს მიაწერს ქვეყანაში მისიონერულ მოღვაწეობას. ამ წყაროების საფუძველს წარმოადგენს ანდრია მოციქულის ცხოვრების ამსახველი აპოკრიფული ტექსტი, რომლებიც მე-4 საუკუნიდან გნოსტიკურ და მანიქეურ წრეებში იყო გავრცელებული. ეს აპოკრიფული ლეგენდები, როგორც „რელიგიის საწინააღმდეგო“, ჯერ კიდევ ევსები კესარიელმა გააკრიტიკა უმკაცრესად. საყურადღებოა, რომ სწორედ წყაროების D ტიპში მოცემული ცნობები აღიარეს ქართველებმა მე-11, მე-12 საუკუნეებიდან, რის საფუძველზეც ამ დროიდან მოყოლებული სამოციქულო მემკვიდრეობა საქართველოში გააზრებულ იქნა როგორც ანდრიასეული და არა (ისტორიულად უკვე არსებული) ანტიოქიურ-პეტრესეული.

3.2.5 კომბინირებული წყაროები – საპირისპირო ვერსიების სინთეზის მცდელობა (ქართული წყაროები)

E ტიპის კომბინირებული ტექსტები, რომლებშიც შერწყმულია წმინდა ნინოსა და წმინდა ანდრია მოციქულის ტრადიციები, მხოლოდ და მხოლოდ ქართულ წყაროებში (ლეონტი მროველი, ეფრემ მცირე, რუის-ურბნისის კრების აქტები, დავით და კონსტანტინეს ცხოვრების უცნობი ავტორი, არსენ ბერი, ნიკოლოზ გულაბერისძე, პეტრე იბერიის ცხოვრება) გვხვდება, რომლებიც მე-11 საუკუნიდან დასტურდება. ამ პერიოდიდან (და სხვათა შორის, დღემდე) ისტორიის ლაკუნა პირველ (ანდრია მოციქული) და მეოთხე (წმინდა ნინო) საუკუნეებს შორის წყაროების ამ ტიპში ასეა რეკონსტრუირებული: 1-ელ საუკუნეში ანდრია მოციქულის მისიის შემდეგ ქვეყანა კვლავ წარმართობისკენ მიქცეულა, ამიტომ მე-4 საუკუნეში ღმერთმა მოავლინა წმინდა ნინო, რომლის მოღვაწეობის შედეგად დაფუძნდა საქართველოს ეკლესია, საქართველოში ანტიოქიის პატრიარქის ევსტათი ანტიოქიელის ჩამოსვლით. E ტიპის წყაროებში საქართველოს ეკლესია ექსპლიციტურად დაუკავშირდა ანტიოქიის დედა ეკლესიას, ქრონოლოგიურად ბევრად უფრო ადრინდელ B ტიპის წყაროებში იმპლიციტურად მოცემული ცნობების მსგავსად.

4. პირველად გამოყენებული 3-D-მეთოდი

წინამდებარე კვლევაში შეუძლებელია საქართველოს გაქრისტიანების შესახებ ყველა წყაროსა და ამ წყაროებზე დაფუძნებული მასალების ტექსტობრივი პრეზენტაცია. მიუხედავად ამისა, შესაძლებელი უნდა გამხდარიყო ამ მასალების სახელწოდებებისა და ავტორების ვინაობა და ასევე ჩემ მიერ მეთოდში ნაჩვენების გზების კვალდაკვალ

ამ მასალების შინაარსობრივი ასახვა სტატიაში დასმული მთავარი საკითხის მიხედვით.

ჩემს შემდგომ ნაბიჯს წარმოადგენს ამ ზემოდასახელებული წყაროების საერთო ანალიზის საფუძველზე ობიექტური სურათის შექმნა, რისთვისაც სამი ჰერმენევტიკული განზომილება (3-D-მეთოდი) შევიმუშავე.³³

4.1 საქართველოში ეკლესიის სიძველის ჩვენების მიზნით, ეროვნული საეკლესიო-პოლიტიკური ინტერესი (1-D)

საქართველოს გაქრისტიანებისა და ეკლესიის დაფუძნების შესახებ დღემდე არსებული წყაროებისა და მეორადი ლიტერატურის შესახებ „ეროვნული და საეკლესიო-პოლიტიკური“ განზომილების შეფასების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის მისაღწევად პირველად მხოლოდ მე-11 საუკუნეში გამოიყენეს ანდრია მოციქულის ნარატივი, რომელიც განამტკიცებდა მოციქულის პირდაპირ მემკვიდრეობაზე დაფუძნებულ სამოციქულო ეკლესიის წარმომავლობის თეორიას და სურვილს. ამიტომ ანტიოქიურ-პეტრესეული კათედრა ჩანაცვლდა ანდრია პირველწოდებულის „კათედრით“, რაც მე-11 საუკუნიდან მოყოლებული ანტიოქიის ეკლესიისგან გამიჯვნისთვის იქნა გამოყენებული (=1-D).³⁴

4.2 მართლმადიდებლური დილემა თეორიასა და პრაქტიკას შორის (2-D)

მხოლოდ „წმინდად თეოლოგიური“ განზომილების ჰერმენევტიკა, რომელიც ქართულ სამეცნიერო დისკურსში დღემდე არ გვხვდება, ვერ დაგვეხმარება საკითხზე სწორი პასუხის მიღებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი პრაქტიკა ზოგადად მოცემულია ორთოდოქსულ თეორიაში (მაგ. ზიზიულასთან³⁵). მსგავსი ჰერმენევტიკის რიტორიკა ეხება სამოციქულო ეკლესიის რომელიმე მოციქულთან საეკლესიო კავშირის ზოგად და არა ცალკეულ მოციქულთან კონკრეტული კავშირის აუცილებლობას, რომლის მიხედვითაც, მთავარია არა ის, რომ კონკრეტული მოციქული შედის კონკრეტულ ტერიტორიაზე, არამედ, ის, რომ ეკლესია ზოგადად სამოციქულო კოლეგიის მემკვიდრეა. თუმცა თეორიასა და პრაქტიკას შორის არსებული სხვაობის გამო, შეუძლებელია საკვლევი კითხვაზე პასუხის გაცემა, ვინაიდან პრაქტიკაში თითქმის ყველა ავტოკეფალიურ მართლმადიდებელ ეკლესიას, როგორც ამას საქართველოს მაგალითზეც ვხედავთ, თავისი „საკუთარი“

33 ეს სამი ჰერმენევტიკული განზომილება, რაც საქართველოს ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის რეკონსტრუქციას ემსახურება, იხ. ზემოთ – თავი 2.

34 იხ. Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 481-492.

35 იხ. ზიზიულასის ზემოთ დასახელებული ნაშრომი, Apostolic Continuity.

მოციქული ჰყავს (ანდა მოიფიქრა) და ამგვარად ამტკიცებს საკუთარი ეკლესიის პირდაპირ სამოციქულო დაფუძნებულობას (=2-D).³⁶

4.3 ისტორიულ-თეოლოგიური ჰერმენევტიკა (3-D)

მხოლოდ 3-D-მეთოდის მესამე კატეგორიის, კერძოდ, „ისტორიულ-თეოლოგიური“ ჰერმენევტიკის საფუძველზეა შესაძლებელი, გავცეთ ჩვენი კვლევის მთავარ საკითხს პასუხი და ნაჩვენები იქნეს პარადიგმის ცვლა, რომლის დახმარებითაც შეგვიძლია როგორც წმინდად ეროვნული და საეკლესიო-პოლიტიკური (=1-D), ასევე წმინდად თეოლოგიური (=2-D) მიდგომების დაძლევა.

ანდრიასეული პარადიგმიდან პეტრესეულ პარადიგმაზე გადასვლა აჩვენებს, რომ ისტორიულად საქართველოს ეკლესიის დედა ეკლესია არის ანტიოქია ორონტესზე, ხოლო თეოლოგიურად საქართველოს ეკლესიამ ანტიოქიის უძველესი სამოციქულო კათედრისგან მიიღო არაპირდაპირი სამოციქულო მემკვიდრეობა, იქ მოღვაწე მოციქულების, წინასწარმეტყველებისა და მასწავლებლების მეშვეობით (Communio-Netz), რომელთა იერარქიული დამფუძნებელი პეტრე მოციქული იყო, რაც ლიტერატურულად ყველაზე გვიან ორიგენესთან გვხვდება (=3-D).³⁷

5. კვლევის შედეგების მნიშვნელობა

პირველი: წინამდებარე ხასიათის ნაშრომი ბიძგს აძლევს როგორც საქართველოს ეკლესიის, ასევე ბიზანტიური ტრადიციის მქონე აღმოსავლეთის სხვა ეკლესიებისა თუ ორიენტალურ-ორთოდოქსული ეკლესიების შემდგომ შესწავლას. მსგავსმა კონცეფციამ შეიძლება სხვა ეკლესიებსაც მისცეს იმპულსი ისტორიულ-თეოლოგიური ჰერმენევტიკის საშუალებით შეისწავლონ საკუთარი ისტორია, ლეგენდები და მითები, და, შესაბამისად, ხელახლა აღადგინონ მითებითა და ნარატივებით მოცული ეკლესიის ისტორიის რეალური და ნამდვილი სურათი ისტორიულ-საღვთისმეტყველო რეკონსტრუქციის შუქზე. ამდენად, 3-D-მეთოდის ისტორიულ-თეოლოგიური კვლევის საფუძველზე შესაძლებელია, აღმოსავლეთის სხვა ეროვნულ ეკლესიებში, წარსულის ობიექტური შესწავლის მიზნით, მსგავსი საკითხების კვლევა. ამ მცირე კვლევაში ნაჩვენები მეთოდები თუ ისტორიულ-საღვთისმეტყველო ანალიზი და კრიტიკული მიდგომები საჭიროა არა მხოლოდ ქრისტიანული აღმოსავლეთის ისტორიის და თეოლოგიის შესწავლის

36 იქვე, 492-495.

37 იქვე, 481-514.

კუთხით, არამედ ასევე ამ დარგში საუნივერსიტეტო სწავლებისთვის.

მეორე: ეკლესიის ისტორიის ეროვნული და საეკლესიო-პატრიოტულად განმსჭვალული ჰერმენევტიკის რევიზია წვლილს შეიტანდა საკუთარი ქვეყნისა თუ ეკლესიის აბსოლუტში აყვანილი პირველობისა და უძველესობის სურვილების დაძლევის საქმეში, რაც, საბოლოო ჯამში, ეროვნულ, საეკლესიო-პოლიტიკურ და ძალაუფლების მოპოვების პოლიტიკურ ინტერესებს ემყარება, რაც ზიანს აყენებს იესო ქრისტეს ეკლესიის ნამდვილ ბუნებას.³⁸

მესამე: აღმოსავლეთის ეკლესიების ისტორიის განხილვა ერთნაირად საჭიროებს როგორც ისტორიულ, ასევე თეოლოგიურ განზომილებას. ეკლესია საკუთარი ფესვების ისტორიული ცოდნის, ისტორიულად დადასტურებული სამოციქულო (პირდაპირი ან არაპირდაპირი) წარმოშობის გარეშე, გნოსტიკურად წარმოჩნდება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით: ეკლესიურობისგან დაცლილი, საეკლესიო გაგებისგან გათავისუფლებული, იმ გაგებისგან, რომელიც განუყოფელია სამოციქულო პრინციპებისგან.

მეოთხე: წინამდებარე მცირე კვლევითი ანალიზი მოგვიწოდებს, ერთი მხრივ, ინტერორთოდოქსული დიალოგისკენ, მაგრამ ასევე, დიალოგისკენ დასავლურ ქრისტიანულ სამყაროსთან. ყოველი ადგილობრივი ეკლესია კვლავაც დგას იმ გამოწვევის წინაშე, რომ გათავისუფლდეს საკუთარი ნაციონალიზმისგან და ამით (თვით)გამოწვეული ეკლესიური გადაცდენებისგან, რაც განსაკუთრებით ცნობილია მართლმადიდებელი ეკლესიის შემთხვევაში. მეორე მხრივ, იგივე ითქმის რომის კათოლიკურ ეკლესიაზეც, საკუთარი თავი რომზე რედუცირებული სივიწროვიდან რომ დაიხსნას და პეტრე მოციქულის უძველესი საყდრების შესახებ ტრადიცია (ანტიოქია და ალექსანდრია) მხოლოდ რომით არ შემოფარგლოს.

დასკვნა

ყველა შემონახულ წყაროზე დაყრდნობით, საქართველოში სამოციქულო მემკვიდრეობის შესახებ კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოს ეკლესიას არ აქვს პირდაპირი სამოციქულო დასაბამი. ისტორიულ-თეოლოგიური ანალიზის საფუძველზე ნაკლებ სარწმუნო ხდება, სამოციქულო უწყვეტი ჯაჭვის გათვალისწინების პრინციპით, წმინდა ანდრია პირველწოდებულის მიერ საეკლესიო იერარქიის დაფუძნება.

38 ამ კუთხით კარგ საფუძველს გვთავაზობს: Gemeinsamer orthodox-katholischer Arbeitskreises St. Irenäus (Hg.), Im Dienst an der Gemeinschaft. Das Verhältnis von Primat und Synodalität neu denken. Eine Studie des Gemeinsamen orthodox-katholischen Arbeitskreises St. Irenäus (Paderborn 2018), 60-68 (Nr. 10.1-10.21).

უფრო გვიანდელ წყაროებში სხვა მოციქულების მოღვაწეობასაც არ მოჰყოლია საკუთარი *sedes apostolicae* დაფუძნება. ამდენად, წყაროების თანახმად, საქართველოში წარმოდგენილია არაპირდაპირი სამოციქულო მემკვიდრეობა, რომლის ლეგიტიმაცია უკავშირდება უძველეს ეკლესიას, კერძოდ ანტიოქიის კათედრას, სადაც უშუალოდ იესო ქრისტეს მოწაფეები მოღვაწეობდნენ.

აქვე ხაზგასმით და სრული შეგნებით უნდა აღინიშნოს, რომ არაპირდაპირი სამოციქულო მემკვიდრეობა არ გამორიცხავს ეპისკოპოსების, საეპისკოპოსო მსახურების, იერარქიის ვერტიკალურ მემკვიდრეობითობას იბერიის ტერიტორიაზე მეოთხე საუკუნიდან დღემდე, რომელიც, თავის მხრივ, ანტიოქიის ეპისკოპოსების ნუსხის გულდასმით შესწავლის საფუძველზე შეიძლება აღდგეს. ეკლესიების (ანტიოქია-საქართველო) პირდაპირი კავშირი და სამოციქულო წრფივი უწყვეტობის ისტორიული სქემა უნდა მოიცავდეს საქართველოს ეკლესიის პირველ დადასტურებულ ეპისკოპოსის კავშირს ანტიოქიის იერარქებთან. ამასთან, იმპერატორ კონსტანტინე დიდის დროს მოღვაწე ანტიოქიის კათედრის უმაღლესი იერარქები და ამ კათედრას დაქვემდებარებული ეპისკოპატი წარმოადგენდნენ ქართული იერარქიის, მისი საეპისკოპოსო ხაზის დამაკავშირებელ რგოლს, რომელთაც ანტიოქიური ხაზის მეშვეობით საქართველოში დასაბამი დაუდეს საეკლესიო-საკრამენტულ ცხოვრებას.

საქართველოს ეკლესიის ისტორიულად დადასტურებული ეს დასაბამი თეოლოგიური თვალსაზრისითაც შეიძლება განისაზღვროს როგორც ანტიოქიის საპატრიარქოს, როგორც დედა-ეკლესიის მემკვიდრე, სადაც ბიბლიურად დადასტურებულია წინასწარმეტყველების, მოძღვრებისა და მოციქულთა მოღვაწეობა. ისტორიულ-თეოლოგიური ანალიზის საფუძველზე ეს დასკვნები მიმართულია პარადიგმის შეცვლისკენ, რომლის ძალითაც, ანდრია მოციქულის ნარატივის პარადიგმა საქართველოში ეკლესიის სამოციქულო დასაბამის აქ წარმოდგენილი რეკონსტრუქციით უნდა შეიცვალოს. სამოციქულო მემკვიდრეობის საერთო სურათი სქემის სახით შემდეგნაირად შეიძლება იქნეს წარმოდგენილი:

- ↓ იესო ქრისტე (იერუსალიმში)
- ↓ იესო ქრისტეს მოციქული (პეტრე ანტიოქიაში, [შდრ. გალ. 2,11])
სხვებთან ერთად (პავლე, ბარნაბა,...)
- ↓ ეპისკოპოსები, როგორც მოციქულის მემკვიდრეები (ანტიოქიის ეკლესიაში)
- ↓ ეპისკოპოსის გაგზავნა საქართველოში (იოანე) (ანტიოქიის ეკლესიიდან)

- ↓ ეკლესიისა და საეკლესიო იერარქიის დაფუძნება (საქართველოში)
- ↓ საქართველოს ეკლესიის ეპისკოპოსები ³⁹

ბუნებრივია, კვლევის ეს შედეგი არ უნდა შეფასდეს სამოციქულო ეკლესიაზე, უფრო სწორად, ეკლესიის სამოციქულო წარმომავლობის შესახებ, უარის თქმის მცდელობად. ის მიზნად ისახავს ეკლესიის სამოციქულო მემკვიდრეობის ჭეშმარიტი სურათის დადგენას ანტიოქიის კათედრიდან *ჰორიზონტალური* (Communio-Netz) კავშირების მეშვეობით, რომელსაც, თავის მხრივ, პირდაპირი სამოციქულო დასაბამი აქვს, იქ მოღვაწე მოციქულების, მასწავლებლებისა და წინასწარმეტყველების გამო და რომელიც თავისი სამოციქულო მემკვიდრეობის დასაბამს პეტრე მოციქულს უკავშირებს.

შეჯამების სახით უნდა ითქვას, რომ წინამდებარე კვლევის სახით პირველად გვაქვს მცდელობა იმის შესახებ, რომ ისტორიულად დადასტურებული და თეოლოგიურად გამყარებულია საქართველოს ეკლესიის საეკლესიო-იერარქიული დასაბამის ანდრიასეულიდან პეტრესეულ პარადიგმაზე გადასვლა, რაც ბუნებრივია, შემდგომი აკადემიური და სამეცნიერო დისკუსიების საგანს წარმოადგენს.

დამოწმებანი

ბაქრაძე, დიმიტრი. *ისტორია საქართველოსი უძველესი დროიდან მე-10 საუკუნის დასასრულამდე*. თბილისი: სტამბა ე.გ. მესხისა, 1889.
ჭელიძე, ედიშერ. „საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის სამოციქულო დაფუძნებულობის მეცნიერული მტკიცებულებები. წერილი პირველი“, *საღვთისმეტყველო-სამეცნიერო შრომები*, ტ. 6 (2015): 107-293.

ჯაფარიძე, ანანია [მიტროპოლიტი]. *საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ისტორია*, ტ.1. თბილისი: ალილო, ²2009.

Brandes, Wolfram. „Apostel Andreas vs. Apostel Petrus? Rechtsräume und Apostolizität“. *Zeitschrift des Max-Planck-Instituts für europäische Rechtsgeschichte* 23 (2015): 120-150.

Eusebius von Cäsarea. h.e. [*Kirchengeschichte*], III, 1, 1-2; deutsch nach: Eusebius von Cäsarea, *Kirchengeschichte*. Herausgegeben und eingeleitet von Heinrich Kraft. Übersetzung von Philipp Haeuser (1932), durchgesehen von Hans Armin Gärtner, Darmstadt ⁶2011 (= unveränderter Nachdruck der Auflage München, ³1989).

Florovskij, Georgij. V. *Sobornost. Kirche, Bibel, Tradition*. Aus dem Englischen

³⁹ იხ. Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion, 510-514.

- Übersetzt von Ilija Trojanow. Mit einem Nachwort von Georgios Metallinos (Werkausgabe 1), München: Kyrill & Method Verlag, 1989.
- Gemeinsamer orthodox-katholischer Arbeitskreises St. Irenäus (Hg.), *Im Dienst an der Gemeinschaft. Das Verhältnis von Primat und Synodalität neu denken. Eine Studie des Gemeinsamen orthodox-katholischen Arbeitskreises St. Irenäus*. Paderborn, 2018.
- George, Martin. *Apostolic Succession and the Unity of the Church. Some Aspects of the Theory and Practice of the Early Church and Their Application in Contemporary Ecclesiology*. Portland, Oregon (MSC) 1985. Masterarbeit in der orthodoxen Theologie am St. Vladimir's Orthodox Theological Seminary, Crestwood: New York, 1977.
- Hofmann, Johannes. *Zentrale Aspekte der Alten Kirchengeschichte* (Theologische Lehr- und Lernbücher 4/1). Würzburg: Echter Verlag, 2012.
- Kekelidse, Korneli. *Die Bekehrung Georgiens zum Christentum. Mit einer Karte* (Morgentl.18). Leipzig Verlag: J. C. Hinrichs, 1928.
- Leb, Ioan-Vasile. „Der Heilige Geist. Apostolisches Amt und Einheit der Kirche – eine Orthodoxe Perspektive“. *Studia Universitatis Babeş-Bolyai – Theologia Orthodoxa* 1-2 (1999): 51-66.
- Lomidze, Ephräm Givi. „Die hl. Nino. Zur Christianisierung Georgiens durch eine Frau und die damit verbundenen Herausforderungen für die Kirche“. *Kadmos* 13 (2021): 9-62.
- Lomidze, Ephräm Givi. *Historisch-theologische Rekonstruktion des apostolischen Ursprungs der Kirche Georgiens. Zur Frage der Tradition der antiochenisch-petrinischen Sukzession auf der Basis der Quellen bis Mitte des 12. Jh.s.* (Manuskript der katholisch-theologischen Fakultät der Universität Wien 2021 eingereichten Habilitationsschrift [Publikation in Vorbereitung als Band 4 der Reihe Theologische Orient&Okzident-Studien, St. Ottilien: EOS-Verlag, 2022]).
- Merkt, Andreas. „‚Amt der Tradition‘ und ‚Charisma der Wahrheit‘. Die theologische Bedeutung der apostolischen Sukzession bei Irenäus von Lyon und Augustinus“. *IKaZ* 40 (2011): 221-233.
- Merkt, Andreas. „Das Problem der apostolischen Sukzession im Lichte der Patristik“. In *Das kirchliche Amt in apostolischer Nachfolge I. Grundlagen und Grundfragen* (Dialog der Kirchen 12), Theodor Schneider und Gunther Wenz (Hg.), 264-295. Freiburg, Göttingen: Herder Verlag, 2004.
- Moga, Ioan. *Orthodoxe Selbst- und Fremdbilder. Identitätsdiskurse der rumänischen orthodoxen Theologie im Verhältnis zur Römisch-Katholischen Kirche in der Zeit von 1875 bis 1989* (Religion and Transformation in Contemporary European Society 18). Wien: V&R Unipress, 2020.
- Nikolakopoulos, Konstantinos. *Das Neue Testament in der Orthodoxen Kirche*.

- Grundlegende Fragen einer Einführung in das Neue Testament*. Berlin: LIT Verlag, 2014.
- Nüssel, Friederike, Theologiegeschichte. „Die geschichtliche Realisierung des Themas der Theologie“. In *Historiographie und Theologie. Kirchen- und Theologiegeschichte im Spannungsfeld von geschichtswissenschaftlicher Methode und theologischem Anspruch* (Arbeiten zur Kirchen- und Theologiegeschichte 15). Wolfram Kinzig, Volker Leppin und Günther Wartenberg (Hg.), 203-221. Leipzig: Evangelische Verlagsanstalt, 2004.
- Origenes. Comm. in Gen [*Commentarium in Genesim*], III, 24. In PG 12, 91; deutsch nach: *Die Kommentierung des Buches Genesis*. Eingeleitet, übersetzt und erläutert von Karin Metzler (Origenes. Werke mit deutscher Übersetzung 1/1). Berlin, New York: de Gruyter, 2010.
- Origenes. Hom. in Luc [*Homiliae in Lucam*], VI, 4 [zu: Lk 1,39-45]. In GCS 9, 34; deutsch nach: In *Lucam Homiliae. Homilien zum Lukasevangelium*. Erster Teilband. Übersetzt und eingeleitet von Hermann-Josef Sieben (FC 4/1). Freiburg: Herder, 1991.
- Rapp, Stephan H. Jr. „The Christianization of Eastern Georgia. Cross-Cultural and Pan-Regional Perspectives.“ In *Iberien zwischen Rom und Iran. Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens* (Oriens und Occidens 29), Frank Schleicher, Timo Stickler und Udo Hartmann (Hg.), 181-199. Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2019.
- Ratzinger, Joseph. „Die kirchlichen Bewegungen und ihr theologischer Ort“, *JRGS* 8/1: 363-390.
- Ratzinger, Joseph. „Primat, Episkopat und successio apostolica“. *JRGS* 12: 212-232.
- Reißner, Ilma. *Georgien, Geschichte – Kunst – Kultur*. Freiburg, Basel, Wien: Herder, 1989.
- Rist, Josef. „Nino versus Gregor. Die Christianisierung Iberiens im Vergleich zu Armenien.“ In *Iberien zwischen Rom und Iran. Beiträge zur Geschichte und Kultur Transkaukasiens* (Oriens und Occidens 29), Frank Schleicher, Timo Stickler und Udo Hartmann (Hg.), 201-221. Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2019.
- Rufinus, h.e. [*Kirchengeschichte*], X,11. Edition: Eusebius von Cäsarea, *Die Kirchengeschichte/Historia ecclesiastica*. Teil 2: *Die Bücher VI bis X. Über die Märtyrer in Palästina*. Herausgegeben von Eduard Schwartz. Die lateinische Übersetzung des Rufinus bearbeitet von Theodor Mommsen. Griechisch und Lateinisch (GCS 9/2). Leipzig: De Gruyter, 1908.
- Staniloae, Dumitru. *Orthodoxe Dogmatik*. Bd. 3. Mit einem Vorwort von Jürgen Moltmann. Aus dem Rumänischen übersetzt von Hermann Pitters

- (Ökumenische Theologie 16). Zürich u.a.: Benziger Verlag, 1995.
- Vashalomidze, Guliko Sophia. *Die Stellung der Frau im alten Georgien. Georgische Geschlechtsverhältnisse insbesondere während der Sasanidenzeit* (Orientalia Biblica et Christiana 16). Wiesbaden: Harrassowitz Verlag, 2007.
- Wagner, Falk. „Zur Theologiegeschichte des 19. und 20. Jahrhunderts“. *ThR* 53 (1988): 113-200.
- Zizioulas, John. “Apostolic Continuity of the Church and Apostolic Succession in the First Five Centuries”. *Louvain Studies* 21 (1996): 153-168.

Ephrem Lomidze
*St. Ephrem Scientific Center
for Orient&Occident-Studies (STEP)*

The Origins of Sacramental Church Life in Georgia

Keywords: *The Church of Georgia, apostolic succession, ecclesiastical hierarchy, Apostle Andrew, St. Nino*

1. Introduction: Research Area and Hypothesis

In the conclusion of my article “Die hl. Nino. Zur Christianisierung Georgiens durch eine Frau und die damit verbundenen Herausforderungen für die Kirche”¹, published in *Kadmos* 13.2021, I raised a question as to who initiated the sacramental church life in Georgia upon a call from a former *captiva*, referred to as Nino in later sources. In this article, I will attempt to answer the question: Who stood at the origins of the sacramental church life in Georgia or, to put it in other words, by the mediation of which apostolic *cathedra* was the Church of Georgia (Iberia)² entitled to apostolic succession?³

The intrinsic challenge of reconstructing the apostolic origins of the

1 Ephräm Givi Lomidze, „Die hl. Nino. Zur Christianisierung Georgiens durch eine Frau und die damit verbundenen Herausforderungen für die Kirche“, *Kadmos* (13/2021): 9-62.

2 The same as “The Apostolic Autocephalous Orthodox Church of Georgia”. This title is not used in the article, as the research chronology mainly focuses on the 1st millennium, when the Georgian Church did not officially bear its present name. Also, Iberia and Georgia, mainly referring to its eastern part, are used synonymously.

3 For more information, see Ephräm Givi Lomidze, Historisch-theologische Rekonstruktion des apostolischen Ursprungs der Kirche Georgiens Zur Frage der Tradition der antiochenisch-petrinischen Sukzession auf der Basis der Quellen bis Mitte des 12. Jh.s. Manuskript der katholisch-theologischen Fakultät der Universität Wien 2021 eingereichten Habilitationsschrift (forthcoming. Band 4 der Reihe Theologische Orient&Okzident-Studien, St. Ottilien: EOS-Verlag, 2022).

- ფსიქიკური გამოსახულებები სტრუქტურირებულია სქემატური გამოსახულების მიხედვით და გამოსახულების მეტაფორები ინარჩუნებს სქემატურ სტრუქტურას;
- მეტაფორა ფუნდამენტურად კონცეპტუალური ხასიათისაა, მას ლაკოფი განიხილავს სიზმრების ინტერპრეტაციის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად (ვრცლად ამის შესახებ იხ. ქვეთავი ტექსტურ მონაცემთა ინტერპრეტირება).

ლაკოფის კონცეპტუალური მეტაფორის თეორიის გარდა, ტექსტების ანალიზისა და დასკვნების გაკეთებისას გათვალისწინებულ იქნა შესაძლო სამყაროთა და ტრავმის თეორიები. სიზმრის სამყარო ქმნის ალტერნატიულ, იგივე – შესაძლო, ანუ „სხვა სამყაროს“ მოდელს. ლიტერატურისმცოდნეობაში შესაძლო სამყაროთა მკვლევრების აზრით, ჩვენი სიზმრები, ხედვები, ჰალუცინაციები და გამოგონილი ნარატივები ქმნიან ალტერნატივებს (Alber 2019, 157), ალტერნატიული სამყაროს პროექტირება ლიტერატურულ ტექსტებში სწორედ მთხრობლის სიზმრებით, ჰიპოთეზებითა და ინტუიციური პროგნოზებით არის შესაძლებელი (Dolezel 2019, 54). სიზმარი ქმნის რეალურ და წარმოსახვით სამყაროებს შორის ბმას/კავშირს. შესაძლო სამყაროები არის ის, რაზეც შეგვიძლია ვისაუბროთ ან წარმოვიდგინოთ, ვიფიქროთ, გვჯეროდეს ან ვისურვოთ (იქვე 2019, 56). მანფრედ იანის, თანამედროვე ნარატოლოგის, აზრით, გარე და შინაგანი მოთხრობები (სიზმარი კი სწორედ ასეთადაა კლასიფიცირებული – ქ.ქ.) ერთიანდება თხრობის ციკლის საერთო მოდელში (Jahn 2003, 11). შესაბამისად, სიზმარი მნიშვნელოვან როლს ასრულებს პერსონაჟის თვითგამოხატვის პროცესში. რიჩარდ ვოლშის, თანამედროვე ნარატოლოგის, მოსაზრებით, აუცილებე-

ლია, განვასხვავოთ სიზმრის სტატუსი: სიზმარი, როგორც გამოცდილება და სიზმარი, როგორც თავად ერთგვარი თხრობის ხერხი (Walsh 2012). მისი აზრით, სიზმრების დამუშავების რეკურსიული პროცესი, როგორც ზოგადად, გამოგონილი თხრობის გენეზისის მოდელი, გულისხმობს, რომ თხრობა წარმოიშობა ემოციების, იდეური პრობლემების ან ღირებულებების ურთიერთკავშირისაგან (Walsh 2010). სიზმრის ფუნქციის შემსწავლელი მეცნიერების ნაწილის, ფროიდის (Freud 1900), სოლმისა და ტერნბულის აზრით (Solms and Turnbull 2002), ფსიქოლინამიკური თეორიის მიხედვით, სიზმრის მთავარი ფუნქციაა ძილის დაცვა, რაც საშუალებას იძლევა რეპრესირებული არაცნობიერი სურვილები გამოიხატოს ძილის დარღვევის გარეშე.

ტრავმის თეორიის ცნობილი წარმომადგენლის, კათი კარუთის, აზრით, მიღებული ტრავმა ბავშვის ცნობიერებაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს და მისი შემდგომი ცხოვრების ყველა ეტაპზე აირეკლება (Caruth 2014).³ მეცნიერის თვალსაზრისით, ხშირად ადამიანის გამოცდილება ხდება ტრავმული კომმარის გამეორების საფუძველი: სიზმრები ცდილობენ, დაეუფლონ სტიმულს რეტროსპექტულად, შფოთვის განვითარებით, რაც ხდება ტრავმული ნევროზის მიზეზი (იქვე, 22).

სიზმარი, როგორც ადამიანის კოგნიტიური აზროვნების სუბპროდუქტი, როგორც მას თანამედროვე მკვლევრები (Jahn 2003, Walsh 2013, Sayed 2011) უწოდებენ, კარგად ასახავს ადამიანის გონებაში დაღეპილ ტრავმულ გამოცდილებას. ლიტერატურულ პერსონაჟთა სიზმრები კი ეფექტური იარაღია მწერლისათვის, რათა საკუთარი პოზიცია და დამოკიდებულება გამოხატოს რეპრეზენტირებული მოვლენის ან დასიზმრებული ობიექტის მიმართ: სიზმრები მოიცავს გამოცდილების ნაგულისხმევ მოდელს, როგორც თავად დისკურსულ საშუალებას (Walsh 2012).

ქვემოთ გაანალიზებულ ტექსტებში პერსონაჟთა სიზმრებში რეპრეზენტირებულია როგორც საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმი, ისე – ამ რეჟიმის ალტერნატიული სამყარო, ასევე სიზმრები პერსონაჟთა ტრავმული ცნობიერების გამოხატველია და გამონაკლისის სახით, თვითრეაბილიტაციის პრაქტიკასაც აჩვენებს. ზაირა არსენიშვილის ნაწარმოებებში განსახოვნებულ პერსონაჟთა სიზმრებში გამოყენებული კონცეპტუალური მეტაფორები ქმნიან მთლიანი ტექსტის ინტონაციას, პათოსს, პარადიგმას .

3 აღსანიშნავია, რომ სტატიაში განხილული სიზმრებიდან ორში მესიზმრე ბავშვია: ჯეირან ქაშიბაური რომან „რეკვიემში“ და მთხრობელი რომანში „ვა, სოფელო!“

ზაირა არსენიშვილის პროზის კვლევის თანამედროვე მდგომარეობა

ქართულ სამეცნიერო სივრცეში შენიშნულია, რომ სტალინის გარდაცვალების (1953წ.) მერე, რაც შესაძლებელი გახდა საბჭოთა ტოტალიტარიზმის, სტალინური დიქტატურისა და რეპრესიების კრიტიკა, სიმართლის მეტ-ნაკლებად გამოაშკარავება, ქართულ მწერლობაში უფრო ხშირად გვხვდება სტალინის ისეთი სახე, რომელითაც მწერლები ალეგორიულად, შეფარულად, ირონიულად თუ თვითკრიტიკის საშუალებით ამხელენ ბელადის მიერ ჩადენილ დანაშაულსა და სისასტიკეს. ლიტერატურისმცოდნე ირმა რატიანის აზრით, მე-20 საუკუნის კლასიკური ანტიუტოპიური რომანები ჰგავს კონცეპტუალურად, მოტივაციურად და სტრუქტურულად თანხვედნილ კომპოზიციებს, რომლებსაც საერთო მიზანი და ძალა ამოძრავებს: პროტესტი „ახალი სამყაროს“ მიმართ (რატიანი 2010, 105).

ქართულ ლიტერატურაში სტალინისა და მისი პოლიტიკური რეჟიმის განსახოვნების კვლევის თვალსაზრისით აღსანიშნავია 2019 წელს გამოცემული სამეცნიერო კრებული – „სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში. ნაწილი I“. კრებულში, ჰანა არენდტის ტოტალიტარიზმის თეორიისა და არქეტიპულ მოდელთა კვლევების ფონზე, ძირითადად, გაანალიზებულია ქართული პოეზიის ნიმუშები, გათვალისწინებულია თემატური ანეკდოტები და რამდენიმე პროზაული ნაწარმოები. დადგენილია, რომ „სტალინის სახე ქართულ ლიტერატურაში ერთგვარი სიმულაკრაა, ანუ ისეთი სემიოტიკური ნიშანია, რომელსაც სინამდვილეში არ გააჩნია ზუსტი შესატყვისი და მხოლოდ ზემოქმედებისა და მანიპულირების და საბჭოური სინამდვილის გამოგონილი იერსახის ლეგიტიმაციის მიზნითაა შექმნილი“ (ბრეგაძე და ლომიძე 2019, 10).

პერსონაჟთა ცნობიერების საკითხი საბჭოთა საქართველოს ისტორიაში ტრაგიკული მოვლენის (1956 წლის 9 მარტს სტალინის ძეგლთან დემონსტრანტთა დახვრეტის)⁴ ამსახველი რომანის მიხედვით, გაანალიზებულია ლიტერატურისმცოდნე ბელა წიფურიას მიერ. მკვლევარმა კულტურული ტრავმის თეორიის საფუძველზე შეისწავლა რომანში განსახოვნებული მთელი საზოგადოებისა და

4 აღსანიშნავია, რომ ზაირა არსენიშვილის პროზაში არაერთხელ გვხვდება სტალინის ბრინჯაოს ქანდაკება, რაც უკავშირდება სტალინის ძეგლების აღმართვის რეალურ პრაქტიკას, ბელადის ვიზუალური რეპრეზენტაციის საბჭოურ ტრადიციას.

სხვადასხვა ტიპის პერსონაჟის ტრავმული ცნობიერება და ოთარ ჩხეიძის რომანი („გამოცხადება“) შეაფასა როგორც საბჭოურ-კოლონიური დისკურსის გასაცნობიერებლად დაწერილი ტექსტი (წიფურია 2016, 187-220).

რომანი მოგვითხრობს დემონსტრაციის დახვრეტისას ქართველი ხალხის მიერ მიღებულ ისტორიულ ტრავმაზე, სტალინური ნარატივისადმი თავდადების უმიზნობაზე. საქართველოში სტალინური ნარატივის გავრცელებასა და მის მიმდევართა შორის ნარატივის დასრულებით გამოწვეულ კულტურულ ტრავმაზე მწერლის რეაქცია მკაცრად კრიტიკულია. ამდენად, 9 მარტის ტრავმა უკავშირდება როგორც ისტორიული ტრავმის ვერბალიზაციას და ქართულ კოლექტიურ მეხსიერებაში მისი ადგილის ფიქსირებას, ასევე სტალინური ნარატივის დასრულების კულტურული ტრავმის ანალიზს, იმ პერიოდის ქართული კოლექტიური ცნობიერების შინაგანი წინააღმდეგობის, ამბივალენტურობის ჩვენებას. (იქვე, 196)

რაც შეეხება საკუთრივ ზაირა არსენიშვილის რომანებს, რომლებშიც ექსპრესიულადაა რეპრეზენტირებული საბჭოთა სინამდვილე და სტალინის მხატვრული სახე, მათ შესახებ თანამედროვე საქართველოში ბევრი იწერება. აქვე უნდა დაზუსტდეს, რომ გამოხმაურებები (შავრეშიანი 2021, მელაშვილი 2020, ქიქოძე 2020, ლოლობერიძე 2015, ლობჯანიძე 2009, ჯოხაძე 2005) ჯერჯერობით მხოლოდ მიმოხილვითი ხასიათისაა და დაბეჭდილია არასამეცნიერო საზოგადოებრივ ჟურნალებში. მათში აღნიშნულია წინამდებარე კვლევისთვის რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი: 1. ზაირა არსენიშვილი იმ ეპოქას აღწერს თავის რომანებში, რომელიც ჩვენს უახლოეს წარსულში ბოლომდე გაუაზრებელი და სახელდაურქმეველია. იგი იმ ტრავმას ეხება, რომლისგანაც ახალი თაობა ბოლომდე ვერ გათავისუფლდა. თითქოს გვაქვს წარმოდგენა რეპრესიებისა და მსხვერპლის მასშტაბზე, მაგრამ მწერალი, როგორც ყოველთვის, იმაზე მეტს გვიჩვენებს, ვიდრე უბრალო სტატისტიკაა (მელაშვილი 2020). 2. მისი რომანები გვიჩვენებს ოცდაჩვიდმეტი წლის რეპრესიებისა და საბჭოური ტერორის წარუშლელ კვალს უბრალო ადამიანებზე, მათ ოჯახებზე (ჯოხაძე 2005). 3. გასაბჭოებისა და სტალინური რეპრესიების პერიოდზე ასეთი მნიშვნელოვანი წიგნი აქამდე არა გვექონია და არც მომავალში გვექნება, რადგან უკვე წასულია ხალხი, რომელთაც ის პერიოდი უშუალოდ შეეხო (ქიქოძე 2020). 4. ზაირა არსენიშვილის რომანებში ექსპლიციტურად და ექსპრესიულად ირეკლება მწერლის ანტისტალინური განწყობა. პროტაგონისტი/მთხრობელი საკუთარი ოჯახის თავგადასავლის მაგალითზე იგო-

ნებს, როგორი მძიმე იყო ტოტალიტარიზმის პირობებში უბრალო ადამიანების ყოფა (ლობჟანიძე 2002).

საანალიზო ტექსტების მონაცემები

რომანის „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის, ანუ ახალგაზრდა მთხველის პორტრეტი“ (პირველად გამოცა 1997 წელს, მეორედ – 2021 წელს) მთავარი მოქმედი პირია ჯეირან ქაშიბაური, ბავშვთა სახლიდან ორკესტრის მესაყვირედ ქცეული მუსიკოსი. მისი მამა ღვთისო, სტალინური რეპრესიების მონაწილე, ერთ-ერთი მოკლულის ნათესავების შურისძიების მსხვერპლი გახდა. ჯეირანის სიზმრები ცხადყოფს, რომ ადამიანთა ცნობიერებაზე უდიდეს გავლენას ახდენდა მაშინდელი პროპაგანდისტული იდეოლოგია, რომლის მიხედვითაც, სტალინი იყო ყველას მამა, მფარველი და ნუგეშისმცემელი, ფოლადისა და რკინის კაცი.⁵ ჯეირანი სიზმარში ბავშვია და გახარებული დარბის სისხლის გუბებში, მამამისის გამო შურისძიებაზე ოცნებობს, თუმცა მოგვიანებით აცნობიერებს, რომ ეს სიზმარი მისი არაცნობიერის პროტესტი იყო სტალინური რეჟიმის წინააღმდეგ. იგი პოულობს მამამისის მკვლელის ნათესავს, მაგრამ ხვდება, რომ შურისძიებას პატიება აჯობებს და დაინდობს მას.

ჯეირან ქაშიბაურის სიზმარი რომან „რეკვიემში“

მესიზმრე სიზმარში თავისიანებს ხედავს. თითქოს ზეიმზე იყვნენ, ლუდს ხარშავდნენ. მტრის (ბოლშევიზმის მოწინააღმდეგეთა) დამარცხებას ზეიმობდნენ. მთელი მინდორი დახოცილი ადამიანების ზვინებით იყო მოფენილი. „სისხლი რუებად მორაკრაკებდა“ (არსენიშვილი 2021, 184). თავად ჯეირანი დარბოდა „სისხლის გუბებში და ფეხებს აჭყაპუნებდა“ (იქვე 185). ამ დროს მინდორზე „გამოცხადებასავით აღიმართა ფოლადის მამა ხელში ნიჩბით, რომლითაც სისხლს ხვეტდა [...] ფოლადის მამამ სისხლის გუბიდან ამოზიდა უზარმაზარი წითელი ვარსკვლავი და ცას მიაკრა. [...] ყველაფერი გაწითლდა,

5 საბჭოთა დიქტატურა აიძულებდა მასებს, ერწმუნათ, რომ საბჭოთა ლიდერების გარდა, სხვა ღმერთი არ შეიძლებოდა ყოფილიყო ადამიანებისათვის; შესაბამისად, უპირობო მორჩილებასა და მონობას ითხოვდნენ მასისგან. ასეთი იყო სტალინის პლაკატების დანიშნულებაც, რომ სტალინი მიჩნეული ყოფილიყო ხალხისათვის ღმერთად. ბევრი სტალინური პროპაგანდისტული პლაკატი ასახავს უზარმაზარ წითელ ბანერებს, რომლებიც ავსებენ ცას და ფრიალებენ მათ ქვემოთ მყოფ ბრბოზე (Pisch 2016, 154).

ხალხიც, მიწაც, ცაც...“ (იქვე, 189). ყველა აღფრთოვანებული იყო.

რომანში განსახოვებულ სიზმარს მოჰყვება მესიზმრის ოცნებები, რომ მალე იპოვოს მამის მკვლელები და დასაჯოს ისინი. მიუხედავად იმისა, რომ ჯეირანი დიდხანს ცდილობდა მამის მკვლელებზე შურისძიებას და მის ბავშვურ წარმოსახვაში სტალინი ფიგურირებდა, როგორც მამა, მხსნელი და მესია, მოგვიანებით ცხადი გახდა, რომ მამამისი უდანაშაულო ხალხის ჯალათი იყო სტალინური რეჟიმის ხელში. ზემოთ აღწერილი სიზმარი ემსახურება მთხრობლის ნარატივის გამოკვეთას, რომ ტოტალიტარული რეჟიმი ადამიანთა ჩაგვრითა და დამცირებით საზრდოობდა და სტალინური რეპრესიები მართლდებოდა იმით, თითქოს ხალხის მტრებს ხოცავდნენ. სინამდვილეში მესიზმრემ მოგვიანებით გააცნობიერა, რომ მამამისის მკვლელები უფრო ღირსეული ადამიანები აღმოჩნდნენ, საბჭოთა რეჟიმს ებრძოდნენ და შეეწირნენ კიდევ. ხოლო მათი დედა, მოხუცებული ლელა ცაზე, მთებსა და მინდვრებზე წერდა დახოცილი შვილების სახელებს. ამით შეძრწუნებული ჯეირანი ხვდება, რომ მტრობას, შურისძიებას აჯობა სინანულმა, სიყვარულმა და აღარ კლავს დედაბერს.

ზაირა არსენიშვილის რომანში „ვა, სოფელო!“⁶ (პირველად გამოიცა 2002 წ., მეორედ – 2019 წ.) მოთხრობილია სამი ქალის: ევას, რუსუდანისა და მაკას, ამბავი. შვიდი წლის ზაირა არსენიშვილს 1937 წელს დაუხვრიტეს მამა. საბჭოთა რეპრესიების შესახებ მან ყველაფერი სხვათა ნაამბობიდან იცის. რომანში ამ ამბებს მას ბებია უყვება, ამდენად, რომანი ავტობიოგრაფიულია, მთხრობელი თავად არის მესიზმრე ქვემოთ მოცემულ ეპიზოდში.

მთხრობლის სიზმარი რომანში „ვა, სოფელო!“

მთხრობელი წარმოიდგენს, რომ ბებიას წერილებმა მიაღწია კრემლამდე და „ძია სტალინი კითხულობს ამ წერილებს“ (არსენიშვილი 2002, 255). ბელადი ბრძანებს, გაამათრახონ ჩადენილი უსამართლობების გამო. თავად გაწვევა ტახტზე პირქვე და წითელარმიელები დაიწყებენ „ხალხთა მამის გაროზგვას“ (იქვე, 256). უეცრად გამოჩნდება ბებია, რომელიც შეაჩერებს ტაშტში დასველებული როზგებით მდგარ წითელარმიელებს [...] დიდი ბელადი მწყურალად გადმოხედავს მას, ვინც შეაფერხა ეს წმიდათაწმინდა საქმიანობა“ (იქვე, 257). ბებია მის ზოლ-ზოლად აჭრელებულ უკანალს ქიშმირის შალს გადააფარებს.

6 მოქმედება ვითარდება 1920-50-იან წლებში თელავში, მწერლის მშობლიურ ქალაქში.

აღნიშნული სიზმარი იმდენად ხშირად მეორდება მოთხრობლის წარმოსახვაში, რომ მას სხვადასხვა რაკურსით წარმოიდგენს, რიგ შემთხვევებში ბებია რჩება კრემლში სტალინთან, მისი მრჩეველი ხდება და შეიწყალებს ათასობით უდანაშაულოდ გადასახლებულს. ზოგჯერ ბებია მოკრძალებულად უარობს ბელადის შემოთავაზებას, დარჩეს სტალინის მთავრობის შემადგენლობაში, შვილიშვილს ვერ დავტოვებო. სიზმარი გამოკვეთს ზაირა არსენიშვილის დამოკიდებულებას ბოლშევიკურ-კომუნისტური მმართველობის პერიოდის რეპრესიების მიმართ. მწერალი ამ სისასტიკეზე სწორედ იმიტომ იმარჯვებს, რომ შურისძიებას მაინც პატიებასა და შენდობას ამჯობინებს.

მოთხრობის „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“ (მოთხრობა შესულია პროზაულ კრებულ „კენჭებში“, რომელიც დაიწერა 1967-74 წწ., გამოქვეყნდა 2020 წ.) სიუჟეტი ვითარდება თამარის ოჯახის ირგვლივ. მისი მეუღლე შალვა დააპატიმრეს და გადაასახლეს ხალხის მტრობის ბრალდებით, თამარი და მისი შვილი მთაწმინდაზე ერთ ჯურღმულში შეასახლეს, რის მერეც დაეწყო მოლანდებები და კომმარული სიზმრები.

თამარის სიზმრები მოთხრობაში „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“

პირველ სიზმარში თამარმა ნახა ცარიელი რუსთაველის გამზირი. ხალხი იყო „ძალით მოყვანილი“ და ელოდებოდა ატრაქციონის დაწყებას. „უეცრად შავ ფრაკში გამოწყობილი ჟონგლიორი გამოჩნდა“ (არსენიშვილი 2020, 17), რომელიც ჯოხს ატრიალებდა. „ჯოხი ხან წითელ ბაფთად იქცეოდა, ხან – ბუზების სახოცად“ (იქვე, 18). ჟონგლიორი ბუზების სახოცით ხოცავდა იქ შეკრებილ ადამიანებს. „მაღე რუსთაველზე მკვდრების ტყე აღიმართა, ფეხზე მდგომი მკვდრებისა“ (იქვე, 20).

მეორე სიზმარში თამარი ხედავს დათოვლილ ბაღს. ცაში მტრედები დაფრინავენ. „მთვარით განათებულ ლურჯ მინდორზე ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება გამოჩნდა, უკან მშვიერი მგლების ხროვა მოსდევდა“ (არსენიშვილი 2020, 120). ბრინჯაოს კაცმა გადმოიღო მხრიდან თოფი და ცას მიუშვირა. ციდან დახოცილი მტრედები ცვიოდა. „სისხლი აწვიმდა ლურჯ მინდორს... სისხლი აწვიმდა ბრინჯაოს კაცს...“ (იქვე, 121). თამარს ეჩვენება, რომ მისი შვილიც, მტრედად გადაქცეული, უნდა მოკლას ქანდაკებამ და ყვირილით ცდილობს მის შეჩერებას (იქვე, 123).

მესამე სიზმარში თამარი ხედავს უნივერსიტეტის ეზოს. ხალხი სულგანაბული დგას და ელოდება ბელადთან შეხვედრას. „ხეები

ლორის ბარკლებითაა გაფორმებული“ (არსენიშვილი 2020, 137). „ვარაზისხევიდან ამოდის ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება. იქვე მდგარმა გიგლამ მოუკიდა ბელადის ჩამქრალ ჩიბუხს და ქანდაკებამ ნაფაზი დაჰკრა“ (იქვე, 139). ბელადმა ისეთი ხმით დაილაპარაკა, „გეგონებოდა, ლოროტოტოს⁷ ჩაჰბერესო: გაუმარჯოს ბედნიერ საბჭოთა ხალხს! – იგრილა ტაშმა და ვაშამ“ (იქვე, 141). თამარი ცდილობს, მოუბოდიშოს ქანდაკებას და დააბრუნოს თავის ადგილას ბიბლიოთეკაში. ბელადი დასთანმდება და თამარს „მძიმე ხელს“ დაადებს მხარზე (იქვე, 142).

თამარის სამივე სიზმარი განპირობებულია იმით, რომ მესიზმრეს ეშინია შვილიც არ მოუკლან, ან გადაასახლონ, რადგან მათმა დამლაგებელმა ზოიამ ბიბლიოთეკაში მდგარი სტალინის ქანდაკება დააზიანა. ამით მან შური იძია უდანაშაულოდ დასჯილი შვილების გამო. თამარი სხვადასხვა გზით ცდილობს სტალინის ქანდაკების შეცვლას/შეკეთებას. ბოლო სიზმრით გამხნეებული იგი მიდის სამსახურში და ნახავს, რომ ახალი ქანდაკება კვლავ დგას თავის ადგილას.

ყველა ტექსტში სიზმარი ორგანულადაა შერწყმული და ემსახურება ავტორის მთავარი ნარატივის გამოკვეთას.

ტექსტურ მონაცემთა ინტერპრეტირება

ტექსტურ მონაცემთა საინტერპრეტაციოდ წარმოდგენილია ცხრილი, რომელშიც 5 საკლასიფიკაციო ნიშნის მიხედვით დახარისხებულია ზემოთ დამოწმებული პერსონაჟთა სიზმრები:

7 ლოროტოტო – ჩასაბერი საკრავი/დიდი საყვირი. ძირითადად, უკრავდნენ ომში, რუსულად Карнай.

<p>მესიზმრის სტატუსი</p>	<p>ჟეირან ქაშიბაური, რეპრესიების მსხვერპლი, ბავშვობის სიზმარებს აღწერს.</p>	<p>მთხრობელი/ პროტაგონისტი აღწერს ბავშვობის სიზმრებს, რეპრესირებულთა ოჯახის წარმომადგენელი.</p>	<p>თამარის სიზმარი 1 თამარი – სიზმრის მოთრობელი, რეპრესირებულია ოჯახის წარმომადგენელი</p>	<p>თამარის სიზმარი 2 იგვე პერსონაჟი</p>	<p>თამარის სიზმარი 3 იგვე პერსონაჟი</p>
<p>კონცეპტუალური მეთაფორა</p>	<p>სისხლის გუბები, ცაზე მიკრული უშველბელი წითელი ვარკვავი, ნიჩაბი, წითელი სახეები და ხელები.</p>	<p>ბეზისა წერილები, ტახტზე პირველი დამბობილი ბელადი, როზგები, გამათრახება,</p>	<p>ფონგლორი, დიდი ატრაქციონი, უსამეცლოდ გრძელი ბუზების სახოცი, საბჭოთა ქაჯი, ფეხე მდგომი მკვდრების ტყე.</p>	<p>სისხლის წვიმა, ფრთხილად წითელი მკვდარი მტრედები, თოფის გრიადი</p>	<p>ბრინჯაოს მიმი ხელი, ფეხილილი ლორის ბარკლები, ხორციტ გეფორმე-ბული ხეები</p>
<p>ალტერნატიული სამყარო/საბჭოთა რეალისტის რეპრეზენტაცია</p>	<p>ბეიმი, ვრცელი მინდორი, მილეთის ხალი, ტაში გრილეს, ვაშა გუგუნეს, მტრის გვაბები, წითელი ვარკვავი ფარავს მუხს, ღრუბლებს, მთვარეს.</p>	<p>მოსოვი, კრემლი, წითელარბილები, ლავრენტი, სემიონ, კლიმ- თანაბრ-ძოლები; გამათრახება; ბოლშევიკი ბელადი, ლეზელი უკანალი,</p>	<p>წითელი ბავთა, ყონგლორი, ჯოხი, ხალხი ამტკანარებული, ჩამავალი მისი მუქი განათებული ქურჩა, სირუმი.</p>	<p>მშვიდი მგლები ხროვა, ყმული, წითელი ენები, გრიადედა თოფი, იმსხვრეოდა ცა</p>	<p>ხალხი სულგანაბულია, თვალს არავინ ახამ-ხამებს მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტის გამგე</p>
<p>მესიზმრის მარკურები/ მისი რეაქცია</p>	<p>გაზარებული დარბის, სისხლში ფეხებს აჭყაპუნებს, ყვირის, გაღვიძებულს გული დასწყდა, რომ ვეირავს უამბობდა ამ სიზმარს.</p>	<p>მესიზმრის ირონიულ დამოკიდებულებას ცხადყოფს მარკურები: ბელადმა სინაბულით თავზე ხელი იტაცა და ლემის თმა გაიფარავს, ბეიამ შეაფერხა ბელადის წმიდათაწმინდა საქმიანობა.</p>	<p>ტირის, ჰეონია, გული გაუსკდება, შიშობს შვილი, ოთარიც, არ მოუქლან. თამარი მთელი დღე მოუქლული დაიარება სიზმრის გამო, კვების, როცა შეყვება ლილის ამ სიზმარს.</p>	<p>სიზმარში თამარი ყვირის, მე მომიკალითო, არავის ემისი მისი ხმა ონოვს, უსარია, რომ ეს სიზმარი იყო.</p>	<p>სიზმარში ლორის ბარკლების წვეთები ეცხვება, ქანდაკებამ მხარხელი დაადო და თამარი მხარის ტყვილიამ გავმოღვიბა.</p>
<p>სტალინის ფიგურის გოგოლაური მარკურები</p>	<p>ფოლადის მამა, მისი ლიმლი, ნაბოფები, ნიჩბით ხელში ალიმარი, თა გამოცხადებასაყით, ფოლადის მამა სისხლს ნიჩბით ხეცს</p>	<p>დიდი ბელადი ჩიბუხით ხელში, ძია სტალინი, ხალხთა მამა გოგოლადა „ბუხუნებს“</p>	<p>ჯადოქრულად აელვარებული ყვითელი თვალეები, შავ ფრაკში გამოწყობილი, მგცილინდრიანი ელევანტური კაცი.</p>	<p>ბრინჯაოს უზარმაზარი ქანდაკება, აკრასის გახვეული მხერვა, ჩაუხვეული სახე, ბრინჯაოს ფარავა და ჩეცქები, თოფი.</p>	<p>დიდი ბელადი, ბრინჯაოს კოლოსი, გლუ თვალეები, ნიჩბით, ქანდაკებამ ნაფანი დაკვრა და ბოლი ბოლქვებად ამოუწვა ბრინჯაოს პირიდან.</p>

მოცემული ცხრილის პირველი სვეტის მიხედვით დასტურდება, რომ მესიზმრე ყველა ტექსტში რეპრესირებული ოჯახის წარმომადგენელია/თავად არის რეპრესიების მსხვერპლი. შესაბამისად, ავტორის მიერ მესიზმრედ შერჩეულია სწორედ ტრავმული გამოცდილების განმცდელი პირი, რომლის სახითაც უკეთ შეძლო მწერალმა საკუთარი პოზიციის გამოხატვა და სტალინური დიქტატურის წინააღმდეგ პროტესტის ჩვენება. ცხრილის მეორე სვეტში თავმოყრილი კონცეპტუალური მეტაფორების დაყოფა შესაძლებელია 3 ნაწილად: პირველი (ფოლადის მამა, საბჭოთა ქაჯი, ჟონგლიორი, ბრინჯაოს მძიმე ხელი) კონკრეტულად იოსებ სტალინს მიემართება, მეორე (სისხლის გუბეები, ცაზე მიკრული უზარმაზარი ვარსკვლავი, დიდი ატრაქციონი, უსაშველოდ გრძელი ბუზების სახოცი, სისხლის წვიმა, ნიჩაბი) საბჭოთა საქართველოს აბსურდული (ტრაგიკომიკური) რეალობის სარეპრეზენტაციო ლექსიკური ერთეულებია, ხოლო მესამე (წითელი სახეები და ხელები, ფეხზე მდგომი მკვდრების ტყე, ხორციტ გაფორმებული ხეები) საბჭოთა მოქალაქეებს განასახოვნებს. ყველა მათგანი (მათ შორის – დიდი ატრაქციონი) როგორც პიროვნულ, ისე – ნაციონალურ დონეზე ტრავმული გამოცდილების გამომხატველია. ლაკოფის თეორიის მიხედვით, პოლისემიურ მეტაფორებად უნდა კლასიფიცირდეს: ნიჩაბი (სიკვდილი),⁸ წითელი ვარსკვლავი (საბჭოეთი), ბრინჯაოს მძიმე ხელი (დიქტატურა); ფსიქოლინგვისტური მეტაფორებია: მშვიერი მგლების ხროვა (საბჭოთა ჯალათები), ჟონგლიორი, საბჭოთა ქაჯი (სტალინი). ქაჯს ქართულ კულტურაში მითოლოგიიდან და ლიტერატურიდან მომდინარე კონოტაცია აქვს და ის უკავშირდება ხტონურ, ბოროტ, ბნელ, იდუმალ ძალას, რომელიც ფლობს ზებუნებრივ ძალებს. ნეოლოგიზმი „საბჭოთა ქაჯი“ კი უნდა აღნიშნავდეს სწორედ სტალინური რეჟიმის საშიშ წარმომადგენელს. ლექსიკურ ქვედომენებს, ანუ ქვემეტაფორებს წარმოადგენს რობგები და ბუზების სახოცი. პირველ შემთხვევაში ბელადის დასჯის სურათი იხატება, მეორე შემთხვევაში – ხალხზე ზემოქმედების იარაღი, თუმცა ორივე მეტაფორა დაკავშირებულია მთავარ სამიზნე დომენტან – სტალინურ დიქტატურასა და საბჭოურ რეპრესიებთან. ბუზების სახოცის

8 ნიჩაბის კონოტაცია საქართველოში საბჭოთა პერიოდში უკავშირდება რეპრესიებს, რადგან სწორედ ნიჩაბით ხვეტდნენ ვაგონებში ჩაცხრილულთა სისხლს 1924 წელს; ნიჩაბითა და ხელკეტებით გაუსწორდნენ 1989 წლის 9 აპრილს უიარაღო მომიტინგეებს რუსი ჯარისკაცები (გვერდწითელი, ცაიშვილი და სანადირაძე 1989, 306-390).

ჯვარედინი/ორმაგი მეტაფორული დატვირთვის ახსნა შესაძლებელია იმგვარად, რომ სტალინურ პერიოდში ადამიანები უსუსურ მწერებად, ბუზებად, აღიქმებოდნენ, ხოლო გრძელი საჟონგლიორო ჯოხი, რომელიც ხან წითელ ბაფთად გარდაიქმნება, ხანაც – ბუზების სახოცად, გამოიყენება მასის დასამორჩილებლად, დასაშინებლად, გასანადგურებლად. ბრინჯაოს ქანდაკება უკავშირდება ძველი აღთქმისეული კერპის იკონოგრაფიას, რამდენადაც სტალინის ფიგურას გააჩნია კერპის თეოლოგიური მახასიათებლები: კერპის გახევებული მზერა, აღიმართა გამოცხადებასავით; შესაბამისად, ზაირა არსენიშვილის მიერ არაერთხელ გამოყენებული მეტაფორა პიროვნების კულტის მისეული ინტერპრეტაცია და სტალინის, როგორც კერპის, ნეგატიურ ასპექტში რეპრეზენტაციაცაა;

მესამე სვეტში წარმოდგენილია პერსონაჟთა სიზმრებში შექმნილი ალტერნატიული სამყარო: ერთ შემთხვევაში, როცა მესიზმრის წარმოსახვაში ბელადი გაროზგილი და დასჯილია თავისივე თანამებრძოლების მიერ თავის კაბინეტში, კრემლში („ვა, სოფელო!“) და საბჭოთა რეალობის რეპრეზენტაცია დანარჩენ შემთხვევებში („რეკვიემი“, „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“). მთხრობელი დედ-მამის მონატრების დროს რეალობასთან დაპირისპირებულ წარმოსახვით სამყაროს ქმნის („ვა, სოფელო!“), რომელშიც სამართლიანობა იმარჯვებს, ბოროტება ისჯება, დიქტატორს მიეზღვება საკადრისი პასუხი. სიზმარში წარმოდგენილ ალტერნატიულ სამყაროში ბეზიას მიერ გაგზავნილი წერილი აღწევს ძია სტალინამდე,⁹ ისიც აღშფოთებული იმ სისასტიკითა და უსამართლობით, რომელიც „თურმე“ მის ირგვლივ ხდება, გადაწყვეტს, თავი დაისაჯოს. საანალიზო ეპიზოდი ასახავს მთხრობლის წარმოდგენას, როგორ იძიებს შურს სტალინზე მის მიერ უდანაშაულოდ დახვრეტილი, გადასახლებული და დასჯილი ათასობით ადამიანის ნაცვლად. ზემოთ ხსენებული ხილვა მწერლის რეპრესირებული, დათრგუნული შურისძიების სურვილის, თვითრეაბილიტაციის გამომხატველია. გაროზგვის სცენაში მონაწილეობენ მისი თანამებრძოლებიც. მთხრობელი ირონიულად შენიშნავს, რომ ბელადმა მათთვის სამასი როზგი „გაიმეტა“, ხოლო თავისთვის 200 იკმარა. საგულისხმოა მთხრობლის

9 ამგვარი ფამილარული მიმართვის ფორმა განპირობებული უნდა იყოს იმით, რომ მთხრობელი ამ სცენას არაერთხელ წარმოიდგენს სხვადასხვა ვარიაციით; ბეზია ყოველ სალამოს გზავნის კრემლში წერილებს და სთხოვს დიდ ბელადს იმ უსამართლობის გამოსწორებას, რომელიც ირგვლივ ხდება. ამდენად, განმეორებადობის გამო, მთხრობლისთვის ეს ძალზე შინაურული და ყოველდღიური სცენაა.

რეპლიკა, მისი წარმოდგენით, შურისძიება ბოლომდე არ იქნება მიყვანილი, თუკი მას ბებია, მთავარი ბრალმდებელი, არ დაესწრება. მწერლის მიერ შექმნილ ალტერნატიულ სამყაროში ბებია ზოგჯერ მრჩეველი ხდება და სტალინი ათავისუფლებს ათასობით უდანაშაულოდ რეპრესირებულს, ზოგჯერ კი შვილიშვილს ვერ ლაღატობს და კრემლში დარჩენას ისევ შვილიშვილთან დაბრუნებას ამჯობინებს. სიზმრის კალეიდოსკოპური ხედვა საცნაურს ხდის ავტორის/მთხრობლის გონებრივი აქტივობით შექმნილ შესაძლო სამყაროს.

დანარჩენ სიზმრებში შექმნილია საბჭოთა რეალობის რეპრეზენტაციული სურათი: სტალინის მიერ ცაზე მიკრულმა ვარსკვლავმა დაფარა მზეც, მთვარეც, ზეცაც („რეკვიემი“), სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საბჭოთა დიქტატურა აიძულებდა მასებს, ერწმუნათ, რომ საბჭოეთის მიღმა სამყარო აღარ არსებობდა. ზაირა არსენიშვილი ცხადად აჩვენებს, როგორ მიმდინარეობდა ბელადის კულტის დანერგვის პროცესი საზოგადოებაში; რა გავლენას ახდენდა კოლექტიურ წარმოსახვაზე საბჭოურ-ტოტალიტარული იდეოლოგიის ვიზუალიზაციის პოლიტიკა; როგორ ახერხებდნენ მასებზე ზემოქმედებას საბჭოური სიმბოლიკით – ვარსკვლავით, რომელიც მზეს ცვლის; აღლუმებითა და წითელი დროშებით, ვაშასა და ტაშის გამაყრუებელი გრიალით ზეიმობდა ხალხი იმას, რაც არ ჰქონდა რეალურად – თავისუფლებას, ბედნიერებას, წარმატებას, წინსვლასა და დოვლათს. სიზმრის მოცემულ ეპიზოდში ფოლადის მამა მესიზმრის წარმოსახვაში წმინდანის, მესიის როლს ასრულებს, როცა გამოცხადებასავით აღიმართება მინდორზე. ბელადი ადამიანებს არწმუნებდა საკუთარ კეთილ ზრახვებში, სინამდვილეში კი მათი გვამებითა და სისხლით აგებულ პირამიდას ედგა სათავეში. სტალინური მმართველობის მთავარი მიზანი ადამიანების დაკნინება, დამცირება, დაშინება, დემაგოგია და ხოცვა-ჟლეტა იყო (ამ მიზნით მწერალმა მას სიკვდილის მეტაფორად ნიჩაბი დააჭერინა).

მთხრობაში „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“ თამარის პირველი სიზმრის მოცემულ ფრაგმენტში საბჭოური რეალობის რეპრეზენტაცია ხდება იმით, რომ საერთო სიჩუმეში (ხალხი გამტკნარებულია, ჩამავალი მზის შუქით განათებული ქუჩა) მიწიდან ამოიზრდება ჯალათი ჟონგლიორის ჯოხით. ჟონგლიორის სახეში, რომელიც ქუჩაში მოსრიალეხს, ცეკვავს და თან შავ ჯოხს იქნევს ოსტატურად, იკითხება სტალინის სახე (ჯადოქრულად აელვარებული ყვითელი თვალეხი, შავ ფრაკში გამოწყობილი, შავცილინდ-


რიანი ელევანტური კაცი). მესიზმრის მიერ სწორედ იგი აღიქმება საბჭოთა ქაჯად/ჯალათად, ბოროტების სიმბოლოდ, რომელიც ბუზების სახოცად გადაქცეული ჯოხით მკვდრების ტყეს აღმართავს საქართველოს დედაქალაქის მთავარ გამზირზე (ის ხალხის ხოცვით ერთობა და სხვებსაც ართობს). ცარიელი რუსთაველის გამზირი, ძალით მიყვანილი ხალხი და სიჩუმე მიანიშნებს სტალინური პერიოდის დროს იძულებით ჩატარებულ აღლუმებსა და საბჭოთა დღესასწაულებზე, როცა ადამიანებს ძალით ერეკებოდნენ სამსახურებიდან, ოჯახებიდან ამ ზეიმებზე დასასწრებად. თამარის სიზმრები მისი ღირებულებებისა და ემოციების სინთეზური პროდუქტია, იმავდროულად, ავტორის/მთხრობლის ნარატივის შექმნას ემსახურება. სტალინური ეპოქის სიმბოლიკა მეორე სიზმარში წარმოდგენილია შემდეგი მარკერებით: ბრინჯაოს¹⁰ ქანდაკება/კოლოსი, ლაშქარნილი, მშვიერი შავი მგლების ხროვა, წითელი ენები, ყმუილი, სისხლის წვიმა – მთხრობელი გამოკვეთს სტალინის არაადამიანურ, ცხოველურ საწყისს. მას თანმხლებად მგლები ჰყავს, რომლებიც ბრინჯაოს კაცის მიერ დახოცილ მტრედებზე (უდანაშაულო მსხვერპლთა მეტაფორული სახე) ნადიმობენ, თავიანთ ლეკვებს მათი სისხლით კვებავენ. თამარის მესამე სიზმრის მოცემულ ეპიზოდში კავშირი სტალინურ ეპოქასთან იკვეთება მრავალი დეტალით, როგორებიცაა: მარქსისტული ესთეტიკის კაბინეტი, ბრინჯაოს ქანდაკება, სულგანაბული ხალხი (რომელთაგან თვალს არავინ ახამხამებს ბელადთან შეხვედრის მოლოდინში). სიზმარში ირეკლება მთხრობლის გამოცდილება, თუმცა დიქტომია ისტორიულ რეალობასა და სიზმრის სამყაროს შორის თითქოს წაშლილია. სტალინურ ეპოქაში რეალობაც ისეთივე შემზარავი იყო, როგორიც თამარის სიზმრები.

ცხრილის მეოთხე სვეტში წარმოდგენილია მესიზმრეთა მარკერები, ერთ შემთხვევაში თუ მესიზმრის/განმცდელი გახარებული დარბის სისხლის გუბებში („რეკვიემი“), ტაშს უკრავს ბელადის გამოჩენისას და გაღვიძებულს გული სწყდება, რომ სიზმარს ვერავის უამბობს (თუმცა მოგვიანებით აცნობიერებს, რომ ეს იყო ბავშვის არაცნობიერი პროტესტი სისხლისღვრისა და საბჭოური დიქტატურ-

10 შურისმაძიებელი, სასტიკი ქანდაკების მეტაფორა შეიძლება დავაკავშიროთ პუშკინის პოემასთან „ბრინჯაოს მხედარი“, რომელშიც პეტრე დიდის ბრინჯაოს ქანდაკება თითქოს ცოცხლდება და სდევნის ეგვენის, რადგან წყალდიდობა და საკუთარი ოჯახის დაღუპვა სწორედ მას დააბრალა ხელმოკლე ახალგაზრდამ. საბოლოოდ იგი მაინც მოწიწებით მოიხსენიებს ბრინჯაოს მხედარს, რადგან ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი მისდამი თაყვანისცემა.

რის წინააღმდეგ), მეორე შემთხვევაში იკვეთება ავტორის/მთხრობლის ირონიული დამოკიდებულება ბელადის, ძია სტალინის მიმართ (ბებიამ შეაფერხა ბელადის წმიდათაწმინდა საქმიანობა, ბებიამ უკანალაჭრელეზულ ბელადს ქიშმირის შალი გადააფარა, ლამისაა ბელადმა სინანულით თმა გაიგლიჯოს... „ვა, სოფელო!“). თამარის სიზმრებში აქცენტირებულია მესიზმრე/განმცდელის ტრავმული გამოცდილება („როცა მიძინვარებს შიში და ძრწოლა“). მისი სიზმრები აღიქმება განმეორებად ტრავმულ კომმარად, აღსანიშნავია, რომ ამ სიზმრების მერე თამარი ტირის, კვნესის, შფოთავს, ყვირის, კანკალებს, ტკივილისაგან იკლაკნება (იხ. გრაფიკული სურათი 2. მესიზმრის მარკერები). სიზმრის ეგზეგეზა ემსახურება ტექსტის საერთო ნარატივის გამოკვეთას – დაზიანებული სტალინის ბიუსტის გამო შეიძლება თამარს შვილი მოუკლან (თამარი უყვება ლილის ამ სიზმარს და კვნესის, ლილი ახსნის ამ სიზმარს, თითქოს სიკვდილი სიზმარში სიხარულს მოასწავებს; თამარს უხარია, რომ ეს სიზმარი იყო; მესამე სიზმრის მერე, რომელშიც სტალინმა მას მხარზე ხელი დაადო და გაჰყვა თან, შვილს წერილი დაუტოვა, აიმედებდა, რომ კარგი სიზმარი ნახა).

ცხრილის მეხუთე სვეტში კლასიფიცირებულია სტალინის ფიგურის ვიზუალური მარკერები. ზემოთ წარმოდგენილი საკლასიფიკაციო ცხრილის გარდა, მონაცემთა საანალიზოდ/საინტერპრეტაციოდ გამოყენებულ იქნა დისტანციური წაკითხვის კომპიუტერული ხელსაწყო CATMA, რომლის დახმარებით მომზადდა სხვადასხვა სახის დიაგრამა, მათ შორის – პერსონაჟთა სიზმრებში სტალინის რეპრეზენტაციისას გამოყენებული ლექსიკური ერთეულების შესახებ.




გრაფიკული სურათი 1. სტალინის ფიგურის ვიზუალური მარკერები


სტალინის ფიგურის ვიზუალური მარკერების დიაგრამა (ისევე როგორც ეს ცხრილის მეხუთე სვეტში გამოიკვეთა) აჩვენებს სტალინის ფიგურას საკრალურ და მითოსურ, ფანტასტიკურ კონტექსტებში (გამოცხადებასავით აღიმართა, კოლოსი, მიწას მოსწყდა, ქანდაკებამ ნაფაზი დაარტყა), მის რეალურ პიროვნულ მახასიათებლებს (დინჯი ნაბიჯები, კერპის მზერა, ჩიბუხის ტარება, ფარაჯა, ბოხი ხმა...) და, რაც მთავარია, აღმქმელის/მესიზმრის პერსპექტივას, რომლის მიხედვითაც, სტალინის ფიგურა ჰიპერბოლიზებული მასშტაბითაა წარმოდგენილი. მასთან შედარებით, მესიზმრე, იმპლიციტურ დონეზე, უსუსური, დაშინებული მსხვერპლი ან დანაშაულის მოწმეა. განხილულ ტექსტებში განსახოვნებულ სიზმრებში იკვეთება, რომ საქართველოში სტალინურ პერიოდში მოქმედებდა არა მხოლოდ სტალინური ნარატივი, როგორადაც ის შექმნილი იყო თავად სტალინის მიერ და განსაზღვრული იყო მთელი საბჭოური მულტინაციონალური კონგლომერატისათვის, არამედ მისი ქართული მოდიფიკაცია, ქართულ სივრცეში მოქმედი ნაციონალიზებული ვერსია, დაფუძნებული სტალინის ნაციონალური წარმომავლობის ფაქტორზე (წიფურია 2016).

სტალინის მარკერების მიხედვით, იმპლიციტურ დონეზე ტრავმირებული მესიზმრის გამოვლენის გარდა, ტექსტებში ექსპლიციტურ დონეზეცაა რეპრეზენტირებული მესიზმრის განცდები, რომლებიც უკავშირდება უმრავლეს შემთხვევაში შიშს, ტრავმას, ტკივილს, ტირილს, გულის დაწყვეტას... (იხ. გრაფიკული სურათი 2. მესიზმრეთა მარკერები).

მეტაფორების ინვარიანტული პრინციპით დალაგების შემთხვევაში ხელსაწყომ გვიჩვენა, რომ სტალინი, როგორც სამიზნე დომენი, სიზმრებში განსახოვნებულია, როგორც ფოლადის კაცი, ბრინჯაოს კოლოსი, ჟონგლიორი, კერპი, დიდი ბელადი, ხალხთა მამა... (იხ. გრაფიკული სურათი 3. კონცეპტუალური მეტაფორები).



გრაფიკული სურათი 2. მესიზმრის მარკეტები



გრაფიკული სურათი 3. კონცეპტუალური მეტაფორები

ლაკოფის ზემოთ განხილული თეორიის თანახმად, არსებობს მიზეზობრივი და მოდალური სტრუქტურის მქონე მეტაფორები, საანალიზო სიზმრებში ორივე მათგანი დასტურდება: მიზეზობრივი სტრუქტურისაა სისხლის გუბეები, სისხლის წვიმა, წითელი სახეები, წითელი ხელები (ეს მეტაფორები განპირობებულია საბჭოური რეპრესიების შედეგებით), მოდალური სტრუქტურის მეტაფორაა მტრედებით სავსე ცა/ფრთებდალეწილი მკვდარი მტრედები (უდანაშაულო მსხვერპლის კონვენციური კონოტაციით), შაშვების თავგადაკლული გალობა (აღამიანთა უმოქმედობა მაშინ, როცა ფრინველიც კი გამოხატავს პროტესტს). გამოსახულების მეტაფორათა რიგს მიეკუთვნება სისხლის გუბიდან ამოზრდილი და ცას მიკრული წითელი ვარსკვლავი, რომელიც ფარავს ზეცას, მზეს; ასევე ლორის ბარკლებით გაფორმებული ხეები. დიდი ჯაჭვის მეტაფორად შეიძლება კლასიფიცირდეს ფეხზე მდგომი მკვდრების ტყე, რადგან მასში გაერთიანებულია როგორც სტალინური რეპრესიების შედეგები, ასევე იკითხება მორჩილი უმრავლესობის არსებობის ქვეტექსტი; ბრინჯაოს მძიმე ხელი – აღნიშნული მეტაფორა დიდი ჯაჭვით უკავშირდება სტალინის ბიუსტებს, მისი რეჟიმის სისასტიკეს, აგრეთვე, საბჭოური დიქტატურის რეპრესიებს. ფსიქოლინგვისტურ/ექსპერიმენტულ, ასევე რომანის მხატვრული ქსოვილის მარეგულირებელ მეტაფორებად შეიძლება ჩაითვალოს: ქიშმირის შალი (რომლითაც ბებია უკანალაჭრელეულ, დასჯილ ბელადს შეიწყალებს), ჩამქრალი ჩიბუხი (მინიშნება, რომ ოდესმე სტალინის ჩიბუხიც ჩაქრება, ყოფილი ბელადი განსასჯელის სკამზე აღმოჩნდება ხალხთა მესხიერებაში), სველ ტაშტებში დასველებული როზგები (დიქტატორისა და ტირანის ხვედრი). დასკვნის შაბლონის მარეგულირებელი დომენებია ბელადი, ხალხთა მამა, ძია სტალინი, რომელიც ხან ბრინჯაოს ქანდაკების სახითაა წარმოდგენილი, ხან – ფოლადის მამის.

ამგვარად, ზაირა არსენიშვილის რომანებში სიზმარი მნიშვნელოვანწილად გამოხატავს პერსონაჟთა ტრავმულ ისტორიულ (საბჭოთა) გამოცდილებას და სტალინური რეჟიმის წინააღმდეგ პროტაგონისტთა პროტესტს. ზემოთ განხილულ ტექსტებში სტალინი წარმოგვიდგება არაერთ სიტუაციაში სხვადასხვა ასპექტით: ფოლადის მამა, რომელიც ნიჩბით ხელში ხვეტავს სისხლს; შარვალჩაბდილი, გამათრახებული ბელადი; ჯადოქრულად აელვარებული თვალების მქონე ჟონგლიორი, რომელიც მკვდრების ტყეს აღმართავს; უზარმაზარი ბრინჯაოს ქანდაკება, რომელიც თოფით ხოცავს ცაში მტრედებს.

დასკვნა

ზაირა არსენიშვილის რომანების ტექსტურ მონაცემთა ანალიზით პერსონაჟთა სიზმრებში გამოვლინდა სტალინის, დიდი საბჭოთა ბელადის, ორგვარი მოდელი: უმეტეს შემთხვევაში, სტალინის სახე რეპრეზენტირებულია პერსონაჟთა სიზმრებში, როგორც დიქტატორის, მოძალადის, ტირანისა (შდრ. ჯეირან ქაშიბაური ვრცელ მინდორზე იმყოფება, სადაც ხატობაზე შეკრებილ ხალხს ფოლადის მამა ეცხადება („რეკვიემი“), თამარი ერთ-ერთ სიზმარში აღმოჩნდება დათოვლილ მინდორზე, სადაც ბრინჯაოს ქანდაკება მოაბიჯებს მგლებთან ერთად; სხვა სიზმარში თამარი რუსთაველის გამზირზეა და ჟონგლიორის მიერ ბუზების სახოცით დახოცილ ადამიანთა ტყეს უმზერს, ხოლო მესამე სიზმარში იგი უნივერსიტეტის ეზოში ესწრება სტალინის ქანდაკების სვლას ვარაზისხევიდან („როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“)); მეორე მხრივ კი, სიზმრის შესაძლო/ალტერნატიული სამყაროს ფარგლებში, წარმოდგენილია როგორც შერცხვენილი, გამათრახებული, მონანული და დასჯილი; სხვაგვარად – ავტორიტეტშელახული; მთხრობელი მოსკოვში, კრემლში ხედავს სტალინს, რომელიც გაროზგილი წევს წითელარმიელების გარემოცვაში („ვა, სოფელო!“); ორივე მოდელი აჩვენებს პერსონაჟის ტრავმირებულ არაცნობიერ სამყაროს და პროტესტს სტალინური რეჟიმის წინააღმდეგ, სხვა სიტყვებით რომ ითქვას: სტალინური რეჟიმის პასიური მსხვერპლის ან დანაშაულის მოწმე პერსონაჟის სიზმრით იქმნება ალტერნატიული სამყარო, რომელშიც პერსონაჟი თვითრეაბილიტაციას ახერხებს – მსხვერპლიდან იქცევა შურისმაძიებლად.

კვლევა ეყრდნობოდა ჰიპოთეზას: პერსონაჟის სიზმარი, როგორც კოგნიტიური აზროვნების ნარატივიზებული სუბპროდუქტი, მნიშვნელოვანი ღირებულებისაა საბჭოთა წარსულის კვლევისთვის. საკვლევი ჰიპოთეზა დადასტურდა და ძირითადი დასკვნები, შესაძლებელია, ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

- საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ეპოქაში ადამიანის არაცნობიერი/სიზმრისეული სამყაროს წარმოჩენამ ფართო ასპარეზი პოვა ლიტერატურულ ტექსტებში;
- პერსონაჟის სიზმარი ლიტერატურულ ტექსტში საბჭოთა ეპოქაზე, კერძოდ, დიდ ბელადზე შურისძიების ერთგვარ იარაღად იქცა, რითაც ავტორი/მთხრობელი ქმნის რეალობის ალტერნატიულ სამყაროს, სადაც სამართლიანობა იმარჯვებს და ბოროტება ისჯება („ვა, სოფელო“);
- სიზმარში აღწერილი სამყარო მიუთითებს პერსონაჟის მკვე-

თრად უარყოფით დამოკიდებულებაზე ბელადის მიმართ, ასევე სტალინური რეპრესიებით გამოწვეულ ტრავმულ ცნობიერებაზე („როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“, „რეკვიემი“);

- სტალინის ქანდაკება, ფოლადის მამა, ბრინჯაოს კაცი, ჟონგლიორი, წითელი ვარსკვლავი, ნიჩაბი – გამორჩეულ ადგილს იკავებს პერსონაჟთა არაცნობიერში და წარმოადგენს სიზმრებში მთავარ კონცეპტუალურ მეტაფორებს („რეკვიემი“, „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“);

- სიზმარი ბელადომანიის მხილებისა და აშკარა პროტესტის როლს ასრულებს, ასევე სიზმარი წარსულის რეტროსპექტივას წარმოადგენს და ასახავს ადამიანის გონებაში დაღეწილ ტრავმულ გამოცდილებას („ვა, სოფელო!“).

თავად სიზმრის ფუნქცია ამგვარად გამოიკვეთა განხილულ ტექსტებში: სიზმარი არის არა ემპირიული ფაქტი, არამედ მესიზმრის ინტერპრეტაცია (თამარის სიზმრები „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“); განმეორებადი პოსტტრავმული სიზმრები, როგორებიც იყო ჯეირან ქაშიბაურისა („რეკვიემი“) და მთხრობლის სიზმრები („ვა, სოფელო!“) წარმოადგენს ფიქციურ თხრობას; სიზმრის წრიული წაკითხვა, ანუ რეალობისა და შესაძლო/ალტერნატიულ სამყაროების დაკავშირება, გვაძლევს შესაძლებლობას, აღვადგინოთ მე-20 საუკუნის სტალინური ეპოქის ფართო ტილო. დამატებით, სიზმრის ნარატივის კვლევა იძლევა საშუალებას, დადგინდეს ის საერთო კონტექსტი, რომელიც მთხრობლის ემოციურ ჩანაფიქრსა და თხრობის პროცესს აკავშირებს ერთმანეთთან. გამოკვლეულ ტექსტებში სიზმარი არის ერთგვარი საკომუნიკაციო მოდელი მთხრობელსა და მკითხველს შორის, რომლის დახმარებითაც მთხრობლის დისკურსი უფრო ცხადი ხდება. სიზმარი, შესაძლოა, გაგებულ იქნას, როგორც მესიზმრის წარმოსახული, ვირტუალური სამყარო, რომელიც სიმულაციურ ალტერნატიულ/ შესაძლო სამყაროს წარმოადგენს და სადაც მთხრობლის ფარული/ლატენტური სურვილები აშკარავდება („ვა, სოფელო!“). ხშირად სიზმარი მოიცავს ისეთ ფანტასტიკურ ელემენტებს, როგორებიცაა: ბრინჯაოს ქანდაკებისთვის ჩიბუხის მოკიდება და ნაფაზის დარტყმა, ბრინჯაოს ქანდაკების სიარული ვარაზისხევის აღმართზე, სისხლის გუბეებიდან წითელი ვარსკვლავის ამოზრდა და ცაზე მიკვრა, ჟონგლიორის მიერ ბუზების სახოცით ფეხზე მდგომი ადამიანების დახოცვა, ტახტზე დამხობილი, უკანალაჭრელელებული ბელადის გაროზგვა. ეს შეუსაბამობა აიხსნება სიზმრის დინამიკური ურთიერთქმედებით „წრფივი და არაწრფივი აზროვნების პროცესებს შორის“ (States 2000, 190), რომელთაგან ერთი სიზმრის ლოგიკაა, ხოლო მეორე

– თხრობითი შემეცნების საზღვრები. რაც მთავარია, სტატიაში განხილული ვერცერთი სიზმარი ვერ ჩაითვლება პერსონაჟის რეკურსიული გამოცდილების პროდუქტად, როგორც სხვაგვარად მას უწოდებენ, მკაფიო/ლუციდ ან მხოლოდ წარსულის რეპრეზენტაციულ სიზმრად, არამედ თითოეული სიზმარი არის შემოქმედებითი თხრობის ნაწილი და საკუთრივ ნარატივი, რომლითაც მთხრობელი საკუთარ დამოკიდებულებას ამჟღავნებს სტალინისა და სტალინური დიქტატურის მიმართ.

სტატიაში განხილული 5 სიზმრიდან 4-ში (“რეკვიემი”, „როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა“) თხრობა არის დიეგეტიკური, რომანში „ვა, სოფელო!“ კი – ჰომოდიეგეტიკური, თუმცა მთხრობლის ხედვის რაკურსი ყველა შემთხვევაში ნათელია და მკითხველზე ემოციური ზემოქმედების მოხდენა თანაბრად ხერხდება. ხუთივე სიზმარი შეიცავს კინემატოგრაფიული ხედვის ელემენტებს და სიზმრის თითოეული კადრი ისეა დალაგებული, რომ თხრობა იყოს დინამიკური და მანიფესტაციური.¹¹ შესაძლო სამყაროები და ვირტუალური სცენარები, როგორც დისკურსიული ინტერფეისი, არის შემეცნებითი-ეპისტემიური და არა მხოლოდ ენობრივი ობიექტები (Grishakova 2019, 103), რაც დასტურდება ზაირა არსენიშვილის მიერ შექმნილ სიზმრის ალტერნატიულ სამყაროში. ამგვარად, ლიტერატურული პერსონაჟის სიზმარი ავტონომიურ სამყაროს ქმნის, იგი აწესებს მკითხველისათვის ახალ ჰორიზონტს, სადაც სტალინი, ხალხის ბელადი, რიგ შემთხვევებში დასჯილია (იხ. დანართი – ილუსტრაცია 1), ზოგჯერ სისხლის გუბეში დგას და ცამდე აზიდული ვარსკვლავს ამაგრებს (იხ. დანართი – ილუსტრაცია 2), ხან თოფით ხოცავს ცაში მტრედებს (იხ. დანართი – ილუსტრაცია 3), ხანაც ბრინჯაოს ქანდაკებად ქცეული ჩიბუხს აბოლებს (იხ. დანართი – ილუსტრაცია 4), ერთ-ერთ სიზმარში ჟონგლიორად გადაქცეული ბელადი ბუზების სახოცით ხოცავს ხალხს (იხ. დანართი – ილუსტრაცია 5). მკითხველმა უნდა გაიაზროს ახალი ონტოლოგიური პერსპექტივა, მთხრობლისა და მის მიერ შექმნილი პერსონაჟის წარმოსახული სამყარო. ეს სამყარო, რა თქმა უნდა, განსხვავდება მოდალური მკითხველის მიერ აღქმულისაგან, თუმცა თუ ვაღიარებთ, რომ ლიტერატურის მთავარი არსი არის შემოქმედებითი თამაში (Ryan & Bell 2019, 22), არ მოიძებნება მაშინ გამოგონილი/შესაძლო სამყაროს მშენებლობისა და რეკონსტრუქციის უკეთესი საშუალება, ვიდრე ლიტერატურული ტექსტი (Dolezel 2019, 56).

ამდენად, ზაირა არსენიშვილის პერსონაჟთა სიზმრები, ერთი

11 სტატიის ავტორის თხოვნით, თანამედროვე ქართველ მხატვარ-ილუსტრატორთა ჯგუფმა პერსონაჟთა სიზმრები დახატა უსასყიდლოდ და თანდართული ილუსტრაციების სახით არის წარმოდგენილი.

მხრივ, სტალინური რეჟიმის რეკონსტრუირებაცაა და მეორე მხრივ, ამავე რეალობის ალტერნატივა, რომელიც პერსონაჟის არაცნობიერში რეალიზდება და ტრავმის მიმართ მესიზმრის რეაქციას წარმოადგენს.

დამოწმებანი

- არსენიშვილი, ზაირა. 2002. ვა, *სოფელო!* თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- არსენიშვილი, ზაირა. 2020. *კენჭები (როცა მძვინვარებს შიში და ძრწოლა)*, თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- არსენიშვილი, ზაირა. 2021. *რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისთვის, ანუ ახალგაზრდა მთხველის პორტრეტი*, თბილისი: სულაკაურის გამომცემლობა.
- ბენაშვილი, გურამ. 2005. ვიზიონები. *კრიტიკა* 1. <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH6b9b-0522f2715aec7fe1a8.7.1> (10.02.2022).
- ბრეგაძე, კონსტანტინე და გაგა ლომიძე, რედ. 2019. *სტალინის იდეოლოგემა და მითოლოგემა ქართულ საბჭოთა და ემიგრანტულ ლიტერატურაში*. ნაწილი I. თბილისი: მწიგნობარი.
- გვერდწითელი გურამ, სარგის ცაიშვილი და მანანა სანადირაძე, რედები. 1989. *რა გითხრათ? რით გაგახაროთ?* თბილისი: მერანი.
- კობიაშვილი, მაია. 2019. პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940), სადისერტაციო ნაშრომი. სანგუ. პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940), სადისერტაციო ნაშრომი. სანგუ. საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ავტორეფერატებისა და დისერტაციების ფონდი. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/304484> (10.02.2022).
- ლობჯანიძე, გიორგი. 2009. ტანჯვის გრდემლზე გამოკვერილი სინარული. *არილი*, 17 ივნისი. URL: .ზაირა არსენიშვილი – ვა, *სოფელო...* – არილი (arilimag.ge) (10.02.2022).
- მელაშვილი, თამთა. 2020. *სიზმარი და ცხადი ზაირა არსენიშვილის მოთხრობების კრებულში „კენჭები“* <https://www.sulakauri.ge/sizmari-da-tskhadi-zaira-arsenishvilis-mothkhroebis-krebuli-kentchebi/> (10.02.2022).
- მეტრეველი, საბა. 2019. სტალინი, როგორც მესია ქართულ პოლიტიკურ ლირიკაში. GHN, საქართველოს ახალი ამბების სააგენტო 1 დეკემბერი. <https://www.ghn.ge/news/237403-stalini-rogorct-mesia-kartul-politikur-lirikashi> (10.02.2022).

- რატიანი, ირმა. 2010. *ტექსტი და ქრონოტოპი*, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- რატიანი, ირმა. 2010. *ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი: მეოცე საუკუნის გამოცდილება*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ქიქოძე, არჩილ. 2020. ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო!“ – წიგნი, რომელიც არ ჩქარობდა. *ლიტერატურა*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ივნისი. <https://literature.iliauni.edu.ge/literature/zaira-arsenishvilis-va-sophelo-tsigni-romelits-ar-chqarobda/> (10.02.2022).
- ლოლობერიძე, ლანა. 2015. მერცხლის ერთი გაფრენა. *ოლე. ლიტერატურული ყურნალი* 3(26). https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/146471/1/Ole_2015_N3.pdf (10.02.2022).
- შავრეშიანი, ეთერ. 2021. ზაირა არსენიშვილის რომანის – „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის, ანუ ახალგაზრდა მთხვეელის პორტრეტი“ – შესახებ, ყურნალი „მასწავლებელი“; 7 ივლისი. <http://mastsavlebeli.ge/?p=29840>;
- წიფურია, ბელა. 2016. *ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში*. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. <https://bit.ly/3DzP2Kd> (10.02.2022).
- ჯონაძე, მაკა. 2005. საბედისწერო რეკვიემი. *კრიტიკა* 1. <http://www.nplg.gov.ge/greenstone3/library/collection/period/document/HASH6b9b0522f2715aec7fe1a8.4.1?p.s=TextQuery> (10.02.2022).
- Alber, Jan. 2019. Logical Contradictions, Possible Worlds Theory, and the Embodied Mind. In Ryan and Bell 2019, 157-178.
- Bell, Alice and Marie-Laure Ryan, eds. 2019. *Possible Worlds Theory and Contemporary Narratology*. Lincoln and London: University of Nebraska Press.
- Caruth, Cathy. 2014. *Parting Words: Trauma, Silence, and Survival*. Cornell University.
- Damasio, Antonio. *The Feelings of What Happens*. 2000. Internet Archive. https://archive.org/details/feelingofwhathap00dama_0/page/n13/mode/2up (10.02.2022).
- Dolezel, Lubomir. 2019. Porfyr's Tree for the Concept of Fictional Worlds. In Ryan and Bell 2019. 47-61.
- Freud, Sigmund. 1900. *The interpretation of dreams*. <http://psychclassics.yorku.ca/Freud/Dreams/dreams.pdf> (10.02.2022).

- Grishakova, Marina. 2019. *Interface Ontologies: On the Possible, Virtual, and Hypothetical in Fiction*. In Ryan and Bell 2019, 88-112.
- Jahn, Manfred. 2003. *Awake! Open Your Eyes! In The Cognitive Logic of External and Internal Stories*, ed. David Herman, 195-213. Stanford: CSLI Publications.
- Lakoff, George. 1993. The Contemporary Theory of Metaphor. In *Metaphor and Thought*, ed. Andrew Ortony, 202-251. Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9781139173865.013.
- Pisch, Anita. 2016. *The Personality Cult of Stalin in Soviet Posters, 1929-1953: Archetypes, Inventions and Fabrications*. ANU Press. <http://www.jstor.org/stable/j.ctt1q1crzp> (10.02.2022).
- Sayed, Lena. 2011. The Function of Dreams and Dreaming (Moving towards an integrated understanding). A Thesis for the Professional Programme, University of Oslo.
- Ryan, Marie-Laure and Bell, Alice. 2019. Introduction: Possible Worlds Theory Revisited. In Bell and Ryan 2019, 1-46.
- Solms, Mark and Oliver H. Turnbull. 2000. *The Brain and the Inner Word*. New York: Other Press.
- States, Bert O. 2000. Dream Bizarreness and Inner Thought. *Dreaming* 10.4. 179-92. <https://doi.org/10.1023/A:1009438406510> (10.02.2022).
- Walsh, Richard. 2012. Dreaming and Narration. In: *The Living Handbook of Narratology*, eds. Peter Hühn, Jan Christoph Meister, John Pier and Wolf Schmid. Hamburg: Hamburg University. URL: [Dreaming and Narration - the living handbook of narratology \(uni-hamburg.de\)](http://www.uni-hamburg.de) (10.02.2022).
- Walsh, Richard. 2010. Dreaming and Narrative Theory. In *Toward a Cognitive Theory of Narrative Acts*, ed. Frederick Luis Aldama, 141-57. Austin: University of Texas Press. https://www.academia.edu/30467502/Dreaming_and_Narrative_Theory (10.02.2022).

Ketevan Katamadze

Ilia State University

Representations of Stalin in Characters' Dreams According to Zaira Arsenishvili's Prose

Keywords: Dream, Stalin, post-Soviet Georgian literature, conceptual metaphor, alternative world, trauma

Introduction

In modern humanities, there is a growing interest in literature as a diverse and large database of human consciousness. Interest is even greater in the writings of countries that have the experience of totalitarian regimes: The opportunities for the personal development of individuals living under politically ideologically-charged regimes were maximally limited. In fictional texts, as the present study shows, the narrative strategy of dream description is used to express the unrealized desires and aspirations of the victims of the regime as proof of the existence of trauma in the human unconscious¹. The characters' dreams, as important textual data in the studies of the Soviet past of Georgia, and specifically of the phenomenon of Stalin, have been little considered in studies to date.

Based on the above, this article aims to study the representation of Stalin's character in the dreams of characters in Post-Soviet Georgian literature (based on several works by one writer). The research hypothesis is as follows: When studying the Soviet past of Georgia and the phenomenon of Stalin, the characters' dreams make up important textual data. This article will answer the

1 It should be noted that instead of the *subconscious*, we give preference to the term *unconscious*, according to the studies of the modern Portuguese neuroscientist Antonio Damasio (Damasio 2000, 226-28).

questions: 1. What themes are reflected in the characters' dreams? 2. In which aspects is Stalin's face represented? 3. What is each character's reaction to their dream?

Research Methodology and Theoretical Framework

To analyze Stalin's literary character in Zaira Arsenishvili's² novels, textual data were first manually marked and then classified on the CATMA platform (CATMA – an electronic tool for the remote reading of texts). As a result, five dreams containing similar content and conceptual metaphors were identified and grouped. In the next stage of the research, according to the theory of conceptual metaphor, the identification marks of Stalin's literary image were analyzed.

- Kikodze, Archil. 2020. Zaira Arsenishvili's "Oh, World!" – A Book That Was Not in a Hurry. *Literature*. Iliia State University, 30 June. ქიქოძე, არჩილ. 2020. ზაირა არსენიშვილის „ვა, სოფელო!“- წიგნი, რომელიც არ ჩქარობდა. ლიტერატურა. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 30 ივნისი. <https://literature.iliauni.edu.ge/literature/zaira-arsenishviliis-va-sophelo-tsigni-romelits-ar-chqarobda> (10.02.2022).
- Kobiashvili, Maya. 2019. Proletarian Narrative in Georgian Literature (1921-1940). PhD Diss., SANGU. კობიაშვილი, მაია. 2019. Dissertation and Summary Repository, National Parliamentary Library of Georgia. პროლეტარული ნარატივი ქართულ მწერლობაში (1921-1940), სადისერტაციო ნაშრომი. სანგუ. საქართველოს ეროვნული

- ბიბლიოთეკის ავტორეფერატებისა და დისერტაციების ფონდი. <https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/304484> (10.02.2022).
- Lobzhanidze, George. 2009. Joy Forged on the Anvil of Suffering. *Arili*, 17 June. ლობჯანიძე, გიორგი. 2009. ტანჯვის გრდემლზე გამოკვერილი სიხარული. *არილი*, 17 ივნისი. URL: ზაირა არსენიშვილი – ვა, სოფელო... – არილი (arilimag.ge) (10.02.2022).
- Lakoff, George. 1993. *The Contemporary Theory of Metaphor*. In *Metaphor and Thought*, ed. Andrew Ortony, 202-251. Cambridge: Cambridge University Press. doi:10.1017/CBO9781139173865.013.
- Melashvili, Tamta. 2020. *Dream and Reality in Zaira Arsenishvili's Collection of Short Stories "Pebbles."* მელაშვილი, თამთა. 2020. სიზმარი და ცხადი ზაირა არსენიშვილის მოთხრობების კრებულში „კენტჭები“. <https://www.sulakauri.ge/sizmari-da-tskhadi-zaira-arsenishvilis-mothkhrobebis-s-krebuli-kentchebi> (10.02.2022).
- Metreveli, Saba. 2019. Stalin as the Messiah in Georgian Political Lyric Poetry. *GHN*, Georgian News Agency, 1 December. მეტრეველი, საბა. 2019. სტალინი, როგორც მესია ქართულ პოლიტიკურ ლირიკაში. *GHN*, საქართველოს ახალი ამბების სააგენტო, 1 დეკემბერი. <https://www.ghn.ge/news/237403-stalini-rogor-ts-mesia-kartul-politikur-lirikashi> (10.02.2022).
- Pisch, Anita. 2016. *The Personality Cult of Stalin in Soviet Posters, 1929-1953: Archetypes, Inventions and Fabrications*. ANU Press. <http://www.jstor.org/stable/j.ctt1q1crzp> (10.02.2022).
- Sayed, Lena. 2011. *The Function of Dreams and Dreaming (Moving towards an integrated understanding)*. A Thesis for the Professional Programme. University of Oslo.
- Ratiani, Irma. 2010. *Text and Chronotope*. Tbilisi: Tbilisi State University Press. რატიანი, ირმა. 2010. *ტექსტი და ქრონოტოპი*, თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Ratiani, Irma. 2010. *Totalitarianism and Literary Discourse: The Twentieth Century Experience*. Tbilisi: Tbilisi State University Press. რატიანი, ირმა. 2010. *ტოტალიტარიზმი და ლიტერატურული დისკურსი: მეოცე საუკუნის გამოცდილება*. თბილისი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- Ryan, Marie-Laure and Bell, Alice. 2019. Introduction: Possible Worlds Theory Revisited. In Bell and Ryan 2019, 1-46.
- Solms, Mark and Oliver H. Turnbull. 2000. *The Brain and the Inner Word*. New York: Other Press.
- Shavreshiani, Eter. 2021. About Zaira Arsenishvili's Novel "Requiem

- for Bass, Soprano and Seven Instruments, or a Portrait of a Young Writer. *Mastsavlebeli.ge*, 7 July. შავრეშიანი, ეთერ. 2021. ზაირა არსენიშვილის რომანის — „რეკვიემი ბანის, სოპრანოსა და შვიდი ინსტრუმენტისათვის, ანუ ახალგაზრდა მთხზველის პორტრეტი“ — შესახებ, *ჟურნალი „მასწავლებელი“*, 7 ივლისი. <http://mastsavlebeli.ge/?p=29840>. (10.02.2022).
- States, Bert O. 2000. Dream Bizarreness and Inner Thought. *Dreaming* 10.4. 179–92. <https://doi.org/10.1023/A:1009438406510> (10.02.2022).
- Tsipuria, Bela. 2016. *Georgian Text in the Soviet / Post-Soviet / Postmodern Context*. Tbilisi: Ilia State University Press. წიფურია, ბელა. 2016. *ქართული ტექსტი საბჭოთა / პოსტსაბჭოთა / პოსტმოდერნულ კონტექსტში*, თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. <https://bit.ly/3DzP2Kd> (10.02.2022).
- Walsh, Richard. 2012. Dreaming and Narration. In: *The Living Handbook of Narratology*, eds. Peter Hühn, Jan Christoph Meister, John Pier and Wolf Schmid. Hamburg: Hamburg University. URL: Dreaming and Narration - the living handbook of narratology (uni-hamburg.de) (10.10.2021).
- Walsh, Richard. 2010. Dreaming and Narrative Theory. In *Toward a Cognitive Theory of Narrative Acts*, ed. Frederick Luis Aldama, 141-57. Austin: University of Texas Press. https://www.academia.edu/30467502/Dreaming_and_Narrative_Theory (10.02.2022).

ილუსტრაციები
Illustrations



1. მთხრობლის სიზმარი („ვა, სოფელო“)
მხატვარ-ილუსტრატორი ნინო ჯღარკავა
The narrator's dream ("Oh, World!") (by Nino Jgharkava)



2. ჯეირან ქაშიბაურის სიზმარი („რეკვიემი“)
მხატვარ-ილუსტრატორი ელენე გრემელაშვილი
Jeyran Kashibauri's Dream ("Requiem") (by Elene Gremelashvili)



3. თამარის სიზმარი 1 („კენჭები“)
გრაფიკული პოსტერის ავტორი ნინა გამცემლიძე
Tamar's Dream 1 (“When Fear and Trembling are Raging”)
(by Nina Gamtsemlidze)



4. თამარის სიზმარი 2 („კენჭები“)
გრაფიკული პოსტერის ავტორი ნინა გამცემლიძე
Tamar's Dream 2 (“When Fear and Trembling are Raging”)
(by Nina Gamtsemlidze)



5. თამარის სიზმარი 3 („კენჭები“)
გრაფიკული პოსტერების ავტორი ნინა გამცემლიძე
Tamar's Dream 3 (“When Fear and Trembling are Raging”)
(by Nina Gamtsemlidze)

თვალსაზრისი OPINION

მერაბ ლალანიძე
საქართველოს უნივერსიტეტი

პაპი ჰრომისა, – სასურველი მწირველი მეფე დავითისათვის, – „ვეფხისტყაოსნის“ პროლოგში

“ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერები შესამჩნევი მრავალფეროვნებით ხასიათდება და ისინი ერთმანეთისაგან, – ტექსტის მოცულობის თუ შინაარსის მხრივ, – მეტ-ნაკლებად განსხვავდება, თუმცა, ამ კუთხით, განსაკუთრებულად გამოირჩევა პოემის პროლოგი, რომლის ავტორობა, შედგენილობა, სტროფების თანამიმდევრობა, ცალკეული ფრაზების გამართვა ტექსტის მკვლევართათვის თითქმის გადაუწყვეტელ თავსატეხს წარმოადგენს¹. “ვეფხისტყაოსნის” კვლევათა ისტორიაში თვალშისაცემია არაერთი შემთხვევა, როცა პოემის თვით ერთი და იგივე შემსწავლელიც კი პროლოგის შესახებ რომელიმე საკუთარი შეხედულების შემუშავებიდან სულ რამდენიმე წლის შემდეგ ისევ ახალ, მაგრამ ადრინდელისგან სრულიად განსხვავებულ შეხედულებას წარმოადგენდა. მყარად ჩამოყალიბებული ან საყოველთაოდ გაზიარებული თვალსაზრისი, თუ ვინ უნდა იყოს ავტორი პოემის წინათქმის ამ ორმოცამდე ან ორმოცზე მეტი სტროფისა, – თუნდაც ცალ-ცალკე, თუნდაც ჯგუფურად, თუნდაც მთლიანად, – ანკი, როგორ უნდა განისაზღვროს მათი თანამიმდევრობა და როგორ უკავშირდება ისინი თვით “ვეფხისტყაოსნის” ტექსტს, არც შემუშავებულა და ჯერჯერობით არც შესაძლებლად ჩანს, რომ არსებული მწირი წყაროების საფუძველზე ადვილად და დარწმუნებით შემუშავდეს.

ღირსშესანიშნავია, რომ პოემის რამდენიმე ძველი ხელნაწერი შეიცავს პროლოგის ორ, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ-გადაბმულ სტროფს, – ტექსტის თითქმის დასაწყისშივე, – რომლებიც “ვეფხისტყაოსნის” კვლევათა ისტორიის განმავლობაში (მოკიდებული

¹ ვრცლად: სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია”, წგ-ში: სარგის ცაიშვილი, *წერილები და გამოკვლევები*, I, თბ.: მეცნიერება, 1984, გვ. 3-338; სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები”, იქვე, გვ. 339-547.

ნაწარმოების პირველი – ვახტანგისეული – გამოცემიდან, 1712) არასოდეს ყოფილა მიღებული ავტორისეულ ტექსტად, არამედ მიჩნეული იყო გვიანდელ ჩანართად, რის გამოც ეს ორსტროფედი შესულია თხზულების მხოლოდ სრული ტექსტის, – ჩანართიან და დანართიან, – გამოცემებში. შესაბამისად, მეოცე საუკუნეში დაბეჭდილ “ვეფხისტყაოსნის” მრავალრიცხოვან გამოცემათა შორის ის მხოლოდ ორ მათგანშია შეტანილი (1956 წლისა² და 1961 წლისა³). შემდგომ, მიმდინარე საუკუნეში, ორივე ეს სტროფი გამოქვეყნდა კიდევ ორჯერ, როცა ისინი დაიბეჭდა პოემის ამგვარსავე სრულ გამოცემებში (2006 წლისა⁴ და 2014 წლისა⁵). ოთხივე ეს გამოცემა⁶ მიზნად ისახავს “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერთა მონაცემების სრულად ასახვას: მათში განხორციელდა მცდელობა, გარდა ცალკეულ ხელნაწერთა წაკითხვების განსხვავებულობათა ჩვენებისა, შეკრებილიყო და გამოქვეყნებულიყო უკლებლივ ყველა სტროფი, რომლებიც მოიპოვება თხზულების სხვადასხვა ნუსხაში. ჩამოთვლილი გამოცემები არ ემსახურება საჯარო მკითხველს, – ისინი საგანგებოდ სამეცნიერო გამოცემებია, რომლებიც გამოქვეყნდა კვლევითი დანიშნულებით და განკუთვნილია აკადემიური მიზნებისათვის.

- 2 ვეფხისტყაოსანი: ჩანართი და დანართი ტექსტებით, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა, წინასიტყვაობა და საძიებლები დაურთო სოლომონ ყუბანეიშვილმა, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1956, გვ. 1.
- 3 ვეფხისტყაოსნის ხელნაწერთა ვარიანტები, ნაკვეთი პირველი, გამოსაცემად მოამზადა სოლ. ყუბანეიშვილმა, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1961, გვ. 2-3.
- 4 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: დანართებიანი და ჩანართებიანი ტექსტი, ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, თბ.: კავკასიური სახლი, 2006, გვ. 1-2 (ტექსტი გამოქვეყნებულია წიგნის მეორე ნაწილში, ხელახალი პაგინაციით); წიგნი, ფაქტობრივად, წარმოადგენს აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით 1966 წელს გამოქვეყნებული პოემის სამეცნიერო გამოცემის საბოლოო, სრულ ვერსიას, რომელიც თავდაპირველად ჩაფიქრებული იყო ორი ტომის მოცულობით, მაგრამ 1966 წელს გამოიცა ტექსტის მხოლოდ პირველი ტომი, – ჩანართებისა და დანართების გარეშე: ვეფხისტყაოსანი: ტექსტი ძირითადი ვარიანტებით, კომენტარებითა და ლექსიკონითურთ, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, 1: შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: ტექსტი და ვარიანტები, თბ.: მეცნიერება, 1966; ამდენად, ამ ტომში არაა შესული – და, რედაქტორთა თვალსაზრისისა თუ ჩანაფიქრის გათვალისწინებით, ვერც შევიდოდა – ეს ორსტროფედი.
- 5 შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი (ძირითადი და ჩანართი სტროფები) ვარიანტებითა და კომენტარებით, ნაკვეთი I, თბ.: საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, 2014, გვ. 21-22; გამოცემა წარმოადგენს “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური ტექსტის დამდგენი კომისიის მთავარი რედაქციის მიერ 1960-იანი წლების დასაწყისიდან 1980-იანი წლების მიწურულამდე მომზადებულ მასალას, რომელშიც სრულადაა ასახული ყველა ხელნაწერსა და ყველა გამოცემაში არსებული ვარიანტები.
- 6 უცნაურია, რომ ორსტროფედი შეტანილი არაა გამოცემაში: ვეფხისტყაოსანი: ჩანართი და დანართი, ტექსტი გამოსაცემად დაამზადა და წინასიტყვაობა შენიშვნებით დაურთო სოლომონ იორდანიშვილმა, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1948.

ამდენად, ეს სტროფები თვით პოემის შემსწავლელთა შორისაც კი მხოლოდ ერთეულ მკვლევართათვისაა ცნობილი, – მხოლოდ მათთვის, ვისაც პოემის სრულ ტექსტზე საგანგებოდ უმუშავია.

ზემორე დასახელებული ყველა იმ გამოცემის გათვალისწინებით, რომლებშიც ასახულია ყველა ხელნაწერში წარმოდგენილი სურათი, პოემის პროლოგის ქვემოთ ორი სტროფს⁷, – წყაროების მონაცემთა შესწავლის, ტექსტის დადგენისა და გააზრების შედეგად⁸, – ამგვარი სახე უნდა ჰქონდეს:

შენ შეჰქმენ დავით მალალი, თვით მეფე დავითიანად,
გონება დიდად მოწყალე, მართ ერთ გულმოწყალიანად,
მნათობი ყოვლთა მხედველთა, ვითა მთა სანათიანად,
და უმისოდ მზეცა ვერ ნათობს, ვერც ლომი ნაკვეთიანად.
გვირგვინი, ტახტი, პორფირი ღმრთისგან გაქვს, სკიპტრა პირველი,
ერთგულთა დიდად მოწყალე, ორგულთა რისხვით მჭირველი.
შენად სამონოდ მეფენი მოვლენ, სხვაგანისა მირველი,
და კამს, თუმცა პაპი ჰრომისა რომ შენთვის იყო მწიროველი.

ორივე ეს სტროფი – უცვლელი თანამიმდევრობით – დაცულია “ვეფხისტყაოსნის” შემდეგ ნუსხებში⁹:

1. ნიკო ბერძენიშვილის სახელობის ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში დაცული ხელნაწერი K 205, რომელიც თარიღდება 1680-იანი წლებით;

2. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ახალი ფონდის ხელნაწერი Q 261, რომელიც თარიღდება მეჩვიდმეტე საუკუნის მიწურულით;

3. კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცული ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ხელნაწერთა ფონდის ხელნაწერი S 4527, რომელიც თარიღდება 1805 წლით;

4. გიორგი ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში დაცული ხელნაწერი 10768/191, რომელიც თარიღდება მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისით;

5. ეროვნულ სამეცნიერო ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერი K 252999/2, რომელიც თარიღდება 1860 წლით.

7 სტროფები ამგვარადაა დანომრილი: 1956 წლის გამოცემაში – 2¹-2²; 1961 წლის გამოცემაში – 2¹-2²; 2006 წლის გამოცემაში – 4-5; 2014 წლის გამოცემაში – 1,1-1,2.

8 წაკითხვათა არჩევანისას უპირატესობა მიენიჭა უძველეს – მეჩვიდმეტე საუკუნის – ხელნაწერთა მონაცემებს.

9 “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერები ერთიანად და დაწვრილებით აღწერილია: სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები”, გვ. 366-521; ხელნაწერთა მოკლე აღწერილობა (ფოტოებით): შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი: ხელნაწერი მემკვიდრეობა, თბ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2013, გვ. 281-339.

პომის პროლოგი, თავისთავად, ყველაზე მეტადაა დაზიანებული ხელნაწერებში და მათი მნიშვნელოვანი ნაწილი, საერთოდ, არ შეიცავს იმ საწყის გვერდებს, სადაც ის უნდა ყოფილიყო მოთავსებული (თუმცა არსებობს ნუსხებიც, რომლებიც შეიცავს პროლოგს, მაგრამ ამ ორსტროფედის გარეშე, – ისევე როგორც პროლოგის სხვა სტროფების შემთხვევისას, როცა ზოგიერთი მათგანი ზოგან გამორჩენილია ან გამოტოვებულია)¹⁰.

ამასთანავე, მართალია, “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერთა დაჯგუფება-კლასიფიკაცია თუ ცალკეული ხელნაწერის დათარიღება დღემდე საკამათო საგანია და საბოლოოდ დადგენილად ვერ მიიჩნევა, მაინც შეიძლება დარწმუნებით ითქვას, რომ ის ნუსხები, რომლებშიც შენარჩუნებულია ეს ორსტროფედი, უძველეს და საუკეთესოდ შენახულ ცალებს წარმოადგენს. ისიც აღსანიშნავია, რომ არცერთი ამ ხუთ ხელნაწერთაგან (განსხვავებით ხელნაწერთა უმრავლესობიდან) არ წარმოადგენს გადანაწერს ვახტანგისეული პირველნაბეჭდი გამოცემიდან (1712) და ნამდვილად ასახავს ტექსტის ძველ ტრადიციას.

როგორც ჩანს, პროლოგის ეს ორი სტროფი პირველად გამოაქვეყნა სარგის კაკაბაძემ თავის ნარკვევში “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, რომელიც დაიბეჭდა ჟურნალ “საისტორიო მოამბის” პირველ გამოშვებაში, 1924 წელს¹¹. რამდენიმე წლის შემდეგ, 1927 წელს, ორთაგან მხოლოდ მეორე სტროფი დაიბეჭდა იმავე სარგის კაკაბაძის მიერ გამოცემულ “ვეფხისტყაოსანში”¹². აღსანიშნავია, რომ კაკაბაძისეულ უფრო ადრეულ, 1913 წლის გამოცემაში, რომელიც პომის ჩანართიან-დანართიან და, საერთოდ, პირველ სრულ გამოცემას წარმოადგენს, ეს ორსტროფედი ნახსენებიც კი არსადაა¹³.

10 პროლოგის მდგომარეობა ხელნაწერებში დაწვრილებით განხილულია: სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია”, გვ. 169-195; იქვე, გვ. 172: “პროლოგის რედაქციულ დახასიათებას უეჭველად ართულებს ის გარემოება, რომ პომის ეს ნაწილი ხელნაწერებში თითქმის ყველაზე უფრო დაზიანებულია. უფრო მეტიც, მოიპოვება რამდენიმე მნიშვნელოვანი ხელნაწერი, მაგრამ ჩვენამდე არ მოუღწევია მათ პროლოგს”.

11 სარგის კაკაბაძე, “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, *საისტორიო მოამბე*, 1, 1924, გვ. 127; ნარკვევში სტროფები ამგვარადაა დანომრილი: 4-5; ორივე სტროფის წინ მინაწერია: “(უცნობი)”.

12 *ვეფხისტყაოსანი*: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, ტფ., 1927, გვ. XI.

13 რისი მიზეზიც, როგორც ჩანს, უნდა იყოს ის გარემოება, რომ კაკაბაძეს, როგორც თავად ჩივის გამოცემის წინასიტყვაობაში, არ მისცეს საშუალება, გასცნობოდა სხვადასხვა ქართულ საცავებში დაცულ “ვეფხისტყაოსნის” ხელნაწერებს: *ვეფხისტყაოსანი*, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, ტფ., [1913], გვ. 3; მიუხედავად ამისა, რედაქტორისეული გვიანდელი (1927) განცხადებით, “[1913 წლის] გამოცემა შეიცავს ვ.-ტყაოსნის სრულს ტექსტს ხელნაწერების მიხედვით, გაგრძელებით და ყველა ნართაულ ტაპით” – *ვეფხისტყაოსანი*: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გვ. CXLIV.

რაც შეეხება ამ სტროფების შინაარსს, თანამედროვე ენაზე ის ამგვარად შეიძლება გადმოიციეს:

[ლმერთო,] შენი შექმნილია აღმატებული მეფე დავითი, დავითის შთამომავალი, რომელსაც ერთობლივ აქვს დიდად მოწყალე გონებაც და მოწყალე გულიც. ყველა მისი მხედველისათვის იგი მნათობია, როგორც განათებული, მოელვარე მთა, ხოლო მის გარეშე ვერც მზე იკაშკაშებს და ვერც ღომი [ივარგებს] ტანადობით.

[მეფეო,] შენ ფლობ გვირგვინს, ტახტს, პორფირსა და უპირველეს სკიპტრას. შენ ხარ დიდად მოწყალე ერთგულთა, ხოლო რისხვით აღავსე – ორგულთა მიმართ. იმისათვის, რათა შენ დავემორჩილონ, მოდიან მეფეები, რომლებიც სხვაგან, თავისთან ხელისუფალნი არიან. სასურველი იქნება, რათა რომის პაპმა შენთვის აღავლინოს წირვა.

საყურადღებოა ამ ორსტროფედისათვის საგანგებოდ მიჩენილი ადგილი მთელი პროლოგის სტრუქტურაში: მას შემდეგ, რაც თავიდანვე აღწერილია სამყაროს შემოქმედი ღმრთის ქმედებანი (“რომელმაც შექმნა სამყარო...”), ხოლო შემდგომ პოეტი მიმართავს ღმერთს (“ჰე, ღმერთო, ერთო...”), იგი ისევ განაგრძობს თავის მიმართვას, ოღონდ ამჯერად უზენაესი არსება წარმოჩენილია არა როგორც სამყაროსა და, საზოგადოდ, “ყოველი ტანის” “სახის” შემოქმედი, არამედ, როგორც, კერძოდ, ერთი მეფის – დავითის – შემქმნელი (“შენ შექმენ დავით მალალი”), – იმ მეფისა, რომელიც, ისევე როგორც ყოველი მეფე, ღმრთის შექმნილია და ღმრთის ასახვას წარმოადგენს.

თუ ორსტროფედის პირველ სტროფში ავტორი ღმერთს ემადლიერება მეფის შექმნისათვის და, შესაბამისად, იგი ისევ ღმერთს მიმართავს, მეორე სტროფი წარმოადგენს მიმართვას თავად ხელმწიფისადმი.

პოეტმა უწყის, რომ აღმატებული მეფე დავითი შექმნა ღმერთმა, რადგან, საერთოდ, “მისგან არს ყოვლი ხელმწიფე”, როგორც მანამდე ითქვა, მაგრამ მეფე დავითის განსაკუთრებულობა, გამორჩეულობა, ღმრთაებრივი ნიშანდება გამოიხატება მის დავითიანობაში, ანუ იმ გარემოებით, რომ მეფე დავითი, როგორც ბაგრატიონთა წარმომადგენელი, შთამომავალია ბიბლიური დავითისა, – თავისი თანამოსახელე დავითისა, რომელიც, წმიდა წერილის მიხედვით, ღმრთისაგან ნაკურთხი მეფეა¹⁴.

ამდენად, ორსტროფედის პირველი ტაეპის რელიგიურ-პოლიტი-

14 ქართველ ბაგრატიონთა ბიბლიურ დავითთან ნათესაობრივი კავშირის შესახებ – შესაბამის ქართულ წყაროთა ავტორისეული მიმოხილვა: მერაბ ლაღანიძე, “ბატონიშვილი ვახუშტი სამეფო წარწერათა გამო ერთიანი საქართველოს ნიშანთა შორის”, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, XXI, 2019, გვ. 120-123.

კური განზომილება ყურადღებას იპყრობს იმ ხანგრძლივი ტრადიციის კიდევ ერთხელ დამოწმებითა და დადასტურებით, რომელიც ბაგრატიონების სამეფო სახლს უკავშირებს დავითის, – ებრაელთა მეფის, წინასწარმეტყველისა და მეფსალმუნის, – სახელს, მაგრამ კიდევ მეტი: რაკი ეს სიტყვები ეძღვნება ქართველთა მეფეს, დავითს, ამ შემთხვევისას ამგვარ დაკავშირებას თუ დროთა თანახმიერებას უფრო ცხადი და მეტყველი საყრდენი აღმოაჩნდა, რადგან კავშირი გამოიხატა უშუალო ერთიანობითაც ეპონიმთან, – ქართველი მეფე, რომელსაც ეძღვნება ეს სტროფები, ამჯერად თავისი ებრაელი წინაპრის სეხნიაა და, შესაბამისად, კიდევ უფრო მეტად მონათესავეა სამეფო ღინასტიის უძველეს წინამორბედთან: მეფე დავითი დავითიანია!

ავტორი აღნიშნავს – ერთდროულად, ერთმანეთის გვერდით – მეფის როგორც ინტელექტუალურ, ისე ემოციურ პიროვნულ განზომილებას, და ორივე მხრივ იგი განსაკუთრებულად გამორჩეულია.

შემდგომ მეფე შედარებულია მნათობთან, რომელსაც ისევე ყველა ხედავს, როგორც მთაზე, მთის მწვერვალზე განათებულ ადგილს, რომელიც გარემოს შუქს ჰფენს. ამავე დროს, მეფე ისეთი მნათობია, რომელიც განაპირობებს სამყაროსეულ და დედამიწისეულ ცხოვრებას, რადგან ვერც ზეციურ სივრცეში ექნება ძალა მზეს უმისოდ და ვერ განათებს, და ვერც ხმელეთზე ივარგებს ლომი, მის გარეშე, – ტანადობით, ძალით, ძლიერებით. ამდენად, მეფე კოსმოსური და ბიოლოგიური ყოფნის განმსაზღვრელი პირობაა, – მზის ნათება და ცოცხალი არსების ძალმოსილება დამოკიდებულია მასზე, რადგან მათი არსებობის საფუძვლად გამოცხადებულია მეფე დავითის არსებობა.

მეფეს, როგორც ხელისუფალს, მოეპოვება ყველა სამეფო ნიშანი: ტახტი, რომელზეც იგი დაბრძანდება; გვირგვინი, რომელიც მას თავზე ადგას; უპირატესი სკიპტრა, რომელიც მას ხელთ უპყრია; პორფირი, რომლითაც იგი შემოსილია, – იგი სრულყოფილი მეფეა, აღჭურვილი სრული და კანონიერი ძალაუფლებით. მისი ძალაუფლება ორლესულია, რადგან ის მიმართულია სასიკეთოდ – მოყვარეთა მიმართ და საზიანოდ – მტერთა მიმართ, მაგრამ მისი ურთიერთობანი როგორც პირველებთან, ისე მეორეებთან გაწონასწორებული, სამართლიანი და პატიოსანია: ერთგულნი იღებენ მისგან დამსახურებულ მოწყალებას, ხოლო ორგულნი – დამსახურებულ სასჯელს. მას, როგორც ღმრთის მიწიერ სახეს, უფლება აქვს, დააჯილდოს თავდადებული ქვეშევრდომნი და დასაჯოს მუხანათი მოღალატეები.

მაგრამ მისი გავლენა და სახელი არ შემოიფარგლება მხოლოდ კუთვნილი სამკვიდროთი და ქვეყნის ფარგლებს გარეთაც ვრცელდება, რადგან ის მეფეები, რომლებიც სხვაგან მეფობენ და თავიანთ ქვეყა-

ნათა ხელისუფალნი არიან, მოდიან მასთან, რათა საკუთარი ნებით შე-
სთავაზონ მას საკუთარი მორჩილება¹⁵.

დაბოლოს, მეფის კოსმოსურ-პლანეტური განდიდება მთავრდება
აღმატებული სურვილით, რომ საჭიროა, – მის მეფობას ეკუთვნის და
შეეფერება, – რათა მეფე დავითის სახელზე საგანგებო წირვა ჩაატა-
როს რომის პაპმა.

პროლოგის პირველი სტროფიდან დაწყებული მსჯელობა ღმრთის
რაობის შესახებ და მეორე სტროფიდან დაწყებული მიმართვა ღმრთის
მიმართ პროლოგის მეოთხე სტროფის ბოლოს მთავრდება დედამიწაზე
ღმრთის წარმომადგენლის, რომის პაპის ხსენებითა და იმ იმედით, რომ
მისეული წირვა ღმრთაებრივი მაღლით აღჭურავს მეფეს, თუნდაც
ღმრთაებრივი წარმოშობისას, მაგრამ მაინც ადამიანს, ცოდვილს, და
მას მიწიერ ცოდვათაგან გაწმენდს. როცა პოეტი წერს, რომ საჭიროა,
რათა პაპმა აღავლინოს წირვა მეფე დავითისათვის, იგულისხმება,
რომ იგი ამას არა მარტო საჭიროებს, არამედ სავსებით იმსახურებს.
საგანგებოდ აღსანიშნავია, რომ ავტორი სასურველად და შესაბამისად
მიიჩნევს არა, ზოგადად, წირვის აღვლენას მეფის სულიერი ძალმოსი-
ლების მოსაკრებად, რაც ნებისმიერ მღვდელმსახურს დაუბრკოლებ-
ლივ შეუძლია აღასრულოს, არამედ ღმრთისმსახურება, მისი რწმენით,
უნდა ჩაატაროს, ქრისტიან მღვდელმსახურთა შორის უმაღლესმა პი-
რმა და, ზოგადად, ქრისტიანთა უზენაესმა სულიერმა მამამ – კათო-
ლიკე ეკლესიის მეთაურმა, რითაც პოეტი გამოხატავს მეფე დავითის
განსაკუთრებულ ადგილს, ღირებულებასა და მნიშვნელობას დედამი-
წის მონარქთა შორის.

დასტურს ხელმწიფის ღმრთაებრივი წარმოშობის შესახებ, ასევე,
შეხსენებას, რომ ქართველთა მეფე ენათესავება დავით წინასწარმე-
ტყველს (რაც იმასაც ნიშნავს, რომ, თავის მხრივ, რაკი დავით მეფსა-
ლმუნე იესო ქრისტეს წინაპარია, შესაბამისად, ბაგრატიონთა სამეფო
შტოს წარმომადგენლებიც იესოს სისხლისმიერი ნათესავები არიან),
ავგირგვინებს რომის პაპის, ქრისტეს მოსაყდრისა და ქრისტიანთა სა-
ყოველთაო მწყემსის, მიერ საგანგებოდ მეფე დავითისათვის – თუნდაც
წარმოსახულად, თუნდაც სასურველად – აღვლენილი საღმრთო ლი-
ტურგია.

პროლოგის ორსტროფედს მოჰყვება სტროფები, რომლებიც ბუნებ-
რივად, თანამიმდევრულად აგრძელებს პოეტის სათქმელს: თუ როგორ
იმშვენებს იარაღის ტარებას ეს მეფე-ლომი (“ვის ჰშვენის, – ლომსა, –

15 ალექსანდრე გვახარიას თვალსაზრისით, “მირველი” არაბულ-სპარსული სამოხე-
ლო ცნება უნდა იყოს და ნიშნავს მმართველს, მბრძანებელს: შოთა რუსთაველი,
ვეფხისტყაოსანი: აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი (ძირითადი და ჩა-
ნართი სტროფები) ვარიანტებითა და კომენტარებით, ნაკვეთი I, გვ. 22.

ხმარება...”), რომლის მეუღლეა და რომლის მზეა (მეფის მზეა!) თამარი (“მეფისა მზის – თამარისა, ლაწვ-ბადანშ, თმა-გიშერისა...”), და კიდევ, რომ ქებას იმსახურებს თამარიც, რომელიც დასტირის მეფის დაღვრილ სისხლს (“თამარს ვაქებდეთ მეფესა სისხლისა ცრემლ-დათხეული”), და სწორედაც ქებას ასხამს მოშაირე ხელმწიფეთ, – დავითის შემდგომ მის მეუღლეს თამარს (“თამარს ვაქებდეთ...”), – რომელთა საქებრადაც ევალება წერა პოეტს (“მიბრძანეს მათდა საქებრად...”).

რაც შეეხება ამ და მომდევნო სტროფებს, მათი გამოწველილვითი შესწავლა, ისევე როგორც “ვეფხისტყაოსნის” მთელი პროლოგის სტრუქტურის დადგენა თუ შინაარსის განმარტება ცალკე, განსაკუთრებულ, საგანგებო კვლევასა და ამ კვლევის შედეგების ფართო განსჯას საჭიროებს.

ისევ ორსტროფედთან დასაბრუნებლად, უნდა ითქვას, რომ მსჯელობანი პოემის პროლოგის ამ მონაკვეთის ირგვლივ დღემდე გამოქვეყნებულ გამოკვლევებში “ვეფხისტყაოსნის” შესახებ უკიდურესად მწირია¹⁶ და, ფაქტობრივად, არც სცდება სარგის კაკაბაძის ნარკვევების ფარგლებს, თუმცა მათშიც კი ამ ორ სტროფს მეტად მცირე ყურადღება ექცევა; სარგის ცაიშვილი მათ ასე – ჩაულრმავებლად – მოიხსენიებს: “ორი თავისებური ჩანართი”¹⁷; ყველაზე ვრცლად ამ ორსტროფედის შესახებ ნათქვამია “ვეფხისტყაოსნის” აკადემიური გამოცემის მასალების გამოქვეყნებულ ნაკვეთში¹⁸, თუმცა იქ მხოლოდ გადმოცემული და შეჯამებულია უკვე არსებული, მანამდე გამოქვეყნებული შეხედულებანი პროლოგის ამ ნაწილის შესახებ.

რაც შეეხება ორსტროფედის დათარიღებას, საკუთარი თვალსაზრისი თავდაპირველად გამოთქვა ისევ სარგის კაკაბაძემ, რომელიც 1924 წელს მიიჩნევდა, რომ ტექსტში ხსენებული დავითი უნდა იყოს მეფე დავით მეათე,

ხოლო თავად ტექსტი უნდა ეკუთვნოდეს დავით ქართლის მეფის († 1526 წ.) ხანას, რომელ მეფეს წინასიტყვაობაში მიძღვნილი აქვს ორ ნართაული ხანა [=სტროფი]¹⁹.

აღსანიშნავია, რომ ეს შეხედულება ნარკვევის ავტორს არა მა-

16 აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საგანგებო ნაშრომში, რომელიც “ვეფხისტყაოსნის” პროლოგს ეძღვნება, – მერი გუგუშვილი, *ვეფხისტყაოსნის პროლოგის საკითხისათვის*, თბ.: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1958, – ეს ორი სტროფი, საერთოდ, არცაა ნახსენები, თუმცა ავტორი რამდენჯერმე გაკვრით მიუთითებს საკუთარი ნაშრომის ვრცელ, გამოუქვეყნებელ ვერსიასაც (გვ. 18, 27), რომლის შინაარსი გამოქვეყნებული ვერსიის მკითხველისათვის უცნობია.

17 სარგის ცაიშვილი, “ვეფხისტყაოსნის ტექსტის ისტორია”, გვ. 185.

18 შოთა რუსთაველი, *ვეფხისტყაოსანი*: აკადემიური გამოცემის მასალები, ტექსტი (ძირითადი და ჩანართი სტროფები) ვარიანტებითა და კომენტარებით, ნაკვეთი I, გვ. 21-22.

19 სარგის კაკაბაძე, “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, გვ. 165.

რტო არ დაუსაბუთებია ან განუვითარებია, არამედ მან ის გამოთქვა მხოლოდ გაკვრით, სასხვათაშორისოდ, რამე მტკიცებულებით დადასტურების გარეშე, თანაც, არა იქვე, სადაც, საერთოდ, პირველად გამოქვეყნდა ორსტროფედი, არამედ თავისი გამოკვლევის ბოლო მონაკვეთში, სადაც ავტორი “ვეფხისტყაოსანთან” დაკავშირებულ არაერთ სხვადასხვა საკითხზე მსჯელობს.

ნიშანდობლივია, რომ კაკაბაძემ მალევე შეცვალა თავისი თვალსაზრისი: სამი წლის შემდეგ, 1927 წელს, “ვეფხისტყაოსნის” მისეულ მეორე გამოცემაში, მკვლევარმა მიიჩნია, რომ მეფე დავითი, რომელსაც ეძღვნება ეს ორი სტროფი, არის მეფე დავით მეცხრე (კაკაბაძით – მერვე), გიორგი ბრწყინვალის ძე, რომელიც მეფობდა სრულიად საქართველოში მეთოთხმეტე საუკუნის შუახანებში, თუმცა იგი არც იმას გამორიცხავდა, რომ პროლოგის მეფე დავითი, შესაძლებელია, ყოფილიყო მეფე დავით მერვე (კაკაბაძით – მეშვიდე), დიმიტრი თავდადებულის ძე, რომელიც მეცამეტე საუკუნის დასასრულს მეფობდა, მაგრამ იქვე მკვლევარი თავდაჯერებით უარყოფდა, – 1924 წელს გამოთქმული საკუთარი შეხედულების საწინააღმდეგოდ, – ტექსტისეული მეფე დავითის ვინაობის დაკავშირებას ქართლის მეფესთან, დავით მეათესთან:

ეს დავით მეფე, ჩვენის აზრით, უფრო უნდა იყოს მე-14 საუკუნის ნახევარში მცხოვრები საქართველოს მეფე დავითი, გიორგი ბრწყინვალის შვილი²⁰;

ჩვენ გვგონია, რომ ეს შესხმა უფრო შეიძლება დაკავშირებულ იქნას გიორგი ბრწყინვალის შვილის დავითის სახელთან, ვიდრე ქართლის მეფე დავით კონსტანტინეს ძესთან († 1526 წ.), რადგან უკანასკნელის დროს ქართლი იმდენად დასუსტებული იყო, რომ “სხვაგნით სამონოდ” მეფეების ამ დავითთან მოსვლაზე ლაპარაკი თუნდაც შესხმაში ძნელი იქნებოდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ შესხმა შეიძლება დაკავშირებული იქნას როგორც გიორგი ბრწყინვალის შვილის დავით VIII-ის, ისე თითქმის ასეთივე უფლებებით დიმიტრი თავდადებულის ძის დავით VII-ის სახელთან უფრო მისი მეფობის პირველ წლებში, როდესაც მას ეჭირა მთელი ამიერი საქართველო. უკანასკნელ შემთხვევაში შესხმა მიეკუთვნებოდა მე-13 საუკუნის დასასრულსაც²¹.

20 ვეფხისტყაოსანი: გამოკვლევა, ტექსტი, ლექსიკონი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გამოცემა მეორე, გვ. XI.

21 იქვე; მანამდე კაკაბაძე მიიჩნევდა, რომ “ვეფხისტყაოსნის” თავდაპირველი ავტორი იყო სარგის თმოგველი, მეცამეტე საუკუნის მიწურულში მცხოვრები პოეტი, ხოლო პოემის გამგრძელებელი – რუსთველი, მეთოთხმეტე საუკუნეში მცხოვრები პოეტი: “ვ.-ტყ.-სნის დაწერა უნდა მიეკუთვნოს 1250-1269 წელზე დაშორებულ დროს, მაგრამ არა უგვიანეს 1320 წლის ახლო ხანისა, [...] ვ.-ტყ.-სნის დაწერა მხარგრძელის შვილს სარგის თმოგველს უნდა ეკუთვნოდეს.

რამდენიმე ათწლეულის შემდეგ კი, 1966 წელს, სარგის კაკაბაძემ კიდევ ერთხელ შეცვალა თავისი თვალსაზრისი ორსტროფედის თარიღისა და მასში მოხსენიებული მეფე დავითის ვინაობის შესახებ:

ამჟამად ცხადი ხდება, რომ პროლოგის ხსენებული ნართაული სტროფების დავით მეფე უნდა იყოს ლაშას შვილი ულუ-დავითი²².

მეფე დავითის გამორჩეული, განსაკუთრებული ქება, გამოთქმული პოეტის მიერ, რა თქმა უნდა, განპირობებულია საკარო პოეზიის პანეგირიკული მისწრაფებითა და სტილით, მაგრამ, ლოგიკურად, ამგვარი დახასიათება მაინც ვერ მიეძღვნებოდა სრულიად უძლურ, უუფლებო, უმოქმედო, დამცირებულ თუ დაძაბუნებულ მმართველს.

კიდევ მეტი, სასურველია გამეორება, რომ მეფე დავითის ხელისუფლება პროლოგის ორსტროფედში აღწერილია როგორც სამეფო და სახელმწიფოებრივი ძლიერების აღზევება. ამავე დროს, დავითი განსაკუთრებულადაა აღიარებული და დაფასებული მეზობელთა თუ არამეზობელთა მხრივ, სხვა ქვეყნების მეფეთა მიერ, რომელთათვისაც, პოეტის სიტყვებით, სანატრელი გამხდარა მისი ქვეშევრდომობა.

ასევე, გასათვალისწინებელია, რომ ამ მეფის მმართველობის ხანაში განსაკუთრებული კავშირები, ანუ სიახლოვე უნდა არსებულიყო რომის საყდართან ან, პირადად, რომის პაპთან²³.

სარგისი პოემის ბოლოსიტყვაობაში იხსენებს დავით მეფეს, რომლისთვისაც მას მიუძღვნია თავისი ნაწარმოები. დავით დიმიტრი თავდადებულის ძე გამეფდა 1292 წლის დასაწყისში და მეფობდა [...] 1297 წელსაც. [...] სარგის თმოგველის როგორც ვ.-ტყ.-სნის დამწერის და დავით მეფის [...] დაკავშირება ერთმანეთთან შესაძლებელია 1292-1297 წლებში. ამ წლებში [...] უნდა იყოს დაწერილი პოემა ვეფხისტყაოსანი – სარგის კაკაბაძე, “ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო”, გვ. 155; “ვეფხისტყაოსნის გაგრძელების დაწერა რუსთველის მიერ შეიძლება მიეკუთვნოს 1320-1325 წლებს” – იქვე, გვ. 156; “პოემის ავტორად [...] სჩანს სარგის თმოგველი: თმოგველთა მიერ თმოგვის მიტოვების შემდეგ პოემის გაგრძელება დაუწერია რუსთველს, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს პოემის წინასიტყვაობის ნართაული ტაბეები თამარ მეფის მოხსენიებით” – იქვე, გვ. 148; “ეს თამარი უნდა ყოფილიყო აფხაზეთის მეფის კონსტანტინეს ქალი და გიორგი მცირეს ცოლი” – იქვე, გვ. 164; კიდევ უფრო ადრე, 1913 წელს, “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის ამ ორსტროფედისაგან სრულიად დამოუკიდებლად, “ვეფხისტყაოსნის” დაწერის თარიღს კაკაბაძე უკავშირებდა სხვა მეფე დავითსა და მეფე თამარს: “შოთამ დასწერა თავისი პოემა თამარ მეფის საქებ-სადიდებლად დავით მეფის ბრძანებით არა უადრეს მე-XIV საუკ. მეორე ნახევრისა და არა უგვიანეს მე-XV საუკ. ნახევრისა [...] მე-XV საუკ. დასაწყისში აფხაზეთ-იმერეთში მეფობდა თამარ მეფე. მისი თანამედროვე იყო დავით სომხითისა და მისი მიდამოების მეფე, რომელიც ტახტზე დაჯდა 1405 წელს. [...] შოთას სიტყვებიდან საფიქრებელია, რომ “ვეფხისტყაოსნის” გალექსვის ინიციატივას დავით მეფის მხრივ რომანიული სარჩული ედვა” – ვეფხისტყაოსანი, სარგის კაკაბაძის რედაქტორობით, გვ. 50.

22 სარგის კაკაბაძე, *შოთა რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი*, თბ.: განათლება, 1966, გვ. 17; თავის ამ გვიანდელ, შემაჯამებელ ნაშრომში რუსთველისა და “ვეფხისტყაოსნის” შესახებ მკვლევარი, საერთოდ, არც კი ახსენებს მეფე დავით მათეს.

23 სრულ “ვეფხისტყაოსანში”, ანუ პოემის ჩანართ-დანართებიან ვერსიაში დასახელებულია კიდევ ორი ქრისტიანი სასულიერო პირი, – მღვდელმთავარი,

ამიტომ, ხოტბა-შესხმის ნამდვილი ობიექტის დასადგენად და, შესაბამისად, ამ ორსტროფედის დასათარიღებლად საჭირო ხდება თვალის გადავლება ყველა იმ მეფის ვინაობისათვის, ვისაც “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის დაწერის დროის ახლო-მახლო ერქვა დავითი, – მეთორმეტე საუკუნიდან (რომლითაც ტრადიციულად თარიღდება მთელი “ვეფხისტყაოსანი”) მეჩვიდმეტე საუკუნემდე (რომლითაც თარიღდება პოემის უძველესი ხელნაწერი, სადაც დაცულია ორსტროფედი).

რამდენადმე მაინც, მეფის იდენტიფიცირების საშუალებას იძლევა ისტორიულად მეტ-ნაკლებად ცნობილი მოვლენები, რომლებიც საქართველოს სამეფო ტახტის მფლობელთა შორის სხვადასხვა მეფე დავითს უკავშირდება.

წინასწარვე შესაძლებელია გაცხადდეს, რომ დროის ამ მონაკვეთში სრულიად საქართველოს ან ქართულ სამეფოთა მეფეთაგან, რომლებიც დავითის სახელს ატარებდნენ, თავისი სახელმწიფოებრივი საქმიანობით, მნიშვნელობითა და გავლენით გამორჩეულია მეფე დავითი მეათე.

სარგის კაკაბაძის მეტად გაკვრით მინიშნებული ვარაუდისაგან დამოუკიდებლადაც (თანაც გასათვალისწინებელია, რომ მკვლევარმა მალე თავადვე უარყო თავისი შეხედულება), ისტორიულ წყაროთა შესწავლის შედეგად, სავსებით შესაძლებელია, ითქვას, რომ ვეფხისტყაოსნის პროლოგის ორსტროფედში ლაპარაკია სწორედ მეფე დავით მეათისა და არა რომელიმე სხვა დავითის შესახებ. ღირსშესანიშნავია, რომ, – სხვა დავითთა მეფობისაგან განსხვავებით, – სწორედ დავით მეათის დროს ქვეყანა განუწყვეტლივ იბრძვის თავისუფლებისა და ერთიანობისათვის, რამდენადმე წამოდგება კიდევ ფეხზე, ცდილობს ძალის მოკრებას, – პოლიტიკურადაც, ადმინისტრაციულადაც, სამხედრო თუ სამეურნეო თვალსაზრისითაც.

ამავე დროს, რაკი მეფე დავით მეათის მეუღლის სახელი იყო თამარი, სრულიად შესაძლებელია, რომ პროლოგში ნახსენები თამარი სწორედ მის თანამეცხედრეს გულისხმობდეს ან უკავშირდებოდეს.

ოლონდ ამჯერად ადგილობრივი, ქართული გარემოდან: “კათალიკოს-მაწყვრელი”, ანუ (საქართველოს) კათალიკოსი და აწყურის ეპისკოპოსი. ისინი მოხსენიებულია ეგრეთ წოდებულ “ინდო-ხატაელთა ამბავში” (სტრ. 1916) – შოთა რუსთველი, *ვეფხისტყაოსანი*: დანართებიანი და ჩანართებიანი ტექსტი, ვარიანტებითა და ლექსიკონითურთ, აკაკი შანიძისა და ალექსანდრე ბარამიძის რედაქციით, გვ. 386; ამ ტიტულების მოხსენიების, მნიშვნელობისა და მათი მეშვეობით პოემის შესაბამისი მონაკვეთის ავთენტიკურობისა თუ დათარიღების შესახებ – საკითხის მიმოხილვა: ალექსანდრე ბარამიძე, *შოთა რუსთველი*, თსუ-ს გამ-ბა, 1975, გვ. 413-416; შემდგომი გამოკვლევები: პროკოფი რატიანი, *ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი*, [I], თბ.: მერანი, 1975, გვ. 38-41, 324-329, 364-366, 399-401, 432; შერმადინ ონიანი, *ინდო-ხატაელთა ამბავი ვეფხისტყაოსანში*, თბ.: მეცნიერება, 1982, გვ. 143-163; პროკოფი რატიანი, *ვეფხისტყაოსანი და მისი ავტორი*, II, თბ.: მერანი, 1987, გვ. 123-124.

დავით მეათის ვინაობის, მისი მეფობის, მისი საქმიანობის შესახებ უპირიანი იქნება ციტირება მისი ხელმწიფობის მოკლე აღწერიდან, რომელიც ნიკო ბერძენიშვილს ეკუთვნის:

1505-1525 წლებში ქართლში მეფობდა დავითი. მის დროს ქართლის სამხედრო რეორგანიზაცია მოხდა. ქვეყანა დაყოფილი იქნა ოთხ ნაწილად. თითოეულ ნაწილს სადროშო ეწოდებოდა. სადროშოდან გამოსული ლაშქარი ცალკე ერთეულს “დროშას” ქმნიდა. [...]

დავითის დროს ჯერ კიდევ გრძელდება ბრძოლა ქართველ მეფე-მთავრებს შორის. ქართლის მეფემ ტყვედ ჩაიგდო გიორგი კახთა მეფე, მოკლა ის და თვითონ დაიჭირა კახეთი, მაგრამ საბოლოოდ მან ეს ქვეყანა ვერ შემოიმტკიცა. [...]

1518 წელს ირანის შაჰი დიდის ლაშქრით საქართველოსკენ წამოვიდა. მეფე დავითმა საქმის მშვიდობიანად მოგვარება სცადა. შაჰს შვილი მიუვლინა ელჩად. მორჩილებას შეჰპირდა და ყოველწლიურად 300 საპალნე აბრეშუმში გადაუკვეთა. შაჰისათვის ეს პირობები მისაღები იყო. ის ოსმალეთის წინააღმდეგ საომრად მიდიოდა და საქართველოს უფრო მტკიცედ დაპყრობა მერმისისათვის გადაედო. ქართლის მეფის საქმეთა გართულებით კახეთის თავადებმა ისარგებლეს, აჯანყდნენ და უფლისწული ლევანი მეფედ დასვეს. დავით მეფე ისევ მოვიდა კახეთს და ხანგრძლივი ბრძოლით დაიპყრო ქვეყანა. [...]

როცა ოსმალები შიდა ქართლს მოვიდნენ, დავით მეფე კახეთში იყო. დავით მეფე იძულებული გახდა, ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრებულიყო. მან დაამარცხა ოსმალთა მოთარეშეები და ქართლიდან გადარეკა ისინი. ამ ბრძოლიდან მობრუნებული დავითი კვლავ კახეთს გაეშურა. ლევან მეფე მზად დახვდა მას ქიზიყში. დავითის მხარეს ამ ბრძოლაში ზოგი კახელიც იყო. მიუხედავად ამისა, გამარჯვება ლევანს დარჩა. ეს იყო 1520 წელს. დავითი ამის შემდეგაც ფიქრობდა ომის გაგრძელებას, მაგრამ იძულებული გახდა საკუთარ დარბაისელთა რჩევა მიეღო: შერიგებოდა შექმნილ მდგომარეობას, ეცნო ლევანი კახთა მეფედ და შეეკრა მასთან გარეშე მტერთან საერთო ბრძოლის კავშირი. ასეც მოხდა (1520 წ.).

ქართველებმა ისარგებლეს ოსმალთა მიერ შაჰ-ისმაილის დამარცხებით და მისი მოხარკეობისაგან თავის გათავისუფლება სცადეს. ამ დროს მათ დევნა აუტეხეს აღმოსავლეთ საქართველოს საზღვრებში შემოსახლებულ თურქმანებს. [...] ქართველები კარგად იყვნენ მიმხვდარი მტრების განზრახვებს და თავგამოდებით იბრძოდნენ. არაერთგზის მოთხარეს და მიწასთან გაასწორეს ქართველებმა მტრის მიერ აგებული [...] ციხეები, არაერთგზის გასწყვიტეს, აჰყარეს და გადარეკეს ქციისა და დებედის ჭალებში ჩამოსახლებული თურქმანული ურდოები. [...]

დავითი ამასობაში საომრად მოემზადა. ქართლის საშველად მოვიდნენ მესხნი და კახნი. ქართველების გარდა დავითმა ლაშქარი დაიქირავა კავკასიის მთიელებისაგან.

მეფე მთელის ლაშქრით გავიდა თელეთს (1552 წ.). ქართველებმა დაამარცხეს ირანელთა ორი რაზმი. ბრძოლაში განსაკუთრებული სიმხნე გამოიჩინა დავით მეფის შვილმა ლუარსაბმა. ირანელთა სიმრავლემ სძლია და ლტოლვილი მეფე შიდა ქართლში შემოვიდა. ირანელთა ზინანი ისეთი დიდი იყო, რომ დავითი თავს საბოლოოდ დამარცხებულად არ სთვლიდა. ის გამალებით აგროვებდა ჯარს შემდეგი ბრძოლისათვის. მაგრამ მის წინააღმდეგობას ლალატმა წელი მოსტენა. თბილისის ციხე შიგნიდან გატყდა. ციხის თავმა შაჰ-ისმაილისაგან ქრთამი აიღო და მტერი ქალაქში უბრძოლველად შემოვიდა. შაჰმა გაძარცვა ქალაქი, მრავალი დაატყვევა, ციხეში თავისი მეციხოვნეები ჩააყენა. ნატყვენავ-ნალაფევით შაჰი ირანს გაბრუნდა. დავითი ფარ-ხმალს არ ჰყრიდა და ირანის შაჰის მიერ დატოვებულ მომთაბარე თურქმანებს მუსრს ავლებდა. არც თბილისს უსვენებდა მეფე და მუდამ მის ალებას ცდილობდა. შაჰ-ისმაილი 1524 წელს გარდაიცვალა. მას მცირეწლოვანი მემკვიდრე დარჩა. ქართლის მეფემ ამით ისარგებლა, ეკვეთა დამპყრობელთ. აიღო თბილისი და მეციხოვნე ყიზილბაშები სულ გასწყვიტა. ჩქარა აიღო ალჯაყალაც, მოთხარა ის, და იქ ჩამოსახლებულ თათრებს მწარე დღე გაუთენა²⁴.

რაც შეეხება დავით მეათის მეუღლეს, დედოფალს ერქვა თამარი, რასაც ადასტურებს როგორც მათი ვაჟის მოგვიანო სამეფო სიგელი²⁵, ისე ბატონიშვილ ვახუშტის “აღწერა სამეფოსა საქართველოსა”.

თავად ვახუშტის ნაშრომში საკმაოდ მოზრდილი მონაკვეთი ეძღვნება დავით მეათის მეფობის წარმოჩენას, ხოლო ისტორიკოსისეული თხრობიდან საყურადღებოა ზოგიერთი დახასიათება, რომელიც მკაფიოდ ხატავს დავითის როგორც სამეფო, ისე პიროვნულ თვისებებს:

24 ნიკო ბერძენიშვილი, “საქართველო XI-XVIII საუკუნეებში”, წგ-ში: ნიკო ბერძენიშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, წიგნი VI, თბ: მეცნიერება, 1971, გვ. 151-153.

25 ივანე ჯავახიშვილი: “დავით მეფის თანამეცხედრის სახელი გამოქვეყნებულს მის საბუთებში არ იხსენიება, მაგრამ მისი შვილი ლუარსაბ მეფე თავის ერთს სიგელში დედის სახელს გვამცნებს. 1552 წ. თბილისის სიონის სიგელში (N 104) მას ნათქვამი აქვს: „მფარველ გვექმენ ჩვენ... მეფეთ-მეფესა ლუარსაბს და დედასა ჩუენსა დედოფალთ-დედოფალსა თამარს“-ო” – ივანე ჯავახიშვილი, *ქართველი ერის ისტორია*, წიგნი მეოთხე, თბ: თსუ-ს გამ-ბა, თბ.: 1948, გვ. 210 (“ქართველი ერის ისტორიის” ეს ნაწილი არაა შესული ნაშრომის ბოლო გამოცემაში, რომელიც გამოქვეყნდა ივანე ჯავახიშვილის თხზულებათა თორმეტტომეულში – 1976-1998); შდრ. *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, IV: XVI საუკუნე (ქართლი და სამცხე-საათაბაგო), ტომი შეადგინა და ქართული ტექსტები გამოსაცემად მოამზადა მზია სურგულაძემ, თბ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი/საქართველოს ეროვნული არქივი, 2016, გვ. 213.

შემდგომად კოსტანტინე მეფისა დაჯდა უზუცესი ძე მისი დავით მეფედ. ამან შემოიკრიბნა კათალიკოზი და ეპისკოპოსნი და წარჩინებულნი თვისნი და ეკურთხა ტფილისს მეფედ. არამედ ესე დავით მეფე იყო ლმობიერი, ბრძოლა-შლილობათა და შფოთთა მოძულე და მოყუარე მშვედობასა. ამან დაიპყრა ქუეყანა, რომელი დაეტევა მამისა თვისისაგან და განაგებდა კეთილად და მშვედობით²⁶;

ხოლო ყვენმან მიუწოდა მეფესა წინაშე თვისსა: “მოგცე ნიჭი დიდი, ქუეყანა და განგიტეო მშვედობით.” არამედ ვინაფთგან ატევებინებდა ყენი ქრისტესა და ჰყოფდა მაჰმადიანად, ამისთვის არა ინება მეფემან მისლვა. განა მოიცა ძალი მესხთა და კახ-ბატონის ლევანისაგან. კუალად გამოიყვანნა კავკასნი და მთიულნი, განამტკიცა ტფილისი და ყოველნი ციხენი და სიმაგრენი ქართლისანი²⁷;

მერმე მოადგა მეფე დავით ტფილისს, აღიღო იგი, მოსრნა ყიზილბაშნი, კუალად აღიღო აღჯაყალა, შემუსრა იგი და განასხნა თათარნი და დაიპყრნა საზღვარნი თვისნი ყოველნი. შემდგომად ამისა განიხილა მეფემან დავით სოფლისა სიმუხთლე და უსუეობა თვისი, დაუტევა მეფობა და იქმნა მონოზონ, და დაშინენ ძენი სამნი თამარ დედოფლისაგან: ლუარსაბ, დემეტრე და რამაზ. არამედ მისცა მეფობა ძმასა თვისსა გიორგის და თვთ დავით მეფე შევიდა ტფილისსვე მონასტერსა შინა და შემდგომად მოკუდა მონაზონი წელსა {1525}²⁸.

სხვათა შორის, ბოლო კვლევით, მეფე დავითი ტახტიდან გადამდგარა და მონაზვნად აღკვეცილა²⁹, – დამიანეს სახელით, – სიცოცხლის მიწურულს, 1525 ან 1526 წელს³⁰.

სხვა წყაროთაგან, “ახალი ქართლის ცხოვრების” გადაკეთებული ვერსია მეფე დავით მეთათეს ადარებს ბიბლიურ წინამორბედს, – ბიბლიურ მეფე დავითს (რომელთანაც მას აკავშირებს პროლოგის

26 ქართლის ცხოვრება, ტომი IV: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1973, გვ. 392; შდრ: “და იყო ესე დავით კაცი ლმობიერი, მშვიდი და მოშიში ღმრთისა” – ახალი “ქართლის ცხოვრება”: ვახტანგისეული რედაქცია, ტომი III, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გონელი არახამიამ, თბ.: ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, 2020, გვ. 27; “და მეფობდა ქართლსა ზედა მეფე დავით, კაცი მშვიდობისმყოფელი და სათნო ღმრთისა” – იქვე, გვ. 165.

27 იქვე, გვ. 397-388.

28 იქვე, გვ. 399.

29 ივანე ჯავახიშვილს კითხვას ან დაეჭვებას უჩენდა, თუ საიდან იცოდა ბატონიშვილმა ვახუშტიმ მეფე დავითის შემონაზვნების მიზეზი: “არ ჩანს, საითგან აქვს სახელოვანს ქართველს მეცნიერ-ისტორიკოსს ცნობა, რომ დავით მეფის შემონაზვნების მიზეზი მისი „უსვეობა“ იყო” – ივანე ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი მეოთხე, გვ. 244.

30 “დავით X შემონაზვნდა 1525 წლის ბოლოს ან 1526 წლის დასაწყისში და მალევე გარდაიცვალა” – ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 100; “ბერობაში მყოფი მეფე დავითყოფილი დამიანე აღესრულა ქ. თბილისს 1526 წელს” – საქართველოს მეფეები, თბ.: ნეკერი, 2007, გვ. 178.

ორსტროფედიც, სადაც მოხსენიებულია მისი, როგორც ბაგრატიონის, დავითიანობა):

არამედ მეფემან დავით არა ინება [ბრძოლა კახთა მეფის გიორგის წინააღმდეგ], რამეთუ მგავსად სეხნად სახელისა მისისა დავითისებრ მშვიდ იყო და არა შურისმაძიებელ, ვითარცა-იგი საულისთუის მშვიდ იყო³¹.

კიდევ, “ცხოვრება საქართველომსა” (ანუ “პარიზის ქრონიკა”) შე-სამჩნევად აღნიშნავს მეფე დავითის ღვაწლს და ამ ღვაწლის მასშტა-ბებს ქრისტიანობის თუ ქრისტიანული სამყაროს გადასარჩენად:

პატრონმან მეფემან დავით თავისი შვილი რამაზ თათარში გაგზავნა და ყაენს წინ მიაგება და დაიხსნა საქრისტიანო³².

მნიშვნელოვანია არაერთი შემორჩენილი სიგელი, რომლებიც გა-ცემულია მეფე დავითის სახელით.

განსაკუთრებით ღირსშესანიშნავია, თუ როგორ მოიხსენიებს და-ვით მეათე საკუთარ სამეფო ტიტულს სახელმწიფოს მმართველობისას, – იმგვარადვე, როგორც სრულიად საქართველოს მეფენი ქვეყნის იმპერიული ხანისას:

ყოველთა ღმრთისა წმიდათა მინდობილმან, მეფეთამეფემან პატრო-ნმან დავით [...], ნებითა ღმრთისათა აფხაზთა, ქართველთა, რანთა, კახთა და სომეხთა მეფისა, შაჰანჰა და შაჰრვანშა, და ყოველისა ჩრდი-ლოეთისა, აღმოსავალით ვიდრე დასავლამდე თუით მტკიცედ კელ-მწიფედ მპყრობელ-მქონებელმან³³.

ამასთანავე, მეტყველი და შთამბეჭდავია მეფეყოფილის სი-ტყვები, დაწერილი მონაზვნობისას, მიმართული ღმრთის მიმართ, აღბეჭდილი სვეტიცხოვლის ტაძრის შეწირულების სიგელში:

მე, მსასობელმან შენდა მომართ და მონდობილმან ცვა-ფარვათა შენთამან, შენ მიერ შემოსილმან პორფირითა და გუირგუინითა სა-მეფოთა, და აწ, შენ ძლითვე ღირსქმნულმან სახესა მონაზონებისა, დავით ბაგრატიონიანმან, ნებითა ღმრთისათა მეფემან ქართველთამან და აწ, მონაზონმან დამიანე, ვიგულვე და ვიგულსმოდგინე თქუენდა მომართ მცირედი ესე მოსაკსენებელი ცოდვილისა სულისა ჩემისა³⁴.

31 ახალი “ქართლის ცხოვრება”: ვახტანგისეული რედაქცია, ტომი III, გვ. 166.

32 ცხოვრება საქართველომსა (პარიზის ქრონიკა), ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, თბ: მეცნიერება, 1980, გვ. 41.

33 ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, IV, გვ. 24.

34 იქვე, გვ. 101.

ყურადსაღებია, რომ სიგელში მეფეყოფილ-მონაზონი დავით-დამიანე წმიდა პეტრეს, განსხვავებით ბიზანტიურ-აღმოსავლური ტრადიციისაგან, მოიხსენიებს მოციქულთა შორის პირველწოდებულად:

პეტრე რიტორისა და სასუფევლისა კლიტემპყრობელისა და პირველწოდებულისა³⁵.

ასევე, საჩინოა მეფის მიმართვა წმიდა ქალწულის მარიამის მიმართ, აღბეჭდილი ტფილისის სიონის ტაძრის შეწირულების სიგელში:

ჩუენ, ცვა-ფარვათა თქუენთა მონდობილმან და შეწუნისა თქუენისა მსასოებელმან, იესიან-დავითიან-სოლომონიან-ბაგრატიონიანმან, საქართველოს მპყრობელმან მეფეთამეფემან დავით³⁶.

კიდევ, დავით მეათე თავის სამეფო სიგელებში, რომლებიც 1519 და 1520 წლებით თარიღდება, ყოველ ჯერზე მოიხსენიებს ხუთი პატრიარქის მადლს (“ხუთთა პატრიარქთა მადლითა”)³⁷ და ამ ხუთთა შორის, რა თქმა უნდა, პირველობა რომის ეპისკოპოსს, ანუ რომის პატრიარქს განეკუთვნება.

საგულისხმოა, როგორ მოიხსენიებენ მეფე დავით მეათეს მისი გარდაცვალების შემდეგ:

ღმრთივ გუირგუინოსანმან დიდისა მეფისა დავითისა ძემან, მეფეთმეფემან პატრონმან ლუარსაბ³⁸;

ბედნიერისა და სახელგანთქმულისა კელმწიფისა, მეფეთმეფისა დავითის ძემან, პატრონმან მეფემან ლუარსაბ³⁹;

ღმრთივგვირგვინოსნისა და ღმრთივდამყარებულისა მეფეთმეფისა დავითის ძემან, პატრონმან რამაზყოფილმან რომანოზ⁴⁰.

35 იქვე; რომაულ-კათოლიკურ ტრადიციაში პეტრეს მეთაურობისა და ბიზანტიურ-აღმოსავლურ ტრადიციაში ანდრიას პირველწოდებულობის შესახებ – ქართული ტრადიციის გათვალისწინებით: მერაბ ლალანიძე, “სულხან-საბა ორბელიანი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება”, *კადმოსი: ჰუმანიტარულ კვლევათა ჟურნალი*, 5, 2013, გვ. 230-235 (ასევე: მერაბ ლალანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, თბ.: საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, 2021, გვ. 31-38).

36 *ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი*, IV, გვ. 25.

37 იქვე, გვ. 77, 83: ქართულ ისტორიულ საბუთებში – მეფე-მთავართა თუ კათოლიკოსთა სიგელებში – ხშირად გვხვდება ხუთი პატრიარქის დამოწმება, რაც კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ საქართველოში საუკუნეთა განმავლობაში უყურადღებოდ ტოვებდნენ რომისა და კონსტანტინოპოლის საყდართა განხეთქილებას, რომელმაც ყველაზე მკვეთრ გამწვავებას 1054 წელს მიაღწია.

38 იქვე, გვ. 184.

39 იქვე, გვ. 218.

40 იქვე, გვ. 302.

მიმოხილულის შემდეგ, დავით მეათესთან შეფარდებითად წარმოსაჩინად, საჭირო იქნება თვალის გადავლება ერთიანი საქართველოს თუ ქართლის ან კახეთის იმ მეფეთათვის, რომლებიც დავითის სახელს ატარებდნენ (ქრონოლოგიურ საზღვრებად, როგორც ითქვა, აღებულია უკიდურესი თარიღები, რომელზე ადრე ან რომელზე გვიან ვერანაირად ვერ დაიწერებოდა “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის განხილული ორსტროფედი)⁴¹.

შესაბამისად, შესაძლებელი გახდა, ითქვას, რომ პროლოგისეული მიძღვნის ობიექტი – მეფე დავითი ვერ იქნებოდა:

დავით მეხუთე (დემეტრე პირველის ძე, საქართველოს მეფე, 1155-1156), რომელმაც მხოლოდ ექვსი თვე იმეფა;

დავით მეექვსე, ნარინი (რუსუდანის ძე, საქართველოს მეფე, 1246-1259), რომელმაც ცხოვრების მოზრდილი ნაწილი ტყვეობასა და დევნილობაში გაატარა, ხოლო მისი მეფობა-თანამეფობა მუდმივი სამხედრო წარუმატებლობით იყო აღბეჭდილი; ამავე დროს, ისიც სათქმელია, რომ დავითს, საკუთარ გამეფებამდე, სანამ იგი თანამეფე იყო დედასთან, მეფე რუსუდანთან, ერთად, 1240 წელს, მიუღია წერილი რომის პაპისაგან, გრიგოლ მეცხრისაგან, – თუმცა პაპისეული ეს მიმართვა პასუხია დედა-შვილის ერთობლივ წერილზე და, ფორმობრივ, პაპიც ისევ დედა-შვილს მიმართავს (მიუხედავად იმისა, რომ დავითს ამ დროს მეტად შეზღუდული უფლებები ჰქონდა)⁴²;

დავით მეშვიდე, ულუ (გიორგი მეოთხის, ლაშას, ძე, საქართველოს მეფე, 1246-1270), რომელმაც თავისი მეფობის დიდი წილი ტყვეობასა და დევნილობაში განვლო;

(საერთოდაც, ორსტროფედი ცხადად განადიდებს შეუზღუდავ მმართველს, რომელსაც სხვა ხელმწიფენიც კი ემორჩილებიან, ხოლო ორივე დავითი, ფაქტობრივად, თანამეფენი იყვნენ და როგორც შიგნიდან, ისე გარედან შეზღუდულ ძალაუფლებას ფლობდნენ);

დავით მერვე (დემეტრე მეორის, თავდადებულის, ძე, საქართველოს მეფე, 1293-1311), რომლის მეფობის დროს, მასთან ერთად, მის გვერდით, ჩნდება რამდენიმე სხვა მეფეც, რომელთაც მონგოლები ანიჭებენ ძალაუფლებას და, მასთან შედარებით, უფრო მეტადაც აღი-

41 რაკილა წინამდებარე ნარკვევის მიზანი არანაირად არაა ჩამოთვლილ მეფეთა ქრონოლოგიის ზუსტი დადგენა, გამოყენებულია მათი მეფობის თარიღები, რომლებიც უმეტესად მიღებული და გაზიარებულია საქართველოს ისტორიის მკვლევართა მიერ, რისთვისაც ერთიან წყაროდ აღებულია: *საქართველოს მეფეები*, passim.

42 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის ნამდვილის საბუთების შემოტანითა და განმარტებით XIII საუკუნითგან ვიდრე XX საუკუნემდე*, ტფ., 1902, გვ. 12-13, 14-17; ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, [I]: (XIII-XVI სს.), გვ. 187-191; მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია დასაბამიდან დღემდე*, რედაქცია გაუკეთეს, წინასიტყვა დაურთეს და გამოსაცემად მოამზადეს ზაზა ალექსიძემ და ჯუმბერ ოდიშელმა, თბ.: კანდელი, 1995, გვ. 485-488.

არებენ საქართველოს მეფეებად; მისი მეფობა მთლიანად წარიმართე-ბოდა მონგოლებთან ურთიერთობის გადასაწყვეტად, – აჯანყებებსა და მორჩილებას შორის; მას დიპლომატიური ურთიერთობა ჰქონდა ეგვიპტის სულთანთან, რომელსაც მოკავშირეობა აღუთქვა და, სანა-ცვლოდ, დაიბრუნა ჯვარის მონასტერი; ეს მოკავშირეობა ბუნებრი-ვად გამორიცხავდა მის მიმართ რამე კეთილგანწყობას რომის პაპის, ან თუნდაც, ფართოდ, დასავლური ქრისტიანობის წარმომადგენელთა მხრივ;

დავით მეცხრე (გიორგი მეხუთის, ბრწყინვალის, ძე, საქართვე-ლოს მეფე, 1346-1360), რომლის შესახებაც წყაროები ბევრს არაფერს ამბობს და რომლის მეფობას თან სდევდა ქვეყნის მოსახლეობის გა-მანადგურებელი შავი ჭირის სნეულეობა; მის მეუღლეს ერქვა სინდუ-ხტარი; სხვათა შორის, შესაძლოა, გამოთქმულიყო ვარაუდი, რომ მის მმართველობისასაც გაგრძელდა მამამისისდროინდელი მკრთალი ურთიერთობა რომთან⁴³, მაგრამ საბუთები ამ მხრივ სრულიად უტყვია;

დავით მეთერთმეტე (ლუარსაბ პირველის ძე, დავით მეათის შვი-ლიშვილი, ქართლის მეფე, 1569-1578), რომელიც შაჰ-თამაზ პირველს ეახლა ყაზვინში და ისლამი მიიღო, რის შემდეგაც მას დაუთ-ხანი ეწოდა;

დავით პირველი (ალექსანდრე მეორის ძე, კახეთის მეფე, 1601-1602), რომელმაც, ფაქტობრივად, ვერც კი მოახერხა, სამეფო მმართვე-ლობის ხელთ აღება, რადგან ტახტზე ასვლის ხანმოკლე მცდელობი-სასაც მას ისევ უწევდა ბრძოლა ხელისუფლების შესანარჩუნებლად;

(ჩამონათვალიდან, ბუნებრივია, გამორიცხულია დავით სოსლანი (+1206), მეფე თამარის (1184-1213) მეუღლე და თანამეფე, რომელიც არასოდეს ყოფილა ქვეყნის ერთპიროვნულად მმართველი ხელმწიფე).

ამდენად, როგორც ცხადად ჩანს, “ვეფხისტყაოსნის” პროლოგში მოხსენიებული მეფე დავითის ვინაობის გასარკვევად და, შებაბამი-სად, ორსტროფედის თარიღის დასადგენად, არსებულ მონაცემთა შო-რის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ტექსტში რომის პაპის მოხსენიებას.

ისტორიული წყაროების მიხედვით, დროის ამ მოზრდილ მონა-კვეთში ერთადერთი მეფე, რომელსაც დავითი ერქვა და რომლის გვერდით შესაძლებელი იყო დასახელებულიყო “პაპი ჰრომისა”, – საქ-რისტიანოს უზენაესი მღვდელმთავარი, ვისაც ძალუძს აღავლინოს იმგვარი წირვა, როგორსაც საჭიროებს ან იმსახურებს ქართველი

43 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 29-31.

ხელმწიფე, – არის მართლაც დავით მეათე. სამწუხაროდ, მისი პირდაპირი ურთიერთობის შესახებ რომის საყდართან არ შემორჩენილა ფაქტობრივი წყაროები, მოწმობანი ან მითითებანი, მაგრამ საბუთობრივ მყარად დასტურდება რომის კათოლიკე ეკლესიის მეთაურის უეჭველი და უშუალო კავშირები დავითის პაპასთან, გიორგი მერვესთან (1446-1466, 1466-1476); მამასთან, კონსტანტინე მეორესთან (1466-1478); შვილთან, ლუარსაბ პირველთან (1527-1556); შვილიშვილთან, სვიმონ პირველთან (1556-1569, 1578-1599/1600).

მიქელ თამარაშვილი წერს:

როგორც გიორგი მერვემ გამოიჩინა ერთგულება და ერთობა რომის ეკლესიისადმი, ისე მისი შვილიც კონსტანტინე მესამეც⁴⁴ მამის კვალს გაჰყვა. რომის პაპს ალექსანდრე მეექვსეს (ვგონებთ, 1495 წ.) შესანიშნავი წერილი მისწერა და ელჩად გაუგზავნა ნილო მონაზონი რავდენსამე სხვა პირთან ერთად და გაატანა პაპისათვის ძღვენი. [...] პაპის პასუხიდან სჩანს, რომ კონსტანტინე მეფეს წიგნი მიუწერია და ელჩი გაუგზავნია უფროსიერთად ამისთვის: რათა პაპს განუცხადოს თავისი ერთგულება და მორჩილება, სთხოვოს დასავლეთის ხელმწიფეთა გალაშქრება ოსმალების წინააღმდეგ აღმოსავლეთის მთავრებთან ერთად და ეგრეთვე სთხოვოს პაპს ფლორენციის კრების გადაწყვეტილება რომის ეკლესიასთან ძველი ერთობის განსაახლებელ დასამტკიცებლად. ამას მოწმობენ ეგრეთვე ძველი მწერლებიც⁴⁵.

მეტად საყურადღებოა ზოგიერთი მონაკვეთი პაპის, ალექსანდრე მეექვსის (1492-1503), წერილიდან მეფე კონსტანტინეს მიმართ (1496, ივლისის 10):

მივიღეთ თქვენი წიგნი, რომლითაც სამოციქულო საყდრისა და ჩვენდამი აცხადებთ უდიდეს ერთგულებას და პატივისცემას [...]. დიდის სიამოვნებით ვსცანით თქვენი აზრი და გადაწყვეტილება ქრისტეს სარწმუნოების მტერთა წინააღმდეგ გალაშქრებისათვის, რის გამო მზად ხართ წასასვლელად თქვენის შვილით⁴⁶ და თქვენის მხედრობითურთ [...]. რადგან საუკუნო ცხოვრებისათვის საჭიროა, ყველა ქრისტიანნი სარწმუნოების საქმეში შეუერთდნენ და დაემორჩილონ ეკლესიას რომისას, სადაც ქრისტე უფალმა და მისმა მოადგილემ პეტრემ მოციქულმა თავი და საყდარი დაადგინეს ქვეყნის ყველა ქრისტიანებისათვის, ამიტომ უდიდესად მოხარული ვართ, რომ თქვენმა დიდებულებამ მართლმადიდებელ სარწმუნოებას⁴⁷ მიაქცია ყურადღება და რაც

44 ამჟამინდელი ნუმერაციით, კონსტანტინე მეორე: *საქართველოს მეფეები*, გვ. 176-177.

45 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 64.

46 როგორც ჩანს, იგულისხმება მომავალი მეფე დავით მეათე.

47 “მართლმადიდებელი სარწმუნოება”, კათოლიკური თვალსაწიერიდან, – მათ

ამ სარწმუნოების წრფელ დაცვას შეეხება, თხოულობთ ჩვენგან და სამოციქულო საყდრისაგან, რომელიც არის თავი ყოველთა ქრისტიანეთა, [...] თქვენს დიდებულებას გამოვუგზავნო სარწმუნოების შესახებ გადაწყვეტილება, რომელიც ჩვენის წინამოსაყდრის, ნეტარხსენებული პაპის ევგენიო მეოთხის დროს იქმნა დადგენილი ფლორენციის კრებაზე⁴⁸ და რომელსაც მსოფლიო ეკლესია, თუ ლათინისა, თუ ბერძნისა, ეთანხმება, რათა თქვენ და თქვენი სამეფო მისი რწმუნებით ღირსი გახდეთ საუკუნო ცხოვრებისა და აქაც გაიმარჯვოთ სარწმუნოების მტრებზე [...]. ვინაიდან, როგორც ჭეშმარიტის ძისა მიერ ღვთისა იესო ქრისტესა ყველა შეერთებული ვართ, ეგრეთვე ვიყვნეთ შეერთებული, დავიცვათ მისი მცნებანი და მოძღვრება, რომელიც თავისი ნაცვლისა და მის მოსაყდრეთა მიერ გამოგვიცხადა⁴⁹.

ასევე, მნიშვნელოვანია ალექსანდრე მეექვსის სადესპანო სიგელი, რომლითაც მან ოდნავ უფრო ადრე მიმართა ევროპის ხელმწიფეებსა და მმართველთ (1496, ივნისის 5):

პაპი ალექსანდრე VI, ყველას და თვითეულს და სხ. მშვიდობა და სამოციქულო კურთხევა. ქრისტეს მიერ საყვარელმა ჩვენმა შვილმა კონსტანტინე, ქართველთა სახელოვანმა მეფემ, ვითარცა კათოლიკემ და ყოვლად მორწმუნე ქრისტიანემ, გამოგზავნა თავის ორატორად წმიდა ბასილის წესის მონაზონი, საყვარელი შვილი ნილო, რათა მოეძღვნა ჩვენთვის და სამოციქულო საყდრისათვის თავისი თაყვანისცემა და ერთგულება⁵⁰.

ნიშანდობლივია პაპის, პავლე მესამის (1534-1549), წერილი მეფე ლუარსაბ პირველის მიმართ (1545, ივნისის 17):

პავლე მესამე. ქრისტეს მიერ ჩვენს საყვარელს შვილს ლუარსაბს, ქართველთა ქალაქებისა და სამეფოს ბრწყინვალე მეფეს. [...] ბევრი სარ-

შორის, ქართულ წყაროებში, – ნიშნავს კათოლიკე ეკლესიის მოძღვრების რწმენას და რომის ეპისკოპოსის უზენაესობის აღიარებას: მერაბ ლაღანიძე, “სულხან-საბა ორბელიანი და კათოლიკე ეკლესიის მოძღვრება”, გვ. 245-247 (ასევე: მერაბ ლაღანიძე, *ლიტერატურა, კულტურა, რელიგია*, 2/1, გვ. 50-53).

48 ევგენი მეოთხე – პაპი, კათოლიკე ეკლესიის მეთაური (1431-1447); ფლორენციის კრება – ეკლესიის მსოფლიო კრება (1431-1449), რომელზეც დადასტურდა ეკლესიის ერთიანობის აღდგენა, ანუ თანაზიარება რომაული და ბიზანტიური ტრადიციის ქრისტიანთა შორის, რომის ეპისკოპოსის – პაპის მეთაურობით.

49 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 64-66 (წერილის ორიგინალი: გვ. 598-600); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 516-517; განსხვავებული თარგმანი: ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 217-219.

50 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 67 (წერილის ორიგინალი: გვ. 600); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 518; განსხვავებული თარგმანი: ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 220.

წმუნო მოხსენებიდან შევიტყუეთ, რომ თუმცა ძრიელ შორსა ხართ, მაგრამ რომის ეკკლესიას სიყვარულით პატივს სცემთ და გულმხურვალედ აღიარებთ მას ყველა ეკკლესიების თავად; ეგრეთვე ქრისტეს ნაცვლად და მოციქულთა მთავრის წმიდა პეტრეს მოსაყდრედ გვცნობთ თუ ჩვენ და თუ რომის ეკკლესიის სხვა ჩვენ წინამოსაყდრე მწყემსებს. [...] იესო ქრისტემ, რომელმაც მოგანიჭათ ეგ სამთავრონი, სწორედ მანვე ჩააწვეთა თქვენს გულში ამ სარწმუნოების ნათელი, რათა გეცნათ წმიდა პეტრესი და რომის ეკკლესიის უპირატესობა. [...] ქრისტეს ამ ერთადერთ სამწყსოში ვნატრობთ თუ თქვენს და სხვათა ქართველთ მეფეების შემოსვლას თუ თქვენისა და თუ მათისა მთელის თქვენი ერის სულის საცხოვნებლად⁵¹.

იგივე პაპი, პავლე მესამე, წერს ნახჩევანის მთავარეპისკოპოსს, სტეფანეს, რომელსაც ამ წერილით ნიშნავს ნუნციუსად საქართველოს სამეფო-სამთავროებში (1546, ივნისის 30):

სარწმუნო მოხსენებიდან ვსცანით, რომ ქრისტესმიერი ჩვენი საყვარელი შვილი ლუარსაბ, ბაგრატ ქუთათელი, ლეონ ძანგამელი და ყვარყვარე ახალციხელი – ქართველთა სამთავროთა ბრწყინვალე მეფენი, სული წმიდის მადლის ჩაგონებით აღიარებენ ყველა ეკკლესიების თავად რომის წმიდა ეკკლესიას და ჩვენც და ყველა ჩვენს წინა მოსაყდრეთ რომის მღვდელმთავრებს გულმხურვალეობით და პატივისცემით გვრაცხენ იესო ქრისტეს მონაცვლედ და მოციქულთა მთავრის, წმიდა პეტრეს, მოსაყდრედ; გულით მოწადინებულნი არიან მრთლად თავის ერთიერთ მიიღონ წმიდა კათოლიკე სარწმუნოება რომის ეკკლესიის ღოგმატების თანახმად⁵².

ღირსშესანიშნავია, როგორ მიმართავს პაპს მეფე სიმონ პირველი წერილში, რომელიც მხოლოდ ლათინური თარგმანის სახითაა შემორჩენილი⁵³:

51 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 71-72 (წერილის ორიგინალი: გვ. 602-604); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 519-520; განსხვავებული თარგმანი: ილია ტაბალუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 231-233.

52 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 74-75 (წერილის ორიგინალი: გვ. 604-605); მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 521.

53 წერილში მითითებულია თარიღი: “1546 წელი, 9 ინდიქტიონი” – მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 78, თუმცა თავად გამომცემელს, მიქელ თამარაშვილს, ის არაზუსტად მიაჩნია: “ეს წერილი უნდა იყოს გამოგზავნილი 1596 წ. და არა 1546 წელს, როგორც აქ გადამბეჭდავს დაუწერია” – იქვე, გვ. 607; შემდგომ მკვლევარმა ისევ შეცვალა წერილის დათარიღება: “უნდა იყოს 1578 წელი, სიმონ I-ის სპარსელებისაგან გათავისუფლების შემდეგ” – მიხეილ თამარაშვილი, *ქართული ეკლესია...*, გვ. 524.

სიმონ, წყალობითა ღვთისათა, ქართველთა მეფე სრულიად ივერიისა და აღმოსავლეთისა. ყოვლად მალალს, დიდად ბედნიერს, ყოვლად წმიდა და ნეტარს ჩვენს ბატონს, ჩვენს წმიდა მამას პაპსა, რომელიც ხართ ოქროს ნალარა დიდის რომისა, ღვთის მიერ ჩაგონებულ ორლანო, პეტრეო მსაჯულო და ზეცის სუფევის კლიტეთა მქონებელო, პავლეო ნათესავთა მოძღვარო, რომელიც ამალდა მესამე ცამდე და მოისმინა კაცთაგან გამოუთქმელი სიტყვანი; მქადაგო ყოვლისა ქვეყნისა, მნათობო ეკკლესიათა, საცა იპოებიან საფლავნი და წმიდა ნაწილნი მოციქულთანი; მფლობელო კათოლიკე ეკკლესიისა, მმართველო დიდისა და განთქმულისა რომისა, მზეო მთელის დასავლეთის მანათობელო, უდიდესო მთავარო, რომის პაპო, ვითარცა სილიბისტრე, წინასწარმეტყველო მეფეთა, ბატონო მფლობელო, სულიერო მამაო, უწმიდესო პაპო, დაბლად მუხლმოდრეკილი ვეამბორები თქვენს წმიდა მარჯვენასა⁵⁴.

მოგვიანებით, პაპი კლიმენტი მერვე (1592-1605) წერილით ეხმინება მეფე სიმონ პირველს (1598, აპრილის 1):

შენმა წერილმა, რომელიც გამოგვიგზავნე [...], მოგვანიჭა გამორჩეული სიხარული. მისგან გავიგეთ შენი დიდსულოვნებისა და შენი სიმტკიცის შესახებ კათოლიკურ სარწმუნოებაში, რომელსაც აღიარებ [...]. და, როგორც კათოლიკე ხელმწიფე, ღმრთის და ნეტარი პეტრეს სადიდებლად, შენ მიაგებ პატივსა და მორჩილებას ჩვენს სიმდაბლეს, როგორც ამას იქმს ყველა კათოლიკე ხელმწიფე და მთავარი; ხოლო რომის წმიდა ეკლესიას, სარწმუნოების მასწავლებელსა და როგორც შენი, ისე ყოველი მორწმუნის დედას, ეთაყვანები ღმრთისმოსავი სიყვარულით, რადგან აქ სუფევს მოძღვრების მსხნელი უბიწოება, აქ არის დაცული სარწმუნოების ძვირფასი საგანძური, გადმოცემული ქრისტეს მიერ⁵⁵.

შესაჯამებლად უნდა ითქვას, რომ “ვეფხისტყაოსნის” პროლოგის დასაწყისში რომის პაპის ხსენება განპირობებულია საქართველოს იმდროინდელი რელიგიური გარემოთი – მჭიდრო კავშირებით კათოლიკე ეკლესიის მეთაურის საყდართან, განსაკუთრებით, მეფეთა გიორგი მერვის, კონსტანტინე მეორის, ლუარსაბ პირველისა და სვიმონ პირველის დროს, ხოლო თავად ქება ეძღვნება მეფე დავით მეათეს, პირველის – შვილიშვილს, მეორის – შვილს, მესამის – მამას, მეოთხის – პაპას.

54 მიქელ თამარაშვილი, *ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის...*, გვ. 76 (ლათინური ტექსტი: 605-607); *ქართული ეკლესია...*, გვ. 522-523.

55 ილია ტაბაღუა, *საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში*, გვ. 228-229 (წერილის ორიგინალი: გვ. 295-297); ზემორე მოყვანილი ტექსტი თარგმნილია ლათინურიდან ნარკვევის ავტორის მიერ.

ამდენად, პოემის პროლოგის ორსტროფედში გამოხატული მოწიწება რომის საყდრის მიმართ და რომის პაპის მიერ მეფისათვის წირვის აღვლენის გამოცხადება უმაღლეს სულიერ მისწრაფებად თუ დაჯილდოებად სავსებით შესაძლებლად ჩანს დავით მეათის მეფობისას.

“ვეფხისტყაოსნის” შესახებ ან მის ირგვლივ რამდენიმე საუკუნოვანი მსჯელობისას ხშირად წამოჭრილა, – და არც მთლად უმტკივნეულოდ, – საკითხი, თუ რამდენად უკავშირდება პოემა (ტექსტის როგორც თავდაპირველი, ისე ვრცელი, გვიანდელი ვერსია), მისი დაწერის გარემოებანი თუ ცალკეული მონაკვეთები, მისი იდეური თუ შინაარსობრივი განზომილება, მასში ჩადებული უწყება შესაბამისი ხანის, თავისდროინდელი საქართველოს ისტორიულ ვითარებას. პოემის პროლოგის ორი სტროფი, რომლებიც განადიდებს მეფე დავითს და, ამავე დროს, მის სახელს უკავშირებს რომის პაპს, იმჟამინდელი ისტორიული გარემოს ასახვის ერთი მცირე, მაგრამ ნამდვილად ცხადი და მეტყველი გამოხატულებაა.

აბსტრაქტი ABSTRACT

Merab Ghaghanidze
The University of Georgia

The Pope of Rome – a Desirable Celebrant of the Mass for King Davit – in the Prologue of the Poem “The Man in the Panther’s Skin”

The text of the famous Georgian poem “The Man in the Panther’s Skin” arrived to us in the present day through relatively different versions, preserved in numerous manuscripts. Respectively, numerous differences can be found in the prologue of the poem (a final version of which has not yet been established), as presented in those various manuscripts.

The prologue of the poem in several old manuscripts contains two stanzas dedicated to King Davit, whose identity has yet to be determined, although several opinions have been expressed – e.g. by Sargis Kakabadze – as to who he might be.

In the two stanzas, the king is portrayed as a very powerful and influential monarch, to whom even the neighboring monarchs submit. The author of the poem also presents a local monarchical legend, according to which the Georgian king is a descendant of the biblical King David. The poet also opines that a holy mass should be celebrated by the Pope in the name of the king.

A scrupulous analysis has allowed me to advance the supposition that the King Davit of the prologue of the poem is King Davit X (1505-1525) of Kartli, who considered himself the King of All Georgia. The statement that it is necessary for a mass in the name of the king to be celebrated by the Pope takes its basis in the close relationship of Georgia with the Roman See, which became especially intense during the reign of King Davit's grandfather Giorgi VIII and his father Konstantine II, and continued during the reign of Davit's son Luarsab I, and his grandson Svimon I. Some documents about King Davit himself, of which there are few, also support the supposition that King Davit of the prologue of the poem “The Man in the Panther’s Skin” was indeed King Davit X.

რეცენზია BOOK REVIEW

ზურაბ კიკნაძე – ქართული მითო-რელიგიური იდეების „კვალზე მსვლელი“

ზურაბ კიკნაძე, ქართული მითოლოგია 1. ჯვარი და საყმო. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 268 გვ.; ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზმარი. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2016, 352 გვ.

ქართული ინტელექტუალური კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენლისა და მოაზროვნის, ზ. კიკნაძის მრავალფეროვან და მრავალგანზომილებიან შემოქმედებაში ერთ-ერთ უმთავრეს მეცნიერულ პროექტს ჰერმენევტიკული და ისტორიული ხასიათისა და მნიშვნელობის მქონე „ქართული მითოლოგია“ წარმოადგენს, რომელიც ორი წიგნისგან – „ჯვარი და საყმო“ და „ფარნავაზის სიზმარი“ – შედგება (კიკნაძე 2016, 2016ა). აღნიშნულ წიგნებზე რეფლექსირება ვარაუდის საფუძველს იძლევა, რომ მისი შემოქმედების ლაიტმოტივი, მთავარი აზრი და არსი არის შეურიგებელი დაპირისპირების არქეტიპი – ორი სოფელი (სოფელი და წუთისოფელი / უხილავი და ხილული), დრო-უამული და სივრცული, მთა და ბარი, სიზმარი და ცხადი, საკრალური და პროფანული, მარადიული და წარმავალი და სხვ. ერთ-ერთ ესეში მკვლევარი წერს:

ის, ვისაც შეუძლია (მორალურად) წმინდა ჭურჭლის, კერძოდ, ბარძიმის, მოხმარება ყოველდღიური საჭიროებისათვის და ის, ვინც ამ ჭურჭლიდან ეზიარება წმ. ნაწილს, ქრისტეს სისხლსა და ხორცს, სხვადასხვა მენტალობის ადამიანები არიან და, ამდენად, სხვადასხვა სოფელში ცხოვრობენ. (კიკნაძე 2009)

მკვლევარი, თვითონ როგორც მწირი სოფელში, ამ სოფელში სახლობს და აღიარებს სეკულარულში ორი სოფლის არსებობის ფორმას. ის ამგვარი მოვლენებისადმი „გარეშე კი არ დგება“ (გარედან შემყურე კი არ არის), არამედ შიგნიდან ხედავს მათ და ხედავს იმათი თვალთ, ვისთვისაც ეს ყოველივე უეჭველი ჭეშმარიტებაა. ეს მკვლევრის მეთოდოლოგიაა. მითისა და რელიგიური ფენომენის გასაგებად

და მისი მნიშვნელობის დასადგენად არსებობს სხვადასხვა მიდგომა. ზ. კიკნაძე ამ საკითხების კვლევის მეთოდად პრინციპულად ირჩევს ორ დისციპლინას: ფენომენოლოგიასა და ანთროპოლოგიას. იგი ხედავს იმათი თვალთ, ვინც ცხოვრობს წარსულით, გადმოცემებით, რომელიც მისთვის ღვთიური მადლია და, შესაბამისად, საკრალურია. გვერდივერდ თანაარსებული საკრალური და სეკულარული სფეროები ერთი ყოვლისმომცველი რეალობის ორი ნაწილია, რომლებიც საუკუნეთა მანძილზე პრაქტიკულად და თეორიულად განსხვავებული შინაარსით ივსებოდა (კიკნაძე 1996, 72).

ე. დიურკემიდან (The Elementary Forms of Religious Life 1912/1995) და რ. ოტოდან მოყოლებული (Das Heilige 1917/1923) დღემდე მეცნიერთა რამდენიმე თაობამ შეიმუშავა სხვადასხვა თეორია საკრალურის არსის თაობაზე. ეს თეორიები, არგუმენტების მიხედვით, შეიძლება კლასიფიცირდეს (თუმცა საკმაოდ მიახლოებით და უხეშად) ორ მთავარ ჯგუფად: ისინი, რომლებიც საკრალურს აღიარებენ როგორც „ობიექტურ და გარეგან თვითობას“ და როგორც „სრულიად განსხვავებულს“ (ganz andere), ანუ როგორც რაღაცას, რაც ძირეულად და სრულიად განსხვავებულია და რომელიც საკუთარ თავს ავლენს როგორც რეალობა და უპირისპირდება „ბუნებრივ“ რეალობას (რ. ოტო); როგორც იეროფანია (სასწაულჩინა) ე.ი. რაღაც საკრალური, რომელიც საკუთარ თავს აჩენს ადამიანებისთვის სხვადასხვაგვარად (მ. ელიადე (1959)); როგორც რეალურად რეალური კატეგორია (რ. ორსი (2012)); და ისინი, რომელნიც თვლიან, რომ საკრალური უნდა იყოს „ის, რაც გამოყოფილი და აკრძალულია“ (ე. დიურკემი), ან კონსტრუირებულია, ან შექმნილია (ჯ. ზ. სმიტი (1987) და სხვები). აღნიშნული ორი შეხედულება საკრალურის თაობაზე განსაზღვრულია როგორც სუბსტანციური (რამდენადაც ის ხაზს უსვამს სუბსტანციურობას ზებუნებრივის ან ღვთაებრივის მყოფობას მათში) და სიტუაციური (საკრალურობა სიტუაციურია ან დამოკიდებულია სიტუაციაზე თუ მის ინტერპრეტაციაზე და არა მათში ზებუნებრივის მყოფობაზე), შესაბამისად. მაგრამ, ცნობილი ამერიკელი მკვლევრის, რ. ორსის შენიშვნით (2012, 84-108), ამგვარი ახსნა-განმარტებები, ემპირიული თვალსაზრისით, არასრულია, დამაკმაყოფილებელი არ არის და ტერმინისადმი ასეთ ხანგრძლივ ინტერესს მისი ემპირიული საფუძველი განაპირობებს. სხვა სიტყვებით, რელიგიური ფენომენის ონტოლოგიური რეალობის გვერდზე გადადება და მისი როგორც კვლევის პირობის გამოყენება (იმ გაგებით, რომ ჩვენ არც ის გვანტერესებს, რეალურად გამოეცხადა თუ არა ბერნადეტს ლუდრში ღვთისმშობელი და არც მხილველის მყისიერად ფსიქოზით დაავადებულად შერაცხვა), როგორც ჩანს, ორსის აზრით, არაადეკვატური და მცდარია (აბაკელია 2013, 81).

და მაინც, სუბსტანციურია თუ არა საკრალური, როგორც ამას ელიადე და მისი მიმდევარნი ამტკიცებენ? თუ სიტუაციურია, როგორც ჯონათან ზ. სმიტი ფიქრობს? სხვა სიტყვებით, საკრალური ადგილები ჩენილია თუ შექმნილია, ისინი ობიექტური თუ სუბიექტური განცდის შედეგია? არის თუ არა მოსახლე (მყოფი) ღვთაებრიობა საკრალური სივრცის მთავარი მახასიათებელი? რა არის გარკვეული ქცევის მოტივაცია? ან როგორ ხდება ამგვარი ადგილების დროთა განმავლობაში დესაკრალიზაცია, პროფანაცია, სეკულარიზაცია?

ცნობილია, რომ მეზრდოლი ათეიზმით დაწყებული, ყველაზე ორთოდოქსული თეიზმით დამთავრებული, მრავალ შუალედურ შეხედულებასთან ერთად, თანამედროვეობაში არსებობს სხვადასხვაგვარი პოზიცია ამ პოზიციების დამცველებითურთ სხვადასხვა წრეში. ათეისტს გაგების პრობლემები ექმნება ბიბლიურ საზოგადოებაში, იგივე (თუმცა, განსხვავებული ფორმით) ელოდება მორწმუნე ქრისტიანსაც ზოგიერთ აკადემიურ წრეში. მაგრამ, ჩ. ტეილორის აზრით, ეჭვგარეშეა, რომ ნებისმიერ კონტექსტში ადამიანებმა იციან სხვა, განსხვავებული კონტექსტის არსებობის შესახებ, და, ასევე, მათთვის წარმოუდგენელია ის, რაც უსიტყვოდ მიღებულია იმავე საზოგადოების სხვა პოლუსზე. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, აღიქმება ეს ალტერნატივა მტრულად თუ გაოცებით. თვით ალტერნატივების არსებობა თითოეულ კონტექსტს ხდის მსხვრევედ, მყიფეს, ანუ აზრი, მნიშვნელობა წარმოსადგენზე/ წარმოუდგენელზე ხდება განუსაზღვრელი და მერყევი. სიმყიფე კიდევ უფრო მატულობს იმის გამო, რომ ხალხთა უმრავლესობა სათანადოდ არ არის ფესვგადგმული აღნიშნულ კონტექსტებში. ისინი ან გაოცებას ვერ ფარავენ, ან იმყოფებიან მსოფლმხედველობათა გზაჯვარედინზე, ან ბრიკოლაჟის მეშვეობით თავისთვის გამოიმუშავენ რაღაც შუალედურ პოზიციას (Taylor 2004, 47-73).

საკრალური კონცენტრირებული იყო განსაზღვრულ დროში, ადგილში (დრო-ჟამსა და ადგილებში), ქმედებებსა და ხალხში. ბუნებრივისა და ზებუნებრივის დიქოტომია გულისხმობს მასშტაბურ კლასიფიკაციას, რომელშიც ბუნებრივი იქცევა დონედ, რომელიც შეიძლება აღიწეროს და გაგებულ იქნეს მისი იმანენტური ცნებებიდან გამომდინარე, ხოლო ეს, ჩ. ტეილორის მიხედვით, საწინდარია კიდევ ერთი ნაბიჯის წინ გადადგმისა, რათა ბუნებრივი გამოცხადდეს ერთადერთ რეალობად. „ზებუნებრივი“ შეიძლება უარყოფილ იქნეს მხოლოდ იმ პოზიციიდან, რომელიც ფესვგადგმულია „ბუნებრივი“; როგორც ავტონომიურ წესრიგში (Taylor 2004, 47-73).

მაგრამ მაინც რა არის ეს ორი რეალობა, ეს ორი სოფელი? ვის ეხება ამ სოფლების აღქმა? ამ საკითხების გადასაჭრელად ზ. კიკნაძის კვლევის ფოკუსში უპირატესად ის საზოგადოებები (ფშავ-ხევსურეთი, თუშეთი და მთიულეთ-გუდამაყარი) ექცევა, სადაც უკანასკნელ ხანამდე ცოცხლად იყო შემონახული და დღემდე მეტ-ნაკლები ცხოველმყოფობით განაგრძობს არსებობას ტრადიციული ყოფა თავისი ატრიბუტებით.

ქართული (და არა მარტო ქართული) რელიგიური წარმოსახვისთვის და საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის საჭიროა ცოდნა (თავისი არსით, არამატერიალური), რომელიც ანდრეზებშია (საკრალურ ისტორიებშია) ჩადებული. შესაბამისად, მკვლევარი შეისწავლის იმ საზოგადოების ცნობიერებას, სადაც ინახება ანდრეზი და რომელიც თავად ანდრეზებითაა ნასაზრდოები. და, შესაბამისად, წარუვალისა და წარმავლის მარადიული თემა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის რეალიაში ჯვარისა და საყმოს, ჯვარის სამყაროს და საყმოს სამყაროს სახით ვლინდება.

ზ. კიკნაძე აღწერს სამყაროებს, რომელთა შიგნით რწმენის ოფცია, შესაძლებელი ვარიანტი არც უცნაური და არც დაუსაბუთებელი არ ჩანს. მაგრამ ამგვარი აღწერა გულისხმობს აბსტრაქციების გარკვეულ ხარისხს. მკვლევარი ამისთვის იყენებს სამი სახის აბსტრაქციას: ა) ის ცდილობს აღწეროს არა სამყაროები მათ სისრულეში, არამედ სამყაროს სტრუქტურები, ანუ მას აინტერესებს სამყაროს ასპექტები ან მახასიათებლები, თუ როგორ ფორმირდება და ეთანხმება ერთმანეთს გამოცდილება და აზრი, და არა მთელი სამყარო, რომლის შემადგენელ ნაწილებსაც ისინი წარმოადგენენ; ბ) იგი არ აღწერს რომელიმე კონკრეტული ადამიანის სამყაროს. სამყარო მისთვის ადამიანებით დასახლებული ტერიტორიაა, ერთობაა, საყმოა, ვერტიკალია, სიმეტრიაა. საყმო (ანდრეზების მეშვეობით) აძლევს ფორმას მათ გამოცდილებას, გრძობებს, აზროვნებას, ხედვას და ა.შ. აღწერა გულისხმობს ინტელექტუალიზაციას; აუცილებლობას, იდეების მეშვეობით გაარღვიოს ცოცხალი გამოცდილების ლოგიკა, ამასთან, ეს იდეები ადამიანების მიერ შეიძლება არ იყოს გაცნობიერებული ან ნახევრად გაცნობიერებული იყოს, რაც ზოგჯერ მათთან საუბრებიდან გამოსჭვივის.

მკვლევარი აღწერს, განიხილავს და აანალიზებს გახსნილი სამყაროს სტრუქტურებს და აჩვენებს, თუ როგორ განიცდება სულიერი, საკრალური, ტრანსცენდენტური ანუ ის, რაც ბუნებრივის მიღმაა, აღმოსავლეთ საქართველოს მთის მაგალითზე (აბაკელია 2013, 81-83).

ჯვარი ქართულ რეალიაში როგორც მრავალვალენტური ფენომენი – ზ. კიკნაძის მიერ, ერთი მხრივ, განიხილება როგორც აღმოსავლეთ

საქართველოს მთიანეთის საზოგადოებების (საყმობის) მფარველ წმინდანთა ან ანგელოზთა (წმ გიორგი, მთავარანგელოზი მიქაელი, ღვთისმშობელი და სხვ.) – ღვთისშვილთა – ნივთიერი ნიშანი. საფარველდადებული, უხილავი ჯვარი მხოლოდ ჯვრის რჩეულთ ეცხადება სხვადასხვა სახით (მტრედი, ჯვრის გამოსახულება, ან ღრუბლის ფთილა, ან ცეცხლის ბურთი და სხვ.); მეორე მხრივ, როგორც წმინდა ადგილი, სადაც დასადგურებულია ჯვარი, როგორც საყმოსა და მისი ტერიტორიის მფარველი.

საყმოს ტერიტორია ბრძოლით მოპოვებული ჯვრის მიერ გამოკვეთილია, გამოყოფილია დანარჩენი სამყაროსგან და გადაცემულია ადამიანებისთვის. ტერიტორიის შექმნა უმნიშვნელოვანესი ეპოქაა საყმოს ისტორიაში. ეს არის საკრალური ხანა და ეკუთვნის პრეისტორიას, რაკი ამის შემდეგ იწყება საყმოს, როგორც მკვიდრი მოსახლეობის საკუთარი ისტორია (კიკნაძე 1996, 1-74). საცხოვრებელ ტერიტორიასთან ერთად სალოცავებიც არსდება. დაარსება ხდება ჯვარჩენით. ჯვარი ერთ შემთხვევაში ციდან ჩამოდის სვეტად (ჯვრის ნიშანია მტრედიც), სხვა შემთხვევაში მიწიდან მანიფესტირდება კერაში ამოსული იფნის სახით, კვრივჩენით, რომელიც ხშირად კრატოფანიის (შიშის მომგვრელი ძალის ჩენის) სახეს იღებს (იფნის ჩენა კერაში შემოხვეული გველით) და საყმოს საკრალური, ფიზიკური და ზნეობრივი შეუღწევადობის, შეუვალობის სიმბოლო (ჯვრის კვალი) ჩნდება მიწაზე მკვირვად ნაგები კოშკების სახით, სადაც შესვლა, უბრალოდ, შეუძლებელია იმის გამო, რომ მათ არ გააჩნიათ შიდა სივრცე (იხ. კიკნაძე 1996, 14-74).

ამგვარად, როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, საყმო ცხოვრობს ჯვრის მიერ ბოძებულ ტერიტორიაზე, რომლის თვალსაწიერი არ სცდება მისი სალოცავის ზარის ხმასაწიერს. იგი ცხოვრობს ცოდნით, რომელიც ანდრეზებშია მოცემული.

ყველა, ვინც კი სწავლობს ტრადიციულ საზოგადოებებს, დააკვირდება, რომ ტრადიციები დრო-ჟამის მსვლელობაში უფერულდება, მივიწყებას ეძლევა და შემდეგ ქრება. ასეთ შემთხვევაში, იეროფანია დროებითია? და როგორც ასეთი – სიტუაციური?

რა პასუხი შეიძლება გაეცეს ამ ბოლო კითხვას მათ მიერ, ვინც ფიქრობს, რომ საკრალური ადგილები იეროფანიის შედეგია? ამ კითხვაზე პასუხი ზ. კიკნაძის ფუძემდებლურ ორ წიგნად წარმოდგენილ ნაშრომშია, როგორიცაა „ქართული მითოლოგია: 1. ჯვარი და საყმო“ და „ქართული მითოლოგია: 2. ფარნავაზის სიზმარი“ (2016).

პირველ წიგნში ნაჩვენებია, რომ სამყაროში მოქმედებს ერთგვარი რიტმი. არსებულ ტრადიციას ჯვარი თავისი ნებით პერიოდულად ადებს საფარველს, რომელიც შემდეგ ჯვრის რჩეულმა და, შესაბამის-

სად, ხელდასხმულმა მკადრემ, მონადირემ, მეფემ თავიდან უნდა აღმოაჩინოს და დაუბრუნოს საყმოს და განაახლოს კულტი. ჯვრის კვრის ანალოგია ჯვრის განძია.

საფარველდადებული განძი (განივთებული ჭემმარიტება) გაიგივებულია უხილავ ტრადიციასთან, ჭემმარიტებასთან, რომლებიც არც იმ სივრცულ სინამდვილეს ეკუთვნის, რომელშიც საყმო ცხოვრობს და არც დროს.

მკვლევრის აზრით, ჯვრის განძი, რომელიც სხვადასხვა სახით იჩენს თავს მკადრის წინაშე – ხან ოქრო-ვერცხლია, ხან ძვირფასი თასი, ხან მირონი, ხან ჯვარ-ხატების გამოსახულებანი, ხან ქრისტიანული რელიგიის სიმბოლოები – დამარხული დედამიწის ორ ერთმანეთის საწინააღმდეგო სფეროში – მიწის სიღრმეში და მთის მწვერვალზე; ის ქვესკნელშიც არის და ცაშიც, ორივეგან მიუწვდომელია გარეშეთათვის: დადებული აქვს საფარველი, რომლის წიაღს მხოლოდ მკადრის თვალი თუ მისწვდება მისტიკური ჭვრეტით. ამ უნარს მკადრე წმინდა ცხოვრებით მოიპოვებს; სხვანაირად, მკადრე არსებობის იმავე რიგში უნდა იმყოფებოდეს, რომელშიც იმყოფება ჯვარის განძი – ეს არის სიწმინდე ანუ გამოცალკეება ყოფითი სინამდვილიდან. მხოლოდ ამ პირობით შეეყრებიან ურთიერთს მკადრე და ჯვარის განძი (კიკნაძე 1996, 83-137).

საკრალურზე დროებით საფარველის დადება ისეთ ტერმინებთან ერთიანდება, როგორებიცაა: მაგიური, სპირიტული, მისტიკური ან რელიგიური და სხვა, რომლებიც ერთად განსაკუთრებულის კატეგორიას ქმნის და განიხილება როგორც ქცევის ასპექტიდან გამომდინარე, ასევე – სუბსტანციურადაც.

ამგვარად, საკრალური, ზ. კიკნაძის მიხედვით, ერთდროულად ასახავს როგორც რეალობას, ასევე – რელიგიისადმი მიდგომასაც. ადამიანები მთელ მსოფლიოში და განსხვავებულ ისტორიულ დრო-ჟამში განიცდიდნენ რაღაც უჩვეულოს, არაჩვეულებრივს გარკვეულ პიროვნებებში, ადგილებსა და საგნებში და მათ მშვენივრად იცოდნენ მათი მნიშვნელობები, რომ განესაზღვრათ ისინი ტერმინ წმინდათი და განცდილის გამოსახატავად გამოეყენებინათ.

რომელ ენაზეც არ უნდა გაუღერებულებიყო ეს სიტყვა, როგორც ამას მეოცე საუკუნის დასაწყისის თეორეტიკოსი მკვლევარი, რუდოლფ ოტო აღნიშნავდა, ეს იყო ყველაზე აღმაფრთოვანებელი სიტყვები (ებრაული Kadosh, ლათინური Sanctus, რუსული свят, რომელსაც ის აღნიშნავდა). როგორც კი ისინი ბაგეებს მოსწყდებოდნენ, სულის შემკვრელი ხდებოდნენ, ძლიერი ძრწოლით შემოჰქონდათ სხვა სამყაროს მისტერია, რომელიც დაფარული იყო მათში.

მკვლევრის აზრით, ბარის საქართველოს მითოლოგიური სიუჟეტები, რომელთაც მთაში საკრალური ხასიათი აქვს, ბარში დესაკრალიზებულია, სეკულარულ სფეროშია გადანაცვლებული. თუ აღმოსავლეთ საქართველოს მთაში რელიგიურ-საზოგადოებრივ ყოფაში ჯვარი და საყმო სოციალური ინსტიტუციებია, რომლის ცენტრში ანდრეზია – ბარისთვის ის უცნობია.

მითოლოგიური ნარატივი, რომელსაც ამ წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა, არის ქართულ ენაზე წერილობითად დადასტურებული მითოსის ყველაზე ძველი მროველისეული ტექსტი. აღნიშნული მითოლოგიური ტექსტი, სიზმრით (რიტუალის გარეშე) არის წარმოდგენილი ძალზე ლაკონურად, რომელიც იმპლიციტურად¹ ფარნავაზის (ძვ.წ. III ს.) ხანას ეკუთვნის. ტექსტისა და რიტუალის ერთიანობა, რაც აღმოსავლეთ საქართველოს მთისთვისაა დამახასიათებელი, აქ არ არის. თუ ორტომეულის პირველი ნაწილი სოციუმის საკულტო და საზოგადოებრივ ყოფასთან არის დაკავშირებული, მეორე ნაწილი მოწყვეტილია მათ შემნახველ სოციუმსა და ყოფას და მის შუაგულს მეფობა და მეფის (ხუთი მითოლოგიური სტატუსის მქონე მეფის) მითოსი წარმოადგენს, რომელშიც ეზოთერული ასპექტებით ყველაზე მეტად ფარნავაზისა და თამარ მეფის ამბავი გამოირჩევა.

ფარნავაზთან დაკავშირებულ ტექსტში ორი პლანია: ცხადი და სიზმარი. ცხადში: მამით ობოლი ფარნავაზი მცხეთაში აზოს კარზე მიღებული მონადირე ხელოვანია. მაგრამ აზოს კარზე ის უსაფრთხოდ არ გრძნობს თავს და დედის რჩევით გადაწყვეტს, თავის გადასარჩენად დატოვოს მცხეთა და წავიდეს ასპანს (დედუღეთში).

სიზმარში ფარნავაზი ხვდება უკაცურ სახლში, საიდანაც მას გამოსვლა არ შეუძლია. ასეთ მდგომარეობაში მყოფს სარკმლიდან შემოსული მზის შუქი წელზე შემოერთყვება და სარკმლიდან გაიყვანს. გარეთ გასულმა ფარნავაზმა მზე მასზე ქვე- მდაბლად იხილა, ხელით მოსწმინდა მას პირის ცვარი და თვითონ იცხო პირზე. გაღვიძებულმა ფარნავაზმა სიზმარი მცხეთაში ყოფნას დაუკავშირა და გადაწყვიტა ასპანს წასვლა. იმ დღეს იგი ირემზე სანადიროდ განვიდა. დადევნებულ ირემს სტყორცნა ისარი და ირემი კლდის ძირას დაეცა. კლდის ძირში იყო გამოქვაბული, რომლის კარი ამოქოლილი იყო. წამოსული წვიმისგან თავის შესაფარებლად ფარნავაზმა ჩუგლუგით გაარღვია კარი და შევიდა გამოქვაბულში, რომელშიც მიუწვდომელი განძი იხილა. მაშინ განცვიფრებულ ფარნავაზს ისევ მოაგონდა სიზმარი (იხ. ქართლის ცხოვრება 1955, 20-22).

1 იმპლიციტურად, რადგან როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, იმპლიციტურად მოცემული წარმოდგენების დათარიღება და მათი მიკუთვნება რომელიმე ისტორიული ეპოქისადმი, არათუ შეუძლებელი, არამედ გაუმართლებელიც არის.

როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, ცხადში ფარნავაზის მცხეთაში ყოფნა გასაჭირში ყოფნის ტოლფასია. მას საფროთხე ემუქრება აზოსგან. ის უნდა გავიდეს ამ სივრციდან.

სიზმარში უკაცურ სახლში ყოფნა დუმილის სახლში ყოფნის ტოლფასია, რომელიც კაცთა სამკვიდრებლის საპირისპიროა (კიკნაძე 2016ა, 12-15). სივიწროვე და ფართოება, შესაბამისად, სიბნელე და სინათლე, როგორც მეტაფორები, ყოფიერების სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნება, საიდანაც სხვადასხვა შესაძლებლობა უნდა განვითარდეს. ფარნავაზი, ფაქტობრივად, ორჯერ გადის ჯერ შინიდან გარეთ, სიზმარში ჩაკეტილი სივრციდან და შემდეგ, ცხადში – სანადიროდ.

ანალოგიით რომელიც არსებობს ჩვეულებრივი მნიშვნელობით სიტყვა სიკვდილსა და ინიციაციურ სიკვდილს შორის, ჩვეულებრივ, ტოლობის ნიშანს სვამენ. ფარნავაზი იმპლიციტურად მკვდარია და უნდა ამოვიდეს ქვესკნელიდან. მაგრამ საკუთარი ძალებით, როგორც ზ. კიკნაძე აღნიშნავს, ფარნავაზი ვერ განთავისუფლდება. მას სჭირდება შემწე ამ საქმეში, რა როლსაც იღებს მზე-მხსნელი. ფარნავაზი მზის ბუნებას ეზიარება მზის ცვარით, მზის ცვარი მაცოცხლებელია, რაც მომავალში მის მეფობას მოასწავებს. ფარნავაზი ცხებულია მეფედ. ფარნავაზი მკვდარი უკაცურ სახლში მზის ცვრის ცხებით მეფედ იბადება. როგორც ზ. კიკნაძე შენიშნავს, თავისებურება ფარნავაზის მეფედ გახდომისა არის ის, რომ ინიციაციის რიტუალი არა ცხადში, არამედ სიზმარში, უშუალოდ მზის ხელით ჩატარდა. ფარნავაზი განძის მფლობელი ხდება. მზის წილის თუნდაც სიზმარში მიღების გარეშე, განძი მისთვის მიუწვდომელი იქნებოდა. ცხადში მზეს ჰყავს თავისი ორეული – ირემი. რომელსაც მისდევს ველად სანადიროდ გასული ფარნავაზი. ირემს ფარნავაზი განძისკენ მიჰყავს. განძის ფლობა კი ტერიტორიის ფლობის ტოლფასია, განძის მფლობელი იმ ტერიტორიის მფლობელი ხდება (იქვე, 16-20).

ფარნავაზის სიზმარში სამეფო ინიციაციის მოდელი / არქეტიპი მიიკვლევა და ვიწრო, უკაცური სივრცე / სახლი, დარდება საკრალურ სივრცესთან, რომელშიც, ფაქტობრივად, ხორციელდება ან უნდა განხორციელდეს ინიციაცია. „ფარნავაზის სიზმარი“ მეფობის ლეგიტიმაცია არის სიზმარში. ფარნავაზის სიზმარში ფარნავაზი ინიციაციის კანდიდატია, რომელიც უნდა მოკვდეს და შემდეგ აღდგეს ახალ – მეფის სტატუსში.

ამგვარად, მეფობაში შესვლა არ შეიცავს რამენაირი სახის გაღვთებრივებას, არამედ წარმოადგენს ეზოთერული ტრადიციის დაფუძნებას, კერძოდ, ხდება ფარნავაზიანთა დინასტიური კულტის დაფუძნება. ეს კი ნიშნავს რომ მეფედ გახდომისთვის და სამეფო ტახ-

ტზე (მეფობისთვის) ასასვლელად საჭირო იყო გარეთ არსებული თვისებების მიღება. სხვა სიტყვებით, ფარნავაზის სიზმარი გვაჩვენებს სამეფო ტრანსფორმაციას.

თუ ფარნავაზის სიზმარში გამოქვაბული და მისი სივიწროვეა აქცენტირებული, თამარ მეფესთან მთა ასოცირდება, როგორც დიდის/დიდებულის და სამოთხის იდეა (შდრ. დანტეს „ღვთაებრივ კომედიასში“ (განსაწმენდელი 18-33) მიწიერი სამოთხე მთის წვეროზეა განთავსებული, სადაც ამინდი არ იცვლება და მუდმივი გაზაფხული სუფევს).

ქართულ მითოლოგიაში სამოთხისეულ ხანად თამარის ხანა არის მიჩნეული, რომელიც ხალხის ცნობიერებაში „ოქროს ხანის“ სახელით დამკვიდრდა (კიკნაძე 2016ა, 36). ხოლო თამარი თვითონ ედემის ბაღის უცოდველი ბინადარია. მას ზაფხულ-ზამთრის გამჩენი შუქურვარსკვლავი დატყვევებული და ჯაჭვით დაბმული ჰყოლია, ამიტომაც საქართველოში ზამთარი და ზაფხული არ ყოფილა (იქვე, 36-39).

თამარის ანდრეზის ვარიანტებიდან მკვლევარი არქეტიპული ტექსტის პირობით რეკონსტრუქციას ახდენს: თამარიც, ფარნავაზის მსგავსად, თავის თავს მეფედ სიზმარში ხედავს (ქალმა თქვა, თამარ ნეფემა, დედაც სიზმარი ვნახეო ჩამბარდა სახმელეთოი, ვაჰ, თუ ვერ შევინახეო...) (იქვე, 88).

თამარს ტახტი მაღალ მთაზე უდგას და იქიდან მართავს სამეფოს, სადაც მარადიული გაზაფხული სუფევს, რადგან მას დატყვევებული ჰყავს დრო-ჟამის მომყვანი ცისკრის ვარსკვლავი (ფრთოსანი სულღუმი), თავის სამეფოს მოსახილველად ბარად ჩამავალი თამარი გამდელს თუ მოახლეს უტოვებს გასაღებს აკრძალვით, არ გააღოს ესა და ეს ოთახი თუ სკივრი. აკრძალვა, როგორც წესი, ირღვევა, გაღებული სათავსოდან ამოფრინდება ცისკრის ვარსკვლავი თუ ფრთოსანი და მთელი ქვეყანა თოვლით იფარება. ბარიდან მობრუნებული თამარი ველარ ადის მთაზე თავის საბრძანისში, სადაც უკვე მარადიული ზამთარია დასადგურებული. ამის შემდეგ იწყება დრო-ჟამის დინება... (იქვე, 40-41)

თამარის სამოთხე საფარველდადებულია. თამარი ხალხური პერცეფციით უკვდავია, იგი მესიაა, რომელიც უნდა მოვიდეს თავისი სამეფოს აღსადგენად, მარადიული გაზაფხულის აღსადგენად. ამ მოლოდინს ზ. კიკნაძე იაზრებს, როგორც ქრისტიანული ესქატოლოგიის ფოლკლორულ ვარიანტს.

საფარველდადებულია თამარის სამარხიც, რომელიც გამოქვაბულის ნაირსახეობაა, როგორც ყოველი ღრმული და შიდა სივრცე.

ტექსტში მთა და გაზაფხული ერთმანეთის თანაზიარი მოვლენ

ნები, რომელთაგან ერთი სივრცული, ხოლო მეორე დრო-ჟამული განზომილებით წარმოსახავს სამოთხის ქრონოტოპს. ორი რეალობა ერთიანდება თამარის მითოსში; მთა და გაზაფხული და ორივენი სამოთხის მითოსში ჰპოვებენ განსრულებას, რადგან მთაც და გაზაფხულიც – ორივენი სამოთხის ნიშნებს შეიცავენ (იქვე, 51).

თამარის მეფობის მითშიც, მის მთიდან ბარში (სხვა ვერსიით ზღვაში) ჩასვლაში, „წასვლა-დაბრუნების“ რიტმში, მკვლევრის აზრით, ინიციაციის სქემა მიიკვლევება, რაც ერთ-ერთი კოსმიური მასშტაბის ძირითადი მითოლოგიეა.

ამგვარად, ზ. კიკნაძის უმნიშვნელოვანესი ნაშრომი: ქართული მითოლოგია (ჯვარი და საყმო და ფარნავაზის სიზმარი) წარმოადგენს არა მარტო სიმბოლოების, მითებისა და რელიგიური ქცევის სხვადასხვაგვარი ფორმის ინტერპრეტაციას, არამედ, ასევე, აჩვენებს მთისა და ბარის დიქოტომიას, საკრალური ცენტრების სტრუქტურებს და, შესაბამისად, დროსა და სივრცეში ცვლად რელიგიურ მოდელებს.

დამოწმებანი

- აბაკელია, ნინო. 2013. *მწირი ორ სოფელსა შინა*. ზურაბ კიკნაძე, საიუბილეო კრებული. თბილისი: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი.
- კიკნაძე, ზურაბი. 1996. *ქართული მითოლოგია 1. ჯვარი და საყმო*. ქუთაისი: ნეკერი.
- კიკნაძე, ზურაბი. 2009. *სეკულარიზაციის მრავალსახეობა. კრებულში სეკულარიზაცია: კონცეპტი და კონტექსტი*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კიკნაძე, ზურაბი. 2016. *ქართული მითოლოგია 1. ჯვარი და საყმო*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- კიკნაძე, ზურაბი. 2016ა. *ქართული მითოლოგია 2. ფარნავაზის სიზმარი*. თბილისი: ილიას უნივერსიტეტის გამომცემლობა.
- ქართლის ცხოვრება. 1955. *ქართლის ცხოვრება I*, სიმონ ყაუხჩიშვილის რედაქციით. თბილისი: სახელგამი.
- Durkheim, Emil. 1995. *The Elementary Forms of Religious Life*. Trans. by Karen E. Fields. New York: Free Press.

- Eliade, Mircea. 1959. *The Sacred and the Profane (The Nature of Religion)*. Trans. by Willard R. Trask. New York: A Harvest Book.
- Orsi, Robert. 2012. The Problem of the Holy. In *The Cambridge Companion to Religious Studies*, ed. Robert A. Orsi, 84-106. Cambridge: Cambridge University Press.
- Otto, Rudolf. 1923. *The Idea of the Holy*. Oxford: Oxford University Press.
- Smith, Jonathan Z. 1987. *To Take Place: Toward Theory in Ritual*. Chicago: University of Chicago Press.
- Taylor, Charles. 2004. Closed World Structures. In *Religion After Metaphysics*, ed. M.A. Wrathall, 47-68. Cambridge: Cambridge University Press.

ნინო აბაკელია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეჯამება ABSTRACT

Nino Abakelia

Ilia State University

Zurab Kiknadze: the Explorer of Georgian Mythic-Religious Ideas

This review of *Georgian Mythology* in two volumes (“Cross and Its Community” and “Parnavaz’s Dream”), issued by Ilia State University in 2016, presents one of the most significant scholarly projects of Zurab Kiknadze, a prominent Georgian thinker and intellectual. Reflections on these books reveal the leitmotif and the essence of the researcher’s entire intellectual heritage: the archetype of irreconcilable oppositions - the two (the real and the beyond) worlds, the visible and the invisible, the spatial and the temporal, the highland and the lowland, the dream and the reality, the sacred and the profane, the intransient and the transient.

Z. Kiknadze’s highly influential work: *Georgian Mythology* (“Cross and Its Community” and “Parnavaz’s Dream”) not only provides diverse interpretations of symbols, myths and patterns of religious behaviors, but also elucidates the dichotomy of the two worlds, the structures of the sacred center and religious models that change in time and space.

უცხოური ქართველოლოგია KARTVELIAN STUDIES ABROAD

ჟურნალ გარიტი
ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი

დუმბარტონ ოქსში დაცული „თვენის“ ქართული რედაქცია*

ვაშინგტონში, დუმბარტონ ოქსის ბიზანტიურ კვლევათა ცენტრში დაცულია პალესტინაში შედგენილი, XI ს-ის ქართული „თვენი“. მისი არსებობა ჩვენი კოლეგის, ბ-ნ დ. მ. ლანგის წყალობით შევიტყეთ; 1955 წ. ბ-ნმა ლანგმა მოგვაწოდა ქართული კრებულის რამდენიმე გვერდის (f. 63v-66r) ფოტო, რომლებიც შეიცავდნენ იერუსალიმელი პატრიარქების, წმ. მოდესტოსისა და წმ. იოვანესადმი მიძღვნილ საგალობლებს (16 დეკემბერი); შესაძლებლობა მოგვეცა ისინი გამოგვეყენებინა 1958 წ. გამოცემულ იოანე ზოსიმეს „პალესტინურ-ქართული კალენდრის“¹ ჩვენეულ კომენტარებში. ცოტა ხნის შემდეგ, 1960 წ. Byzantinisch-neugriechische Jahrbücher, vol. 18, (1945-49) განსვენებული რ. ბლეიკის სახელით გამოქვეყნდა ხელნაწერის აღწერილობა,² რომელიც მაშინ, როცა ბლეიკი ამ წერილს წერდა „დოქტორ გ. ერიკ მატსონს, (გლენდალი, კალიფორნია) ეკუთვნოდა“ (p. 97); სტატია დათარიღებული არაა; იგი ნამდვილად 1950 წლის 9 მაისზე, რ. ბლეიკის გარდაცვალების თარიღზე ადრეულია.³ ხელნაწერი 1952 წლის თებერვალში დუმბარტონ ოქსში მოხვდა როგორც ბ-ნი და ქ-ნი ბლისების შეწირულება (ეს ცნობა მოგვაწოდა ბ-ნმა პროფ. ერნესტ კიცინგერმა დუმბარტონ ოქსის ცენტრიდან, რისთვისაც მას დიდ მადლობას მოვახსენებთ).

1961 წ. ბატონი ლანგის თხოვნითა და ქ-ნი სირარპი დერ ნერსესიანის დახმარებით დუმბარტონ ოქსის ბიბლიოთეკის დირექციამ მოგვაწო-

* Le ménée géorgien de Dumbarton Oaks, Le Muséon, LXXVII, 1-2, 1964, p.29-64.

1 Le calendrier palestino-géorgien du Sinaïticus, 34 (X s.), Subsidia Hagiographica, 30, Bruxelles, 1958, p. 411.

2 R. P. Blake, A Georgian Menaion from Palestine, in: Byzantinisch-neugriechische Jahrbücher, 18 (1945-1949), Athènes, 1960, p. 97-104; იხ. Le muséon, 74, 1961, p. 388, n.1.

3 იხ. R. L. Wolff Robert, Pierpont Blake (1886-1950), in Dumbarton Oaks Papers, 8, 1954, p. 1-9 (ბიოგრაფიული ცნობები, ბიბლიოგრაფია და პორტრეტი); S. Elisséeff, Robert Pierpont Blake (1886-1950), in: Harvard Journal of Asiatic Studies, 14, (1951), p. VII-XVII (ბიოგრაფიული ცნობები და ბიბლიოგრაფია); იხ. Revue d'Histoire Ecclésiastique, 51, 1956, p. 1099. Byzantinisch-neugriechische Jahrbücher-ში გამოქვეყნებული სტატია უნდა დაემატოს ბატონების ვოლფისა და ელისეევის ბიბლიოგრაფიებს. – 1948 წლის წერილში კ. კეკელიძისადმი ბლეიკი აღნიშნავდა ხელნაწერის ამ აღწერილობის გამოცემას; იხ. კ. კეკელიძე, ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი, 1962, გვ.6-7.

და ხელნაწერის სრული მიკროფილმი. ორი ეგზემპლიარი გავგზავნეთ თბილისში, ერთი ხელნაწერთა ინსტიტუტში, მეორე კი აწ განსვენებულ კორნელი კეკელიძესთან (+ 1962 წ. 7 ივნისი), რომელმაც ხელნაწერის დეტალური ანალიზი გამოაქვეყნა თავის ნაშრომში „ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან“⁴

Byzantinisch-neugriechische Jahrbücher-ში გამოქვეყნებულ სტატი-აში რ. ბლეიკმა დუმბარტონ ოქსის „თვენი“ გააიგივა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის ხელნაწერთან, რომელიც 1883 წ. ცაგარელმა ნ. 36-ით აღწერა.⁵ 1923 წ. როცა ბლეიკმა თავის მხრივ შეადგინა ამ ფონდის კატალოგი, რომელიც იმუამად ბერძნულ საპატრიარქოში იყო გადატანილი, ხელნაწერი ცაგარელი ნ.36 აღარ არსებობდა⁶ და როგორც ჩანს, უკვე კარგა ხანია.⁷ საბედნიეროდ, ცაგარელის საკმაოდ ზუსტი აღწერილობის წყალობით, იდენტიფიკაცია ეჭვს არ იწვევს. გაგაცნობთ ცაგარელის ცნობას ნ. 36 ხელნაწერის შესახებ⁸.

- 4 კ. კეკელიძე, უცნობი რედაქცია ქართული ჰიმნოგრაფიული თვენისა, in: ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, VIII, თბილისი, 1962, გვ. 5-55. გამოკვლევა შედგება შემდეგი ნაწილებისგან: 1. ხელნაწერის ისტორია, გვ. 5-8; 2. ხელნაწერის შინაარსი, გვ. 8-20; 3. ხელნაწერის ხასიათი, გვ. 20-26; 4. ხელნაწერის სამეცნიერო ღირებულება, გვ. 26-31; 5. ბერძნული მოდელის სახე და ქართული თარგმანის თარიღი, გვ. 31-35; 6. წმ. მოდესტისადმი და იოანე იერუსალიმელისადმი (16 დეკემბ., გვ. 36-41), წმ. ბოასადმი (31 დეკ., გვ. 41-44), აბო თბილელისადმი (7 იანვარი, გვ. 44-50) და წმ. ნინოსადმი (14 იანვ., გვ. 50-55) მიძღვნილი საგალობლები. – იხ. G. Garitte, in: Le Muséon, 76, 1963, p. 79, n. 3; p. 474, n. 474a.
- 5 1948 წლისთვის ბლეიკს უკვე უცნობებია კ. კეკელიძისთვის ამ იდენტიფიკაციის შესახებ; იხ. კეკელიძე, დასახელებული სტატია, სქ. 4, გვ. 6.
- 6 R.P. Blake, Catalogue des manuscrits géorgiens de la Bibliothèque patriarcale grecque à Jérusalem, in: Revue de l'Orient Chrétien, 23 (1922-1923), p. 345-413; 24 (1924), p.190-210 და 387-429; 25 (1925-1926), p. 132-155; იხ. შესაბამისობის ცხრილი 25 (1925-1926), p. 154-155. ბლეიკმა იერუსალიმური ხელნაწერები აღწერა 1923 წლის 19 დეკემბერსა და 1924 წ. 3 იანვარს შორის (იხ. 23, 1922-1923, p. 345-355).
- 7 ხელნაწერი ცაგარელი 36 მარის მიერ 1902 წ. შედგენილ კატალოგში, რომელიც ელ. მეტრეველმა 1955 წ. გამოაქვეყნა შეტანილი არ არის: Н. Я. Марр, Краткое описание грузинских рукописей библиотеки греческого патриархата в Иерусалиме, Тб.1955.
- 8 А. Цагарели, Каталог грузинских рукописей монастыря св. Креста, близ Иерусалима, данართი I, (გვ. 143-192), მისივე Памятники грузинской старины в святой Земле и на Синае (Правосл. Палест. Сборник, IV,1), Ст Петербург, 1888, стр. 164 ნ. 36. ცაგარელმა ეს კატალოგი გამოაქვეყნა თავის ნაშრომში

n. 36, დეკემბრის, იანვრისა და თებერვლის „თვენი“, სრული, 266,7 x 155,5 მმ. 383 ფურცელი წვრილი, დახვეწილი, ათონური ხელი, მოხატულობის გარეშე. XI ს-ის ხელნაწერი. გადაწერილია გადამწერ იოანე დვალის მიერ იერუსალიმის ჯვრის მონასტრის დამაარსებლის გიორგი პროხორეს ბრძანებით, როგორც ამას მოწმობს ხელნაწერის ბოლოს დართული ანდერძი: „სახელითა... განსრულდა ესეე წიგნი სამითთუჴ... ბრძანებითა და მოღვაწებითა ღთშემოსილისა მმსა და მოძღუარისა გიპროხორესითა... ლოცუასა მომიკსენეთ ცოდვილი უცბად მჩხრეკალი იოვანე დვალი...“

ამ ანდერძში მოცემული აღწერილობა და თავად ანდერძი მოწმობს, რომ ეს კრებული დღეისათვის დუმბარტონ ოქსში დაცული თვენია.

იგი მოიცავს ეტრატის 382 ფურცელს. სამი ფურცელი დაუნომრავია: ერთი fol. 58 და 59-ს შორის, მეორე fol. 102 და 103-ს შორის და მესამე fol. 280-281-ს შორის. გარდა ამისა, ორ ერთმანეთის მომდევნო ფურცელს აქვს ნომერი 236 და სხვა ორს 334; უკანასკნელი ფურცლის ნომერია 378; fol. 1 აკლია. ეტრატი საშუალო ხარისხისაა, სხვადასხვა სისქის, ოდნავ გაყვითლებული სპილოსძვლისფერი; ფურცლები ნესტისაგან დაზიანებულია, აშიები მსხვრევადაა, განსაკუთრებით ქვედა აშია,⁹ მაგრამ ტექსტი ყველგან შესანიშნავად იკითხება. ფურცლების ზომა დაახლოებით 235 x 173 მმ.¹⁰ ტექსტი წარმოდგენილია ერთ სვეტად, დაახლოებით 170 x 111 მმ. და 30-31 სტრიქონი გვერდზე. დამწერლობა ნუსხური; სათაურები ღია წითლით ან სინგურით, მთავრულით, გარდა fol. 157r-181r-ზე გატანილი სათაურებისა. ხელნაწერი შედგება 48 რვეულისაგან. ყველა მათგანი სრულია გარდა I რვეულისა (fol. 2-8) რომელსაც პირველი ფურცელი აკლია და მეშვიდე რვეულისა (fol. 49-55), რომელშიც მხოლოდ 7 ფურცელია შემორჩენილი (ლაკუნა fol. 50 და 51-ს შორის); რვეულები

Сведения о памятниках словесности, II, Ст. Петербург, 1889; შემოკლებული ინგლისური თარგმანი იხ. O. Wardrop, Professor Tsagareli's Catalogue of the Georgian Manuscripts in the Monastery of the Holly Cross at Jerusalem, translated from the Russian, in: Journal of Biblical Literatur, 12, 1893, I, p. 168-179 (n. 36, p. 172). ცაგარლის მოგზაურობაზე სინასა და იერუსალიმში იხ. G. Garitte, Catalogue des manuscrits géorgiens littéraires du Mont Sinai (CSCO 165, Subs. 9), Louvain, 1956, p. 3-4.

9 ეს ცნობები ხელნაწერის ფიზიკურ მდგომარეობაზე დავესესხეთ ბლეიკს, მისი აღწერილობიდან. იხ. ბლეიკის აღწერილობა, p. 97-98, n. 2.

10 Blake (მითითებული სტატიის გვ. 97, სქ. 2) ზომას მიუთითებს 335x170 მმ. პირველი რიცხვი კორექტურული შეცდომაა; მე კიციანგერმა დუმბარტონ ოქსის ცენტრიდან, მოგვაწოდა ხელნაწერის ზუსტი ზომები, რისთვისაც მაღლობას მოვასხენებთ მას.

დანომრილია ქართული მთავრულით, ჩვეულებისამებრ, I რექტოს ზედა აშიისა და უკანასკნელი ვერსოს ქვედა აშიის შუაში. სხვა ნუმერაცია სომხური ასოებით, ბოლოვრით (XIV ს?) დამატებულ იქნა რვეულე-ბის ბოლოს, ქვედა აშიაზე. რაც შეეხება მონატულობას, მონატულია მხოლოდ რამდენიმე თავკიდური ასო (fol. 183r, 184v, 297v) და თებერ-ვლის თვის დასაწყისში (fol. 297v) მთელი გვერდის გასწვრივ გასდევს მართკუთხა ზოლი.

fol. 377r ტექსტის ხელით, ნუსხურით (გარდა სტრ. 1 და 9) ვკითხუ-ლობთ ანდერძს:

სახელითა ლ(მრთისა)ათა: განსრულდა: ესეცა:
 წიგნი. სამი თთუჴ დეკენზერი იანვარი და ფეზე-
 რვალი: ბრძანებითა და მოლუაწებითა ლ(მერ)თშე-
 მოსილისა: მამისა: და მოძღურისა: გ(იორგი) პროხორე-
 სითა: ქ(რისტემა)ნ ამათ: ყ(ოვე)ლთა წ(მიდა)თა: მისთა თანა
 დ(იდებ)ლ(უ)ლ ყავნ:
 სული მათი: სასუფეველსა ცათასა: ა(მე)ნ ··
 ლ(ო)ცვ(ა)სა მომიკს(ე)ნ(ე)თ ც(ო)დვ(ი)ლი უცბ(ა)დ მჩხრეკალი
 იოვანე
 დვალი წ(მიდა)ნო მ(ა)მ(ა)ნო და რ(ომელი) დამეკლოს შემინ-
 დვეთ ლ(მერთმა)ნ გარწმ(უ)ნოს:
 ვინ ესე წიგნი რა(ათა)ცა მიზეზითა მონასტე-
 რსა ჯ(უა)რისასა გამოაკუას. შემცაჩუენე-
 ბულ არს: ვ(ითარ)ცა ყ(ოვე)ლნი მწვალებელნი და სული-
 მცა მისი დაშვილ არს ყ(ოვე)ლთა¹¹ თანა ლ(მრ)თისა განმა-
 რისხებელთა ··
 შეიმოსა კელითა კ(უ)რთხ(ეუ)ლისა ძმისა ნისტერე-
 ონისითა. ლ(მერთნა)ნ აღუკოცენ<ინ>¹² ყ(ოველ)ნი ბრ(ა)ლნი
 მისნი ლ(ო)ც(ვა) ყ(ა)ვთ
 მის თვს წ(მიდა)ნო მ(ა)მ(ა)ნო··

ანდერძში არავითარი თარიღი არაა მითითებული. მაგრამ, გარდა იმისა, რომ პალეოგრაფია XI ს-ით დათარიღების საშუალებას იძლევა, გიორგი პროხორეს, გადამწერი იოვანე დვალისა და ამკინძველი ნის-თერეონის ხსენება საკმაოდ ზუსტად დათარიღების საშუალებას იძლე-ვა. პირველი მათგანი წმ. ჯვრის ქართული მონასტრის დამაარსებელია

11 -თა სხვა ხელით სტრიქონს ზემოთ.

12 -კ სტრიქონს ზემოთ, სხვა ხელით.

და 1066 წ. 12 თებერვალს გარდაიცვალა.¹³ შემორჩენილია გადამწერი იოვანე დვალის სხვა, 1055 წლით დათარიღებული ქართული ხელნაწერი იერუსალიმი-14 (ცაგარელის n.105), წმ. ბასილის თხზულებათა კრებული, ჯვრის მონასტრის საკუთრება, რომლის ანდერძიც შემდეგი სიტყვებით მთავრდება: „დაიწერა და შეიმოსა კელითა იოვანე დვალისათა და კურთხეულისა შულსა ჩემისათა [მიქელისა]... ქ-კნი იყო ს-რე“ (= 1055)¹⁴.

ბოლოს, „კურთხეული ძმა ნისთერიონი“ მოხსენებულია როგორც ამკინძველი კრებულისა თბილისი H-2337, ივლისისა და აგვისტოსა თვენი, რომელიც ჯვრის მონასტრიდან მომდინარეობს (ცაგარელი 142, გვ. 182-183) და გადაწერილია 1049 წ. გოლგოთაზე, მიქელის მიერ იოანე გოლგოთელისთვის. მისი გადამწერი მიქელი სავარაუდოდ, Jèr-14-ში მოხსენიებული იოვანე დვალის „შვილი“ უნდა იყოს. ანდერძი ისეთსავე ფორმულირებას იყენებს, როგორსაც ჩვენი თვენი: „ვინ ესე წიგნი რა-ეცა მიზეზითა გოლგოთისაგან გამოაკუას შემცაჩუენებულ არს ვითარ-ცა ყოველნი მწვალებელნი და სულიმცა მისი დაშჯილ არს მათ თანავე განუქსნელად. შეიმოსა კელითა კურთხეულისა ძმისა ნისთერეონისითა, ღმერთმან აკურთხენ და მადლი მიეცინ სულსა მისსა ლოცვა ყავთ მისთვის წმიდანო მამანო...“¹⁵

ამრიგად, ვაშინგტონში დაცული თვენის ანდერძის ცნობები, მისი XI ს-ის შუა წლებით დათარიღების საშუალებას იძლევა. მეორე მხრივ, გა-

13 იხ. M. Tarchnišvili; *Geschichte der kirchlichen georgischen Literatur* (Studi e Testi, 185), Vatican, 1955, p. 75; კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, მე-4 გამოც. თბ.; 1960, გვ. 103.

14 Цагарели, Каталог (იხ. ზემოთ, სქ. 8), стр. 172-174, n. 105; თარგმ. Wordrop (იხ. სქ 8), p. 176; Blake, in: *Revue de l' Orient Chrétien*, 23 (1922-1923), p. 380-385 (ანდერძი იხ. გვ. 385); Март, Краткое описание (იხ. ზემოთ, n. 7), стр. 15-19 (ანდერძი стр. 18). – ქართული კრებული Sin. 89 (XII., ლიტურგკიული) გადაწერილია სტეფანე დვალის მიერ. იხ. Н. Март, Описание грузинских рукописей Синайского монастыря, Москва-Л-д, 1940, стр. 89-90. A. Jacobs, *Le muséeon LXXVII*, 1-2, 1964, p. 67-68. სხვა დვალი, ნიკოლოზი აწამეს 1314 წ. იხ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, მე-4 გამოც. თბ., 1960, გვ. 541-542; Tarchnišvili, *Geschichte*, p. 417-418. ქართულ კრებულში Jèr-143, XIV-ს, რომლის ანდერძიც ძველი ანდერძის მიხედვით გადაიწერა, მოხსენიებულია მიქელ დვალი; იხ. B Blake, in: *Revue de l' Orient chrétien*, 25(1925-1926), p.143.

15 იხ. თბილისის H ხელნაწერთა აღწერილობა V (იხ. *Le Muséeon*, 74, 1961, p. 405-406), p. 232; К. Кекелидзе, *Литургические грузинские памятники*, Тифлис, 1908 (იხ. *Le Muséeon*, 76, 1963, p. 447, n.4), p. 392-395. Sin-78, 1031 წ. გადაეცა „იოანე გოლგოთელს“; იხ. Garitte, *Catalogue* (იხ. ზემოთ, სქ.8), p. 232-234); კეკელიძე, სქ. 4-ში მითითებული სტატია, გვ. 35.

დამწერი აშკარად მიუთითებს (სტრ. 3-4 და 9-10), რომ იგი იერუსალიმის მახლობლად, წმ. ჯვრის მონასტერში გადაწერა.

ხელნაწერი წარმოადგენს ბიზანტიური ლიტურგიული წლის II ტრიმესტრის-დეკემბრის, იანვრისა და თებერვლის თვენს. გატანილია ამ სამივე თვის ყველა დღე, გარდა 28 და 30 დეკემბრისა და 8, 19 და 23 თებერვლისა. ქვემოთ გთავაზობთ ტექსტს და ჰიმნების თითოეული ჯგუფის სათაურების თარგმანს, თარიღისა და დღესასწაულის (ან დღესასწაულების) მითითებით. <>-ში მითითებული ნაწილი მეორე ხელის გვიანდელი, მაგრამ არც ძალიან გვიანდელი ჩანამატია აშიაზე. როცა ერთ თარიღზე გატანილია რამდენიმე მოხსენიება, ჩვენ სწორი ხაზით გამოვყოფთ მკაფიო ცნობების შემცველ ნაწილებს. 1 დეკემბრისთვის, რომლის სათაურიც ხელნაწერის პირველ გვერდთან ერთად დაიკარგა, მოგვყავს შემონახული ტექსტის დასაწყისი (fol. 2r, სტრ. 1 და ქვ.), სადაც მითითებულია იმ დღეს მოსახსენებელ წმინდანთა სახელები. თარგმანში სპეციფიკური ფორმის მქონე ქართული საკუთარი სახელები მოცემულია ფრჩხილებში.*

დეკემბერი

1 (fol. 2r) Inc. დაზიან. განნათლდა გონებად შენი საღმრთოთა მით ბრწყინვალეებითა ღირსებით და სული წმიდად მკვდრ იყო სიყრმით გან შენ თანა ანანია და გამოგაჩინა მოწამედ თუსა სპარსეთისა ქუეყანად მოირწყო სისხლისა შენისა მდინარითა სანატრელო მოწამეო ანანია და წამებს სიმკნესა შენსა ქალაქი არიელისაჲ. | მწყემსთმთავართა ნეტართა ქრისტეს ეკლესიისა შემამკობელთა ონესიმეს და სოლომონს შესხმითა საღმრთოთა უგალობდეთ რომელნი მეოხ არიან სულთა ჩუენტა თუს...

2 (fol. 4r). დეკენბერსა ბ. წმიდისა წინადაწარმეტყუელისა ამბაკოვმისი.

3 (fol. 7r). დეკენბერსა გ. წმიდისა თევდორს აღმსარებელისაჲ | და თეოდოვლს კვპრელისაჲ | და წმიდათა მოწამეთაჲ ინდისი და დომნადისი და სელევკოდისი და ალაპისი მამადისი და ლლოვკერისი | და სოფონია წინადაწარმეტყუელისაჲ.

4 (fol. 10r). დეკენბერსა დ. წმიდისა ბარბარადისი | და წმიდისა იოვანს დამასკელისაჲ.

5 (fol. 20r). დეკენბერსა ე. წმიდისა მამისა ჩუენისა საბადისი < სხუანი წმიდისა საბადისნი ამასვე თუესა იდ ჰპოვნე >.

* ლათინური თარგმანი აქ არ მოგვყავს (მთარგმნ.).

- 6 (fol. 27v). დეკენბერსა ვ. წმიდისა ნიკოლას მთავარეპისკოპოსისად.
- 7 (fol. 31v). დეკენბერსა ზ. წმიდისა მამისა ჩუენისა ამბროსი დედლოლანელ ეპისკოპოსისად | და წმიდისა მოწამისა ათინოდორესი.
- 8 (fol. 34v). დეკენბერსა ლ. წმიდათა მამათა ჩუენთად იოვანეშ ეპისკოპოსისა კოლონიისად | და სოფრონ ებისკოპოსისა კოსტანტია კვპრისად | და წმიდისა მამისა პატაპისი. < სხუანი წმიდისა იოვანესნი იანვარსა ლ ჰპოვენე ნათლისღებისათა თანა >.
- 9 (fol. 36v). დეკენბერსა თ. მოცულად ღებად ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისად.
- 10 (fol. 40r). დეკენბერსა ი. წმიდათა მოწამეთად მენადსი ერმოგინესი და გრაფოდსი.
- 11 (fol. 43v). დეკენბერსა ია. წმიდისა დანიელ მესოვეტისად.
- 12 (fol. 47r). დეკენბერსა იბ. წმიდისა მღღელთმოდლოვრისა სფოვრიღონისი.
- (fol. 50v). ამასვე დღესა. წმიდისა მღღელთმოდლოვრისა ამფილოქესი.
- 13 (fol. 52r). დეკენბერსა იგ. წმიდათა მოწამეთად ევსტრატისი ევქსანტისი ევგენისი მარდარისი და არესტისი.
- 14 (fol. 54v). დეკენბერსა იდ. წმიდათა მოწამეთა თოვრსო ღევკი და კალინიკესი | ფილომონ და აპოლონისი.
- (fol. 57v). ამასვე დღესა. წმიდისა მამისა ჩუენისა საბადს ეკლესიათა სატფოვრი.
- 15 (fol. 60v). დეკენბერსა იე წმიდისა ეღევთერი მღღელთმოდლოვრისა და მოწამისა.
- 16 (fol. 63v). დეკენბერსა ივ. წმიდათა მღღელთმოდლოვართად მოღდისტოსისი და იოვანესი იშროვსალემელთად.
- 17 (fol. 66r). დეკენბერსა იზ. წმიდათა სამთა ყრმათად.
- (fol. 69r). ამასვე დღესა. წმიდისა წინადსწარმეტყუელისა დანიელისი.
- 18 (fol. 71r). დეკენბერსა ილ. წმიდისა ფლოროდსი ამასელ ეპისკოპოსისად | და წმიდათა მოწამეთა ფოკადსი და ერმოლადსი.
- 19 (fol. 73r). დეკენბერსა ით. წმიდათა მოწამეთად პრომოდსი არესი და ელიადსი | და ტიმოთესი და მავრადსი და პოლიოქტოდსი | ევტოვქისი და მის თანათად.
- 20 (fol. 76r). დეკენბერსა კ. წმიდისა ეგნატი მამადმთავარისად.
- 21 (fol. 79r). დეკენბერსა კა. წმიდისა ივლიანა ქალწულისად.
- (fol. 81v). ამასვე დღესა. წმიდისა ივლიანადსივე | და წმიდისა თემიღტოკლეოდსი.
- 22 (fol. 83v). დეკენბერსა კბ. წმიდისა ანასტასია ჰრომისად.

23 (fol. 86r). დეკენბერსა კვ. წმიდათა ათთა მოწამეთად რომელნი იწამნეს კრიტეს.

(fol. 88v). რომელი კვრიაკე ქრისტეს შობისა წინადთ იყოს, კსენებად აბრაჰამ და ისაკ და იაკობისი და სამთა ყრმათად დანიშლ წინაღწარმეტყუელისად და სხოვათა ყოველთავე წმიდათა მამადმთავართად.

24 (fol. 107r). დეკენბერსა კდ. წინადლით დღესასწაულობისად შობისა უფლისად <ამასვე დღესა წმიდისა მოწამისა ეგგენიადისი ივლისსა კვ ჰპოვო>.

25 (fol. 110r). დეკენბერსა კე. შობად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.

26 (fol. 122r). დეკენბერსა კვ. ქრისტეს შობისადვე | და კსენებად წმიდისა ეფთვემე სარდელ ეპისკოპოსისად.

(fol. 125r). რომელი კვრიაკე ქრისტეს შობისა შემდგომად იყოს, კსენებად წმიდათად დავითისი და იაკობისი.

27 (fol. 128 v). დეკენბერსა კზ. წმიდისა პირველ-მოწამისა სტეფანესი.

29 (fol. 132v). დეკენბერსა კთ. წმიდათა ჩჩვლთა ყრმათად.

31 (fol. 134v). დეკენბერსა ლა. წმიდისა მოწამისა ბუესი.

იანვარი

1 (fol. 136v). თუესა იანვარსა ა. წინადაცუეთად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი | და კსენებად წმიდისა ბასილისი.

2 (fol. 149r). იანვარსა ბ. წმიდისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისად.

3 (fol. 152r). იანვარსა გ. წმიდათა მამადმთავართად.

(fol. 157r). ამასვე დღესა. წმიდისა მოწამისა გორდისი | და თეოგენოს ეპისკოპოსისა | და მალაქია წინაღწარმეტყუელისად.

4 (fol. 159v). იანვარსა დ. წმიდისა თეოპემპოს ეპისკოპოსისად და თეონა მოწამისად | და ზოსიმე მონაზონისად | და თეობტისტე საკვრველთ-მოქმედისად | და დედისა სუნკლიტიკესი.

(fol. 162r). განცხადებასა რომელ წინა კვრიაკე იყოს.

5 (fol. 165v). იანვარსა ე. წმიდისა მამისა ამა პავლესი.

(fol. 168r). ნათლისღებისანი.

6 (fol. 183r). იანვარსა ვ. ნათლისღებად უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესი.

7 (fol. 188r). იანვარსა ზ. ნათლისღებისანი | და წმიდისა მოწამისა აბოისი.

8 (fol. 195r). იანვარსა ჰ. ნათლისღებისად | და წმიდისა იოვანე სოხასტრელისად.

9 (fol. 200r). იანვარსა თ. ნათლისღებისანივე.

(fol. 202r). ამასვე დღესა იანვარსა თ. წმიდისა პოლიოხტოდისი.

10 (fol. 205r). იანვარსა ი. ნათლისღებისანივე.

- (fol. 207r). ამასვე დღეს იანვარსა ი. წმიდისა გრიგოლ ნოსელისაჲ.
- 11 (fol. 209v). იანვარსა ია. წმიდისა მამისა ჩუენისა თევდოსისი.
- 12 (fol. 213r). იანვარსა იბ. ნათლისღებისანი | და წმიდათა ფილეთოს და მოყუასთა მისთაჲ.
- 13 (fol. 216r). იანვარსა იგ. განცხადებისა მსგებსი | და წმიდათა მამათაჲ. <იგ-ვე წმიდისა მოწამისა ევგენიადისი ივლისსა კვ ჰპოვო>.
- 14 (fol. 221v). იანვარსა იდ. წმიდისა ნინო მოციქულისაჲ.
- (fol. 224v). ამასვე დღეს იანვარსა იდ. წმიდათა მამათა სინელთა და რაითელთაჲ.
- 15 (fol. 228v). იანვარსა იე. წმიდისა მამისა იოვანს გლახაკისაჲ. <ამას-ვე დღესა წმიდისა ამბა პავლესი ამასვე თუესა ე ჰპოვო>.
- 16 (fol. 230v). იანვარსა ივ. წმიდისა მოციქულისა პეტრეს ჯაჭუთა თაყუანისცემაჲ.
- (fol. 235r). სხუანი წმიდისა პეტრესნივე | და პანსუფი მოწამისაჲ.
- (fol. 237r). სხუანი გალობანი წმიდათა მოციქულთა პეტრესნი და იოვანესნი ოდესცა გინდეს სთქუნე.
- (fol. 238v). ამასვე დღეს იანვარსა ივ ქობიბას წმიდისა ღმრთისმ-შობელისა კსენებაჲ.
- 17 (fol. 238v). იანვარსა იბ. წმიდისა მამისა ანტონისი.
- 18 (fol. 241r). იანვარსა იბ. წმიდისა მამისა და მოწამისა რავახ ანტონისი. <იანვარსა იბ. წმიდისა ათანასი ალექსანდრიელისაჲ და წმიდისა კურილე ალექსანდრიელისაჲვე. ათანასისი ჰპოვო მამისა ბ და კურილე-დისი ჰპოვო ივენისსა კბ>.
- 19 (fol. 243r). იანვარსა ით. წმიდისა მამისა მაკარი მეგვპტელისაჲ.
- 20 (fol. 245v). იანვარსა კ. წმიდისა მამისა დიდისა ეფთვმესი.
- 21 (fol. 254r). იანვარსა კა. წმიდისა მამისა მაქსიმს აღმსაარებელისაჲ.
- 22 (fol. 256v). იანვარსა კბ. წმიდისა ტიმოთს მოციქულისაჲ მოწაფისა წმიდისა დიდისა პავლეს მოციქულისაჲ.
- 23 (fol. 259v). იანვარსა კვ. წმიდისა კლიმი ანკურიელისაჲ და ალათან-გელისი.
- 24 (fol. 266r). იანვარსა კდ. ყოველთა წმიდათაჲ სახელით კსენებაჲ.
- 25 (fol. 273r). იანვარსა კე. წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ.
- 26 (fol. 279v). იანვარსა კვ. წმიდისა ქსენეფორესი და ძეთა მისთაჲ არკატისი და იოვანესი.
- 27 (fol. 281v). იანვარსა კზ. წმიდისა იოვანს ოქროპირისა ნაწილთა უკუმოყვანებაჲ ქალაქად სამეფოჲდ.
- 28 (fol. 285v). იანვარსა კს. წმიდისა მამისა ეფრემისი.
- 29 (fol. 288r). იანვარსა კთ. წმიდისა პატრონისა ჯუარისაჲ.

(fol. 289v). ამასვე დღესა იანვარსა კთ. წმიდისა ეგნატის ნაწილთა უკუმოყვანებაჲ ჰრომით ანტიოქიად.

30 (fol. 293r). იანვარსა ლ. წმიდისა იპოლიტს ჰრომთა პაპისაჲ და წმიდისა ვარსიმე ედესელ ეპისკოპოსისაჲ და მათ თანა ათექუსმეტთა მოწამეთაჲ.

31 (fol. 295v). იანვარსა ლა. წმიდათა მოწამეთაჲ კვროს და იოვანესი.

თებერვალი

1 (fol. 297v). თთუესა ფებერვალსა ა. წმიდისა მოწამისა ტრიფონისი.

2 (fol. 300r). ფებერვალსა ბ. მიგებებაჲ.

3 (fol. 310v). ფებერვალსა გ. წმიდისა სვმეონ მოხუცებულისაჲ და ანა წინაღწარმეტყუელისაჲ.

4 (fol. 313v). ფებერვალსა დ. წმიდისა მოწამისა ელია დამასკელისაჲ.

5 (fol. 316r). ფებერვალსა ე. წმიდისა მლდეღმწამისა აბრაჰამ სპარსისაჲ და მის თანა წამებულთაჲ | და წმიდისა ალათი მოწამისაჲ.

6 (fol. 318v). ფებერვალსა ვ. წმიდისა ივლიანს მოწამისაჲ.

(fol. 321r). ამასვე დღესა ფებერვალსა ვ. წმიდისა მამისა ბარსანოფესი და მოწაფისა მისისა იოვანესი და წმიდისა დორეთესი.

7 (fol. 323r). ფებერვალსა ზ. წმიდათა ათასდასამთა მოწამეთაჲ რომელნი იწამნეს ნიკომიდიას | და წმიდისა პართენი ლამფსაკელ ეპისკოპოსისაჲ.

9 (fol. 325r). ფებერვალსა თ. წმიდისა მოწამისა ნიკიფორესი.

10 (fol. 327v). ფებერვალსა ი. წმიდისა მლდეღმთმოდურისა თეოდონიასი.

11 (fol. 330v). ფებერვალსა ია. წმიდისა მლდეღმწამისა ბლასისი.

12 (fol. 333v). ფებერვალსა ი-ვე წმიდისა მლდეღმწამისა ხარალამპისი დარჩეს და აქა იბ დავწერენ თუ გინდეს აქა გარდაიკადეთ იბ სხუაჲ დღესასწაული არა არს სხუანი გალობანი ხარალამპისნივე ბ გუერდი ჰპოვნე სეკდენბერსა იბ მუნცა გარდაიკადო.

13 (fol. 334r). ფებერვალსა იგ. წმიდათა მოციქულთაჲ აკვლადისი და პროსკილადისი მოწაფეთა წმიდისა პავლე მოციქულისათაჲ | და წმიდისა მამისა მარტინიანესი.

14 (fol. 336r). ფებერვალსა იდ. წმიდისა მამისა ავქსენტისი | და წმიდისა ფილემონ ღაზელ ეპისკოპოსისაჲ.

15 (fol. 338v). ფებერვალსა იე. წმიდისა მლდეღმწამისა ონესიმესი რომელი იყო მოწაფე წმიდისა მოციქულისა პავლესი მონა ყოფილი ფილიმონისი.

16 (fol. 341v). ფებერვალსა ივ. პამფილესი და მოყუასთა მისთაჲ.

17 (fol. 343v). ფებერვალსა იზ. წმიდისა მოწამისა თევდორე ტვრონისაჲ.

18 (fol. 347r). ფებერვალსა იზ. წმიდისა ლეონტი ჰრომთა პაპისაჲ | და წმიდისა ალაპიტოს სუნაელ ეპისკოპოსისაჲ.

20 (fol. 349r). ფებერვალსა კ. წმიდისა ამოს ეპისკოპოსისაჲ და მის თანა წამებულთაჲ სპარსეთს საბურ მეფისა ზს | და წმიდისა არქიპოდის მოწფისა წმიდისა პავლს მოციქულისაჲ.

21 (fol. 352r). ფებერვალსა კა. წმიდისა ზაქარია იზრუსალიმელისაჲ.

22 (fol. 354v). ფებერვალსა კბ. წმიდისა ანასტასი აღმსაარებელისაჲ | და წმიდისა ტელესფორე ჰრომთა პაპისაჲ.

24 (fol. 357r). ფებერვალსა კდ. თავისა პოვნაჲ წმიდისა იოვანს ნათლისმცემელისაჲ.

25 (fol. 364r). ფებერვალსა კე. წმიდისა ტარასს კოსტანტინეპოლელ პატრიაქისაჲ.

(fol. 367r). ამასვე დღესა კე. წმიდისა მოწამისა ქრისტედულესი.

26 (fol. 369v). ფებერვალსა კვ. წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსაარებელისა პროკოპი დეკაპოლელისაჲ.

(fol. 370v). ფებერვალსა კვ-ვე. ამასვე დღესა წმიდისა პორფირი ლაზელ ეპისკოპოსისაჲ.

27 (fol. 373v). ფებერვალსა კზ. წმიდისა ბასილი აღმსაარებელისაჲ | და წმიდისა მარკიანესი.

28 (fol. 376r). ფებერვალსა კს. წმიდისა პროტერი ალექსანდრიელ პატრიაქისაჲ.

ქვემოთ მოცემული მოკლე კომენტარის ერთადერთი მიზანია დაზუსტოს წმინდანებისა და დღესასწაულების იდენტიფიკაცია და შეადაროს იგი ბიზანტიური კალენდრის თვენს. ქართული მონაცემებისთვის, რომლებიც შეესაბამებიან ბერძნული სვინაქსრის მონაცემებს, კომენტარში მივუთითებთ მხოლოდ კონსტანტინეპოლური სვინაქსრის გამოცემას.

გამოყენებული შემოკლებები:

BHG = F. HALKIN, *Bibliotheca hagiographica graeca*, 3e éd. (Subsidia Hagiographica, Sa), Bruxelles, 1957.

BHO = *Bibliotheca hagiographica orientalis* (Subsidia Hagiographica, 10), Bruxelles, 1910.

Джавахишвили – И. Джавахишвили, Описание грузинских рукописей Синая. Синон мითის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ. 1947.

GARITTE, *Calendrier* = G. Garitte, *Le calendrier palestino-géorgien du Sinaiticus 34* (X^e siècle) (Subsidia Hagiographica, 30), Bruxelles, 1958.

H= cod. grec de Jérusalem, Sante-Croix 40 (X^e siècle).

Мapp = Н. Мapp, Описание грузинских рукописей синайского монастыря, Москва – Ленинград, 1940.

MATEOS, Typicon = J. Mateos, Le typicon de la Grande Eglise. Ms. Sainte-croix n^o 40, X^e siècle. Introduction, texte critique, traduction et notes. I, Le cycle des douze mois; II, Le cycle des fêtes mobiles (Orientalia Christiana Analecta, 165 et 166), Rome, 1962 et 1963.

P = cod. gr. Patmos 266 (IX^e-X^e siècle).

Synax = H. DELEHAYE, Synaxarium Ecclesiae Constantinopolitanae (Propylaeum ad Acta Sanctorum Novembris), Bruxelles, 1902.

დეკემბერი

1 ანანია, სპარსი მარტვილი. წმ. ანანია, ეწამა არბელში (სპარსეთი) (+22 ნოემბერს 345): Synax, 1 დეკ., n.2 (col. 269).

ევფოს არქიეპისკოპოსები წმ. ონესიფორე და სოლომონი: Synax, 1 დეკ., n. 4 (col. 271). პატმოსის ხელნაწერი (P) (ნაცვლად Ὀυσιφορίου-სა) ისევე, როგორც ქართული მიუთითებს Ὀυσιφοῦს-ს (Synax., col. 269, სტრ. 41; Mateos, Typicon, 1, p. 121).

2 ამბაკოვმი. Synax. 2, 2 დეკ., n.1 (col. 271).

3. თევდორე ალმსაარებელი. ალექსანდრიის ეპისკოპოსი წმ. თევდორე, მარტვილი: Synax., 3 დეკ. n.4 (col. 275).

თეოდოვლს კვპრელი. წმ. თეოდულე, კვიპროსის <<სალოსი>>: Synax., 3 დეკ. n.5 (col. 275).

მოწამეთად ინდისი და სხვ. წმ. ინდისი და სხვ. 20 000 ნიკომედიელი მოწამე მაქსიმიენის მეფობისას: Synax, 3 დეკ., n. 2 (col. 275).

სოფონია წინასწარმეტყუელი. Synax., 3 დეკ., n.1 (col. 275).

P ხელნაწერში 3 დეკემბერს თითქმის ისეთივე რიგი გვაქვს, როგორც ქართულ თვეწში: თევდორე, თეოდულე, სოფონია, ინდისი და სხვ.

4. ბარბარად. Synax. 4 დეკ., n.1 (col. 277).

იოვანს დამასკელისად. Synax., 4 დეკ. n.2 (col. 278).

5. საბად. Synax., 5 დეკ. n.1 (col. 281).

6. ნიკოლაოსი. Synax., 6 დეკ. n.1 (col. 281).

7. ამბროსი. Synax., 7 დეკ., n.1 (col. 283).

ათინოდორე. წმ. ათენოდორე, ეწამა სირიაში დიოკლეტიანეს დროს (BHG 2048): Synax., 7 დეკ., n.3 (col. 285).

8. იოვანეს ეპისკოპოსი. წმ. იოანე განდგომილი, კოლონიის (სომხეთი) ეპისკოპოსი, (+ 8 იანვარი 559): Synax., 7 დეკ., n. 4 (col. 285); ზოგი სვინაქსარი, მაგ. P და H (Synax., col. 287-288, სტრ. 54 და ქვ., Mateos, Typicon, I, p. 125) მოიხსენიებს 8 დეკემბერს; იხ. ქვ. 8 იანვარი.

სოფრონ ებისკოპოსი. კონსტანტიის ეპისკოპოსი კვიპროსზე, ცნობილია მხოლოდ სვინაქსის ცნობით: Synax., 8 დეკ., n.4 (col. 290).

პატაპი. წმ. პატაპი, ეგვიპტელი ბერი, რომელიც ცხოვრობდა კონსტანტინეპოლში, VII ს-ში; Synax, 8 დეკ., n. 1 (col. 287).

9. მუცლად ღება. Synax., 9 დეკ., n.1 (col. 289).

10. მენა და სხვ. წმ. მენა, ერმოგენე და ევგრაფი ალექსანდრიაში ეწამენ დიოკლეტიანეს მეფობისას: Synax., 10 დეკ. n.1 (col. 293).

11 დანიელი მესვეტე. Synax., 11 დეკ. n.1 (col. 299).

12. სფოვრიდონი, ტრიმიტონტის ეპისკოპოსი კვიპროსზე IV ს-ში; Synax., 12 დეკ., n.1 (col. 303).

ამფილოქე. წმ. ამფილოქე, იკონიონის ეპისკოპოსი IV ს-ში, 12 დეკემბერს გატანილია მხოლოდ რამდენიმე ბერძნულ სვინაქსარში, კერძოდ, P-სა და H-ში: Synax., col. 303-304, სტრ. 45; Mateos, Tipicon, I, p. 129; იხ. Garitte, Calendrier, p. 391-392, 406-407.

13. ვესტრავი და სხვ. ხუთი სებასტიელი (სომხეთი) მარტვილი, Synax., 13 დეკ., n.1 (col. 305).

14. თოვსო და სხვ. ნიკომედიაში მარტვილნი დესის მეფობისას: Synax, 14 დეკ., n.1 (col. 305).

ფილომონ და სხვ. აწამეს ანტინოეში დიოკლეტიანეს მეფობისას: Synax., 14 დეკ., n.2 (col. 307).

საბა ეკლესიათა სატფოვრი. ეს დღესასწაული უცნობია ბერძნულ სვინაქსრებში. იოანე-ზოსიმეს პალესტინურ-ქართული კალენდარი (X ს.) 12 დეკემბერს აღნიშნავს: „საბა წმიდას ღმრთივექმნულსა ეკლესიასა, სატფური სამთავე ეკლესიათა ჟამისწირვად, მსგებსი წმიდისა საბადსი“ (Garitte, Calendrier, p.110 და 408); ასევე Sin.-34, fol. 86r 12 დეკემბერს აღნიშნავს „საბა წმიდას ღმრთივექმნულსა ეკლესიასა, სატფური სამთავე ეკლესიათა ჟამისწირვად, მსგებსი წმიდისა საბადსი“ (ი. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, თბ., 1947, გვ. 56). $\Theta\epsilon\acute{\alpha}\kappa\tau\iota\sigma\tau\omicron\varsigma$ $\xi\kappa\kappa\lambda\eta\sigma\iota\alpha$, წმ. საბას მიერ ეკლესიად მოწყობილი მღვიმე იკურთხა 490 წლის 12 დეკემბერს. (Cyrille de Scythopolis, Vita Sabae, ch.19, éd. Schwartz, p. 104, სტრ. 23-24). იხ. Garitte, Calendrier, p. 408.

15. ელევთერი მღდელთმოძღვრისა. იწამა რომში ადრიენის მეფობისას: Synax., 15 დეკ., n.1 (col.307).

16. მოდისტოსისი და იოვანესი იზროვსალემეთად. იერუსალიმელი ეპისკოპოსები მოდისტოსი (+630 წლის მახლობლად) და იოანე (II, 386-417). რამდენიმე ბერძნულ სვინაქსარში მოდისტოს იერუსალიმელი მოიხსენება 16 დეკემბერს (Synax, col. 313, n.4 და სტრ. 53 და ქვ.) ან 18 დეკემბერს (col. 325, სტრ. 52-53), ნეაპოლის ლაპიდარულ კალენდარში

18 დეკემბერს (Anal. Boll., 57, 1939, p. 42 და 43). იოანე – ზოსიმეს ქართული კალენდარი, ლატალის ლექციონარი და სინა-65 „თვენის“ ქართული რედაქცია მას 17 დეკემბერს მოიხსენიებენ, პარიზის ლექციონარი 16 დეკემბერს (ზაქარიასთან ერთად) (ტექსტები იხ. Garitte, Calendrier, p. 410-411). სპარსელების მიერ 614 წ. იერუსალიმის აღების თანახმად (XXIV, 13) მოდისტოსი გარდაიცვალა 17 დეკემბერს (éd. G. Garitte, in: CSCO 202, p. 83; თარგმანი მისივე, in: CSCO 203, p.55; იხ. მისივე La sépulture de Modeste de Jérusalem, Le Muséon, 73, 1960, p.127-133). დუმბარტონ ოქსის თვენში მოდისტოსი 16 დეკემბერს დაკავშირებულია იოანე იერუსალიმელთან; ასევეა 29 მარტს იოანე-ზოსიმეს კალენდრსა და სხვა ქართულ დოკუმენტებში. საქმე ეხება იოანე II-ს; იხ. Garitte, Calendrier, p.186-187.

17. სამთა ყრმათად დანიელისი. Synax., 17 დეკ., n.1 (col. 317).

18. ფლორიოდისი. ამისოს ეპისკოპოსი იუსტინე II-ის (565-578), ტიბერიუს II-ისა (578-582) და მორისის (582-602) დროს. ცნობილია მხოლოდ Synax., 18 დეკ., n.3 (col. 324)-ით. ქართული სვინაქსრის ცნობა ბერძნული სვინაქსრის თარგმანია (იხ. Sin. 4, fol. 69 r).

ფოკადისი და ერმოლადისი. Synax., 18 დეკ., n.4 (col. 324).

ბერძნული ხელნაწერები P და H 18 დეკემბერს თავში მოიხსენიებენ წმ. ფლორუსს, წმ. ფოკასა და ერმილოსს (Synax, col. 321-322, სტრ. 46; Mateos, Typikon, I, p. 137).

19. ჰრომოდისი, არესი და ელიადისი. ეგვიპტური წარმომავლობის მოწამეები, რომლებიც ასკალონში აწამეს (Eusebe, De mart. Pal., X,1): Synax., 19 დეკ., n.2, col. 327 (იხ. Garitte, Calendrier, p. 408-409).

ტიმოთესი და მავრადისი და პოლიოქტოდისი. ბერძნულ სვინაქსრებში 19 დეკემბერს გატანილია მოწამეები ტიმოთე (მავრიტანიაში) და პოლიევქტი (კესარიაში): Synax., 19 დეკ., n.3 (col. 327); სახელი მავრა ჩამატებულია; შესაძლოა, იგი ჩართულია თებეში წამებული ტიმოთესა და მავრას მოსახსენებლად (იხ. Garitte, Calendrier, p. 179), შესაძლოა აგრეთვე, ტიმოთეს 19 დეკემბერს წამების ადგილის გამო (ἐν Μαυριτανίᾳ, Synax, col.328, str.1).

ევტოვქისი და მისი თანათად. ევტიხიუსი და თესალონიკა, რომლებიც 270 სხვა მარტვილთან ერთად აწამეს: Synax., 19 დეკ., n.4 (col.328).

ხელნაწერებში P და H 19 დეკ. ეს ცნობები გატანილია თავში, იმავე რიგით (Synax., col. 325-326, სტრ. 55-56; Mateos, Typicon, I, p.139, 141).

20. ეგნატი მამადმთავრისად. წმ. იგნატი ანტიოქიელი: Synax., 20 დეკ., n.1 (col.329).

21. ივლიანა ქალწულისად. ეწამა ნიკომედიაში მაქსიმინის დროს: Synax., 21 დეკ., n.1 (col. 333).

წმ. თემიტოკლეოდსი. აწამეს ლისიში დესის დროს: Synax., 21 დეკ., n.2 (col.334).

22. წმ. ანასტასია. ეწამა რომში დიოკლეტიანეს დროს, ხრიზოგონესთან, ალაპისთან, ირენსა და შიონიასთან ერთად: Synax., 22 დეკ., n.1 (col.333).

23. ათთა მოწამეთად. 10 კრეტელი მარტვილი დესის დროს: Synax., 23 დეკ., n.1. col.337).

კვირას – აბრაჰამ და ისაკ და იაკობისი და სხვ.: Synax., col.315-318, n. 1-2; P-ში „წმ. მამათა კვირა“ 20 დეკემბრის შემდეგაა (Synax., col. 329-330, სტრ. 39-41), H-ში 16-ის შემდეგ (იხ. Mateos, Typicon, I, p. 134-137); იხ. Garitte, Calendrier, p. 417; BHG 2343m-2357.

24. შობის წინადღეს. ბევრ ბერძნულ ხელნაწერში, მათ შორის P და H-ში აღნიშნულია საშობაო ღამისთევა: Synax., col. 339-340, სტრ. 45-46; Mateos, Typicon, I, p. 148-155; იხ. Garitte, Calendrier, p. 415-416.

ევგენიადსი. ალექსანდრიელი ქალწული, ეწამა რომში ვალერიანისა და გალიენის დროს: Synax., 24 დეკ., n.1 (col.339). ბერძნულ ხელნაწერებში 23 ივლისს მეორე ხელით ჩამატებულია მარტვილი ევგენი (Synax., col. 835, n.3). იხ. ქვემოთ, 13 იანვარი.

25. შობად. Synax., 25 დეკ., n.1 (col.343).

26. შობისადე. იხ. Garitte, Calendrier, p. 417-418.

ეფთჳმე. სირიელი ეპისკოპოსი, აღმსარებელი და მარტვილი თეოფილეს დროს (829-842): Synax., 26 დეკ., n.3 (col.345); BHG 2145-2146.

კვირას; დავითისი და იაკობისი. ბერძნული სვინაქსრები P და H-ის ჩათვლით, შობის შემდგომ კვირას მოიხსენიებენ წმ. იოსებს, უფლის ძმას იაკობს და მეფე დავითს (Synax., col. 347, n.1). ძველი ქართული და სომხური დოკუმენტები მიუთითებენ მხოლოდ დავითს და იაკობს 26 ან 25 დეკემბერს; იხ. Garitte, Calendrier, p. 418.

27. პირველ – მოწამისა სტეფანესი. Synax., 27 დეკ., n.1 (col. 349).

29. წმიდათა ჩჩვლთა ყრმათად. Synax., 29 დეკ., n.1 (col.353).

31. წმიდისა მოწამისა ბუესი. იოანე ზოსიმეს კალენდარში 31 დეკ. გატანილია წმ. ბოჰა; ამ წმინდანის მარტვილობის ქართული ვერსია, რომელიც იერაპოლისში (სავარაუდოდ ფრიგიაში) ეწამა ავრელიანეს დროს, შემონახულია მხოლოდ Iv.-57-ში; იგი გამოაქვეყნა კ.კეკელიძემ (იხ. Le Muséon, 76, 1963, გვ. 462, n.103, 4); ამ წამების სათაურსა და ტექსტში მარტვილობის თარიღად მითითებულია 30 დეკემბერი; ღუმბარტონ ოქსის სვინაქსარი ქართული ლიტურჯურის მიღმა უცნობი ამ მარტვილის მესამე დამოწმებაა. იხ. Caritte, Calendrier, p.113 და 422.

იანვარი

1. წინადაცუეთად. *Synax.*, 1 იანვ., n.1 (col. 363).

წმიდისა ბასილისი, *Synax.*, 1 იანვ., n.2 (col. 364).

2. წმიდისა სილიბისტროს ჰრომთა პაპისაჲ. *Synax.*, 2 იანვ., n.1 (col. 365).

3. წმიდათა მამადმთავართად. ჩვენთვის ცნობილია ასეთი ცნობის ერთადერთი პარალელი, თბილისის S-425, მიქელ მოდრეკელის (X ს.) საგალობელთა კრებული, სადაც 3 იანვარს (fol. 62v) გატანილია: „კრებაჲ ტიბერიას ზღვსკიდესა, მოსწავებაჲ ნათლისღებისა თვს უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესა და კსენებაჲ მამათმთავართა ძუელისა შჯულისაჲ.“ იხ. თბილისის S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა I (Le Muséon, 74, 1961, p.416), გვ. 549, n. 30; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ. 1954, გვ. 023; G. Garitte, in: Le Muséon, 74, 1961, p. 417. როგორც ამას მოწმობს ტოპოგრაფიული მითითება „ტიბერიას ზღვსკიდესა“, საქმე პალესტინის ადგილობრივ დღესასწაულთან უნდა გვექნდეს.

გორდისი. ეწამა კაბადოკიის კესარიასი მაქსიმეინის დროს: *Synax.*, 3 იანვ. n.1 (col. 367); იხ. F. Halkin, in: *Anal. Boll.*, 79, 1961, p. 5-15.

თეოგენოს ებისკოპოსისა. ეწამა პარიუმში (კემერი), ჰელესპონტზე, ლისინიუსის დროს (BHG 2416): *Synax.*, 3 იანვ., n.3 (col. 368).

მალაქია წინაღწარმეტყუელისაჲ. *Synax.*, 3 იანვ., n.2 (col. 367).

4. წმ. თეოპემპოს ებისკოპოსისაჲ და თეონა მოწამისაჲ. თეოპემპოს ებისკოპოსი, რომელიც თეონასთან ერთად ეწამა დიოკლეტიანის დროს (BHG 2443-2444): *Synax.*, 4 იანვ., n.5 (col. 368).

ზოსიმე მონაზონისაჲ. ეწამა ანაზარბში, კილიკიაში (BHG 2476-2477): *Synax.*, 4 იანვ., n.6 (col. 369); იხ. F. Halkin, in: *Anal. Boll.*, 70, 1952 p. 249-261; იხ. Le Muséon, 76, 1963, p. 467, n. 135 (ქართული „მარტვილობა“).

თეობტისტე საკურველთმოქმედისაჲ. H-ში 4 იანვარს გატანილია $\mu\eta\acute{\iota}\mu\eta\ \tau\omicron\upsilon\varsigma\ \beta\acute{\iota}\sigma\iota\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \theta\alpha\upsilon\mu\alpha\tau\omicron\upsilon\sigma\eta\gamma\omicron\varsigma\ \Theta\epsilon\omicron\kappa\tau\iota\sigma\tau\omicron\upsilon\varsigma\ \kappa\alpha\iota\ \eta\gamma\omicron\upsilon\sigma\mu\acute{\epsilon}\nu\omicron\upsilon\varsigma.$ (Mateos, *Typicon*, I, p. 174-175) იხ. *Synax.*, 4 იანვ., n.4 (col.367); ამ წმინდანზე, რომელიც სხვაგან უცნობია, იხ. F. Halkin, in: *Anal. Boll.* 73, 1955, p. 56-57.

დედისა სენკლიტიკესი. ალექსანდრიელი ქალწული, IV ს.: *Synax.*, 4 იანვ., n.7 (col. 370).

4 იანვარს ბერძნულ ხელნაწერებში H და P გატანილია იგივე წმინდანები და თითქმის იმავე რიგით: თეოპემპოსი, ზოსიმე, თეოკტისტე და სინკლიტიკე (იხ. Mateos, *Typicon*, I, p. 174-175).

განცხადებასა რომელ წინა კვრიაკე იყოს. მრავალი ბერძნული ხელნაწერი, მათ შორის P და H, განცხადების წინ, 3 იანვრის შემდეგ ჩაურთავენ კვირას (Mateos, *Typicon*, I, p. 172-173; *Synax.*, col. 367-368, სტრ. 40);

ხელნაწერს Ba (Paris gr. 1589, XII ს.) იგი გააქვს 4 იანვრის შემდეგ (Synax, col. 369-370, სტრ. 39), ისევე, როგორც მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულს (cod. S-425, თბილისი; იხ. Le Muséon, 74, 1961, p. 417); ქართული „თვენებში“ Sin-59 და Sin.-64 (X ს.) ეს დღესასწაული გატანილია 2 იანვრის (Mapp, стр. 100 და 136), ხოლო Sin. გეო.1-ში, (X ს.) – 1 იანვრის შემდეგ (ჯავახიშვილი, გვ. 2).

5. მამისა ამბა პავლესი. ბერძნულ სვინაქსრებში წმ. პავლე განდგილი ჩვეულებრივ, 15 იანვარს მოიხსენიება (Synax., col. 393, n.2); ზოგ სვინაქსარსა და თვენში მისი დღესასწაული გატანილია 5 იანვარს (იხ. Garitte, Catalogue, p. 134). იხ. ქვ. 15 იანვარი (ჩანამატი სხვა ხელით).

6. ნათლისღებისანი. მრავალი სვინაქსარი, მათ შორის P და H, 5 იანვარს აღნიშნავს განცხადების ღამისთევას (Synax., col. 369-370, სტრ. 48 და ქვ; Mateos, Typicon, I, p.174-185).

6. ნათლისღებად. Synax., 6 იანვ., n.1 (col.373) Θεοφάνια. პატმოსის ხელნაწერი ამ დღესასწაულს Βάπτιστος-ს უწოდებს. (Synax., col. 373-374, სტრ. 45-46; Mateos, Typicon, I p. 184-185); განცხადებას ქართულად უწოდებენ „ნათლისღებას“ ან „გამოცხადებას“; იხ. Garitte, Calendrier, p. 126.

7. ნათლისღებისანი. ღუმბარტონ ოქსის „თვენი“ განცხადების დღესასწაულს 7-13 იანვრამდე მსგებსს უწოდებს. ასევე, თბილისი S-425 (იხ. Le Muséon, 74, 1963, p. 417); იხ. აგრეთვე Sin. გეო.-1 (Джавахишвили, стр. 2), Sin. გეო. – 59 (Mapp, стр. 100) და Sin. გეო. – 64 (Mapp, стр.136-137).

წმიდისა მოწამისა აბოძისი. წმ. აბო თბილელი, რომელიც ეწამა 786 წ. 6 იანვარს, ბერძნული სვინაქსრებისთვის უცნობია. ქართული ხელნაწერები მას მოიხსენიებენ 7 იანვარს (Garitte, Calendrier, p. 126-127).

8. იოვანშ სოხასტრელისად. წმ. იოანე განდგომილი, კოლონიის (სომხეთი) ეპისკოპოსი (481/2-490/1), შემდეგ ბერი და განდგილი საბაწმიდაში, გარდაიცვალა 559 წლის 8 იანვარს. ეს თარიღი მითითებულია კირილე სკვითოპოლელის ცხოვრების ქართულ რედაქციაში (იხ. G. Garitte, in: Anal. Boll. 72, 1954, p. 75-84). ასევე, 8 იანვარს ადასტურებს იოანე ზოსიმეს კალენდარი, „თვენი“ Sin. გეო.-1 და თბილისი S-425; ბერძნულად Sin. gr. – 494-ის „ცხოვრების“ ბერძნული დანართი და საბაწმიდის ტიპიკონი, კრებული Sin. gr.-1096; იხ. Garitte, Calendrier, p. 127. ბერძნულ სვინაქსარში წმ. იოანე განდგომელის დღესასწაული გატანილია 7 დეკემბერს, ზოგჯერ 3, 8 ან 9 დეკემბერს (იხ. ზემოთ 8 დეკემბერი); ეს უკავშირდება წმ. საბას დღესასწაულს (5 დეკემბერი). ქართულმა და საბაწმიდურმა დოკუმენტებმა შემოინახეს ბიზანტიელების მიერ მივიწყებული ავთენტური თარიღი.

9. წმიდისა პოლიოხტომისი. ეწამა მელიტენში (სომხეთი), დესის და ვალერიანის დროს: Synax., 9 იანვ., n.1 (col. 379).

10. გრიგოლ ნოსელისად. Synax., 10 იანვ., n.1 (col. 381).

11. თევდოსისი. წმ. თეოდოზ განდეგილი, გარდაიცვალა 529 წ. 11 იანვარს: Synax., 11 იანვ., n.1 (col.383), იხ. Garitte, Calendrier p. 128.

12. წმიდათა ფილეთეოს და მოყუასთა მისთა. იოანე ზოსიმეს კალენდარი, ისევე როგორც არა ერთი ქართული „თვენი“ წმ. ფილეთეოსის დღესასწაულს, რომელიც ანტიოქიაში, დიოკლეტიანეს დროს ეწამა, აღნიშნავს 12 იანვარს. ზოგი სირიული და კოპტური კალენდარი, ასევე კოპტური სვინაქსარი, მას 11 იანვარს მოიხსენიებს; იხ. Garitte, Calendrier, p. 128-129.

13. განცხადებისა მსგებსი. იოანე ზოსიმეს კალენდარი, ისევე როგორც პარიზის ქართული ლექციონარი და მრავალი ქართული „თვენი“ იმავე განცხადების მსგებსს 13 იანვარს აღნიშნავს; იხ. Garitte, Calendrier, p. 127 და ზემოთ, 7 იანვარი.

წმიდათა მამათად. იოანე ზოსიმეს კალენდარი იმავე თარიღისთვის უფრო ნათლად მიუთითებს: წმიდათა მამათა სინელთა და რაითელთად; სხვათა შორის, თარიღი 13 იანვარი დადასტურებულია მრავალ ქართულ ხელნაწერსა და პატმოსის ბერძნულ სვინაქსარში (Mateos, Typicon, I, p. 197, რაითუს მოწამებთან დაკავშირებით; იხ. Synax., col. 378-388, სტრ. 37); იხ. Garitte, Calendrier, p. 129-130. ბერძნული სვინაქსრები და „თვენები“ სინელ ბერებსა და რაითუს ჩვეულებრივ, მოიხსენიებენ 14 იანვარს (Synax., col. 389, n.1); იხ. ქვემოთ, 14 იანვარი.

ეგგენიადსი. ჩვენს თვეში ჩართული ამ მოხსენიების პარალელი მხოლოდ ბერძნულ H ხელნაწერში იძებნება, სადაც იგი გატანილია 13 იანვარს: Εὐγεβιάς καὶ τῶν σὺν αὐτῷ (Synax., col. 387-388, სტრ. 37; Mateos, Typicon, I, p. 196-197); ბერძნულ სვინაქსრებში წმ. ეგგენია მოიხსენიება 24 დეკემბერს; იხ. ზემოთ ეს თარიღი.

14. წმიდისა ნინო მოციქულისად. წმ. ნინო, რომელმაც საქართველო მოაქცია, ქართულ ლიტურგიულ წიგნებსა და იოანე ზოსიმეს კალენდარში მოიხსენიება 14 იანვარს; იგი ბერძნულ სვინაქსრებში წარმოდგენილი არაა; იხ. Garitte, Calendrier, p. 130-131.

წმიდათა მამათა სინელთა და რაითელთად, Synax. 14 იანვ. n.1 (col. 389); იხ. ზემოთ, 13 იანვარი.

15. წმიდისა მამისა იოვანშ გლახაკისად. წმ. იოვანე კალიბიტელი, ასკეტი კონსტანტინოპოლში V ს.: Synax., 15 იანვ., n.1 (col. 393).

წმიდისა აბა პავლესი. Synax., 15 იანვ., n.2 (col. 393); იხ. ზემოთ 5 იანვარი.

16. წმიდისა მოციქულისა პეტრეს ჯაჭუთა თაყუანისცემად. Synax., 16 იანვ. n.1, (col. 395).

პანსუფი მოწამისად. ალექსანდრიელ ასკეტს წმ. პანსოფიოსს, რომელიც დესის დროს ეწამა, ბერძნული სვინაქსრები მოიხსენიებენ 15 ან 16 იანვარს (Synax., col. 394, n. 3; col. 395-396, სტრ. 56 და ქვ.); ხელნაწერები H და P (და სხვებიც) ამ დღესასწაულს 16 იანვარს აღნიშნავენ (Mateos, Typicon, I, p. 199 და 200-201). მისი წამება მხოლოდ ქართულადაა შემონახული. იხ. P. Peeters, in: Anal. Boll, 47, 1929, p. 307-337.

წმიდათა მოციქულთა პეტრესნი და იოვანესნი. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პეტრე და იოვანე მოციქულების ერთად მოხსენიება 16 იანვარს სხვაგან არსად გვხვდება.

ქოზიბას წმიდისა ღმრთისმშობელისა კსენებად. ქართული „თვენები“ 16 იანვარს აღნიშნავენ ქოზიბას ღვთისმშობლის დღესასწაულს (იხ. Garitte, Calendrier, p. 132); იოანე ზოსიმეს კალენდარი აზუსტებს, რომ საქმე ეხება იოაკიმისთვის მარიამის დაბადების ხარების დღესასწაულს (იქვე, p. 45 და 132); ეს დღესასწაული ბერძნებისთვის უცნობია.

17. წმიდისა მამისა ანტონისი, Synax., 17 იანვ., n.1 (col. 397).

18. წმიდისა მამისა და მოწამისა რავახ ანტონისი. წმ. ანტონ რავახი, კორასტი, მოქცეული მაჰმადიანი, ეწამა ჰარუნ აღ-რაშიდის დროს (786-909); მისი დღესასწაული ბიზანტიელთათვის უცნობია, ხოლო ქართულ ხელნაწერებში გატანილია 18 ან 19 იანვარს (Garitte, Calendrier, p.136). იხ. I. Dick, in: Le Muséon, 74, 1961, p. 109-133.

წმიდისა ათანასი ალექსანდრიელისად და წმიდისა კვრილე ალექსანდრიელისადვე. Synax., 18 იანვ., n.1 (col. 399); ეს სხვა ხელით ჩამატებული მოხსენიება მოწმობს ბიზანტიური წესის ჩანაცვლებას ადგილობრივით.

19. წმიდისა მამისა მაკარი მეგვპტელისად. Synax., 19 იანვ., n.1 (col. 401).

20. წმიდისა მამისა დიდისა ეფთვიმესი. გარდაიცვალა 473 წ. 20 იანვარს: Synax., 20 იანვ., n.1 (col. 405).

21. წმიდისა მამისა მაქსიმე აღმსაარებელისად; Synax., 21 იანვ., n.1 (col. 409).

22. წმიდისა ტიმოთე მოციქულისად. Synax., 22 იანვ., n.1 (col. 411).

23. წმიდისა კლიმი ანკვიელისად და ალათანგელისი. ანკვირიის ეპისკოპოსი წმ. კლიმენტი და ალათანგელოზი ეწამნენ დიოკლეტიანეს დროს: Synax., 23 იანვ., n.1 (col. 415).

24. ყოველთა წმიდათად სახელით კსენებად. იოანე ზოსიმეს კალენდარი აღნიშნავს, რომ საქმე ეხება საბაწმიდურ დღესასწაულს. 24 იანვრისთვის იგი წერს: „ყოველთა საბა წმიდას გარდაცვალებულთა

მამათა კსენებად“ (Garitte, Calendrier, p.46 და 140). ეს დღესასწაული დამოწმებულია აგრეთვე ქართულ „თვენში“ Sin-1 და Sin-26, რომლებსაც იმავე დღეს გააქვთ „ყოველთა მამათა“ და „ყოველთა წმინდანთა“ (იქვე, p.140). მეორე მხრივ, ქართული ლექციონარები და იოანე ზოსიმეს კალენდარი 22 იანვარს აღნიშნავენ ყოველთა მოწამეთა დღესასწაულს, ხოლო თბილისი, S-425-ს იმავე თარიღზე გააქვს ძველი და ახალი აღთქმის ყოველთა წმინდანთა დღესასწაული (Le Muséon, 74, 1961, p. 418). ეს „ყოველთა წმინდანთა“ დღესასწაული 22 და 24 იანვარს ბერძნებისთვის უცნობია.

25. წმიდისა გრიგოლი ღმრთისმეტყუელისაჲ, Synax., 25 იანვ., n.1 (col. 421).

26. ქსენეფორესი და სხვ. Synax., 26 იანვ., n.1 (col. 423).

27. იოვანეჲ ოქროპირისა ნაწილთა. Synax., 27 იანვ., n.1 (col. 425); იხ. Garitte, Calendrier, p. 141.

28. წმიდისა მამისა ეფრემისი. Synax., 28 იანვ., n.1 (col. 429).

29. წმიდისა პატრიონისა ჯუარისაჲ. იოანე ზოსიმეს კალენდარი 29 იანვარს მიუთითებს „ჯუარისაჲ რომელი ერუენა ზეცით კოსტანტინე მეფესა დანობსა ზედა“ (Garitte, Calendrier, p. 47); იგივე დღესასწაული, იმავე თარიღზე გატანილია მრავალ ქართულ ლიტურგიულ წიგნში (იქვე, p.144-145); იგი უცნობია ბიზანტიელებისათვის.

30. წმიდისა იპოლიტჲ ჰრომთა პაპისაჲ. Synax., 30 იანვ., n.1 (col. 431).

წმიდისა ვარსიმე ედესელ ეპისკოპოსისაჲ. ვარსიმოსი (ვარსამიასი) ედესის ეპისკოპოსი და აღმსარებელი ტრაიანის დროს (BHO 150-151) ბერძნულ სვინაქსრებში გატანილია 29 და 30 იანვარს (Synax., col. 432, n.5; col. 434, n.2).

ათექუსმეტა მოწამეთაჲ. საქმე ეხება წმ. იპოლიტთან ერთად წამებულებს; იხ. ხელნაწერ P-ს ცნობა: Ἰππολύτου... καὶ ἄλλοις τῶν ἀγίων μαρτύρων (Synax., col. 431-432, სტრ. 55-56; Mateos, Typicon I, p. 217).

31. წმიდათა მოწამეთაჲ კვროს და იოვანესი, Synax., 31 იანვ; n.1 (col. 433).

თებერვალი

1. წმიდისა მოწამისა ტრიფონისი. ეწამა ნიკეაში, დესის დროს: Synax., 1 თებ; n.1 (col. 437).

2. მიგებებაჲ, Synax., 2 თებ., n.1 (col. 439).

3. წმიდისა სვემონ მოხუცებულისაჲ და ანა წინაჲსწარმეტყუელისაჲ. Synax., 3 თებ., n.1 (col. 439).

4. წმიდისა მოწამისა ელია დამასკელისაჲ. ახალმოწამე ელია დამასკელი, წარმოშობით ფინიკიის იეროპოლისიდან, გარდაიცვალა

779 წ (BHG 578-579); იოანე ზოსიმეს კალენდარსა და Sin.-59 და Sin.-64 „თვენებში“ იგი გატანილია 4 თებერვალს (Garitte, Calendrier, p. 151); ბერძნული მარტვილობის თანახმად, იგი გარდაიცვალა 1 თებერვალს; ბერძნულ სვინაქსრებში მის სახელს არ ვხვდებით.

5. წმიდისა მღვდელმოწამისა აბრაჰამ სპარსისა. არბელის ეპისკოპოსი, ეწამა საპორის დროს: Synax., 5 თებ., n.2 (col. 445).

წმიდისა ალათი მოწამისა. ეწამა კატანში: Synax., 5 თებ., n.1 (col. 445).

ბერძნული ხელნაწერები H და P, ისევე, როგორც ჩვენი „თვენი“ 5 თებერვალს აღნიშნავენ აბრაჰამისა და ალათის დღესასწაულებს (Synax., col. 445-446; Mateos, Typicon, I, p. 226-227).

6. წმიდისა ივლიანწ მოწამისა. წმ. ივლიანე ემესელი, ეწამა ნუმერიენის დროს (BHG 2210-2211): Synax., 6 თებ., n.2 (col. 446) იხ. Garitte, Calendrier, p. 152.

წმიდისა მამისა ბარსანუფისა და მოწაფისა მისისა იოვანესი და წმიდისა დორეთესი. ბარსანუფი (540 წლის მახლობლად, განდევილი სერიდონის მონასტერში, ღაზის მახლობლად, მოხსენიებულია სხვადასხვა სვინაქსარში (მათ შორის P-ში) 5 თებერვალს (Synax., col. 448, n.5; Mateos, Typicon, I, p. 227); დანარჩენი ორნი არიან მისი მოწაფეები იოანე „წინასწარმეტყველი“ და დოროთე ღაზელი, რომლებიც არც ერთ ბერძნულ სვინაქსარში არ არიან წარმოდგენილნი; იხ. Comment. Martyr. rom. (Propyl. ad Acta Sanctorum Decembris), p. 135, n.7 (11 აპრილი); L. Regnault და J. de Preville, Dorothee de Gaza. Oeuvres spirituelles (Sources chretiennes, 92), Paris, 1963, p.9.

7. წმიდათა ათასდასამთა მოწამეთა. 1003 ნიკომედიელი მარტვილი (BHG 1219 – 1219 b) ბერძნულ სვინაქსრებში გატანილია 6, 7 ან 12 თებერვალს (Synax., col. 447-448, სტრ. 33 და ქვ.; col. 459, n.1); ხელნაწერები H (1000 მარტვილი) და P (3 მარტვილი) და სხვები მათ 7 თებერვალს მოიხსენიებენ (Synax., col.447-448, სტრ. 55 და ქვ; Matteos, Typicon, I, p. 228-229).

წმიდისა პართენი ღამფსაკელ ეპისკოპოსისა. ეპისკოპოსი კონსტანტინე I-ის დროს: Synax., 7 თებ., n.1 (col. 447).

9. წმიდისა მოწამისა ნიკიფორესი. ეწამა ანტიოქიაში ვალერიენისა და გალიენის დროს (BHG 1331-1334g): Synax., 9 თებ., n.1 (col. 453).

10. წმიდისა მღვდელთმოძღურისა თეოდონიადისი. წმ. თეოდონიუსი, წმ. თეოდოზის მოწაფე და ბეტილიონის ეპისკოპოსი (პალესტინა) გარდაიცვალა 522 წლის 8 თებერვალს. იგი ბერძნულ სვინაქსრებში არ გვხვდება, მაგრამ შეტანილია იოანე ზოსიმეს კალენდარსა და მრავალ ქართულ

ლიტურგიკულ წიგნში 7, 8 ან 10 თებერვალს. იხ. Garitte, Calendrier, p. 153-155.

11. წმიდისა მღვდელმონაზონისა ბლასისი. წმ. ბლასი, სებასტიის ეპისკოპოსი: Synax., 11 თებ., n.1 (col. 457).

12. წმიდისა მღვდელმონაზონისა ხარალამპისი, 10 თებერვალს ეწამა სევერის დროს: Synax., 10 თებ., n.1 (col. 455). მისი მარტილობა (BHG 298) თბილისი H-341 (Le muséeon, 74, 1961, p. 392) მითითებულია 10 თებერვალს, ხოლო Sin-80-ში (CSCO 165, p. 248) 11 თებერვალს. დუმბარტონ ოქსის კრებულში იგი გამოტოვებულია 10 თებერვალს და გატანილია 12-ში, როცა სხვა დღესასწაული არ აღინიშნება.

13. წმიდათა მოციქულთა აკვლაისი და პრისკილასი. აკვილა და მისი მეუღლე პრისკვილა, წმ. პავლეს მოწაფეები იყვნენ (საქმენი, XVIII, 3, 18-19, 26): Synax, 13 თებ., n.4 (col. 464).

წმიდისა მამისა მარტინიანესი. კესარიელი (პალესტინა) განდევილი: Synax; 13 თებ., n.1 (col.461); Garitte, Calendrier, p. 158.

14. წმიდისა მამისა ავქსენტისი. ბიოვინიელი ბერი V ს-ში: Synax., 14 თებ., n.1 (col. 465).

წმიდისა ფილემონ დაზელ ეპისკოპოსისა. მარტივი: Synax, 14 თებ., n.4 (col. 466).

ბერძნულ ხელნაწერებში H და P 14 თებერვალს გატანილია ორივე ხსენება (Synax., col. 405-406, სტრ. 53; Matheos, Typicon I, p. 232-233).

15. მღვდელმონაზონისა ონესიმესი, Synax., 15 თებ., n.1 (col. 465).

16. პამფილესი და სხვ. მარტივილები კესარიიდან (პალესტინა), (Eusébe, De mart. Pal., XI, 1-28): Synax., 16 თებ., n.1 (col. 467).

17. წმიდისა მოწამისა თევდორე ტვრონისა. Synax., 17 თებ., n.1 (col. 469).

18. წმიდისა ლეონტი ჰრომთა პაპისა. ლეონ I დიდი (440-461): Synax., 18 თებ., n.1 (col. 471). H-ში გატანილია 17 თებერვალს (Synax., col. 469-470, სტრ. 59; Mateos, Typicon, I, p. 234-235).

აღაპიტოს სუნაელ ეპისკოპოსისა. სვინაელი ეპისკოპოსი კონსტანტინეს დროს: Synax., 18 თებ., n.4 (col. 473).

20. წმიდისა ამოს ეპისკოპოსისა და მის თანა წამებულთა სპარსეთს საბურ მეფისა ზჭ: საქმე შეიძლება შეეხებოდეს მხოლოდ წმ. შაჰდუსტს (ბერძნულად-სადომ, სადუკ, სადოთ), სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსს, რომელიც 342 წ. საპორ II-ის (310-379) მეფობისას წამებით გარდაიცვალა და სვინაქსრებში 20 თებერვალსაა გატანილი (Synax., col. 478, n.2); იხ. Garitte, Calendrier, p. 160-161 და 167. გაუგებარია, რატომ

შეცვალეს სახელი; ქართულ სვინაქსარში იგი „სადუკის“ ფორმითაა წარმოდგენილი (Sin. გბ.-4, fol. 116 v).

წმიდისა არქიპოვის მოწაფისა წმიდისა პავლს მოციქულისა: Synax., 20 თებ., n.1 (col. 475).

21. წმიდისა ზაქარია იზრუსალიმელისა. იერუსალიმის პატრიარქი 614 წ. სპარსელების მიერ წმ. ქალაქის აღების დროს; ზოგი ბერძნული სვინაქსარი 21 თებერვალს მიუთითებს „ზახე, იერუსალიმის არქიეპისკოპოსს“ (Synax., col. 481, n.4); ზოგიც, მათ შორის H და P „ზახეს“ ნაცვლად წერენ „ზაქარიას“ (Synax., col. 479-480, სტრ. 60 და ქვ; Mateos, Typicon, I, p. 236-237); იხ. Garitte, Calendrier, p. 146-147.

22. წმიდისა ანასტასი აღმსარებელისა. უნდა იყოს „ათანასი“: საქმე ეხება ათანასე პავლოპეტრიანელს (+826), აღმსარებელს ლეონ V სომხის დროს (813-820). მრავალ სვინაქსარში მის შესახებ ცნობა გატანილია 22 თებერვალს (Synax., col. 483, n.2).

წმიდისა ტელესფორე ჰრომთა პაპისა. რომის პაპი, ეწამა II ს-ში; ბერძნულ სვინაქსარში გატანილია 22 თებ. (Synax., col.483, n.3).

24. წმიდისა იოვანს ნათლისმცემლისა. Synax., 24 თებ; n.1 (col. 485) იხ. Garitte, Calendrier, p. 165.

25. წმიდისა ტარასს კოსტანტინეპოლელ პატრიარქისა. კონსტანტინოპოლის პატრიარქი (784-806): Synax., 25 თებ., n.1 (col. 487).

წმიდისა მოწამისა ქრისტედულესი. ბერძნულ სვინაქსარებში არც 25 თებერვალს და არც მის მახლობელ დღეებში ამ მარტვილს არ ვხვდებით. საქმე ეხება წმ. აბდ ალ-მაშიჰს (= „ქრისტეს მსახურს“), რომელიც მესოპოტამიაში, სინგარში ეწამა IV ს-ში; მისი მარტვილობა არსებობს სირიულად, სომხურად და არაბულად (BHO 3-4; Anal. Boll., 44, 1926, p. 270-341); გარდა ამისა, იერუსალიმის ბერძნულ საპატრიარქოში არსებობს ამ მარტვილობის ქართული რედაქცია, cod. გბ., 20 (XII-XIII სს.) (იხ. R.P. Blake, in: Rev. Or. Chrét., 23, 1922-1923, p. 396-397); H. Mapp, Краткое описание грузинских рукописей библиотеки греческого Патриархата в Иерусалиме, Тифлис, 1955, стр. 37); ამ ხელნაწერში იგი 15 თებერვალსაა გატანილი, რაც სხვაგან არსად არაა დამოწმებული (Anal. Boll., 44, 1926, p. 291-292). ის ფაქტი, რომ დუმბარტონ ოქსის „თვენში“ სახელი წარმოდგენილია ბერძნული ფორმით „ქრისტედულე“ (= Χριστόδουλος; ქართული მარტვილობა იყენებს ფორმას „აბდალმესია“), ნიშნავს, რომ „თვენში“ მოცემული ხსენება ბერძნული წყაროდან მომდინარეობს.

26. წმიდისა მამისა ჩუენისა და აღმსარებელისა პროკოპი დეკაპოლელისა. პროკოპი დეკაპოლელი, აღმსარებელი ლეონ V-ის დროს (813-820), ბერძნულ სვინაქსართა უმეტესობაში გატანილია

27 თებერვალს (Synax., col. 491, n.1); ხელნაწერში P კი 26 თებერვალს (Synax., col. 489-490, სტრ. 51; Mateos, Typicon, I, p. 241).

წმიდისა პორფირი ღაზელ ეპისკოპოსისა (+ 420) : Synax., 20 თებ., n.1 (col. 489).

27. წმიდისა ბასილი აღმსაარებელისაჲ. მარტვილ პროკოპი დეკაპოლელის თანამგზავრი (იხ. ზემოთ, 26 თებერვალი), ბერძნულ სვინაქსრებში გატანილია 27 ან 28 თებერვალს (Synax., 27 თებ., n. 1, col. 493; col. 491-492, სტრ. 53 და ქვ.).

წმიდისა მაკრიანესი. მრავალ ბერძნულ სვინაქსარში 27 თებერვალს გატანილია წმ. მაკრიანეს ხსენება, რომელიც იდენტიფიცირებული არაა.

ბერძნული ხელნაწერი P, ისევე როგორც ჩვენი „თვენი“ 27 თებერვალს მოიხსენიებს ბასილსა და მაკრიანეს (Synax., col. 491-492, სტრ. 53; Mateos, Typicon, I, p. 241).

28. წმიდისა პროტერი აღექსანდრიელ პატრიარქისაჲ. ეწამა 457 წლის 28 მარტს, ბერძნულ სვინაქსრებში გატანილია 28 თებერვალს (Synax., col. 493,n.2) ან 22 თებერვალს (col. 483-484, სტრ. 51 და ქვ.; Mateos, Typicon, I, p. 237).

* * *

როგორც ვხედავთ, დუმბარტონ ოქსის „თვენის“ ქართული რედაქციის კალენდარი ძირითადად, მისდევს ბერძნული „თვენების“ კალენდარს. მისი ბიზანტიური ხასიათი განსაკუთრებით კარგად ჩანს იოანე ზოსიმეს (X ს.) კალენდართან შედარებისას, რომელსაც საფუძვლად უდევს იერუსალიმისა და საბაწმინდას პრებიზანტიური კალენდარი¹⁶. ცხადია, ამ ძველმა პალესტინურმა კალენდარმა განიცადა ბიზანტიური გავლენა მოგვიანებით, ყოველდღიური მოსახსენებლების შემდეგ (პირველი ხელით შეტანილი) ჩანართებით. დუმბარტონ ოქსის „თვენში“ პირიქით, ბიზანტიური დღესასწაულები დამატებითი რიგით კი არ უპირისპირდება ავტოქტონურ დღესასწაულებს, ისინი მასიურად არიან მასში ჩართული. მაგალითისთვის წარმოგიდგინთ იოანე ზოსიმეს კალენდრისა და დუმბარტონ ოქსის „თვენის“ დეკემბრის პირველი ათი დღის მოსახსენებლებს; მარცხენა სვეტში (იოანე ზოსიმეს კალენდარი), < > მიუთითებს გადამწერის მიერ მოგვიანებით გაკეთებულ ჩანართს.

16 იხ. Garitte, Calendrier (ზემოთ, სქ.1)

იოანე ზოსიმეს ¹⁷	დუმბარტონ ოქსის „თვენი“
დეკემბერი	დეკემბერი
1. იაკობის, სვეონის და ზაქარიასი <ნაუმისი> (=HP)	1. წმ. ანანია (სპარსი) (=HP) წმ. ონესიმე და სოლომონი (=HP)
2. კათეხმეში სატფური წმ. მარიამ მეგვპტელისადა <აბაკუმისი>	2. წმ. ამბაკოვმი (=HP)
3. ლაურადსი და ლავრადსი პავლოდსი და ივლიანჴსი წმ. ბარბარადსი	3. წმ. თევდორე (=HP) წმ. თეოდოვლე (=HP) წმ. ინდისი და სხვ. (=HP) სოფონია (=HP)
4. ანასტასიში, ათორმეტთა წინამსწარ მეტყუელთადა ბარბარა მოწამისადა წმ. იოვანე დამასკელისადა	4. წმ. ბარბარადა (=HP) წმ. იოანე დამასკელი (=HP)
5. წმ. საბადსი	5. წმ. საბა (=HP)
6. გოლოგოთაზე კსენებადა წმ. ნიკოლა ოზისა ბასადსი საბადსივე <აბრამისი> (PG= 7 დეკ.)	6. წმ. ნიკოლასო (=HP)
7. იოვანე იერუსაკჴმელისადა ნიკოლაოზისივე <ამპროსისი>	7. წმ. ამბროსი (=HP) წმ. ათინოდორე (=HP)
8. ანასტასიში, კსენებადა აეროს ეპისკო პოზისადა და ამბროსი ეპისკოპოზისადავე და ნიკოლოზისივე <პატაპიონისი>	8. წმ იოანე განდგომილი (=HP) წმ. სოფრონ კვიპრელი (=HP) წმ. პატაპი (=HP 9 დეკ.)
9. წმიდათადა ნირონოდსი, ლუკასი, ბასილისი და წმ. დაბადსი ანადსი იოვანე დამამჴელისადავე	9. ღვთისმშობლის მუცლადღება(=HP)
10. ანასტასიში იონა წინამსწარმეტყუ ელისადა და ამფილექისი (= HP 12 დეკ.) <წმ. სფურიდონისადა>(= HP 12 დეკ.)	10. წმ. მენა, ერმოგინე და ევგრაფი (=HP)

17 იქვე, p.107-109, 400-407.

ძალზე მნიშვნელოვანი განსხვავება წმინდანთა ძველ, პალესტინურ კალენდარსა და დუმბარტონ ოქსის „თვენს“ შორის საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ ბიზანტინიზაციის პროგრესი XI ს-ის შუა წლებისთვის, როგორც ღირსი მამა ენგბერდინგი ამბობს „ბიზანტიური დღესასწაულების კალენდრის რიგი“¹⁸.

დუმბარტონ ოქსის „თვენი“ შეიცავს დეკემბრის, იანვრისა და თებერვლის თვეებს, ანუ ლიტურგიკული წლის მეორე ტრიმესტრს. იგი განსხვავდება ძველი პალესტინურ-ქართული დოკუმენტების წესისგან, სადაც ლიტურგიკული წელიწადი იწყებოდა შობის დღესასწაულით, ამ დღესასწაულისთვის მოსამზადებელი დღეებით,¹⁹ ან 1 იანვრით, როგორც ეს იოანე ზოსიმეს კალენდარშია²⁰. ჩვენს „თვენში“ წელიწადი არც შობით იწყება და არც 1 იანვრით, იგი აშკარად ჩართულია ლიტურგიკულ წელიწადში, რომელიც 1 სექტემბერს იწყება. ესეც ბიზანტიის გავლენაა.

ქართული „თვენის“ მონაცემების ბერძნულ სვინაქსართან შედარებით დავადგინეთ განსაკუთრებული თანხვედრა H და P-სთან, ბერძნული სვინაქსრის ორ უძველეს დამოწმებასთან (P IX-X საუკუნეებით თარიღდება, H კი X საუკუნით)²¹: მხოლოდ P-სთან თანხვედრა გვაქვს: 1 და 3 დეკემბერს, 6 და 13 იანვარს, 26 და 27 თებერვალს; მხოლოდ H-თან კი – 13 იანვარს (სხვა ხელით); მხოლოდ H და P-სთან: 18 და 19 დეკემბერს, 4 იანვარს, 5 და 14 თებერვალს; H და P-ს შემცველ სვინაქსართა ჯგუფთან 8, 12, 24 დეკემბერს, 5, 16 იანვარს, 7, 14 და 21 თებერვალს. ცნობილია, რომ მრავალი ნიშნის მიხედვით პატმოსის სვინაქსარ-ტიპიკონი (P) პალესტინური წარმომავლობის უნდა იყოს.²² დუმბარტონ ოქსის „თვენში“ აშკარაა ბიზანტიური კალენდრის გავლენა, მაგრამ იგი აბსოლუტური არაა. თუმცა ეს კალენდარი არსებითად ბიზანტიური ხასიათისაა, მასში მაინც შემონახულია ბერძნული ეკლესიის წესისთვის უცხო დღესას-

18 H.Engberding, in: Oriens Christianus, 38, 1954, p. 82.

19 Garitte, Calendrier, p. 21-22; კ. კეკელიძე, სქოლიო 4-ში დასახელებული ნაშრომი, p. 20-21, 32.

20 Garitte, Calendrier, p. 21-22. პარიზის ქართულ ლექციონარში 1 იანვარს გატანილია „წელიწადისთავი“, მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებულში 1 იანვარს აშიაზე მიწერილია Ibericum anni principum (თბილისის S ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, I, გვ. 548; იხ. Le Muséon, 74, 1961, p. 416; კეკელიძე, დასახელებული ნაშრომი, გვ. 32, n.4).

21 Mateos, Typicon, I, p. X-XIX.

22 H. Delehaye, Synaxarium Ecclesiae CPanae, col. XI; Garitte, Calendrier, p. 32; Mateos, Typicon, p. VIII-IX.

წაულთა მნიშვნელოვანი რაოდენობა; გარდა ქართული, ეროვნული დღესასწაულებისა, როგორებიცაა წმ. აბო თბილელის (7 იანვარი) და წმ. ნინოს (14 იანვარი) დღესასწაულები, იგი შეიცავს თორმეტამდე საკუთრივ იერუსალიმურ თუ პალესტინურ-ქართულ დოკუმენტებში დამოწმებულ დღესასწაულს:

14 დეკემბერი – საბაწმინდას ეკლესიათა სატფურება.

16 დეკემბერი – იერუსალიმელი პატრიარქების, მოდისტოსისა და იოვანეს ხსენება.

31 დეკემბერი – წმ. ბუეს ხსენება.

3 იანვარი – ძველი აღთქმის წმ. პატრიარქების ხსენება (ტიბერიადის ტბის სვინაქსარი).

8 იანვარი – წმ. იოვანე განდგომილის ხსენება.

12 იანვარი – წმ. ფილოთეოსის ხსენება.

13 იანვარი – განცხადების მსგებსი.

16 იანვარი – ქოზიბას ღვთისმშობლის დღესასწაული.

18 იანვარი – წმ. ანტონ რავახის ხსენება (სხვა ხელით ჩართვა მიუთითებს კონკურენტ ბიზანტიურ დღესასწაულს).

24 იანვარი – ყოველთა წმინდანთა დღესასწაული.

29 იანვარი – ჯვრის გამოჩინება კონსტანტინესთვის.

4 თებერვალი – წმ. ელია დამასკელის ხსენება.

10 თებერვალი – წმ. თეოდონიას ბეტილიონელის ხსენება.

25 თებერვალი – წმ. ქრისტედულეს ('აბდ ალ-მასიჰის) ხსენება.

ძველი ადგილობრივი წესი შედარებით მრავლადაა შემონახული ღუმბარტონ ოქსის „თვენში“: საინტერესოა, ასევეა თუ არა ჯვრის მონასტრის სხვა „თვენებში“ თბილისი H-2336 (აპრილი), H-2339 (ივნისი) და H-2337 (აგვისტო)²³, რომლებსაც კ. კეკელიძე²⁴ იმავე რედაქციისად მიიჩნევს, ასევე Jér-42-ში (მარტი და მაისი)²⁵.

23 კ. კეკელიძე, სქოლიო 4-ში დასახელებული ნაშრომი, გვ. 22; იხ. გვ. 55.

24 XI ს-ის ეს სამი ხელნაწერი 1820 წელს იერუსალიმის ჯვრის მონასტრიდან წამოიღო გიორგი ავალოვა (ავალიშვილი); იხ. თბილისის H ფონდის ხელნაწერთა აღწერილობა, V, გვ. 232, 233 და 235; იხ. Le Muséon, 74, 1961, p. 406 (სტრ. 15-ზე „1117“ უნდა იკითხებოდეს როგორც „1649“).

25 Blake, in: Revue de l' Orient Chrétien, 24, 1924, p. 206 (ცაგარელი-34).

* სტატიის ბოლოს გარიტი გვაძლევს ანბანურ რიგზე გაწყობილ წმინდანთა დღესასწაულების ცხრილს.


ფრანგულიდან თარგმნა
ცისანა ბიბილეიშვილმა
კავკასიის უნივერსიტეტი

იუბილე JUBILEE

დონალდ რეიფილდი – 80

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი და ჟურნალ „კადმოსის“ რედაქცია საიუბილეო თარიღს ულოცავს „კადმოსის“ სარედაქციო კოლეგიის წევრს, ცნობილ მეცნიერს, ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტის ემერიტუს-პროფესორს, ქართული ლიტერატურის შესანიშნავ მკვლევარსა და მთარგმნელს, ბატონ დონალდ რეიფილდს.

დონალდ რეიფილდი 80 წლისაა



საქართველოს ძალზე გაუმართლა, რომ მსოფლიოში მისი ლიტერატურისა და ენის დესპანად ბედმა დონალდ რეიფილდი არგუნა. „ქართული ლიტერატურის მნიშვნელობა განუზომლად დიდია ამ ენაზე მოლაპარაკეთა რაოდენობასთან შედარებით“, – წერს რეიფილდი შესავალში თავისი მონოგრაფიისა „ქართული ლიტერატურის ისტორია“, რომელიც ინგლისურ ენაზე დაწერილი ქართული ლიტერატურის ყველაზე ამომწურავი გამოკვლევაა. „ძალზე დიდი ხნის განმავლობაში

ამიერკავკასიაში მცხოვრები ქართველი ხალხის პოეზია და პროზა ის წალკოტი იყო, რომლის სრულფასოვნად გაცნობაც სულ რამდენიმე უცხოელს თუ მოეხერხებინა. დონალდ რეიფილდი სწორედ ის მეცნიერია, ვისაც დიახაც რომ ხელეწიფება, ინგლისურენოვან ფართო მკითხველ საზოგადოებას ქართული ლიტერატურა გააცნოს“, – აღნიშნავდა კევინ ტუიტი „ქართული ლიტერატურის ისტორიის“ მიმოხილვისას.

ალბათ არ არის შემთხვევითი, რომ დონალდ რეიფილდი 50 წლის

წინ და-ძმა უორდროპების სტიპენდიით ჩამოვიდა საქართველოში და ქალბატონი შუქია აფრიდონიძის ხელმძღვანელობით შეუდგა ქართული ენის საფუძვლიან შესწავლას. ქართული ენის შესწავლასთან ერთად, დ. რეიფილდმა დაიწყო ქართული ლიტერატურის ინგლისურად თარგმნა – გალაკტიონის ლექსები, ვაჟას სამი პოემა, ილიას „მეფე დიმიტრი თავდადებული“, აკაკის „ჩემი თავგადასავალი“. შემდეგ იყო რეზო გაბრიადის სცენარები, ბოლოს კი ოთარ ჭილაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის რომანები.

მას შემდეგ, რაც ადევნატური ქართულ-ინგლისური ლექსიკონის გარეშე გაართვა თავი მრავალი სირთულით გამორჩეული ქართული ენის შესწავლას, დონალდ რეიფილდი ჯერ კიდევ XX საუკუნის 90-იან წლებში შეეჭიდა ისეთ რთულსა და საპასუხისმგებლო საქმეს, როგორც „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონის“ შექმნა იყო. საკუთრივ ლექსიკონზე მუშაობა 2000 წელს დაიწყო ქართველ კოლეგებთან ერთად და 140 000 სიტყვა-სტატიის შემცველი ორტომიანი ლექსიკონი 6 წელიწადში, 2006 წელს გამოიცა. მსოფლიო ლექსიკოგრაფიის ისტორია მხოლოდ ერთ შემთხვევას იცნობს, როდესაც 6 წელიწადში მნიშვნელოვანი ლექსიკოგრაფიული ნაშრომი შეიქმნა. ეს ინგლისელი მწერლისა და ლექსიკოგრაფის სემიუელ ჯონსონის „ინგლისური ენის განმარტებითი ლექსიკონი“ იყო (1755 წ.). მეორე მაგალითი კი არის დონალდ რეიფილდის მთავარი რედაქტორობით შექმნილი „დიდი ქართულ-ინგლისური ლექსიკონი“, ჭეშმარიტად ჯონსონისეული ნაშრომი, რომლითაც არაერთი უცხოელი ქართველოლოგის ოცნება ახდა.

დონალდ რეიფილდი საოცარი დიაპაზონის მეცნიერია. იგი არ შემოფარგლულა მხოლოდ ქართული ენისა და ლიტერატურის კვლევით. მან შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანი ისტორიული ნაშრომები სტალინის ეპოქაზე, საქართველოს ისტორიაზე. მისი წიგნი, „საქართველო იმპერიათა გზაჯვარედინი“, ეფუძნება აღიარებულ ისტორიულ წყაროებს, ისტორიკოსთა ნაშრომებს, საარქივო მასალებს და ქვეყნის სამიათასწლოვან ისტორიას მოგვითხრობს. წიგნი პირველად 2012 წელს გამოიცა ინგლისში, მეორედ კი – 2019 წელს.

ქართული ლიტერატურა, ქართული ენა, საქართველოს ისტორია...

თანამედროვეებმა სემიუელ ჯონსონს „კუნძულის აკადემია“ შეარქვეს, ვინაიდან ერთმა ადამიანმა იმ მოცულობის სამუშაოს გაართვა თავი, რომელზეც სხვა ქვეყნებში სპეციალურად შექმნილი მთელი აკადემიები მუშაობდნენ. ქართველოლოგიის დარგში შეტანილი წვლილით, მისი განვითარებისა და პოპულარიზაციისათვის

გაწეული შრომით, პროფესორ დონალდ რეიფილდს, ამ ჭეშმარიტად ჯონსონისეული მასშტაბის პიროვნებას, „საქართველოს აკადემიაც“ კი შეიძლება ვუწოდოთ!

დონალდ რეიფილდი არა მხოლოდ დიდი ბრიტანელი ქართველოლოგია, იგი ჩვენი ქვეყნის დიდი მეგობარი და ქომაგიცაა და ყოველთვის „მოყვარეს პირში უძრახეს“ პრინციპით ხელმძღვანელობდა და ხელმძღვანელობს სხვადასხვა ისტორიული თუ კულტურული მოვლენის შეფასებისას.

ჩვენს ძვირფას მეგობარსა და კოლეგას ვუსურვებთ ჯანმრთელობას, წარმატებებს, სამეცნიერო საზოგადოებრიობის მიერ მისი უზარმაზარი ღვაწლის სათანადოდ დაფასებას და აგრეთვე მეტ საინტერესო პროექტებთან შეჭიდებას მომავალში!

პროფ. თინათინ მარგალიტაძე
ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი
ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

აბსტრაქტი ABSTRACT

Ilia State University and the Editorial Board of *Kadmos* congratulate distinguished scholar Donald Rayfield, Professor Emeritus at Queen Mary University of London, an outstanding researcher and translator of Georgian literature and a member of the Editorial Board of *Kadmos*, on his 80th birthday. The journal hereby publishes a jubilee letter from Professor Tinatin Margalitzadze, Director of the ISU Centre for Lexicography and Language Technologies.

ნეკროლოგი OBITUARIES

2022 წელი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდისთვის მძიმე დანაკლისით დასრულდა. ერთმანეთის მიყოლებით გამოგვაკლდა ილიაუნის პირველი თაობის ორი გამორჩეული მეცნიერი, პროფესორ-ემერეტუსები, შუქია აფრიდონიძე და ზურაბ კიკნაძე.

შუქია აფრიდონიძემ უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული ენის მეცნიერული აღწერისა და სწავლების, ასევე ქართულ და უცხოურ საგანმანათლებლო სივრცეში ქართული ენის პოპულარიზაციის საქმეში; წლების განმავლობაში იგი იკვლევდა საქართველოს ტოპონიმის, ლექსიკოლოგიის, ლექსიკოგრაფიის, ქართული ენის სტილისტიკისა და ფუნქციური გრამატიკის უმნიშვნელოვანეს საკითხებს; ქალბატონი შუქია არის არაერთი განმარტებითი და ორენოვანი ლექსიკონის შემდგენელი, დარგობრივი ლექსიკონების, ტოპონიმიკური და ტერმინოლოგიური ტექსტური ბაზების შემქმნელი. მან აღზარდა ენათმეცნიერთა თაობები; განუზომელია ქალბატონი შუქიას ღვაწლი უცხოური ქართველოლოგიის განვითარებაში. ქართული ენითა და ლიტერატურით დაინტერესებულ მკვლევართა უმრავლესობას, თანამედროვე უცხოურ ქართველოლოგიას, დღეს სწორედ შუქია აფრიდონიძის მოწაფეები წარმოადგენენ.

გარდა ფართო პროფესიული კომპეტენციისა, ქალბატონი შუქია გამორჩეული იყო განსაკუთრებული პიროვნული თვისებებით და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თავისუფლების ძალიან მაღალი ხარისხით. მიუხედავად საბჭოთა პერიოდის სირთულეებისა – 1940 წელს იყო დაბადებული – იგი იზრდებოდა თავისუფლებაში, ყველა დროის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწის, თედო სახოკიას გარემოცვაში. თედო სახოკიას, როგორც ქალბატონი შუქია ეძახდა, პაპას, პიროვნული და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორია ფრანგული ანთროპოლოგიური განათლებით თუ ქართული ფრაზეოლოგიზმების ფართო ეთნოკულტურული კვლევით დაწყებული დამოუკიდებელი

საქართველოსთვის პოლიტიკური ბრძოლით დამთავრებული, არის მეოცე საუკუნის დასაწყისის ევროპული ინტელექტუალური ისტორიის ქართული პროექცია.

ყველას გვახსოვს ქალბატონი შუქიას არაჩვეულებრივად საინტერესო მონათხრობი თედო სახოკიასა და მის მეგობრებზე, 1918 წელს საქართველოს დამოუკიდებლობის განსაკუთრებულ ქომაგებზე, მათ შორის მარჯორი უორდროქსა და მისი ოჯახის წევრებზე; გვახსოვს სახიფათო ამბები იმის შესახებ, როგორ მაღავედა თედო სახოკია თავის სახლში 1924 წელს ორ სიკვდილმისჯილ აჯანყებულს და როგორ ბეწვზე ეკიდა თავად თედო სახოკიას უსაფრთხოებაც; გვახსოვს ქალბატონი შუქიას მონათხრობი უშიშარ პაპაზე, რომელმაც ჯერ 1892 წელს ვარშავის უნივერსიტეტის ქართველ სტუდენტებთან ერთად შექმნა საქართველოს დამოუკიდებლობის ლიგა, შემდეგ პარიზში გაიპარა, როცა მისი დაპატიმრება გადაწყვიტეს, იმალებოდა ევროპის სხვადასხვა საუნივერსიტეტო ქალაქში ქართველ სტუდენტებთან ერთად და ბოლოს მაინც დაიჭირეს.

აი, ეს ამბები, თავისუფლებისთვის, დამოუკიდებლობისთვის მებრძოლისა და ფრანგული ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრის პირადი ისტორიები, იყო ქალბატონი შუქიას ბავშვობის ზღაპრები, მისი ჭირი იქა, ლხინი აქა. ეს ისტორიები კვებავდა მის სილალეს, მის თავისუფლებას საბჭოთა პერიოდშიც კი.

ზურაბ კიკნაძეს არაერთი ტიტული აქვს: ცნობილი ქართველი მეცნიერი, ასირიოლოგი, სემიტოლოგი, ქართველოლოგი, ბიბლიოლოგი, ფოლკლორისტი, ლიტერატურათმცოდნე, ამასთანავე, მწერალი, მთარგმნელი, ესეისტი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-ემერიტუსი, ჟურნალ „კადმოსის“ დამფუძნებელი და მისი მთავარი რედაქტორი, არაერთი სამეცნიერო თაობის აღმზრდელი.

რთულია ბატონი ზურაბის სამეცნიერო ღვაწლის შეფასება, 50-მდე მონოგრაფიის, 550-ზე მეტი პუბლიკაციისა და თარგმანის მიმოხილვა, კლასიფიკაცია, სულ მცირე, იმის დადგენა, რომელია მისი მთავარი სპეციალობა; ამაში ვერც ბატონი ზურაბის პუბლიკაციების სრული ბიბლიოგრაფია დაგვეხმარება. რაოდენობრივი ან, გნებავთ, თვისებრივი კრიტერიუმებითაც ჭირს რომელიმე მიმართულების გამოორჩევა, წინა პლანზე გადმოტანა. ვფიქრობთ, პროფესორ ზურაბ კიკნაძის სპეციალობა ყველაზე ახლოსაა დარგთან, რომელსაც გერმანულ სივრცეში Altphilologie-ს უწოდებენ: მეცნიერება ძველი ენებისა და ლიტერატურების შესახებ.

კიდევ უფრო რთული აღმოჩნდა ზურაბ კიკნაძის სამეცნიერო-საგანმანათლებლო თუ სალიტერატურო-მთარგმნელობით საქმიანო-

ბაში ყველაზე აქტიური პერიოდის გამოყოფა. არ აქვს მნიშვნელობა, როდის, რა სირთულეების ფონზე ან რომელ ასაკში უზღებოდა ბატონ ზურაბს ახალი საქმის დაწყება, ახალი კონტექსტის შექმნა, ის არწივის ძალას მოიკრებდა ხოლმე და ძველი აღმოსავლური, ან ბიბლიური ტრადიციის ქტიტორად, განმახლებლად გვევლინებოდა.

სწორედ ამგვარი შემართებით შექმნა ბატონმა ზურაბმა გასული საუკუნის 90-იან წლებში რელიგიის კვლევების მიმართულებით საგანმანათლებლო-კვლევითი სემინარი, რომელსაც მაშინდელი არასასემინარო თუ არასამეცნიერო კონტექსტისა და წინაპირობების მიუხედავად, არასდროს მოჰკლებია „გულისკმისმყოფელი“ თუ მსმენელი. მოგვიანებით, 2009 წელს ბატონმა ზურაბმა სრულიად ახალი ტიპის სამეცნიერო დისკუსიის სივრცე შექმნა: ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში მან დააარსა ჟურნალი „კადმოსი“, რომელიც ჰუმანიტარული დარგის ქართული სამეცნიერო ჟურნალებიდან პირველი შევიდა საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ნუსხაში.

ჟურნალ „კადმოსის“ რედაქცია

შუქია აფრიდონიძე (1940-2022)



1973 წლის შემოდგომაზე მე ალბათ შუქიას პირველი უცხოელი მოსწავლე ვიყავი. საქართველოში სამი თვით ჩავედი, რათა ლიტერატურის მუზეუმში მემუშავა და ქართველი და რუსი პოეტების მიმოწერა შემესწავლა. სახელმწიფო უშიშროების კომიტეტმა კატეგორიულად არ მომცა ამის უფლება და მაშინ გადავწყვიტე, გადავსულიყავი უნივერსიტეტის ქართული ენის განყოფილებაზე და ქართული ენის სათანადოდ შესწავლა მეცადა.

მალე საკუთარი იღბლის არ მჯეროდა: შუქია იყო არა მხოლოდ მაღალი კალიბრის ენათმეცნიერი, არამედ უაღრესად ნიჭიერი მასწავლებელი, რომელიც თავის მოსწავლეებს სადოლე ცხენებივით წვრთნიდა. დედამისი, თედო სახოკიას ქალიშვილი, ასევე მზად იყო დაგვმარებოდა და მის სახლში აკრძალული იყო რუსულად ლაპარაკი ან რუსული საუბრის მოსმენა.

შუქიას წყალობით გავეცანი ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების ვარსკვლავებს და დავიწყე გალაკტიონისა და ვაჟას თარგმნა. მოგვიანებით გადავედი რეზო გაბრიაძის სცენარებზე, შემდეგ კი ოთარ ჭილაძისა და მიხეილ ჯავახიშვილის რომანებზე. ყველა ამ საქმიანობაში შუქია იყო ჩემი შეუფასებელი მრჩეველი და მეგობარი. შემდეგ, როდესაც სასწაულებრივად გაჩნდა დაფინანსება, მე და შუქიამ, თინა მარგალიტაძესთან, აწ გარდაცვლილ არიანე ჭანტურიასთან და ლორენს ბროერსთან ერთად, დავიწყეთ მუშაობა „დიდ ქართულ-ინგლისურ ლექსიკონზე“, რომელმაც უცხოელი ქართველოლოგების დიდი საჭიროება დააკმაყოფილა. შუქია აღმოჩნდა არა მხოლოდ ჩინებული და მცოდნე ლექსიკოლოგი, არამედ საკმაოდ შემწყნარებელი და დიდი ფანტაზიის მქონე, როდესაც საქმე ეხებოდა სასაუბრო ლექსიკას, მათ შორის ტაბუდადებულ სიტყვებს.

შუქიას ბევრი სხვა წარმატებული უცხოელი სტუდენტიც ჰყავდა. მან აღზარდა უცხოელი ქართველოლოგების სამი თუ არა, ორი თაობა მაინც, რომელთაც თავიანთი სამეცნიერო საქმიანობა ქართულ ენას მიუძღვნეს და საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოაქციეს იგი.

შუქია იყო ერთ-ერთი ყველაზე ენერგიული და უანგარო ადამი-

ანი მათ შორის, ვისაც კი ოდესმე შევხვედრივარ. ადამიანი, რომელიც უშურველად უთმობდა სხვებს თავის დროს, პირად სივრცეს, ეხმარებოდა ფინანსურად. მას იმხელა ენერგია ჰქონდა, რომ დარწმუნებული ვიყავით, 100 წლამდე იცოცხლებდა. მისი გარდაცვალება შოკისმომგვრელია ჩემთვის და მაქვს უდიდესი დანაკარგის განცდა როგორც პირადი, ისე პროფესიული თვალსაზრისით.

დონალდ რეიფილდი

I believe that in autumn 1973 I was Shukia's first foreign pupil. I'd come to Georgia for three months to study the correspondence of Russian and Georgian poets in the Literary Museum, but the KGB insisted I was not to see anything, so I decided to switch to the Georgian Language department of the University and try to learn Georgian properly. I couldn't believe my luck: Shukia was not only a first-class linguist, but a very gifted teacher who trained her pupils like race horses. Her mother, the daughter of Tedo Sakhokia was eager to help, primarily by refusing to speak or listen to anything said in Russian in her household. Through Shukia I met various stars of Georgian literature and the arts, and began translating Galaktion and Vazha; later I progressed to Rezo Gabriadze's scripts, to novels by Otari Chikadze and Mikheil Javakhishvili. In all these enterprises Shukia was an invaluable consultant and guide. Finally, when funds magically appeared, Shukia and I, with Tina Margalitadze, the late Ariane Chanturia and Laurence Broers began work on *A Comprehensive Georgian-English Dictionary* which has answered all the desperate needs of foreign students of Georgian. Shukia proved not just a precise and knowledgeable lexicologist, but a tolerant and imaginative participant, when it came to dealing with colloquial, even taboo lexical items.

Shukia had many other successful foreign students: she is responsible for two, if not three generations of Kartvelologists who have made Georgian the centre of their careers and of international attention. She was also one of the most energetic and selfless persons I have ever known, sacrificing her spare time, her funds, her personal space to help others. Her energy was such that nobody thought she could die before she reached 100. Her death comes as a shock and a terrible loss, both personal and professional.

Donald Rayfield

პატივცემულო ქალბატონო ნინო,

დიდი, აუტანელი, გაუსაძლისი ტკივილი მომაცენა პროფესორ შუქია აფრიდონიძის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავმა.

ქალბატონი შუქია ჩემი ქართული ენის მასწავლებელი იყო 1975 წლიდანვე, როდესაც პირველად ვეწვიე თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს. მიუხედავად იმისა, რომ იმხანად მხოლოდ ქართული ფონემების წარმოთქმას ვახერხებდი და თანაც – ძალიან ცუდად, პირველივე გაკვეთილებიდან ნათელი გახდა ჩემთვის, თუ რა გამორჩეული მასწავლებელი ერგუნებინა ჩემთვის ბედს. მას იმთავითვე ჰქონდა გაცნობიერებული, თუ რა სირთულეების წინაშე შეიძლებოდა, აღმოჩენილიყო ქართული ენის შესწავლის მოსურნე უცხოელი; ამდენად, შესაშური მოთმინებითა და სკურპულულობით განმიმარტავდა სირთულეებს, ვიდრე მათ არ დავძლევდი, რათა შემდეგ ახალ მასალაზე გადავსულიყავით.

საქართველოში ჩემი იმ პირველი ვიზიტის შემდეგ, როგორი მოკლე ხნითაც არ უნდა ვწვეოდი თქვენს ქვეყანას, ერთი შემთხვევაც არ მახსოვს, ტელეფონით არ შევხმიანებოდი ქალბატონ შუქიას და არ მეთქვა მისთვის, რომ მზად ვიყავი, მეორე დღესვე გამეგრძელებინა ქართული ენის გაკვეთილები. და მიუხედავად იმისა, რომ თავად ქალბატონი შუქია უაღრესად დაკავებული გახლდათ სამეცნიერო კვლევითა თუ აკადემიური მოღვაწეობით სხვადასხვა უნივერსიტეტსა და ინსტიტუტში, ერთხელაც არ უთქვამს ჩემთვის უარი, ახალი გაკვეთილი ჩაეტარებინა ჩემთვის.

დროთა განმავლობაში დავმეგობრდით და ერთხელ, ჯერ კიდევ სოციალიზმის ეპოქაში, შევძელი, მომეწვია იტალიაში, სადაც მან შეძლო, უშუალოდ გასცნობოდა დიდი იტალიელი მხატვრებისა და არქიტექტორების შედეგებს. თვალნათლივ ვხედავდი, რა ბედნიერი იყო. თავადაც გამომიტყდა, სულიერად და ინტელექტუალურად დიდად გავმდიდრდი, როდესაც იტალიის მუზეუმებსა და გალერეებში, საერთოდ, ცის ქვეშ იტალიური ხელოვნების საუცხოო ნიმუშები ჩემი თვალით ვიხილეო.

ქალბატონი შუქიას მარადისობაში გადასვლა დიდი, აუნაზღაურებელი დანაკლისია ქართული ენათმეცნიერებისთვის, საზოგადოდ, ქართველოლოგიისთვის მსოფლიოში. მეც ვერასოდეს დავივიწყებ ჩემს ძვირფას ქალბატონ შუქიას.

პატივისცემით,
ლუიჯი მაგაროტო

მოგონებები

როცა 1973 წელს კემბრიჯში სადოქტორო თემაზე მუშაობას შევუდექი, სულ არ მიფიქრნია იმაზე, რომ ჩემი ცხოვრება საბოლოოდ მჭიდროდ დაუკავშირდებოდა კავკასიას. იმ დროს ჩემი თემა გახლდათ ძველი ბერძნული და ძველი სომხური ენების ქვეწყობილი წინადადებების სინტაქსის შედარება-შეპირისპირება. მაგრამ როცა კემბრიჯში სანსკრიტული ენის ყოფილმა პროფესორმა სერ ჰაროლდ ბეილიმ (Sir Harold Bailey), რომელმაც შესაძლო კვლევით საგნად ძველი სომხური პირველად დამისახელა, მითხრა რა: თუ სომხურს ისწავლითო, აუცილებლად ქართულიც უნდა იცოდეთო, ადგა და თაროდან ერთი ქართული წიგნი გადმოიღო ჩემთვის საჩვენებლად, ქართული მშვენიერი შრიფტით დანახვისთანავე მოვიხიბლე. შემდეგი ორი წლის განმავლობაში სანამ დისერტაციისთვის სომხურ მასალას ვაგროვებდი, ქართულისა და სხვა კავკასიური ენების გრამატიკებს უფრო და უფრო მეტი ინტერესით ვეცნობოდი. ამიტომ მოვინდომე ქართული ყველაზე შესაფერ ადგილზე (საქართველოში) მესწავლა, ხოლო იდეის განხორციელების საქმეში დასახმარებლად არნოლდ ჩიქობავას მივმართე. სწორედ მისი და კიდევ სხვათა რჩევის თანახმად დიდი ბრიტანეთის საბჭოს განცხადება წარვუდგინე თხოვნით, რომ საბჭოთა კავშირთან არსებული მათი ხელშეკრულების მიხედვით, 1975-76 აკადემიური წლის გაცვლით პროგრამაში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჩემთვის შემოეთავაზებინათ. გადამწყვეტი საბჭოს წევრები კი ინტერვიუს დროს როგორღაც დავარწმუნე იმაში, რომ თბილისში (და არა ერევანში!) უნდა გავეგზავნე. ჩვენი თხოვნა დააკმაყოფილეს არა მხოლოდ ლონდონში არამედ მოსკოვსა და თბილისშიაც, და ამგვარად 1975 წლის სექტემბერში თბილისში ჩამოვედი.

ვაკეს სტუდენტულაქში, სადაც დამაბინავეს, მალევე შევხვდი ამერიკელ ქართველოლოგს, დი-ანა ჰოლისკის (Dee Ann Holisky), რომელსაც ვიზა გაუგრძელეს, რადგან წინა წლის სასწავლო პერიოდში ავადმყოფობა გადაეტანა. მასთან ერთად სწავლობდა კიდევ ერთი ამერიკელი ალის ჰარისი (Alice Harris), რომელსაც კემბრიჯში შევხვდი, როცა საქართველოსკენ მიემგზავრებოდა – მეფის კოლეჯში (King's College) ჩემს ხელმძღვანელ ბერნარდ კომრისა (Bernard Comrie) და სერ ჰაროლდ ბეილისთან ერთად ვისადილეთ. თორმეტი თვის შემდეგ როცა ალისი საქართველოდან ამერიკაში ბრუნდებოდა, კემბრიჯში შეჩერდა, რათა საკუთარ ძმას სტუმრებოდა. იმ საღამოს ალისი ბევრს არ ლაპარაკობდა – გუნებაწამხდარი იყო იმის გამო, რომ იგი და დი-ანა ჰოლისკი ბოლო კვირ(ე)ებში ემზადებოდნენ აღმოსავლეთ საქართველოში მივლინებით წასასვლელად, რათა უდიურ ენაზე ემუშავათ. თურმე ჯერ ოფიციალურად კი მიავლინეს, და მერე, თითქმის

სოფლამდე მისულს, უბრძანეს სასწრაფოდ უკან დაბრუნებულიყვნენ. ასე მორჩა და გათავდა მათი მივლინების ამბავი. რადგან ამ ამბის გამო ალისი გუნებაზე არ იყო, ამიტომ მასთან დიდ ხანს არ დავრჩი. დი-ანა ჰოლისკიძემაც იგივე ამბავი მიაშობ და, ჩემდა ბედად, ბევრი რამ ისეთი მირჩია, რაც მომდევნო თვეებში გამომადგა მისი გამოცდილებიდან. კარგად მახსოვს ერთი რამ, რაც მითხრა დი-ანამ მას შემდეგ, რაც გაირკვა, რომ ქართულის მასწავლებლად შუქია აფრიდონიძე მყავდა დანიშნული: ბედმა გაგიღიმაო. მალევე მივხვდი, თუ რამდენად სწორი იყო ეს ნათქვამი.

შუქიას იმ დროს თანამდებობა ჰქონდა უნივერსიტეტის ტოპონიმიკურ განყოფილებაში, რომელიც პირველ კორპუსში მდებარეობდა. იმის გამო, რომ საკუთარი ოთახი არ ჰქონდა, საჭირო იყო, რომ მას გაკვეთილებისთვის შესაბამისი ადგილი გამოენახა. ტოპონიმიკის კაბინეტის გვერდით იყო დიდი, საწყობისნაირი, უფანჯრო ოთახი, რომელიც დიდი ყავისფერი ავეჯითა და კარადებით იყო სავსე. შუქიამ პატარა მაგიდა და ორი მაგარი სკამი შემოიტანა. მაგიდას მივუსხედით და ასე დაიწყო ჩვენი გაკვეთილები. კვირაში სამჯერ (ორშაბათს, ოთხშაბათსა და პარასკევს) ერთმანეთს შევხვდებოდით და 9-დან 12 საათამდე ვმეცადინებოდით. თუმცა შუქიამ ინგლისური იცოდა, მომდევნო 11 თვის განმავლობაში იშვიათად თუ გამიგია ინგლისური სიტყვები მისი პირიდან – მხოლოდ და მხოლოდ ქართულად ლაპარაკობდა. ქართულის სტრუქტურა ზერეღედ ვიცოდი, რადგან ინგლისში მანამდე ჰანს ფოგტის გრამატიკა მქონდა გადაკითხული (ღრმად წაკითხული კი არა), და ამიტომ შუქიასნაირი პრაქტიკა იყო ზუსტად ის, რაც მჭირდებოდა. ამას შუქია უცებ მიხვდა და შესაბამისად დაგეგმა თავისი გაკვეთილები.

არ ვიცი, შუქიამ მიიღო თუ არა დამატებითი ხელფასი იმ საათებისთვის, რომლებიც ჩემს სწავლებაში გაატარა. ფაქტი კი ის იყო, რომ ის თავიდანვე თავს მხოლოდ მასწავლებლად კი არ თვლიდა, არამედ მშობლის როლსაც ითავსებდა, და გაკვეთილებისთვის მიძღვნილი ის 9 კვირეული საათი არ ჰყოფნიდა.

მოვიდა დღე, როცა ახალი ჩვეულება შემოიღო: გაკვეთილის შემდეგ ჭავჭავაძის გამზირს გადავჭრიდით და ქუჩაში მდგომარე მოვაჭრისგან ორ პატარა ხაჭაპურს ვიყიდოდით (უფრო სწორად, შუქია ყიდულობდა!), და იქვე ახლოს მდებარე „ჩაის სახლში“ ჩაისთან ერთად მივირთმევდით ხოლმე. მერე მოგვიანებით შუქიამ გადაწყვიტა, რომ ქართული ფილმების ყურება უნდა დამეწყო – დარწმუნებული ვარ, რომ ეს მე არ მითხოვნიდა. ამიტომ ზოგჯერ გაკვეთილის შემდეგ გამვლელ მანქანას (ტაქსის კი არა!) ხელის დაქნევით გააჩერებდა და მძღოლს ერთ მანეთს (დიახ, მხოლოდ ერთ მანეთს!) მისცემდა ბრძანებითი თხოვნით: ფილმ-სტუდიაში (რომელიც თბილისის ერთ-ერთ გარე-უბანში იმყოფებოდა) მიგვიყვანეთო! მახსოვს, რომ „მარლი

სვანეთისთვის“ იყო ერთ-ერთი ფილმი რომელიც ვნახეთ.

ერთ დღილას შუქია ძალიან აჟიტირებული შემოვარდა სამუშაო კაბინეტში ცნობით, რომ თურმე კიდევ ერთი ინგლისელი ჩამოსულიყო თბილისში. მითხრა, რომ ოქსფორდის უნივერსიტეტის ბოდლის სახელობის წიგნთსაცავიდან დავით ბარეტი (David Barrett) ჩამოსულა და სასტუმრო „ინტურისტში“ დაბინავებულაო. თუ გინდათ, მასთან სალაპარაკოდ ეხლავე წავიდეთო! მე კი ვუპასუხე: ბოდში-მეთქი, ბატ. დავითს ვიცნობ და კარგი იქნება აქ თბილისში მისი ნახვა, მაგრამ დღევანდელი გაკვეთილის გაცდენა არ მინდა-მეთქი. შუქია გაცეცხული შემეკითხა: რას ლაპარაკობთო? მე თუ ინგლისში ყოფნისას გავიგებდი, რომ კიდევ ერთი ქართველი იყო ჩამოსული, იმ წუთშივე მასთან გადავფრინდებოდიო! ნუ, თქვენ ქართველი ბრძანდებით, მე კი არა-მეთქი ვუთხარი, და გაკვეთილი ისევ გავაგრძელებთ. მერე მოგვიანებით შევხვდი დავითს, და მას თამაზ გამყრელიძესთან და სხვებთან შეხვედრები მოვუწყვე.

როცა ვინმესთან საუბარში მრავალ საათს ატარებ, ბუნებრივია, რომ თანამოსაუბრის ინტერესებს იგებ, და არც შუქიას გასძნელება ქართული კულტურისადმი ჩემი ინტერესის გამოცნობა. ჰოდა, აღარ მახსოვს, ჩემი დაბადების დღის თარიღი შუქიას წინასწარ ვუთხარი, თუ ჩემი ავტობიოგრაფიული მონაცემებიდან უბრალოდ გაახსენდა, მაგრამ 1975 წლის შესაბამის თვეში ზუსტად თერთმეტი რიცხვის აღსანიშნავად კონცერტზე დამპატიჟა; ბილეთები უკვე შეძენილი ჰქონდა. როცა ვკითხე: რას ვნახავთ-მეთქი? სუხიშვილ-რამიშვილის მოცეკვავეთა ანსამბლი გამოდისო. დიდი სიამოვნებით დავთანხმდი. და უნდა ვაღიარო, რომ ის იყო ყველაზე ამაღელვებელი და დაუვიწყარი დაბადების დღის საღამო, რაც კი ცხოვრებაში განმიცდია! მერე კიდევ ცნობილი ქართველი პიანისტის, ელისო ვირსალაძის, კონცერტისთვისაც ბილეთები მან გვიყიდა, და, სანამ დარბაზში ვისხედით, შემატყობინა, რომ (თუ არ ვცდები) ერთ დროს ვირსალაძესთან ერთად პიანინოზე დაკვრას სწავლობდა.

შუქიასთვის საიდუმლო არ იყო, რომ ოთხივე ქართველური ენა (აღარაფერი რომ ვთქვა კავკასიურ ენებზე საერთოდ) მაინტერესებდა, და ამიტომ როცა ჩათვალა, რომ ჩემი ქართულად მეტყველების უნარი საკმარის დონეს იყო მიღწეული, ერთი დღე შეარჩია ენათმეცნიერების ინსტიტუტში ჩემს მისაყვანად, რათა სხვადასხვა ენებზე მომუშავე ენათმეცნიერები გაეცნო. ის დღე განლდათ 1976 წლის 14 იანვარი. მეცნიერებათა აკადემიაში კავკასიური ენების განყოფილების დამაარსებელთან, პროფ. არნოლდ ჩიქობავასთან პირდაპირ მიმიყვანა გასაცნობად. მე იმ დროს ამის თქმას ვერ გავბედავდი, მაგრამ შუ-

ქიამ ბატ. არნოლდს მორიდებულად სთხოვა: ვინაიდან ჯორჯს ისეთი წიგნები სჭირდება, რომლებიც ბუკინისტებშიაც კი ადვილად აღარ იშოვება, ხომ არ შეიძლება რომ ინსტიტუტის გაცვლითი ფონდიდან რამოდენიმე საჩუქრად მიეცესო? ბატონმა არნოლდმა ბრძანება გასცა და იმ დღესვე (მიღების თარიღი ნაჩუქარ წიგნებშივე აღვნიშნე) გადმომცეს ისეთი ტომები, როგორცაა: არნ. ჩიქობავას „ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი“ (1938 წ.); ვ. თოფურიასა და მ. ქალდანის „სვანური პროზაული ტექსტები 3. ლენტეხური კილო“ (1967 წ.); მ. ქალდანის „სვანური ენის ფონეტიკა 1. უმლაუტის სისტემა სვანურში“ (1969 წ.); და, კიდევ ყველაზე იშვიათი წიგნი, ა. შანიძის, ვ. თოფურიასა და მ. გუჯეჯიანის „სვანური პოეზია 1“ (1939 წ.), რომელსაც გამოქვეყნების დღიდან იმ 14 იანვრამდე მართლაც არავის ხელი ალბათ არ მიჰკარებოდა. ამას ვამბობ, რადგან 336-337 გვერდებზე შემორჩენილია ბერიას გვარი!

იმავე ვიზიტის დროს შუქიამ გამაცნო სხვა ენათმეცნიერებიც, მაგ. ინსტიტუტის იმდროინდელი დირექტორი ვლადიმირ ფანჩვიძე, გურამ თოფურია, ვაჟა შენგელაია და (თუ არა იმ დღეს, ცოტა მოგვიანებით) ქეთევან ლომთათიძე, მაია მაჭავარიანი, ირინე ასათიანი, კლარა გაგუა და იზა ჩანტლაძე, რომელიც ერთადერთია, ვისთანაც დღემდე მაქვს კომუნიკაცია...

შუქია ყოველთვის ზრუნავდა, რათა ყველა ჩემი სურვილი თავდაუზოგავად შეესრულებინა. როცა გავიგე, რომ აკაკი შანიძე ჯერ კიდევ ცოცხალი იყო, ალბათ წამომცდა, რომ მასთან შეხვედრა გამიხარდებოდა. მერე ძველი ქართული ენის კათედრის ერთ-ერთ წევრს ეს ამბავი ამცნო, და, აი, 1976 წლის 19 მაისს განყოფილების ერთ-ერთმა ქალბატონმა (მრცხვენია ეხლა იმის თქმა, რომ მისი სახელი და გვარი დამავიწყდა) ბატ. აკაკის ბინაში მიმიყვანა მასთან შესახვედრად, და იმის მერე მომეცა შესაძლებლობა, რომ ბატ. აკაკისთან მიწერ-მოწერა გამეგრძელებინა მის გარდაცვალებამდე, რაც დიდ პატივად მიმაჩნია. ყველა მისი (და არა მხოლოდ მისი) წერილი ჩემს არქივში მაქვს შენახული.

შუქია მუდამ სხვადასხვა რაღაცებით იყო დაკავებული და ერთი საქმიდან სხვა საქმეზე ან ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე სწრაფად გადახტებოდა ხოლმე. როგორც ჩანს, ამ ჩვეულების გამო მეტ-სახელი შეარქვეს. ერთ დღეს პროფ. ივანე გიგინეიშვილი შემოვიდა უნივერსიტეტის იმ ოთახში, სადაც ვიმყოფებოდი და იკითხა: აბა, სად არის ჩვენი კალიაო? მე ვერ გავიგე ვისზე იყო ლაპარაკი და ვკითხე: „კალიას“ ვის ეძახით-მეთქი? ღიმილით მიპასუხა: ენერგიით სავსე თქვენს მასწავლებელს მოფერებით „კალიას“ ვეძახითო, რადგან ერთ

ადგილზე უმოძრაოდ დგომა უჭირსო.

თავისი მოწაფეების გულისათვის (და არა მხოლოდ ჩემი გულისთვის) შუქია გამუდმებით ღელავდა. თუ სადმე გვიწევდა სიტყვით ან მოხსენებით გამოსვლა, უნდოდა, რომ ლამაზად, უშეცდომოდ, წარმატებით გამოვსულიყავით. დასტურად შემიძლია მოვიყვანო ეს მაგალითი. შემთხვევით ისე მოხდა, რომ მეც თბილისში ვიყავი, როცა ჩემი თანამემამულე დონალდ რეიფილდი (Donald Rayfield) გამოვიდა თავისი წიგნის (Vazha Pshavela. Three Poems, თბილისი, 1981) პრეზენტაციაზე. იმ საღამოს მეც დავესწარი. სანამ დონალდი ტრიბუნიდან ლაპარაკობდა, შევამჩნიე, რომ შუქიას ტუჩები ხმაამოუღებლივ მოძრაობდა; მერვენებოდა, თითქოს თვითონ იმავეს ამბობდა, რასაც დონალდი კითხულობდა! როცა 1987 წელს მე აკაკი შანიძის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე მოხსენებით გამოვედი, კარგად მახსოვს თუ როგორ ნერვიულობდა შუქია – ამის დასტურად ფოტო შემორჩა.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, მგონი უკვე ყველასთვის ცხადი იქნება თუ რა გულისყურით ეკიდებოდა შუქია ჩემს აკადემიურ ინტერესებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ მან ცხოვრებაშიაც ნიშანდობლივი დახმარება გამიწია. როცა გადაწყდა, რომ ზაირა ხიბა და მე ჯვარს ვიწერდით, პირველი გადასაწყვეტი საკითხი იყო, სად ჩატარდებოდა ოფიციალური ცერემონია. თუმცა არც ზაირას და არც მე ამ ამბის დეტალები ეხლა კარგად არ გვახსოვს, რადგან საქმის მოგვარება სხვებს მივანდეთ, ორივენი დარწმუნებულნი ვართ, რომ შუქიაც ჩაერია და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა. პირველი გეგმის თანახმად, ცერემონია სტუდენტულთან ყველაზე ახლოს მდებარე ქორწინების სარეგისტრაციო სახლში იოლად ჩატარდებოდა, მაგრამ, იქ გაიგეს თუ არა, რომ ამ პროცესში ინგლისელი ადამიანი მიიღებდა მონაწილეობას, შეეშინდათ და უარი გვითხრეს – ეს ხომ პირველი შემთხვევა იყო, როცა ასეთი რამ საბჭოთა საქართველოში ხდებოდა! მერე მეგობრებმა (უეჭველად შუქიას ჩართულობით) მოაგვარეს საქმე ისე, რომ ბოლოს-და-ბოლოს ცენტრალურ „ქორწინების პალატაში“ 25 ივნისს დავქორწინდით.

1975-76 აკადემიური წლის საქართველოში გატარებული ის 11-ოდე თვე არ შეიძლება, რომ ყველაზე ღირსშესანიშნავ და სამხიარულო პერიოდად არ ჩაითვალოს ჩემს ცხოვრებაში. და შუქია რომ არ ყოფილიყო და არ გეკეთებინა ყველაფერი, რასაც მიკეთებდა, უეჭველია, რომ ეს შთაბეჭდილებები ნიშანდობლივად სხვანაირი იქნებოდა. განუზომელი (შეიძლება ითქვას შეუღარებელი) იყო შუქიას უნარი უცხოელებისთვის ქართული ენის სწავლების საქმეში, მაგრამ ვიმე-

დოვნებ, რომ რაც აღვნიშნე ცხადად გამოხატავს, თუ რამდენი სიკეთე გაუკეთებია მას ჩემთვის. ჩემი მშობლებისთვის გაგზავნილ წერილებში ალბათ ამ სიკეთეზე ისე მხურვალედ ვწერდი, რომ, როცა დეპემით შევატყობინე: ცოლი შევირთე-მეთქი, მცდარი დასკვნა გამოიტანეს – ეგონათ, რომ ცოლად ჩემი მასწავლებელი შევირთე! არადა, მისი ხათრითა და სიყვარულით ჩვენს პირმშოს (უფროს ქალიშვილს) „ამრა შუქია“ დავარქვით.

კიდევ ერთი აკადემიური წელიწადი (1979-80) საქართველოში გავატარე და სხვა დროსაც რამდენჯერმე თბილისს ვეწვიე, მაგრამ ვიტყვოდი, რომ 1976-ის შემდეგ ჩვენი ურთიერთობა ისეთი იყო როგორიც შეიძლება არსებობდეს უფრო მეგობრებს და არა მასწავლებელსა და მოწაფეს შორის, თუმცა თავს არასოდეს შეიკავებდა, თუ რაიმე სათქმელი (გინდ კრიტიციზმი, გინდ საყვედური) ჰქონდა ჩემ მიმართ. ეხლა რომ სიტყვა „საყვედური“ ვახსენე, არ შემიძლია დავმალო ის სამწუხარო ფაქტი, რომ ჩვენში განხეთქილება მოახდინა გაზ. „ლიტერატურული საქართველოს“ 1989 წლის 21 ივლისის ნომერში დაბეჭდილმა ჩემმა სტატიამ „ღია წერილი ქართველებს“. ძალიან დასანანია, რომ (ჩემი აზრით) შუქია (როგორც ჩემი ქართველი მკითხველების უმრავლესობაც) ჩემი წერილის ძირეულ მნიშვნელობას ვერ ჩასწვდენია. ამას ხაზს ვუსვამ, რადგან დღემდე არ მესმის, თუ რატომ გამოიწვია ისეთი სკანდალი ჩემმა წერილმა. მაგრამ რა ვქნათ – რაც მოხდა, მოხდა.

შუქია ჩვენთან აღარ არის. საქართველომ დიდი დანაკარგი განიცადა, და მისი გარდაცვალებით გაითიშა ქართულ ენათმეცნიერებაში მბრწყინავი შუქი. ყველაფერი, რაც 1975 წლის სექტემბრიდან 1989 წლის ივლისამდე გამიკეთა, ჩემს ხსოვნაში ბოლომდე დარჩება, და ყოველთვის მადლიერი ვიქნები.

დაე, ამ გამორჩეულ კალიას ჰქონებოდეს ნათელი მდელი მუდმივ მოსასვენებელ ნაკვეთად!

ჯორჯ ჰიუიტი

ჩემმა მეუღლემ და მე დიდი მწუხარებით შევიტყვეთ ამბავი ჩვენი მეგობრის, შუქია აფრიდონიძის შესახებ. ნება გვიბოძეთ, ოჯახის წევრებისა და ახლობელი მეგობრების მიმართ გულითადი სამძიმარი გამოვხატოთ.

შუქია აფრიდონიძე გავიცანი 1974 წელს, საქართველოში ჩემი პირველი ჩამოსვლისას და იმ დროიდან მოყოლებული ახლობელი კოლეგა და ძვირფასი მეგობარი გახდა. ის, ჩემთვის, როგორც უამრავი სხვა უცხოელი ქართველოლოგისთვის, არა მხოლოდ ქართული სალიტერატურო ენის შესანიშნავი და უაღრესად პატივცემული ექსპერტი იყო, არამედ ადამიანი, რომელმაც თბილისსა და ოლდენბურგში თავისი სასაუბრო კულტურითა და სასიამოვნო პიროვნული ხიბლით შეგვაყვარა თავი.

ძალიან დაგვაკლდება მისი ღიმილი და ცოცხალი ურთიერთობა.

დორისი და ვინფრიდ ბოედერები

Dear Nino,

I'm sorry to hear of dear Shukia's passing. She was such a wonderful teacher and person. I have great memories of her.

My daughter has the middle name Shukia in her honor.

In love,

Dee Holisky

ზურაბ კიკნაძე (1933-2022)


*შენგან ნაჩუქარ ხეებსაც ჩამოგიტვლი, თუ გინდა.
უკან დაგდევდი ბაღლი და გეხვეწებოდი, მაჩუქე-მეთქი.
შენ კი თვითეულის სახელს მეუბნებოდი და მიქებდი მათ ნაყოფს.
ჰომეროსი, ოდისეა, XXIV-330*




ფიცრების და ხის სხვა მონარჩენებისგან წიგნების თაროს „ერთად“ კეთება – ხერხვა, ჩორკნა, ჭედება – მახსოვს იმ პირველ საქმიანობად, რომლის დროსაც პირველად გავაცნობიერე „ძმაცაცობის“ თუ „კოლეგიალობის“ ეს რაღაც სპეციფიური განცდა, ყოველდღიურ ოჯახურ სიახლოვესაც რომ სცდება და თამაშის ჩვეულებრივ რუტინასაც. ძალიან ადრე იყო ეს, ჯერ კიდევ სანამ ამ სახლში გადმოვიდოდით, სადაც გავიზარდე და დღემდე ვცხოვრობ. მერე კიდევ ერთხელ იყო, ასევე ძლიერად – მაშინ, როცა რაღაც მიბაძვით (მაგრამ დამოუკიდებლად!) ვთარგმნე ტოლსტოის „ლევი სობაჩკა“ და სამზარეულოს მაგიდაზე დავუტოვე, დილას კი, იქვე, მისივე მარილიანი ორცხობილებით კონსტრუირებულ პატარა კოშკზე მიმაგრებული ტექსტი დამხვდა, მანქანაზე ამოხეჭდილი: „რეზოს – საუკეთესო თარგმანისთვის. უწილადე დედასაც!“ (იმ ორიოდე ბავშვურად მაღალფარდოვან „ლიტერატურიზმზე“ მინიშნებით, ჩემი მაშინ წანაკითხი ქართულიდან რომ ვისარგებლე თარგმნისას)...

მგონი, ამ „კოლეგიალური მეგობრობის“ ბაზისზე მიმდინარეობდა ჩვენი დანარჩენი მამაშვილობაც (სტუმრობები, ქალაქიდან გასვლები, მცირე თუ დიდი, მის მეგობრებთან ერთად, ჩემი მეგობრებიც რომ იყვნენ და ჩემს „ბავშვობის მეგობრებად“ რომ მოვიხსენიებ დღეს; ორად

დარჩენაც ოჯახში, როცა დედაჩემი საავადმყოფოში მოხვედრილა და ზოგი „სასადილოს კერძი“ ოჯახში რომ არ მზადდებოდა ხოლმე, პირველად მიგემია, მაგალითად – აჭარული ხაჭაპური კაფე „ჩარგალში“); ძილისწინა „ზღაპრებიც“, ლოგინთან რომ მევდა და გუსტავ შვაბის წიგნიდან მიაბზობდა ელინურ მითებს, ხანდახან გადმომაწვდიდა ხოლმე, რომ ლარნაკზე ნახატი მენახა, თუ როგორ გაეფიჭრა მარსიასი აპოლონს ან რამხელა ქვევრში ჩაიმალა ევრისტევის ჰერაკლეს შიშით; ველოსიპედზე სეირნობა და ონავრობა იპოდრომის ტყეებსა და ტრასებზე; სწავლა-განათლება: ინგლისური, რობინ ჰუდის ამბების ან „პრინცის და მათხოვრის“ კითხვით და ახალი სიტყვების „გახაზვით“; წიგნებიც, ნელ-ნელა სახლიც რომ ვეღარ იტევდა და ყველგანაც რომ გვხვდებოდა, სადაც არ წავიდოდით, მათ შორის კი – მისი წიგნები, რომელთაგან ჩემთვის ნაჩუქარი პირველი – „თამუზის სიზმარია“ (1969), უთარილო წარწერით:



იგივე წიგნს, ოდნავ მუქყდიანს, დედაჩემისთვის ნაჩუქარს, აქედური წარწერა აქვს:



ასევე უთარილოდ, უავტოროდ...

ლათინურიც ადრე დავიწყეთ: ტინეიჯერი, უკვე კარგად ვკითხულობდი და ვწერდი კიდეც (მის არქივშიც ვიპოვე ერთი ამგვარი წერილი მისდამი, ამდენ ხანს შეუნახავს...) ამიტომ 1975 წელს გამოსულ „ოდისეას“, მის და თამაზ ჩხენკელის ნათარგმნს, უკვე ლათინურად აქვს მიძღვნის ვრცელი წარწერა...

აქტიური პარალელური „მუსიკობის“ (ესეც ოჯახური გარემოს ნაწილი იყო, ურიცხვი ფირფიტა ძირითადად კლასიკური მუსიკით, მაგრამ ასევე რომანსული, შანსონური და კუბური ტრადიციული სონგო-

ებიტაც კი, პლუს ჩემი ფორტეპიანოზე მეცადინეობა და მუსიკალური შვიდწლედ) მიუხედავად, ჩემს ახალგაზრდულ ინტერესებში ლინგვისტური და ლიტერატურული მაინც საგრძნობლად დომინირებდა და ასე სრულიად ლოგიკურად გავხდი კლასიკური ფილოლოგიის სტუდენტი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომელიც 1982 წელს დავამთავრე, კარგი დიპლომით და მშობლების ამაცი სიხარულით. უბრალოდ, მუსიკას ამასობაში ისე ემძლავრა და „აერ-დაერია“ ჩემი გეგმები, რომ ოთხიოდე წლის „უსაქმური გზასაცდენილობის“ შემდეგ (ჯაზსაც კი აღარ ვუკრავდი, მხოლოდ მიხო შულღიაშვილთან ვსწავლობდი) კონსერვატორიაში ჩავაბარე კომპოზიციაზე.

წარმომიდგენია, რა განცდა და იმედგაცრუება აღმოჩნდებოდა მათთვის ეს ჩემი შემობრუნებული არჩევანი და უსაზღვროდ მადლობელი ვარ, რომ ერთი წამითაც არ უგრძნობინებიათ ჩემთვის და მართლაც ყველა პირობა შემექმნეს რუბიკონის გადასალახად. მხოლოდ რამდენიმე წლის შემდეგ ნელ-ნელა დაწყებულმა და მომატებულმა წარმატებებმა გააქარწყლეს ის შფოთვა და წუხილი, რომელიც არასოდეს გამოუთქვამთ. თვითონ ზურაბს ისედაც მუდამ თითქოს ერიდებოდა ჩემთვის რაიმე კრიტიკულის თქმა: ისე გავიზარდე, რომ ერთი უკმაყოფილო ან კონფლიქტური შენიშვნა არ მიმიღია პირდაპირ მისგან, ამგვარს უფრო დედაჩემს გაუზიარებდა ხოლმე და მისგან მომდიოდა საყვედურიც და, სხვათა შორის – კომპლიმენტიც, რომლის პირდაპირ გამოთქმაში დიდხანს ასევე მორცხვობდა და ისევე დედისგან ვისმენდი მის სიხარულს და ქების სიტყვას. მხოლოდ ეს ბოლო თორმეტიოდე წელი, ლამარას გარდაცვალების და ჩემი გერმანიიდან დაბრუნების შემდეგ, გაქრა ეს „დიპლომატიური შუალობა“ და მგონია, რომ სწორედ ეს ბოლო ათწლეული კიდევ რაღაც ახალი ინტენსივობით მაკავშირებს მასთან, მის აზრებთან, შემოქმედებასთან, მის ნაფიქრ-განცდილთან ბავშვობის, აწმყოს, ისტორიის, კულტურის, სიყვარულის, პოეზიის, რელიგიის და იმ უსაზღვრობის შესახებ, სიტყვით რომ ვერ გამოითქმის და კიდევ სხვა სიმძაფრეს რომ სძენს „მეგობრულ-კოლეგიალობის“ იმ ჩემს ადრეულ განცდას...

ეს უკანასკნელი კი არც არასდროს გამქრალა: რაც მუსიკოსი გავხდი, და მერე კიდევ – გერმანიაშიც გადავბარგდი, კიდევ უფრო იმატა ჩვენმა კორესპონდენციამ, ხან გერმანულის ორიგინალთან შედარება-დაზუსტების, ხან ანტიკურის გერმანული ინტერპრეტაციის, განსკუთრებით კი მუსიკის კონტექსტში, რომლისადმი ინტერესი (მის ადრინდელ, სტუდენტობიდროინდელ ჩანაწერებს თუ არ ჩავთვლით), ასე მძაფრად და ამდენი კითხვით გამოთქმული, ადრე არც მახსოვს: გამუდმებით მთხოვდა განმარტებას და კომენტირებას, თანამედროვე

მუსიკის ესთეტიკის რაიმე ასპექტი იქნებოდა ეს, ვენის ახალი სკოლის პრინციპები, შოენბერგის ციტატა, ქსენაკისის მათემატიკური თუ არქიტექტურულ მოდელი, თუ მუსიკის ზოგადი ბუნება და არქიტექტონიკა.

შარშან, გაზაფხულზე, მარტინ ბუბერის ერთი ტექსტის ერთობლივი თარგმნა შემომთავაზა და – სად მცალა-მეთქი, ვუთხარი დაუფიქრებლად, იმ ხნის გაწამაწიასა და არეულობაში. ზაფხულში, თავის ბოლო ზაფხულს, გამიმეორა, გამომცემელი ელოდება თანხმობასო და, პანიკურად – უარი უთხარი-მეთქი... ერთ კვირაში კი მივხვდი, რა შანსიც მეძლეოდა: მასთან ნამდვილი (!) თანამშრომლობის პირველი და, როგორც მერე გაირკვა – ერთადერთი შესაძლებლობა; შეშინებულმა ვკითხე, თუ ჯერ არ გითქვამს უარი გამომცემლისთვის, გავაკეთოთ, მოვიცილი-მეთქი. არც ვაპირებდი უარის თქმასო... თურმე უკეთ ვცნობივარ, ვიდრე მეგონა...

საწყის ფაზაში კი შეგვაჩერა სიკვდილმა, მაგრამ კვლავ მინდა შევუდგე, განვაგრძო და დავამთავრო, ჩემგან მის სახსოვრად...

რეზო კიკნაძე

ოჯახსა და ბევრ მეგობართან ერთად ვგლოვობ ზურაბ კიკნაძეს, რომელიც 48 წლის განმავლობაში ჩემი ძვირფასი მეგობარი იყო.

ყოველთვის მაცნებდა მისი არაჩვეულებრივად ფართო მეცნიერული ერუდიცია, რომლითაც თავის უამრავ პუბლიკაციაში ქართველ მკითხველებს აცნობდა ძველი ახლო აღმოსავლეთის რელიგიურ ტრადიციას, ძველ აღთქმასა და ქრისტიანულ აზრივნებას ქართული ლიტერატურის ძველ ტექსტებში თუ – ქართველების ტრადიციულ ფოლკლორს. ამავე დროს თავისი ურყევი პოზიციით აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს ინტელექტუალურ ცხოვრებაში. ამ დიდი პროგრამის საერთო აზრი შეიძლება გამოხატული იყოს მის მიერ შექმნილი ჟურნალის, „კადმოსის“ სათაურში. ერთხელ საუბარში მიმითითა იმაზე, რომ ბერძნული ტრადიციის მიხედვით, კადმოსს მოუტანია ფინიკიური ანბანი ევროპაში, რაც ისეთ კულტურულ სიმბიოზს ნიშნავს, რომელიც სწორედ საქართველოში ყოველთვის მეტად მნიშვნელოვანი იყოს.

ზურაბ კიკნაძის ხსოვნა ჩემთვის ამ შთამბეჭდავ პროგრამასთან დაკავშირებული დარჩება.

ვინფრიდ ბოედერი

აბსტრაქტი ABSTRACT

Ilia State University and the Editorial Board of *Kadmos* are deeply saddened by the passing of distinguished scholars, ISU Professors Emeriti, Shukia Apridonidze and Zurab Kiknadze. The journal hereby publishes in memoriam tributes and messages of condolence from professors Donald Rayfield, Luigi Magarotto, George Hewitt, Winfried Boeder, Dee Ann Holisky and Rezo Kiknadze.

ჩვენი ავტორები Contributors

ნინო აბაკელია – ემერიტუს-პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Nino Abakelia – Emeritus Professor, Ilia State University

ცისანა ბიბილეიშვილი – პროფესორი, კავკასიის უნივერსიტეტი

Tsisana Bibileishvili – Professor, Caucasus University

ვინფრიდ ბოედერი – ემერიტუს-პროფესორი, ოლდენბურგის უნივერსიტეტი

Winfried Boeder – Emeritus Professor, University of Oldenburg

ჟერარ გარიტი † – პროფესორი, ლუვენის კათოლიკური უნივერსიტეტი

Gérard Garitte † – Professor, Catholic University of Leuven

თამარ კალხიტაშვილი – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Tamar Kalkhitashvili – PhD student, Ilia State University

რეზო კიკნაძე – პროფესორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Reso Kiknadze – Professor, Ilia State University

მღვდელმონაზონი ეფრემ გივი ლომიძე – ღვთისმეტყველების ჰაბილიტირებული დოქტორი (doctor habilitatus). წმ. ეფრემ ასურის სახელობის აღმოსავლურ-დასავლური სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელი; ვენის უნივერსიტეტისა და თრუმაუს კათოლიკური უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი

Hieromonk Ephrem Givi Lomidze – PD Dr. theol. habil. Rector of St. Ephrem Scientific Center for Orient&Occident-Studies (STEP); Private Lecturer at the University of Vienna and Teacher at the ITI Catholic University

ლუიჯი მაგაროტო – ემერიტუს-პროფესორი, ვენეციის კა' ფოსკარის უნივერსიტეტი

Luigi Magarotto – Emeritus Professor, Ca' Foscari University of Venice

თინათინ მარგალიტაძე – პროფესორი, ლექსიკოგრაფიისა და ენობრივი ტექნოლოგიების ცენტრის დირექტორი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

Tinatini Margalitadze – Professor, Director of the Centre for Lexicography and Language Technologies, Ilia State University

დონალდ რეიფილდი – ემერიტუს-პროფესორი, ლონდონის დედოფალ მერის უნივერსიტეტი

Donald Rayfield – Emeritus Professor, Queen Mary University of London

ქეთევან ქათამაძე – ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი

Ketevan Katamadze – PhD student, Ilia State University

მერაბ ლალანიძე – პროფესორი, საქართველოს უნივერსიტეტი

Merab Ghaghanidze – Professor, Merab Ghaghanidze, University of Georgia

ჯორჯ ჰიუიტი – ემერიტუს-პროფესორი, ლონდონის უნივერსიტეტი

George Hewitt – Emeritus Professor, University of London

